მუხამად ალდამოვი

ცხოვრების გზა

თბილისი
2006

ამ წიგნში მოთხრობილია პირველი ქისტი ექიმი ქალის ლამარა ბორჩაშვილის, მისი ოჯახის, წინაპრებისა და ნათესავების, უახლოესი ადამიანების ცხოვრების შესახებ. თვით ქალბატონი ლამარა კი გახლავთ თავისი ხალხის — ქისტებისა (ჩეჩნების) და ქართველების დიდი გულშემატკივარი, პატრიოტი, ერთგული და უანგარო მსახური ისევე, როგორც მისი მეუღლე, აწ განსვენებული მუხმად ალდამოვი, ამ წიგნის ავტორი იყო.

რედაქტორი აკაკი ბრეგაძე
მხატვარი ზურაბ ღლონტი

რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, როდესაც შეწყდა თურქების, სპარსელებისა და ლეკი ფეოდალების თარეში, ხალხმა პანკისის ხეობაშიც დაიწყო დასახლება. ხალხური გადმოცემები მოგვითხრობენ, რომ მე-19 საუკუნის პირველი მეოთხედიდან აქ ქისტები გაუკაცრიელებულ, ტყით დაფარულ ხეობაში მკვიდრდებიან. როგორც ისტორიული წყაროები მოგვითხრობენ, პანკისში პირველად ქისტები ჩამოსახლებულან და ხეობის ცენტრი, ყოფილი სოფელი პანკისი (ამჟამად დუისი) დაუკავებიათ.

ვაინახებს (ჩეჩნებს, ინგუშებს, ქისტებს) ქართველებთან მრავალსაუკუნოვანი გენეტიკური, ეკონომიკური და სამეზობლო ურთიერთობის ისტორია აკავშირებს, რის შედეგია ის, რომ დღეს ქისტები, ქართველებთან ერთად, საქართველოში ცხოვრობენ. მთიანი ჩეჩნეთის მაისტის თემის ქისტები მეფის რუსეთის საქართველოს თიანეთის მაზრის ადგილობრივ ხელისუფალთა მოწვევითა და ხელშეწყობით დასახლდნენ პანკისში მე-19 საუკუნის 30-40-იან წლებში. მას შემდეგ საუკუნენახევრის განმავლობაში ქისტებმა შექმნეს სოფლები დუისი, ჯოყოლო, ომალო, ბირკიანი, ძიბახევი და შუა ხალაწანი. ისინი ოსებთან ერთად ცხოვრობენ დუმასტურში, ქვემო ხალაწანში, წინუბანსა და ქორეთში. ყოფითი ზნე-ჩვეულებები, კულტურა, სწავლა-განათლება ქისტებმა ქართული შეითვისეს, ამასთან, საკუთრივ ეროვნულში, ვაინახურში რაც კარგი იყო და არის, არც

ის დაუკარგავთ. შეინარჩუნეს ქისტური ენა, რელიგია ისლამი, ძმობის, მეგობრობის, თანადგომის და ურთიერთგამტანობის მახასიათებლები: უფროსის პატივისცემა, სტუმარ-მასპინძლობა, საცხოვრებელი ბინების მშენებლობისა და სხვა ნადური საქმიანობების შესრულებისას ნათესავების, მეზობლებისა და თანასოფლელთა უანგარო ურთიერთდახმარება, ქირში თანადგომა, ძმადნაფიცობა და კაი ყმობა. ქისტები შრომისმოყვარენი, გულადნი, პურადნი, ძმობასა და მეგობრობაში უდალატონი, მოყვარისათვის თავდადებულნი და პატიოსანნი არიან.

პანკისის ხეობის ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ სოფელში ჯოყოლოში მე-19 ს-ის 20-იან წლებში დაიბადა და აღიზარდა ლომგული ვაჟკაცი ბორძა (ბვიიძი) ბორჩაშვილი. იგი ბავშვობიდან განირჩეოდა ტოლამხანაგებისგან ბუნებითაც და აგებულებითაც. მისი ბრიალა და სხივმფენი თვალები მგლის თვალები გეგონებოდათ. მუსლიც ხიმ მგლისა ჰქონდა. მთებში და კლდე-ღრეებში სიარულისას დაღლას არ გრძნობდა. ხალხმაც ამიტომ „ბორძ" შეარქვა, რაც ქისტურ ენაზე მგელს ნიშნავს.

ბორძა ბორჩაშვილი მართლაც მგელივით მუსლმაგარი და გამბედავი იყო. ამასთანავე დინჯი და დარბაისელი, გულკეთილი და ენამოსწრებულიც. თავი მაღლა არ ექირა არასდროს, ამპარტავნობა არ უყვარდა. მეუღლეც გამრჯე და ჭკვიანი ჰყავდა, ყოველთვის ცდილობდა, სტუმრისა თუ ხალხის თვალში ქმრის აუტორიტეტი აემაღლებინა.

თქმის უხუცესთა სასამართლოში საკითხების გადაწყვეტის დროს ბორძას აზრს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. პანკისის ხეობა იმდროისათვის თიანეთის მაზრაში შედიოდა. ბორძა ჯოყოლოს მამასახლისი იყო და მაზრაში გასარჩევ საქმეებზე თიანეთში

სიარული უჭდებოდა. იქაც ბევრი ძმაკაცი პყავდა მაზრის მოსეულებს შორის და მოსახლეობაში. ბორიას გართობაც უყვარდა. რამდენჯერმე საკუთარი ხარჯით დოღი გაუმართავს. გაძარჯვებულს მსუქანი ჭედილაოი ასაჩუქრებდა, მეორე და მესამე ადგილზე გასულს — ფულით. გულნაკლულს არავის უშვებდა.

დოღის შემდეგ ქართული ჭიდაობა იმართებოდა ხოლმე. ქისტი, ყაზაველი, თუში და ოსი ახალგაზრდები ღონესა და მოსერხებულობაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ჭიდაობის შემდეგ ქისტი მეჩხურნეები საცეკვაოს უკრავდნენ და ახალგაზრდები ქისტური, ქართული და ოსური ცეკვებით ართობდნენ მაყურებელს. ქისტი ახალგაზრდა წრეში გადახტებოდა, „თუახ-თუახს“ დაიძახებდა და იწყებდა ციბრუტივით ტრიალს, თან თვალის დაშატკბობელ ილეთებს ასრულებდა.

მოცეკვაეე მაყურებლისგან ტაშს ითხოვდა. ესე იგი, „თუახ-თუახ“ ნიშნავს — ტაში, ტაში დაუკარითო! ახლა მეორე გადახტებოდა წრეში პირველზე უსწრაფესად, „ახ-ვალაახ“ დასძახებდა და ისე სწრაფად ტრიალებდა საცეკვაო წრეში, თვალს ვერ მიატანდით მის მოძრაობას. ქისტური ცეკვა მეტად ახარტული, სწრაფი და პარმონიული ცეკვაა. ცეკვიო გულს რომ იჯერებდნენ, სუფრას უსხდებოდნენ. აი, ასეთი გართობა-მხიარულების დროს დამკვიდრდა პანკისში ქართული ჭიდაობა. ამიტომაც პანკისში მრავალი სახელგანოქმული მოჭიდავე აღზრდილა და უსახელებია არამარტო პანკისი, არამედ საქართველოცა და საბჭოთა კავშირიც. ვინ არ მოხიბლულა ჯოყოლოელი უსუფ ბორჩაშვილის ცეკვითა და ჭიდაობით. მის ღვთიურ სილამაზეს აღტაცებაში მოჰყავდა მაყურებელი. იგი ქისტური ცეკვის და ქართული ჭიდაობის უბადლო ოსტატი იყო და უმეტესწილად გაძარჯვებული ტოვებდა სარბიელს.

პანკისელი ახალგაზრდები ზაფხულობით მდინარე ალაზნისპირის სილაზე ეუფლებოდნენ ჭიდაობის ილეთებს, იკაუებდნენ ორგანიზმს. აქ გადადგეს პირველი საჭიდაო ნაბიჯები საქართველოში და პოსტსაბჭოთა სივრცეში ცნობილმა მოჭიდაკეებმა: ქართულ ჭიდაობაში — საქართველოს ფალავანმა, ჭიდაობა ძიუდოში — საბჭოთა კავშირის და საერთაშორისო შეჯიბრებების პრიზიორმა ბუღდან ბაღაკაშვილმა, ვახტანგ ბორჩაშვილმა, თემურ წინწალაშვილმა, ტარიელ მუოოშვილმა და მრავალმა სხვამ.

ბორძას ოთხი ვაჟიშვილი და სამი ქალიშვილი პყავდა. ვაჟიშვილებს ფილიპე (უნახქა), ლეგა, აათაბეი და მაპაი ერქვათ, ქალიშვილებს — მუძეი, საარეი და დეი. შვილები მალე წამოეზარდნენ ბორძას. ლეგა ოიანეთში მაზრის ერთ-ერთ მოხელეს მიაბარა წერა-კითხვის სასწავლებლად. ლეგამ წერა-კითხვა ისწავლა და სოფელში დაბრუნდა. იგი ჯოყოლოს კანცელარიის უფროსად დანიშნეს. სწორედ ლეგა იყო ქისტებში პირველი, ვინც სახელმწიფო დაწესებულებაში — კანცელარიაში დაიწყო მუშაობა.

ბორძას მეორე შვილი ფილიპე ტყის მცველად დაინიშნა. ამ ოანამდებობაზე ფილიპე მთელი სიცოცხლე მუშაობდა. იგი ცდილობდა, სახელოვანი შამის — ბორძას ღირსეული შვილი ყოფილიყო. ყველაფერში მამას ბაძავდა. არც გარეგნულად ჩამოუვარდებოდა. მამასაეით მხარბეჭიანი იყო, თუმცა სიმაღლით მასზე დაბალი. ბორძას ფილიპე ხშირად დაპყავდა სტუმრად თავის მეგობრებთან. შეაყვარა ყველა ერის შვილი. თავად ხომ ყველას მეგობარი იყო, ვინც კი ხალხში ვაუკაცად ითქმოდა. ცხენით ჯირითი უყვარდა ფილიპეს ძალიან, ცხენიც კარგი ჰყავდა, დოღში ყოველთვის პირველი მიქროდა. მისი წაბლისფერი, თეთრფეხება,

კოტტა ქალივით ყელმოღერილი, ვერცხლის ალკაზმულობით აღჭურვილი ცხენი მთელი ხეობის ახალგაზრდობის საოცნებო საგანი იყო.

დრო გადიოდა, წლები წლებს მისდევდა, ბორძას ასაკი ემატებოდა. ერთ დღეს ერთგული ძმობილი — ფშაველი ღვთისო ეწვია, რომელმაც შესთავაზა საქონელი შეეძინათ და მესაქონლეობისთვის მოეკიდათ ხელი. ბორძამ მოიწონა მეგობრის წინადადება: იყიდეს ერთად პირუტყვი და იწყეს მისი მოვლა-პატრონობა. ზაფხულში გვიან შემოდგომამდე ალპურ საძოვრებზე პყავდათ საქონელი, საზამთროდ კი ბარში ჩამოპყავდათ.

ერთ ზაფხულს მთის საძოვარზე საქონლის გასარეკად გასულ ბორძას ძროხის ფეხით დაძრულ-დაგორებული ქვა მოსვდა მარჯვენა ფეხის მუხლში. ეტყობა, ქვამ მუხლის ძვალი დაუზიანა. ბორძა პირველ ხანებში ფიქრობდა, ტკივილი თანდათან გამივლისო, მაგრამ ბოლოს ძლიერი, განუწყვეტელი ტკივილის გამო იძულებული გახდა, მიეტოვებინა საქონელი და ოჯახში დაბრუნებულიყო. ოჯახში მნახველებსაც არ ღებულობდა და სამი წელი გარეთ არ გამოსულა. სამი წლის შემდეგ ხელჯოხით გამოვიდა, თუმცა შორს მაინც ვერ ახერხებდა წასვლას, მხოლოდ ეზო-მიდამოში დადიოდა სვენებ-სვენებით.

ერთხელ ომალოელმა იჩო ალხანაშვილმა მოტაცებული ქალი ბორძასთან მიიყვანა, რადგან მისი ვაჟკაცობა და გაჭირვებულთა მხარში დგომის ამბავი მთელს ხეობაში იყო ცნობილი. ბორძამ გამოჰკითხა, როგორ მოიტაცა ქალი. თუ ქალ-ვაჟს ერთმანეთი უყვარდათ, ქალიშვილიც თანახმა იყო ცოლად გაჰყოლოდა ალხანაშვილს, მაშინ მათ არავის შიში არ უნდა პქონოდათ, არადა ბორძა ვერ შეიფარებდა. როცა ბორძამ

დაშაკშაყოფილებელი პასუხი მიიღო, თავშესაფარი მისცა ახალგაზრდებს და გაბედნიერება მიულოცა, ქალიშვილის მშობლებმა კი მთავრობაში იჩივლეს და ბორძას ჩაფრები მიუვიდნენ. ჩაფრების დაძახებაზე ხელჯოხიანი ბორძა გარეთ გამოვიდა და მიესალმა მოსულებს.

— ბორძა, მოტაცებული ქალი თქვენს ოჯახში ყოფილა და გთხოვთ, შვილი მშობლებს ჩააბაროთ, თორემ საქმე სხვაგვარად შეტრიალდება და კარგს არაფერს მოგიტანს, — მიმართეს ჩაფრებმა.

ბორძას მგლისფერი დაედო, წარბი შეეყარა, იტყოდით, ჭექა-ქუხილად იქცეა და დედამიწას შეაზანზარებსო. უცებ გულის სიღრმიდან აღმოხდა: — არც ისეთი ჯეელი ვარ, თავი ვერ გაიმეტო და არც ისეთი მოხუცი, თავი შეკირცხვინო. სანამ თავი მსრებზე გაბიათ, გირჩევთ, წახვიდეთ თორემ მერე უკვე გვიან იქნება!

მოსულებმა ბორძას სახეს რომ შეხედეს, ერთმანეთს გადაუჩურჩულეს — ეს კაცი ისე გამწარებულია ტკივილებისგან და ჩვენი აქ მოსვლის შედეგად მიყენებული შეურაცხყოფით, შეიძლება ყველანი აამოვგხოცოს თუ დროზე არ გავეცალეთ აქაურობასო, — შეტრიალდნენ და ეზოდან გავიდნენ.

დაუბერებელი და უკვდავი არავინ არის. ყველანი სიკვდილის შვილები ვართ, უკვდავი მხოლოდ ის არის, ვისაც ამქვეყნად პატიოსანი და კეთილი ადამიანის სახელი დარჩება, ვინც ერს და საშობლოს ღირსეულ შთამომავლობას აღუზრდის. ბორძა ბორჩაშვილიც ის პიროვნება გახლდათ, ვინც სიკვდილამდე ხალხის სიხარულით ხარობდა და წუხილით წუხდა, ფესვძლიერი და ნიჭიერი შთამომავლობა დატოვა.

სამოცი წლისა გარდაიცვალა ბორძა. შვილებმა საამაყო მამის გარდაცვალება ძლიერ განიცადეს, შეს-

აფერისი პატივი სცეს და დაასაფლავეს როგორც შეეფერებოდა ხეობაში სახელგანოქმულ ვაჟკაცს.

განსაკუთრებით განიცადა მაშის სიკვდილი ფილიპემ. იგი ტყის მცველად მუშაობდა; ხალხში, ისევე როგორც მაშამისს, კარგი ვაჟკაცის სახელი პქონდა და, რა თქმა უნდა, ბორძას დაკრძალვას ‘ხდგა ხალხი დაესწრო: ქისტები, ოუშები, ფშაველები, ოხები. თითქმის მთელი ხეობა მიაცილებდა ბორძას საძარადჟამო სასუფევლისკენ.

ბორძას ვაჟიშვილთაგან ყაოაბეის პყავდა ვაჟიშვილი აბდულა, ქალიშვილები: საათა, ბაადეი, ძარაშ, ფალეი, ჰულეი, თოაი. აბდულა მეორე მსოფლიო ომში გაიწვიეს და იქ დაიღუპა. მას დარჩა ერთადერთი ქალიშვილი ნადია. აათაბეის ქალიშვილი თოაი ფენომენად იყო, როცა მისი მეუღლე ექა ალხანაშვილი მოქმედ არმიაში გაიწვიეს. ისიც ფრონტზე დაიღუპა. თოაის ბიჭი შეეძინა და მის სახელოდ უნდა ითქვას, რომ ხელახლა გათხოვება ფიქრადაც არ გაუვლია, ერთგულად და პატიოსნად გაზარდა ვაჟიშვილი ანზორ ალხანაშვილი. სიცოცხლის ბოლო წუთებამდე სათუთად ინახავდა გულში ესოდენ მალე განშორებული ახალგაზრდა მეუღლის ძვირფას ხატებას და ხსოვნას. ხოლო ვაჟიშვილი ანზორი ისე გაზარდა, მთელი თავისი სიკეთე, პატიოსნება, ალალ-მართლობა, ადამიანთა სიყვარული, გაჭირვებულთათვის დახმარება ჩაუნერგა მას. ამიტომაც უყვართ მთელ ასმეტის რაიონში ექიმი-ქირურგი ანზორ ალხანაშვილი. მისი თავმდაბლობა, ჰუმანურობა, გაჭირვებულისა და ავადმყოფისთვის დახმარების აღმოსაჩენად მზადყოფნა ენით უთქმელი და საარაკოა. ანზორმა ადამიანთა სიყვარული და საყოველთაო აღიარება დამსახურებულად მოიპოვა.

ბორძას მეორე ვაჟიშვილს მაპაის სამი შვილი პყავ-

და — ვაჟიშვილები ესქი და ბისანა, ქალიშვილი სონა. ესქიც ომში გაიწვიეს და შინ ვეღარ დაბრუნდა. დარჩა პატარა ვაჟიშვილი ალბერტ ბორჩაშვილი, რომელმაც თავის მამა-პაპათა მსგავსად სწავლის ნიჭი გამოაჟღინა. დღეს იგი ქიმიის მეცნიერებათა დოქტორია და თბილისში ცხოვრობს.

ბორქას მესამე ვაჟიშვილმა ლეგამ, როგორც ზემოთაც მოგახსენეთ, სწავლა-განათლება თიანეთის მაზრის ერთ-ერთი მოხელის დახმარებით შეიძინა და ჯოყოლოს კანცელარიის უფროსად დაინიშნა. შემდეგ კი პირიქითა ხევსურეთში ნაცხოვრები ლომუ და ბუღაგა ბორჩაშვილების გადმოცემით, ხევსურეთის სოფელ ხონისჭალაში მასწავლებლად უმუშავია. სამწუხაროდ იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდა გარდაიცვალა და უშვილძიროდ წავიდა ამ სოფლიდან.

ბორქას მეოთხე ვაჟიშვილი ქისტებში პუსახქად, ქართველებში ფილიპედ ცნობილი, ყველაზე საყვარელი შვილი იყო მამისა. ბავშვობიდანვე თვალი სულ ტყისა და ლამაზი ბუნებისკენ გაურბოდა. ხშირად მიდიოდა ბაწარაში, სიამოვნებდა ტყეთა ამ უნიკალურ სამფლობელოში ყოფნა, მდინარე ბაწარულაში თევზაობა და კალმახის ჭერა. იგი ახალგაზრდობიდანვე ტყის მცველი გახდა და სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე ემსახურა ამ საშვილიშვილო საქმეს.

ზამთარში თუ ზაფხულის პაპანაქებაში ფილიპე მეტწილად ბაწარაში ატარებდა დროს. სოლო ბაწარის შესასვლელს რომ გასცდებოდით, ისე გრილოდა, იტყოდით სამოთხეში მოვხვდიო. ისმოდა ფრინველთა საამური გალობა. ხანდახან მწიფე ხილის საჭმელად გამოსული დათვის ბუბუნსაც გაიგონებდით. ტყის ბინადარნი თითქოს შეხაროდნენ ბუნების ხელთუქმნელ სილამაზეს და სიწყნარეს. შვლები დასარწყლულებლად

ხევის მჟავე წყაროებთან ჩამოდიოდნენ და მათი პატარა ლამაზთვალება ნუკრები წყლის ნაპირზე ხასხასა მდელოზე ნებიერად კუნტრუშებდნენ.

ბაწარაში ხეთა მრავალგვარი ჯიში ხარობს, მეტწილად კი წიფელი და წაბლია გავრცელებული. ბაწარის უთხოვარის მსოფლიო მნიშვნელობის უნიკალური კორომი კი ფასდაუდებელი ნაკრძალია მთელ საქართველოში.

ამიტომ აქცევდა ტყისმცველი ფილიპე უპირატეს ყურადღებას ბაწარას, მის უდიდეს სიმდიდრეს — უთხოვარისა და წაბლის კორომებს.

წაბლა ბედაურზე ამხედრებული ფილიპე ყოველდღე ეწვეოდა ხოლმე თავის სამცველოს თითოეულ კუთხე-კუნჭულს. როცა თიანეთსა და კახეთის რომელიმე სოფელში წასვლა უწევდა, თანაშემწეებს ავალებდა მკაცრ მეთვალყურეობას, რადგან ტყეს, განსაკუთრებით ხეთა ძვირფას ჯიშებს, ბევრი მტერი ჰყავდა და მისი უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლებოდა.

როდესაც ფილიპე ბორჩაშვილს დაოჯახების დრო დაუდგა, გადაწყვიტა ისეთი ოჯახის ქალი მოეყვანა მეუღლედ, რომელიც გაუგებდა ქმარს, პატივისცემით მოეპყრობოდა მის სურვილებს, პატივს სცემდა ცხოვრების მისეულ წესებს, მის გვარს, ნათესაობას, თანასოფლელებს და ქისტების საუკეთესო ტრადიციებს, მათ უნარ-ჩვევებსა და ადათს. მას ზუსტად ასეთი ქალი შეუყვარდა და შეირთო კიდეც ცოლად. ეს იყო სოფელ დუისის ცნობილი ოჯახის ქუქუა ბაღაკაშვილის ქალიშვილი მაქეი, რომელიც ერთგულად ამოუდგა მხარში და სამაგალითოდ სწია მეუღლეობის მძიმე უღელი მთელი ცხოვრების მანძილზე.

* * *

შემოდგომა დგებოდა, ზაფხულის სიცხეს ფარხმალი დაეყარა და ისე ძალიან არ ცხელოდა. მწიფე ნაყოფის სურნელი მოსდებოდა ბაღებსა და ბაღჩებს, ნაყოფისგან დახრილი ხეების ტოტები კეკლუცად ჭუტავდნენ თვალებს. ქარვისფერი მტევნები, ვაზის მწვანე და შეყვითლებული ფოთლებში მიმალულნი, ქურდულად, თვალისმომტაცად იმზირებოდნენ. ლოყაწითელი ატმებით დახუნძლული ატმის ხის ტოტები მნახველს თავისკენ იხმობდნენ. რა სჯობია მდიდარ შემოდგომას?!

ფილიპემ გადაწყვიტა თიანეთში ძმაკაცს სტუმრებოდა და მეტყევეებს სთხოვა, მისი სამცველოსთვის ყურადღება მიექციათ. ცხენი შეკაზმა, ხურჯინის ერთ თვალში ღვინით სავსე ტიკჭორა ჩადგა, მეორე თვალი ხილით გაავსო და ტყიანი მთა-გორებით შეუყვა თიანეთისკენ მიმავალ გზას. მატნიდან თიანეთამდე ბევრი აღმართი და დაღმართია. ბევრი ტყიანი მთაგრეხილი უნდა გადაიარო, ბევრი ხევი. მერედა რა ლამაზად მიუყვება მთაგრეხილს ძირიდან მთის წვერამდე გზის ხვეულები. მაღლიდან რომ გადმოხედავ, გზას კიბის საფეხურებს მიამსგავსებ. თუ ანკარა წყაროს წყლის დალევა მოგინდა, ფრთოსანთა გუნდი თავის ტკბილი ჰანგებით გაგართობს, ნელი სიო გულს გაგიგრილებს და მაღალ ხეთა ფოთლების შრიალი ყურთასმენას დაგიტკბობს.

ამაღლებული გრძნობით გაიარა ფილიპემ საქართველოს ეს ლამაზი კუთხე. ხან მათრახს შემოჰკრავდა წყნარად თავის წაბლას, ხან თავის ნებაზე მიუშვებდა და ბუნების სილამაზით ტკბებოდა.

ვიდრე ფილიპე თიანეთში თავის მეგობრებთან ქეიფობდა, პანკისის რამდენიმე სახელოვანმა ვაჟკაცმა

ერთმანეთში მოითათბირა და გადაწყვიტეს, ხეობის ყველა კარგი კაცის ოჯახს სტუმრებოდნენ, რათა გაეგოთ, ამ თავმომწონე ვაჟკაცებს საკადრისი მეუღლენი პყავდათ თუ არა.

პირველად ომალოში ერთ-ერთ ოჯახს ეწვივნენ და ოჯახის უფროსს დაუძახეს. აივანზე დიასახლისი გამოვიდა, სტუმრებს სალამზე სალმით უპასუხა და ჰკითხა:

— რა გნებავთ?

— სტუმრებს ხომ არ მიიღებთ?

— ოჯახის უფროსი შინ არ გახლავთ, რა გიყოთ? — თქვა ქალმა ცოტა დარცხვენით.

სტუმრები შეტრიალდნენ და დუმასტურისკენ გაემართნენ. ქვემო ხალაწანთან მდინარე ალაზანი გადმოლახეს და დუისისკენ გასწიეს.

— ეჰ, როგორც ჩანს, მთელი ღამე მშივრები ვივლით, — დაიჩივლა ერთ-ერთმა ცხენოსანმა.

— ნუ გეშინიათ, აგერ დუისში გაგვიმასპინძლდებიან, — თქვა მეორემ.

ამასობაში შეგულებულ სახლსაც მიადგნენ და დაიძახეს. დიასახლისმა აივნიდან გამოიხედა და ძირს ჩამოვიდა.

— თქვენი სტუმრები ვართ, თუ მიგვიღებთ, — უთხრა ცხენოსანთა გუნდის ხელმძღვანელმა.

— მეუღლე სახლში არ არის და მე რა შემიძლია, — მიუგო ქალმა.

ნირწამხდარი სტუმრები უკან გამობრუნდნენ და გეზი ჯოყოლოსკენ აიღეს.

— ახლა ჯოყოლოში ფილიპეს ოჯახს ვესტუმროთ, — თქვა ბელადმა.

— მე მგონი, ფილიპეს ცოლი არც კი გამოგვხედავს, თქვენგან ესოდენ ნაქებმა დიასახლისებმა ხომ არ მიგვიღეს, — დაიჩივლეს ზოგიერთებმა.

— რად ჩქარობთ, წინასწარ ხომ არ იცით, ტყის მცველი სახლში იქნება თუ არა?

— ჩვენ ის ვიცით, რომ ტყის მცველი ხშირად შინ არ არის და მისი ცოლისთვის უფრო ადვილი იქნება უარის თქმა, — თქვეს ზოგიერთებმა.

გავიდა ხანი და ფილიპეს სახლსაც მიადგნენ. შიმშილისგან შეწუხებულმა და იმედწამხდარმა ცხენოსნებმა ერთხმად დაიძახეს:

— ფილიპეე!

პატრონებივით დამშეული ცხენები ცდილობდნენ, ღობიდან სიმინდს მისწვდომოდნენ და ცოტათი მაინც დანაყრებულიყვნენ. სახლიდან ფილიპეს ცოლი გამოვიდა, სტუმრებს ჭიშკართან გამოეგება.

— რა არის, რა შორს შეჩერებულხართ, მობრძანდით, გაქცევას ხომ არ აპირებთ? — თქვა და თავის ხუმრობაზე თვითონვე გაეცინა.

მხედრები ჩამოქვეითდნენ, ცხენები შემოგებებულ ბავშვებს გადასცეს. დიასახლისმა ბავშვებს ცხენებისთვის თივის დაყრა სთხოვა და სტუმრებს მიუბრუნდა:

— რას დგახართ, შინ შევიდეთ.

— სად არის ფილიპე, რატომ არ გამოგვეგება ეზოში? — იკითხეს მოსულებმა.

— ფილიპე შინ არ არის, მაგრამ ეგ არაფერი, რაც მთავარია, სახლი თან არ წაუღია, თქვენც ხედავთ აქვე დგას. თვითონ ცოტა ხნით მეზობელთან გავიდა და მალე დაბრუნდება, ახლავე კაცს გავაგზავნი მასთან. მეც მალე მოვალ, თქვენ არ მოიწყინოთ, — უთხრა სტუმრებს და ოთახიდან საჩქაროდ გავიდა. ის მეზობელთან გაიქცა და თხოვა, სახლში გამომყევი, სტუმრები გვყავს, ცხვარი დაკალი და ხორცი მოვხარშოთო.

მალე ცხვარიც დაიკლა, კერიასთან ცეცხლი აგუზგუზდა და სპილენძის დიდ ქვაბში სახაშლამე

წყალი ათუხთუხდა. მოგუზგუზე ნაკვერჩხალზე მეზობელი შამფურებზე წამოგებულ მწვადს ატრიალებდა. ეზო-გარემოში და სახლში მადისაღმძვრელი სურნელი დატრიალდა. დიასახლისმა მაგიდა სწრაფად გააწყო და სტუმრები სუფრასთან მიიწვია.

— რატომ იგვიანებს ფილიპე? — იკითხა ერთ-ერთმა სტუმარმა, როშელსაც პირი კინაღამ დაეთუთქა ცხელი მწვადით.

— მალე მოვა, — დააიმედა დიასახლისმა, კედელზე ვერცხლის ძეწკვით ჩამოკიდებული ყანწი ჩამოიღო და თვითონვე შეავსო ღვინით.

— თქვენს მოსვლას და ოჯახის დახვედრას გაუმარჯოს, — თქვა და სათამადო ადგილას მჯდომ წლოვანებით უფროსს გადასცა.

გამხიარულებულმა სტუმრებმა სახლი აახმაურეს. თამადა კარგ გუნებაზე იყო, სადღეგრძელოს სადღეგრძელოზე სვამდა. კარგად შეზარხოშებულნი იყვნენ, როცა ჭიშკართან გაოფლილმა ცხენმა დაიჭიხვინა. სტუმრების ცხენებმა ჭიხვინიოვე უპასუხეს. სტუმრებმა ჭიშკრისკენ გაიხედეს, მერე ერთმანეთს შეხედეს.

— აი, კიდევ ჩვენსავით გზააბნეული სტუმარი, — თქვა თამადამ. სტუმრები ცდილობდნენ ღიად დარჩენილი კარიდან დაენახათ მოსული, მაგრამ მხედარი ჩამოქვეითებულიყო და უკვე კედელს მოფარებოდა.

დიასახლისმა ცხენი იცნო და სწრაფად გავიდა ქერის შესხვედრად. ცხენი ჩამოართვა და, ოჯახში სტუმრები გვყავსო, აცნობა. სტუმრიანობით გახარებული ფილიპე სახლში შევიდა და ქისტურად მიესალმა სტუმრებს:

— „ასსალაამ ალეიქუმ მეხქა ვეჟარიი,“—„მშვიდობა თქვენდა, ძმანო თანამემამულენო!“

— „ვა ალეიქუმ სალამ, თხან პოომეა ვოშა, პხო

დალლა ვუეძეილა, ეხო მარშა ვოღიილა“ — „შენდაც მშვიდობა, ჩემო ძვირფასო ძმაო, ღმერთსამც ჰყვარებისარ, მშვიდობითაც გივლია!“— მიუგეს სტუმრებმა. ურთიერიმისალმებისა და მოკითხვის შემდეგ ფილიპემ წყლიდან ქამარ-ხანჯალი მოიხსნა, კედელ'ხე ჩამოკიდა, სუფრას მშვიდად მიუჯდა, ყანწი მოითხოვა და თქვა, ჩემს მოსვლას და თქვენს დახვედრას გაუმარჯოსო.

— ფილიპე, რატომ დაიგვიანე, ამდენ ხანს სად იყავი? — შეეკითხა თამადა.

— ძმაკაცთან ვიყავი თიანეთში, — უპასუხა ფილიპემ.

—ძმაო ფილიპე, შენი მეუღლე გულკეთილი და სტუმარმოყვარე ქალი კია, მაგრამ მატყუარაც ყოფილა. პირში გეტყვი და ნუ გეწყინება, — უთხრა თამადამ სერიო'ხული კილოთი.

ფილიპე შეცბა, ნეტავი რა ტყუილი აკადრა ჩემმა დიაცმა სტუმრებსო, და მზერა მეუღლისკენ გააპარა. სტუმარი კი განაგრძობდა:

— ყველამ კარგად იცის, რომ ჭირის დღესავით მეჯავრება ტყუილი, შენი მეუღლე კი დიდი მატყუარა ვინმე ყოფილა.

თანამეინახეები სიცილს ძლივს იკავებდნენ. ფილიპე კი ათასნაირ ფიქრში იყო და ცოლს ირიბად უყურებდა.

ბოლოს კი თამადამ ამ სიტყვებით დაამთავრა სათქმელი:

— შენს ცოლს რომ შევეკითხეთ ფილიპე სად არისო, გვითხრა, მეზობელთან არის გადასული და მალე მოვაო, შენ კი თიანეთში ყოფილხარ. შენმა ცოლმა ჩვენი მოტყუებით დრო მოიგო და სუფრა გაგვიშალა. ამის შემდეგ როგორ ვენდოთ მის სიტყვებს?

— ჩემს მეუღლეს მაგ სიტყვებით კარგი საქმე გაუკეთებია. შე დალოცვილო, ამისთვის მაწვალე ამ-

დენი ხანი? — თქვა ფილიპემ და სუფრაზე სიცილმა იფეთქა. — მას რომ სიმართლე ეთქვა, შეიძლება არც შემოსულიყავით, რადგან არ დაიჯერებდით და მშივრები ალბათ დიდხანს ივლიდით. ჩემმა მეუღლემ ამ ტყუილით ყველას დიდად გვასიამოვნა. ჯერ ერთი არ გაგრძნობინათ, რომ მე შორს ვიყავი და ისე გაგიშალათ სუფრა, მეორეც, მეც ხომ სუფრა გაშლილი დამახვედრა! ხედავთ, როგორ მგელიკით მოშიებული ვარ, სულ ცოტა 50 კილომეტრი გამოვიარე და ძალიან მომშივდა. ხანდახან ტყუილიც სიკეთის მომტანი ყოფილა.

თამადამ ფეხზე ამდგარმა დალია ფილიპეს მატყუარა“ ცოლის სადღეგრძელო, შემდეგ ფილიპეს გადაეხვია და აკოცა.

— კარგი ვაჟკაცი ხარ, ჩემო ძმაო, თორემ მაქეი ამდენს ვერ გაბედავდა, — დასძინა ბოლოს.

მთელი ღამე ქეიფსა და ხუმრობაში გაატარეს. ფილიპე და თამადა ერთმანეთს ეცილებოდნენ ფანდურის დაკვრაში. შეზარხოშებული მესუფრენი ერთმანეთს არ აცლიდნენ ცეკვას და სიმღერას. ბოლოს ოჯახის კეთილი ანგელოზი დალოცეს და სუფრიდან აშლა დაიწყეს.

— ცოტა ხანი მომისმინეთ, მეგობრებო, —ბრძანა ფილიპემ და საკუსე ყანწი ასწია. — მინდა ერთი სადღეგრძელი ვთქვა. ჩვენს მომავალ თაობას გაუმარჯოს, ჩვენზე მჯობი ყოფილიყოს, ისეთი თესლი დაგვეთესოს, სარეველა არ გამორეოდეს, თორემ მომავალი სახარბიელო აღარ გვექნება, შთამომაყლობას კი ცხოვრების ხიდზე გასვლა გაუჭირდება. ჩვენც ცუდად მოგვიგონებენ. ჩვენს კარგ, ჯანსაღ თაობას გაეგრძელებინოს ჩვენი საქმეები. — ფილიპემ ყანწი თვითონაც დასცალა და სტუმრებსაც დააცლევინა.

* * *

1917 წელს მოხდა ეგრეთ წოდებული „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია“. რუსეთის თვითმპყრობელი მეფე ნიკოლოზ II ტახტიდან ჩამოაგდეს და რუსეთის იმპერიაში ბოლშევიკები გაბატონდნენ.

1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობა მოიპოვა. საქართველოს პირველ პრეზიდენტად ნოე ჟორდანიას მოიხსენიებენ, მაგრამ 1918-1921 წლების რესპუბლიკას პრეზიდენტი არ ჰყავდა. ნოე ჟორდანია ოფიციალურად „მთავრობის თავმჯდომარედ“ იწოდებოდა.

მალე, 1921 წელს ეროვნული კატასტროფა მოხდა. რუსეთის წითელმა ლაშქარმა საქართველო დაიკავა. საქართველოში ქაოსი, უნდობლობა, გამცემლობა და ღალატი გამეფდა. ქართველი ხალხის სულიერი და მატერიალური სიმდიდრე გაიძარცვა. მრავალი უდანაშაულო ადამიანი დახვრიტეს ან გააციმბირეს.

ქართველი ხალხის მოწინავე, პატრიოტული ძალების ბრძოლას ეროვნული დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად დამოუკიდებლობის კომიტეტი ჩაუდგა სათავეში, რომელსაც კ. ანდრონიკაშვილი თავმჯდომარეობდა. ამ ბრძოლის ერთ-ერთი თავკაცი, სული და გული იყო ჩვენი თანამემამულე ქაიხოსრო—ქაქუცა ჩოლოყაშვილი. მოგონებები მის შესახებ დაგვიტოვა შეფიცულმა ალ. კარგარეთელმა, რომლებიც 1981 წელს დაიბეჭდა პარიზში.

ქაქუცა ჩოლოყაშვილი ეკუთვნის საქართველოს ისტორიაში დიდად ცნობილ ჩოლოყაშვილების გვარს, რომელმაც დიდი ამაგი დასდო სამშობლოს. გავიხსენოთ, თუ გნებავთ, ყიზილბაშთა ბატონობის წინააღმდეგ კახეთის აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელის, ახმეტის შებატონის ბიძინა ჩოლოყაშვილის თავგანწირვა სამშობლოსათვის.

ქაქუცა დაიბადა 1888 წელს მამაპაპეულ სოფელ მატანში. სწავლა-განათლება თბილისის სათავადაზნაურო ქართულ გიმნაზიაში მიიღო. გაიწვიეს რუსულ ჯარში, საიდანაც ოფიცრის ხარისხით დაბრუნდა. 1914 წელს პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ, როგორც ოფიცერი ჯარში გაიწვიეს და კავკასიის ფრონტზე გადაიყვანეს. ოსმალთა ჯარის მიერ სარიყამიშზე იერიშის დროს ქაქუცა ჩოლოყაშვილმა „არწივის ბუდის" მთა უკან დაიბრუნა. ამ ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა ფეხში და მკერდში. დაჭრილი ჩოლოყაშვილი წმინდა ნინოს ქართულ საავადმყოფოში გამოჯანსაღდა და, როდესაც ქართული ცხენოსანთა რაზმი დაარსდა, ერთი პირველთაგანი ჩაირიცხა მასში და სპარსეთის ფრონტზე წავიდა. ფრონტზე მან შეასრულა შესანიშნავი რეიდი: თავისი ასეულით მესოპოტამიის უდაბნო გაიარა და ინგლისელებს შეუერთდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში ქაქუცა ქართულ ჯარში მსახურობდა. იყო ერთ-ერთი შესანიშნავი ოფიცერი, რომელიც მონაწილეობდა დამოუკიდებელი საქართველოს ყველა დამოუკიდებელ საქმეში.

წითლების მიერ საქართველოს ოკუპაციის დროს ქაქუცამ განიზრახა, სამშობლოს განსათავისუფლებლად მტერს იარაღით შებმოდა.

საქართველოში ტერორი მძვინვარებს. ჩოლოყაშვილი პირველი წერია დასაჭერ პირთა სიაში. 1922 წლის მარტში „საქართველოს შეფიცულებით" ტყეში გადის. ეს ბოლშევიკურ რუსეთთან ომის გამოცხადებას ნიშნავდა. იმავე წლის ივნისში ჩოლოყაშვილს სიღნაღთან ბოლშევიკების დიდ ძალებთან მოუხდა შეტაკება. ასე დაიწყო ის გმირული ეროვნული ბრძოლა, რომლის დროშაც ჩოლოყაშვილი იყო.

პარტიზანული ბრძოლის სისტემა ნებას არ იძლე-

ოდა. ქაქუცას დიდი რაზმი პყოლოდა, ან ყველა რაზ-
მელი ერთად შეეყარა. ისე კი ვისაც სამშობლოსთვის
ვული უძვერდა და ბრძოლისთვის მკლავიც უქრიდა,
ქაქუცასკენ იწყვდა, მაგრამ ბრძოლისათვის მნიშ-
ვნელობა ჰქონდა არა მარტო მებრძოლ რაზმში ყოფ-
ნას, არამედ კარგად მოწყობილ კავშირს, სურსათისა
და იარაღის მიწოდებას, ხალხის დახმარებას და სხვ.
შეიქმნა და გაიზარდა ჭეშმარიტად ის დიდი კავშირი
ბრძოლისა, რომლის სიმტკიცეს თვით ხალხი განა-
პირობებს. ეს ორგანიზაცია მართლაც ხალხური და
ძლიერი იყო და მასში პანკისი და პანკიხელი ქისტებიც
მონაწილეობდნენ.

ფილიპე ბორჩაშვილი ჩვეულებრივ განაგრძობდა
ტყის დაცვას. იგი ქაქუცა ჩოლოყაშვილს შენიღბუ-
ლად ეგზავნა მხარში. რადგან მეტყველი იყო, თავისუფ-
ლად შეეძლო სიარული და ახერხებდა პროდუქტები
მიეწოდებინა შეფიცულთათვის, გადაეცა საჭირო ინ-
ფორმაცია და კავშირი დაემყარებინა საჭირო პირებ-
თან. ქაქუცას გვერდით ვაუკაცურად იბრძოდნენ ბევრ-
ნი მისი მშობლიური მატნიდან: ალექსი ფეიქრიშვილი,
ბათირა ფეიქრიშვილი, კოტე მახათლიშვილი, გიგლო
სარქისაშვილი, ჩონგურა და მამუკა ექვთიმიშვილები
და სხვანი. ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმში იყვნენ
აგრეთვე პანკისელი ქისტები: ჯოყოლოელი ჰაასეი
აქიშვილი, ომალოელები — ჰაასა ალხანაშვილი, ბაა-
ცეი ღანიშაშვილი, დათიკო ფარეულიძე და სხვები.

ფილიპე ბორჩაშვილს მატანში ბევრი ძმაკაცი ჰყავ-
და: ტყის მცველი ზურაბ ნონიაშვილი, კოტე მახათლიშ-
ვილი და სხვანი. ისინი ეროობლივად სხვადასხვა წყარ-
ოდან მიღებულ ინფორმაციას გადასცემდნენ ქაქუცას.

მატნელი ბერიკაცების გადმოცემით ქაქუცა სოფელ
მატანში მღვდლის, სოსო ასათაშვილის ოჯახს აფარებ-

და ხოლმე თავს. გამცემი და მოენე ხომ არ დაილევა ჩვენს ხალხში. მათი „წყალობით“ ქაქუცას ადგილსამყოფელი გაიგეს ხელისუფლებმა და მილიციის დიდმა ძალებმა ალყა შემოარტყეს მღვდლის ოჯახს. ამ დროს პანკისიდან ჩამოსული რამდენიმე შეიარაღებული ქაქუცას რაზმელი ქისტი ცხენოსანი ალექსი ფეიქრიშვილის ოჯახში იმყოფებოდა. როცა მილიციელთა განხრახვა გაიგეს მატნელებმა, ქისტებმა და უშავლებმა, მოილაპარაკეს იერიშით გაერღვიათ ალყა და საშშვიდობოს გაეყვანათ ქაქუცა. მოლაპარაკება და საქმის გაკეთება ერთი იყო. მათ გაარღვიეს ალყა და მთავრობის ხელიდან დახსნილი ქაქუცა პანკისამდე მიაცილეს. მილიციამ ყველა საეჭვო პირი დაიჭირა და სასტიკად გაუსწორდა, ხოლო მღვდელ ასათაშვილს ჯერ ენა ამოაჭრეს შემდეგ კი დახვრიტეს.

ერთხანს ქაქუცა პანკისის ქისტურ სოფლებში აფარებდა თავს. სოფელ დუისში მცხოვრები, აწ გარდაცვლილი ბექსოლთ გოის ძე მარგოშვილის გადმოცემით, ქაქუცა დასწრებია და მოულხენია ერთ-ერთ ქისტურ ქორწილში. ქისტი ხანდაზმულების გადმოცემით, ქაქუცა ლამაზი აღნაგობის ყოფილა და ისე ლამაზად ცეკვავდათ ქორწილში, ქისტის ქალიშვილებსა და ქვრივებს თვალები მასზე რჩებოდათო.

1923 წლის „ხევსურეთის აჯანყება“ თითქმის მთელი საქართველოს აჯანყებად იქცა. ქაქუცამ ფილიპე ბორჩაშვილის სამცველოში, ბაწარის ნაკრძალში შეკრიბა საქართველოს შეფიცულნი და თათბირი გამართა. გადაწყვიტეს, ხევსურეთში გადასულიყვნენ. ქაქუცას ქისტთაგან გაპყვნენ: პაასეი აჭიშვილი, პაასა ალხანაშვილი, ბა

ქაქუცასთან ერთად იყვნენ: აწყურელი ალექსანდრე სულხანიშვილი, მატნელი ალექსი ფეიქრიშვილი და მრავალნი სხვანი, სულ ორმოცდაათამდე მებრძოლი.

ფილიპე ბორჩაშვილმა, დათიკო ფარეულიძემ და სხვებმა ქაქუცას ბაწარის ხეობაში ფშავ-ხევსურეთისკენ გზა დაულოცეს და გააცილეს.

რუსის წითელმა ჯარებმა ხევსურეთში ქაქუცას რაზმი ალყაში მოაქციეს, მაგრამ რაზმმა თავგანწირული ბრძოლით გაარღვია ალყა. წითელმა ჯარებმა ხევსურეთი გადაწვეს, თუმცა ჩოლოყაშვილი და მისი რაზმი ვერ მოსპეს.

ისეთი ვითარება შეიქმნა, ჩოლოყაშვილს დროებით უნდა შეეფერებინა მოქმედება. ის პანკისელი ქისტების მეგზურობითა და თანხლებით ჩეჩნეთში რამდენჯერმე გადავიდა, რათა ჩრდილოეთ კავკასიის მთიელებთან, უპირატესად კი ჩეჩნებთან კავშირი გაება. იმავე 1923 წლის შემოდგომაზე საქართველოში დაბრუნდა და ბოლშევიკებმაც განაახლეს მისი დევნა.

ქაქუცას ჩეჩნეთში ყოფნის დროს დაუძმობილდა და საქართველოში გამოპყვა მამაცი მებრძოლი ელიოზ ამაშოვი. ელიოზმა გვარი ამაშოვი ამაშაშვილად გადაიკეთა და ქაქუცა ბოლომდე არ მიუტოვებია, ყველა ბრძოლა მასთან ერთად გადაიტანა. ითომ-ხალში ქაქუცას ასევე ჰყავდა ძმადნაფიცი აათაბეი უმაევი.

ჩეჩნეთიდან გადმოსულმა ქაქუცამ დროებით ბინა მაღაროსკარში დაიდო. იქაც არ ასვენებდნენ ერთი წუთითაც. ბოლშევიკების მილიციას მისი ალყაში მოქცევა უნდოდა. მაღაროსკარელებმა ლექსი მიუძღვნეს ქაქუცას და მის რაზმს:

„პე გიდი ჩოლოყაშვილო,
გულად ხომ გიდევს ტალია,
ვეფხვების რაზმის უფროსო,
თუ კიდევა გყავს ცალია?
წითლად შეღებე იორი,
ფშავ-ხევსურეთის წყალია,
ბინა იქა გაქვს დადებულ,
სადაც მაღაროსკარია“.

ერთი შეტაკების დროს ბოლშევიკებმა მოკლეს ქაქუცას ძმა სვიმონი — სიკო, რომელიც ტყეში გასვლის დღიდან მის რაზმში იმყოფებოდა. ქაქუცამ ძმა ტყეში დამარხა და ბრძოლა განაგრძო. სხვა შეტაკების დროს, როცა ქაქუცამ ბოლშევიკთა მდევარი სასტიკად დაამარცხა, დაატუსაღეს მისი მეუღლე და ორი პატარა ასული. დაატუსაღეს აგრეთვე ქაქუცას დედა, სიდედრი და სიმამრი. სიმამრი 1924 წლის აჯანყების დროს დაუხვრიტეს.

1923 წლის დეკემბერში ქაქუცა თავისი ორი შეფიცულიო თბილისში ჩავიდა დამოუკიდებლობის კომიტეტთან პირისპირ მოსალაპარაკებლად და აჯანყების საერთო გეგმის შესამუშავებლად. 1924 წელს მანგლისში დაბანაკდა. თბილისთან მუდმივად ჰქონდა კავშირი. აგვისტოში, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“ და გენერალი სპირიდონ ჭავჭავაძე ჩოლოყაშვილის ბანაკში გადავიდნენ.

1924 წლის 28 აგვისტოს, ბედენის მთაზე, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის თავმჯდომარემ კ. ანდრონიკაშვილმა ქაქუცა ჩოლოყაშვილს აჯანყების დროშა გადასცა. ღამით დაიწყო აგვისტოს გმირული და სახელოვანი აჯანყება, რომელმაც ახალი ფურცელი შეიტანა ქართველი ერის ისტორიაში.

აჯანყება დამარცხდა. ქაქუცა ჩოლოყაშვილმა და მისმა რაზმებმა საქართველო დატოვეს. მათთან ერთად საშშობლო დატოვეს გენერალმა სპირიდონ ქავქავაძემ, ელიზბარ ვაჩნაძემ, რაფიელ ერისთავმა. ალექსანდრე სულხანიშვილმა, სერგო მაისურაძემ, ალექსანდრე ბადურაშვილმა, ილია ქარუმიძემ, ალექსანდრე ცხვედაძემ, გოლა პავლიაშვილმა, მერაბ ჯორჯაძემ. შალვა ნებიერიძემ, ლელო ჩიქოვანმა, მიშა ლაშქარაშვილმა, დავით რევაზიშვილმა, გაბო ბერბიჭაშვილმა, ვასო მარჯანიშვილმა, ალექსი ფეიქრიშვილმა, სიკო ალიშბარაშვილმა, შალვა ჯავრიშვილმა, ლევან ჯავრიშვილმა, შალვა ამირეჯიბმა, ელიზბარ შაყაშვილმა, ჯონჯი დადიანმა, სპირიდონ კუჭავამ, თომა ბექაურმა, ალექსანდრე კარგარეთელმა.

აღარ არის ცოცხლებში დღეს ქაქუცა ჩოლოყაშვილი, მაგრამ დროშა, რომელიც მას ეჭირა, ისევ ფრიალებს, ხმალი, რომელსაც ის იქნევდა, ისევ ელავს! მისი სახელი სამარადჟამოდ გადაბმულია ქართველი ერის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიასთან და ქაქუცა ჩოლოყაშვილი ამ ისტორიაში შევიდა როგორც ბრწყინვალე გმირი.

„პანკისელ ტყის ძმებს“ ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლა ქაქუცას და მისი რაზმის ემიგრაციაში წასვლის შემდეგაც არ შეუწყვეტიათ. მათ იცოდნენ, რომ თუ კომუნისტებს ხელში ჩაუვარდებოდნენ, სიკვდილი არ ასცდებოდათ.

დათიკო ფარეულიძემ ქაქუცას წასვლის შემდეგ რაზმი პატარ-პატარა ჯგუფებად დაყო. პატარა ჯგუფებს უფრო გაუადვილდებოდათ თავის სურსათის შოვნაც და სამალავი ადგილის მოძებნაც, მათ ერთმანეთთან კავშირი ყოველთვის ჰქონდათ.

პანკისელმა ხანდაზმულმა ადამიანებმა გვიამბეს,

რომ ქაქუცას წასვლის შემდეგ დათიკო და ლევან ფარეულიძეები, ზაქრო ანდალაშვილი და სხვები სოფლებში დაბრუნდნენ და ხშირად სოფლიდან სოფელში უიარაღოდ დადიოდნენ. ერთხელ ეს სამეული დუმასტურის გაკლით სოფელში ბრუნდებოდა. გასცდნენ თუ არა დუმასტურს, მილიციის ალყაში მოექცნენ. უიარაღონი იყვნენ და თავდაცვა არ შეეძლოთ, წინააღმდეგობის გაწევას კი აზრი არ პქონდა. ხელებზე ბორკილდადებული ისინი იმ დღესვე ახმეტაში ჩაიყვანეს. მეორე დღეს ბორკილდადებული სამი „ყაჩაღი" ცხენზე ამხედრებულმა შეიარაღებულმა ორმა მილიციელმა ფეხით გაუყენა თიანეთის გზას. მილიციელები აბუსად იგდებდნენ ქაქუცას რაზმელებს, მაგრამ ისინი დაცინვას და დამცირებას დუმილით უპასუხებდნენ. დაპატიმრებულთა გადაყვანას ხელმძღვანელობდა ბედაურზე ამხედრებული და იარაღში ჩამჯდარი მილიციელი ესტატე. ჩახრიალას რომ მიუახლოვდნენ, დათიკომ ამხანაგებს გადაულაპარაკა:

— მალე მიეალთ ბეშქას წყაროსთან. მილიციელებს უნდა ვთხოვო, ვაუკაცურად ხელები გაგვიხსნან და წყაროს წყალი დაგვალევინონ. პირველი მე მივალ წყლის დასალევად, როცა წყლის სმას მოვათავებ, ჩაკახველებ. ეს იქნება ნიშანი შეტევისა. მე ვითომ წავბარბაცდები და ჩემს ზურგს უკან ვინც იქნება, იმას ვეცემი, თქვენ ორივენი მეორეს ეცით, იქნებ რამე გამოგვიყიდეს, სომ იცით ნათქვამია, ცდა ბედის მონახევრეაო.

ბეშქას წყაროს რომ მიუახლოვდნენ, დათიკომ მილიციელებს სთხოვა:

— წყალი დაგვალევინეთ, ძალიან გვწყურია, ოღონდ ხელბორკილდადებულნი რა გემოს ჩავატანთ, ხელები გაგვიხსენით. იარაღი თქვენ გაქვთ, ჩვენ კი არა, წყალს დავლევთ და მერე ისევ შეგვიკარით ხელები.

დათიკო წყაროსთან მივიდა. ერთი მილიციელი კარაბინშომარჯვებული გაჩერდა წყაროსთან, მეორემ ხელები გაუხსნა ტუსაღებს. დათიკო წყალს დაეწაფა, გული რომ იჯერა, თავი ასწია და ჩაახველა, წაბარბაცდა, წინ მდგომ იარაღმომარჯვებულ მილიციელს დაეჯახა და იარაღზე ხელი უტაცა...

პანკისელი სახალხო მთქმელი, მოლექსე დავით პანკელი (ვისერგი თურქოშვილი) ახალგაზრდობაში ახმეტის ავტოსატრანსპორტო საწარმოში მძღოლად მუშაობდა და რაიკავშირს ემსახურებოდა. მან გვიამბო, რომ ახმეტის რაიკავშირის ეზოში, მისი იქ ყოფნის დროს, გაიცნო 85 წელს მიღწეული, ყოფილი მილიციელი — ესტატე, რომელსაც თავის დროზე დავალებული ჰქონდა ომალოელი „ყაჩაღების“ თიანეთში გადაყვანა. აი, რა უამბო ესტატემ დავით პანკელს:

ჩემს ამხანაგს დათიკო რომ ეცა, მე დავიბენი და სანამ რამეს მოვიფიქრებდი, ის მაძაძაღლი ლევან ფარეულიძე ელვის სისწრაფით გადმოხტა ჩემკენ და ისეთი მუშტი მითავაზა, თავბრუ დამესხა. ორივეს იარაღი აგვართვეს. იმ ბორკილებით, რომლებითაც ისინი იყვნენ შებორკილნი, ჩვენ შეგვბორკეს, აგვიყვანეს ტყეში და ხეებზე ცალ-ცალკე მიგვაბეს ისე, რომ არ დავმხრჩვალვიყავით. მათ ჩვენს მიმართ ლმობიერება გამოიჩინეს, ჩვენც ხომ გამოვიჩინეთ ლმობიერება და არ დავხოცეთ. გვითხრეს კიდევაც, სიკეთეს სიკეთით გიხდითო, ბორკილები შეგვხსენითო, წყალიც დაგვალევინეთო და ამიტომაც არა გხოცავთო. თან დაგვაიმედეს, გზაზე გამვლელ-გამომვლელს სთხოვეთ დახმარება და გაგათავისუფლებენო.

საღამო ხანს მეღორეებმა გამოიარეს. ჩვენ ყვირილი ავტეხეთ, ღვთისნიერნო დაგვეხმარეთ-თქო. ერთმა მეღორემ ამოირბინა, რომ დაგვინახა, გაოცებით წამო-

იძახა: — ვააპ, დაბმული პირუტყვი მინახია, მაგრამ დაბმულ მილიციელებს პირველად ვხედავ.

— აგვიშვით, თუ ღმერთი გწამს, — შევეხვეწეთ.

— თქვენ ისინი არა ხართ, ამას წინათ ბურვაკი რომ წამართვით, თანაც ცხენიდან მათრახიც მითავაზეთ ორიგვემ, თქვე მტაცებლებო, თქვენა? ასე გინდათ, ვენაცვალე იმათ, ვინც დაგაბათ, — გვითხრა და წასვლა დააპირა

— ჩვენ სხვანი ვართ, შეგეშალა, თუ ღმერთი გწამს, აგვსსენი, — შევევედრეთ.

— როგორ გეკადრება, ესტატე, მე რომ ბურვაკი დავკარგო და ერთი წლის შემდეგ ვნახო, მაინც ვიცნობ და ამ სიგრძე კაცს როგორ ვერ გიცნობ? (ესტატე მართლაც მაღალი კაცი იყო).

— აგვსსენი, მართლა ღმერთი არა გწამს?

— მე კი მწამს, მაგრამ თვითონ თქვენ ხომ უღმერთოები ხართ და უღმერთოებს ემსახურებით. ერთი ეს მითხარით, ასე კარგად მაინც ვინ დაგაბათ! — გვითხრა ღიმილით.

— როგორ, ეს არის კარგი დაბმა, რეებს ლაპარაკობ, — შევძახეთ მეღორეს.

— კარგი როგორ არ არის; ჯერ ერთი, ისე დაუბიხართ, არ დამსრჩვალიყავით, მეორეც, პირი არ აუკვრიათ, რომ დახმარების თხოვნა შეგძლებოდათ.

— ყაჩაღებმა გვიყვეს ეს ოინი.

— კარგი ყაჩაღები ყოფილან ღმერთმანი, პატიოსნები, რომ სასიკვდილოდ არ გაუმეტებიხართ, თქვე გარეწრებო, — თქვა მეღორემ და თოკები შეგვიხსნა, თან თაკისთვის ამბობდა: — რას ვიზამ, მართლა ასე დაბმულებს ხომ არ დაგტოვებთ, რაც უნდა იყოს, ადამიანები ხართ, — თქვა ჩვენი გათავისუფლების შემდეგ და ღიღინ-ღიღინით გაემართა ღორების კოლტისკენ.

როდესაც უიარაღო და უცხენებო ორი მილიციელი მილიციის ეზოში შევიდა, მათი უფროსი (კარატიელი) თურმე თვალს არ უჯერებდა.

— ცხენებზე ამაყად ამხედრებულნი გავუშვი, ყაჩაღებს გავაყოლე და ასე დაბეჩავებულნი როგორ დაბრუნდნენ? — ვერ მიმხვდარიყო მილიციის უფროსი. კაბინეტში შეიყვანა ორივე და იქ ჰკითხა, რა მოგივიდათ, იარაღი და ცხენები რა უყავით, ყაჩაღები ჩააბარეთ თიანეთშიო? ესტატემ და მისმა ამხანაგმა უამბეს, რაც მოხდა.

მან პირიდან ცოფი ჰყარა, გადასწვდა ორივეს და მხრებიდან სამხრეები ააგლიჯა. ერთხანს ჩაფიქრებული იჯდა, შემდეგ თითქმის ჩურჩულით მიმართა ორივეს:

— აქ საძნი ვართ და სხვა არავინ გვისმენს, თქვენ სინამდვილე უნდა დამალოთ, იმ ვიღაც მეღორეს პირში ჩალა ჩასჩარეთ, თორემ ეს აშბავი რომ გაიგონ, თქვენ კი არა მეც მომჩხნიან. უნდა თქვათ, ყაჩაღების ამხანაგები გზაზე თავს დაგვესხნენ და ისინი დაიხსნესო, მორჩა და გათავდა, ახლა კი წადით, სამუშაოდან განთავისუფლებულნი ხარო.

ესტატეს და მის ამხანაგს გაუხარდათ, რომ სამსახურიდან განთავისუფლება აკმარეს. მეღორის საძებნელად ტყისკენ გაეშურნენ, რათა ის გაეფრთხილებინათ, სადმე რამე არ წამოეროშა.

ტყის ძმებმა კი მატანს მხარი აუქციეს და ტყის ბილიკებით პანკისის სათავისაკენ გასწიეს.

იმ დროის თვითმხილველთა გადმოცემით, დათიკო და ლევან ფარეულიძეების, ზაქრო ანდალაშვილის და მათი მეგობრების — ღანიშ ფარეულიძის, ჰაასა ალხანაშვილის, დაადა ანდალაშვილის, ბაცა ღანიშაშვილის, ჩიღა ტოხოსაშვილის, უსუფ გორნაკაშვილის და სხვათა წითლებთან შეტაკებების ამბები თაობიდან

თაობებს გადმოეცა და ჩვენც ჩავიწერეთ ომალოელი, ბირკიანელი, ჯოყოლოელი და დუისელი ხანდაზმულებისგან. ამ საქმეში ნაწილობრივ ხალხური მთქმელი, მოლექსე ვისერგი თურქოშვილიც დაგვეხმარა.

ამ გადმოცემების მოკლე შინაარსი და ზოგიერთი დეტალი ასეთია: გამოქცეული „ყაჩაღები" თავიანთ ტყის ძმებს შეუერთდნენ. ახმეტის და თელავის მილიციამ რუსის ჯარი გამოიძახა ყაჩაღთა შესაპყრობად და გასანადგურებლად. მათ ომალოს ალყა შემოარტყეს, რომ თითოეული სახლ-კარი გაეჩხრიკათ, ყაჩაღები დაეჭირათ ან დაეხოცათ და იარაღი ჩაეგდოთ ხელში.

დათიკოს რაზმელებმა კი მოალყენი თვითონ მოაქციეს ალყაში სამი მხრიდან და მხოლოდ დუმასტურის მიმართულებით დატოვეს გზა თავისუფალი, რომ წითლები გაქცეულიყვნენ.

დათიკომ და მისმა თანამებრძოლებმა სამი მხრიდან მოულოდნელად ისეთი ყიჟინა და სროლა ატეხეს, ყაჩაღების ბუდეების გასანადგურებლად მოსულმა ჯარმა უკან დაიხია და პანკისს გაეცალა.

მილიციას ყაჩაღების შეპყრობა-მოსპობა ძალიან აინტერესებდა. ამით მილიციელები ჩინს იმატებდნენ. ზოგიერთმა ადგილობრივმა გამყიდველმაც ნამუსზე ხელი აიღო და ტყის ძმების დაბეზღება დაიწყო.

შინ მისული ზაქრო ანდალაშვილი ერთხელ ვიღაცამ დააბეზღა და მის სახლს მილიციელებმა ალყა შეშოარტყეს. დაუძახეს, დაგვნებდით, თორემ დაგხოცავთ და ცოლშვილიანად სახლს დაგიწვავთო. ზაქრომ მიუგო მათ: თვითონ გაეცალეთ სახლ-კარს მშვიდობიანად, ალყაში თავად ხართ ჩემი ამხანაგების მიერ და ჩემი ერთი გასროლა მათთვის ნიშანი იქნება, რომ ყველანი ამოგხოცონო. ზაქრომ ამის თქმისთანავე გაისროლა, გარეთ გავარდა და სამშვიდობოს გავიდა, დაბ-

ნეული მილიციელები კი ტყის ძმებთან შეტაკების შიშით სწრაფად გაეცალნენ იქაურობას.

ზაფხული იყო. ბაზარის ნაკრძალში სიცხე არ იგრძნობოდა, ბუნება ლაღობდა. სად დათვის ბრდღვინვა ისმოდა, სად ხარირქის ბღავილი, სად ფრთოსანთა სასიამოვნო გალობა. რა საამურად რაკრაკებდა ხავსმოდებულ ქვებზე ანკარა ბაზარის წყალი; მასში ლამაზად ტანდასატული კალმახები აღმა-დაღმა დასრიალებდნენ.

ბაზარის სიღრმეში თავიანთ ქოხში მისულ ზაქროს ფილიპე ბორჩაშვილი და ლევან ფარეულიძე დახვდნენ. ზაქრომ ლევანს ბლომად მისცა ვაზნები და გზა დაულოცა ჩეჩნეთისკენ. ლევანი ხეუსურეთის გაყლით პირიქითში გადავიდა და არღუნის ხეობის სოფელ ითომხალში ჩავიდა. იქ თავისი საქმეები მოაგვარა, ერთი კვირის შემდეგ კი საქართველოში გამობრუნდა, თან ამხანაგიც ახლდა. მათ მოითათბირეს, რომ ოუშეთი მოევლოთ და ისე დაბრუნებულიყვნენ პანკისში. მაღალი მთის ფერდობზე გადასვლის დროს მოულოდნელად ზვავი მოსწყდა და უკან მომავალი ლევანის ამხანაგი ზვავმა ჩაიტანა თვალუწვდენელ უფსკრულში. ლევანი ფეხდაფეხ ჩაჰყვა ზვავს, ბევრი ეძება, ბოლოს მიაგნო ამხანაგს, ამოიყვანა თოვლის და ქვა-ქვიშის ნარევიდან, მაგრამ უკვე გვიანი იყო, ის ცოცხლებში აღარ იყო. ლევანმა გაყინული მიწა თხარა-თხარა, რაც შეეძლო, შიგ ამხანაგი ჩაასვენა, ზედ სიმი ქვები დააწყო და საფლავი ამოაშენა. ხელფეხგაყინულმა ოუშეთის ერთ-ერთ განაპირა სოფელში ძლივს ჩააღწია, ერთ სახლს მიადგა და დახმარება სთხოვა, გამათბეთ, გაყინული ვარო.

ოჯახმა გაჭირვებული მგზავრი მიიღო და დახმარებაც აღმოუჩინა. ხელ-ფეხის მკურნალობის ექვსი დღეღამის შემდეგ ფეხზე წამოდგომა შესძლო.

* * *

ერთხელ პანკისს საქართველოს ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ფილიპე მახარაძე ეწვია. დგილობრივმა ხელმძღვანელობამ პანკისის მთელ მოსახლეობას ჯოყოლოში მოუყარა თავი. სასოფლო საბჭო მაშინ მხოლოდ ჯოყოლოში იყო. შეკრებილთა წინაშე სიტყვით გამოვიდა ფ. მახარაძე. მან ილაპარაკა, რა ბედნიერებას მოუტანდა ხალხს ახალი წყობილება, რომ მას მისცემდა მიწას, პურს, ხავსა და მშვიდობას.

ორატორი შეკრების მონაწილეებმა ტაშით დაადასტურეს. ხალხს თავი პქონდა მობეზრებული ქაოსით და უდანაშაულო ადამიანების ხოცვა-ულეტით და იფიქრა, იქნებ მართლა მშვიდობა ჩამოვარდესო.

ფილიპე მახარაძემ ხალხს კითხვით მიმართა, რა გაწუხებთ, უპირველეს ყოვლისა, რით შემიძლია დაგეხმაროთო. მაშინ წინ გამოვიდა ფილიპე ბორჩაშვილი და მოახსენა — პანკისის ხეობას ყველაზე უფრო სამედიცინო დახმარება სჭირდება, ამდენ სოფელსა და ხალხს ექიმი კი არა ფერშალიც არ პყავსო. იქნება ჯოყოლოში პატარა საავადმყოფო აგვიშენონო.

ფ. მახარაძემ ბორჩაშვილს მიუგო, ამ საქმეში დაგეხმარებიოთ და სახელი და გვარი პკითხა.

— ფილიპეა, ბორჩაშვილი, — უპასუხა ფილიპეს მაგიერ ხალხმა.

— ჩემი სეხნია ყოფილა, — გაიღიმა მახარაძემ.

— კარგი ვაუკაცი ჩანხარ, მიხარია, ასე რომ ზრუნავ ხალხზე. შენი თხოვნა სამართლიანია და აუცილებლად შევასრულებთო.

ამ დაპირებიდან ერთი წლის შემდეგ ჯოყოლოში სამკურნალო პუნქტი გახსნეს და ექიმად რუსის ქალი დარია მოავლინეს. დარია ნიკოლაევნა წლების განმავ-

ლობაში მუშაობდა ჯოყოლოში. მისი წასვლის შემდეგ პანკისს მოევლინა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კურსდამთავრებული შიო გუგეშაშვილი. იგი ავადმყოფებს ყურადღებით ექცეოდა, ზრუნავდა მაიზე და ხალხმაც იგი შვილივით, ძმასავით შეიყვარა.

ახალგაზრდა ექიმს ფილიპე ბორჩაშვილი მამაშვილურად შეხვდა, სითბოსა და მზრუნველობას არ აკლებდა, თეორი ცხენიც უყიდა, რადგან მას ხშირად ფეხით უხდებოდა ავადმყოფებთან სოფლიდან სოფელში სიარული. ფილიპემ შიოს ვერცხლით მოქედილი აღვირიც აჩუქა და ზედ მოვერცხლილი ქამარ-ხანჯალიც მიაყოლა. ერთი სიტყვით ქისტივით გამოაწყო ექიმი გუგეშაშვილი.

ექიმიც, თითქოს ახლად დაიბადაო, ისე გადასხვაფერდა და შეითვისა ქისტების ადათ-წესები. როცა ფილიპეს თავისუფალი დრო გამოუჩნდებოდა, ბაწარაში სანადიროდ მიდიოდა და ექიმიც თან მიპყავდა ხოლმე. ბაწარაში ექიმმა ფილიპეს მეშვეობით ტყის ძმები გაიცნო. მოსწონდა მათი ვაჟკაცური შემართება, გულკეთილობა და სამშობლოსათვის თავგანწირვა. თუ შეტაკებისას რომელიმე დაიჭრებოდა, უმალ მათთან გაჩნდებოდა და დახმარებას აღმოუჩენდა.

ფილიპეს ორი ვაჟი და ერთი ქალიშვილი პყავდა. უფროსი ვაჟი, 1914 წელს დაბადებული აბდულა შიოს უმცროს ძმასავით უყვარდა; ცხენზე ჯდომა და ჯირითი ორივეს ერთნაირად სიამოვნებდა და ალაზნისპირას მწვანე მინდორზე ხშირად ერთობოდნენ, თითქოს თანატოლები იყვნენ.

ტყეში გაჭრილი ძმების მდგომარეობა თანდათან რთულდებოდა. პაასა ალხანაშვილი ჩხათანაში უფრო უშიშრად გრძნობდა თავს და მეტ დროს იქ ატარებდა.

იქვე, მეზობლად, ხორეჯოში მცხოვრები ცათიაშვილების გასათხოვარი ქალიშვილის ჯოუპარის სიყვარული გულს ჩაკარდნოდა და მოსვენებას უკარგავდა. პაასა მაღალ-მაღალი, ლამაზი აღნაგობის ყმაწვილი იყო და ჯოუპარიც თანაუგრძნობდა. პაასა ომალოშიც ჩადიოდა ხოლმე, მაგრამ მილიციელები მაშინვე გუმანს იღებდნენ და ისიც ისევ ჩხათანაში ბრუნდებოდა.

პაასას ცხოვრება ცოტად თუ ბევრად ჯოუპარმა შეცვალა. მან თავისი ცხოვრება პაასას დაუკავშირა და წლისთავზე ეაჟიშვილიც შეეძინაო. პაასა თითქოს გრძნობდა, რომ დიდხანს ვერ იცოცხლებდა და ალბათ ამიტომაც შეარქვა პირშოს თავისი სახელი პაასა. ერთხელ მეუღლეს ჰკითხა, შენს სურვილზე რომ იყოს, რომელს აირჩევდი, ბედნიერებას თუ უბედურებასო?

— ღვთის ბოწეული ორივე ბისაღებია, ბედნიერებაც და უბედურებაც. შეიძლება უბედური იყო და უცებ ბედნიერი გახდე, ან შეგეცვალოს ბედი, ბედნიერი იყო და უცებ გაუბედურდე, არც ერთია გასაკვირი და არც მეორე. იცი, რა გითხრა, პაასა, მე მგონი, ჩემი გულისთვის გაიუბედურე თავი, მე რომ არ შეგერთო, ალბათ საზღვარგარეთ გაპყვებოდი ქაქუცას და იქ მაინც ბედნიერი იქნებოდი. ახლა კი შენს სიცოცხლეს ყოველ წუთში საფრთხე ემუქრება.

— არა, ძვირფასო, მე იქაურ ბედნიერებას ჩემს ხალხში სიკვდილი მირჩევნია, ჩემს მიწაში დამარხეა, — უთხრა პაასამ და ცოლ-შვილს მოეფერა. — გჯეროდეს, არ ვნანობ, რომ უცხოეთში არ წავედი. იქ უმეკვიდროდ დავრჩებოდი. იქ თუნდაც ცოლ-შვილი მყოლოდა, აქ ჩემი კერა გაცივდებოდა და ჩემი სახელიც წაიშლებოდა. ეს პაასას შვილიაო, არაყინ იტყოდა, არც ერთ ქისტს ჩემი შვილის აბბავი არ ეცოდინებოდა და სიყვარულით ან სიბრალულით არ შეხედავდნენ, თუნ-

დაც ობოლი ყოფილიყო. ახლა კი კერიის ამყვავებული თუ არა გვარის გამგრძელებული მაინც მყავს. მიხარია, რომ რაც უნდა მოკლე იყოს ჩემი სიცოცხლის დღენი, თქვენთან ვიქნები, მოვკვდები და მწუხარების ცრემლებს დაღვრით შენც და ყველა ჩემიანიც. მე რომ არ გამომყოლოდი, შეიძლება სხვასთან უფრო დიდი ბედნიერება გქონოდა. ვიცი, ბედისწერა მალე გაგვყრის, მაპატიე, ჯოუპარ!

— მე კარგად ვიცოდი, შენ რა გზაც აირჩიე და საით მიისწრაფოდი, მაგრამ მაინც შენი სიყვარული ვარჩიე. სჯობს ვაუკაცურად მცირე ხნით იცხოვროს კაცმა, ვიდრე უსახელომ და უთავმოყვარეომ დიდი ხნით. განა ყველა სიცოცხლეს სიცოცხლე ჰქვია? — უთხრა ცოლმა ჰაასას და თვალები დაუკოცნა.

ჰაასას და ჯოუპარს ჩხათანაში სიპი ქვით ნაგები ორი ოთახი ჰქონდათ და ხელმოკლედ ცხოვრობდნენ, მაგრამ ისეთი წმინდა სიყვარულით უყვარდათ ერთმანეთი, კმაყოფილნი იყვნენ ცხოვრებისა, ყოველგვარ სიმდიდრეს ერჩიათ თავიანთი პატარა ჰაასა.

შემოდგომა იწურებოდა, მთა მომხიბლველობას კარგავდა, აღარც ფრთოსნები გალობდნენ ტკბილად, აღარც წითელწინწკლებიანი კალმახით აჭრელებული ჩხათანა-ხორეჯოს წყლის ტალღების ხმაური ისმოდა. მთელი ბუნება განაბულიყო.

მოღრუბლული, უმთვარო, ბნელი ღამე დადგა. მალე კოკისპირულმა წვიმამ დაუშვა. ჰაასა გარეთ გავიდა და, რომ შემოვიდა, ცოლს უთხრა:

— ისეთი თქეში წვიმაა, შეიძლება თოვლი მოპყვეს. ხვალ, თუ წვიმა არ იქნა, ომალოში წავიდეთ, საზამთროდ მოგამზადებთ.

— ვიყოთ აქ, აქვე გამოვიზამთროთ. გავუძლებთ

ზამთარს. იმიტომ გამოგყევი ცოლად, შენი ჭირიც და ლხინიც შენთან ერთად გავიზიარო, — უთხრა ცოლმა და ქმარს გაუღიმა.

პაასამ ბევრი შეგონების შემდეგ დაიოანხმა ცოლი საზამთროდ ომალოში წასულიყვნენ. მეორე დღეს გამოიდარა და პაასამ ცხენებს ბარგი აჰკიდა, საუერხე ცხენებზე თვითონ შესხდნენ და გზას გაუდგნენ. საღამო ხანს უკვე ომალოში იყვნენ.

რამდენიმე დღის შემდეგ პაასამ დუმასტურში წასვლა დააპირა, რათა საქონლისთვის ზამთრის საკვები ეყიდა.

— წუხელ ცუდი სიზმარი ვნახე, ნუ წახვალ, სხვას მოვატანინოთ საკვები, — დაუშალა მეუღლემ, მაგრამ ქმარმა არ დაუჯერა.

— რა ნახე ისეთი, რამ შეგაშფოთა? — პკითხა ბოლოს პაასამ რადგან ცოლი არ ეშვებოდა.

— რა ვნახე და ალაზანი ადიდებულიყო, მღვრიე ტალღებით დაეფარა მთელი რიყე. ამ დროს შენ ხიდზე გამოდიოდი, მდინარეს ხიდი გაიტაცა და შენც ტალღებმა დაგფარა. შეშინებულს გამომეღვიძა და ვერ გავერკვიე, ამოხვედი თუ არა მდინარიდან.

— სიზმრებს უჯერებ? ალაზანი ისეთი სუფთა და პატარაა, წყაროს წყალი გეგონება, — უთხრა პაასამ ცოლს და ცრემლჩამდგარ თვალებში აკოცა.

— მაშინ, ჯოყოლოში წავალ. მალე დაბრუნდები. ერთი საქმე მაქვს მოსაგვარებელი, — თქვა პაასამ და გასვლა დააპირა, მაგრამ ცოლი კარებში ჩაუდგა, არ გაგიშვებო.

— ეს უკვე მეტისმეტია, შიშით ხარ დაავადებული, მაშინ გომურში დაშაბი და თივა დამიყარე, ჩამკეტე, კარს კლიტე დაადევი. რადგან ასეთი მშიშარა გახდი, ვიჯდები კრუხივით ერთ ადგილას. კარგია, არა,

ხალხი რომ დაცინვას დაიწყებს, მშიშარაა, გარეთ არ გამოდისო!

—ჩემო კარგო, ვიცი მთავრობას ბევრი პყავს ფულით მოსყიდული სამშობლოს მოღალატე და გითვალთვალებენ, — მიუგო შეწუხებულმა ჯოუპარმა.

— ეგ მეც ვიცი, განა არ ვიცი? მთავრობას ბევრი ნაძირალა პყავს მოსყიდული, მაგრამ ნათქვამია, მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტიაო. მე ჯოყოლოდან მალე დავბრუნდები, — უთხრა ცოლს ჰაასამ და წავიდა. ჯოყოლოში მოიქცნა ჰაასაი აჭიშვილი და მისაკო მუოოშვილი. მათ მოილაპარაკეს, რამდენიმე დღეში წასულიყვნენ ხადორში, სადაც თავისი გუნდით დათიკო ფარეულიძე იმყოფებოდა, მასთან ერთად შეედგინათ გეგმა, რომ ყველა მებრძოლი, ვინც წითლების წინააღმდეგ იბრძოდა, გაერთიანებულიყო და საერთო ძალისხმევით აელაგმათ მილიციის თარეში პანკისში.

სამი მეგობარი ერთმანეთს დაეშვიდობა. ჰაასა ალა'ხნისპირ'ზე, რიყე'ზე გავიდა და ომალოს ხიდისაკენ გადაუხვია. თან ყოველი შემთხვევისათვის ნაგანი და მაუ'ხერი ფეხ'ზე შეაყენა და ჯიბეებში ჩაიწყო. იარაღ'ზე ხელმოკიდებული მიაბიჯებდა. ხიდს რომ მიუახლოვდა, დიდრონ ლოდებს ამოფარებულმა მილიციელებმა თავი წამოყვეს და შესძახეს:

— ხელები მაღლა, ალყა'ში ხარ მოქცეული!

ჰაასა არ შეეკრთალა, თითქოს მოელოდა კიდეც მილიციელებს, ორივე ხელით წამიერად იძრო იარაღი და ისე სწრაფად დაუშინა მათ ცეცხლი, მილიციელები, როგორც გამოჩნდნენ, ისევე უცბად გაუჩინარდნენ. ჰაასა უკუსვლით გავიდა ხიდ'ზე, თანაც ცეცხლს უშენდა ლოდებს; მილიციელებიც ისროდნენ, მაგრამ უმიზნოდ, რადგან თავის წამოყოფა აღარ შეეძლოთ. ჰაასამ ხიდი გაიარა, თავი ბუჩქებს შეაფარა და მშვიდობიანად აირბი-

ნა სერი. ოშალოს მოსახლეობა სროლის ხმაზე ალაზნისპირის ბექობზე გამოიშალა და ჰაასას ვაჟკაცობას ზემოდან დაჰყურებდა.

ვინც თავი შესწირა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ძმადგანაფიცი იყო. მათ რიგებში იდგა ჰაასა ალხანაშვილიც. მან შეფიცა ქაქუცას, სიკვდილამდე ებრძოლა წითლების წინააღმდეგ და არ შერიგებოდა მთავრობას. ჰაასას ყოველთვის თვალწინ ედგა საშობლოდან გადახვეწილები და თავისუფლებისთვის დაღუპული ძმები. მას მეტი არაფერი დარჩენოდა, უნდა ებრძოლა, შური ეძია, ვაჟკაცური საქმეებით ესახელებინა თავი და ვაჟკაცურად შეხვედროდა სიკვდილს.

ოშალოს ხიდთან მილიციელებთან შეტაკებისას ევნებლად გაღარჩენილი ჰაასა პირდაპირ სახლში მივიდა. თვალცრემლიანი შეუღლე გადაეხვია და უთხრა:

— ნეტავ როდემდე უნდა გდიოთ მაგ ძაღლებმა, რას უშავებ, რა უნდათ შენგან. შენც რომ არ იშლი აქეთ-იქით ხიარულს, ოთქოს გსიამოვნებს კიდევაც მათთან შებრძოლება. მადლობა ღმერთს, ყოველთვის უვნებლად გამოჰყავხარ ბრძოლიდან.

— კარგი, არსად წაყალ, დუმასტურში მეზობლის ბიჭს გავგზავნი ერთ მეგობართან თიკისათვის. გადადი იმ ბიჭთან, უთხარი, მოვიდეს.

მეზობლის ბიჭი მოვიდა და უთხრა. აი, მოვედი. რისთვის გჭირდებით.

— დუმასტურში გამეგზავნე, ძმისწულო, და ცხოვრებთვს უთხარი, ჰაასამ დამაბარა, კამეჩები საძოვარზე არ გაუშვა, ხვალ შენი ურჩით მინდა თივა სახლში ავიტანო, თვითონაც სახლში დაშელოდეო.

მეზობლის ბიჭი მალე დაბრუნდა და მოახსენა:

— შენი დანაბარები ვადავეცი, მითხრა, დაგელოდები და კამეჩებიც სახლში შეყოლებიანთ.

ცოტა ხნის შემდეგ ჰაასასთან ბააცა ღანიშაშვილი მოვიდა. ისინი მოფარებულში ჩამოსხდნენ სასაუბროდ. ჰაასამ უთხრა:

— ზეგ დილით ჰაასაი აქიშვილი და მიხაკო გამოვლენ და იმათ უნდა გავყვეთ ხადორში დათიკოსთან, ხვალ კი დუმასტურში გამომყევი, საქონლისათვის თივა უნდა ამოვიტანო იქიდან.

— კარგი, — უპასუხა ბააცამ, — მე კი ჩემს საქმეზე მოვედი შენთან, ხვალ საღამოს მინდოდა ჩალხიასთან მისი ქალიშვილის სათხოვნელად ხალხის მიგზავნა. რაკი საქმე ასეა, ამ ამბავს გადავდებ და ხადორიდან რომ დავბრუნდები, მერე მივუგზავნი ხალხს.

— შეეთანხმდით, — მიუგო ჰაასამ, ივახშმეს და ღამის გასათევად სხვაგან წავიდნენ.

ფილიპე ბორჩაშვილის რძალმა, აბდულას მეუღლემ, ქააქი ალხანაშვილმა გვიამბო:

— დაახლოებით 1925 წლის დამდეგი იყო, ათი წლისა ვხდებოდი. კარგად მახსოვს, ხმა დაირხა ომალოში, რომ ჰაასა ქაქუცას საზღვარგარეთ იმიტომ არ გაპყვა, დათიკოსთან ერთად პარტიზანულ ბრძოლას აპირებსო.

ისიც მახსოვს, ახალგაზრდებს აფრთხილებდნენ, ჰაასას არ აპყვეთ, თორემ საქმე ცუდად წაგივათო; მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩემი ძმის, ჰაასას მომხრეები მრავლდებოდნენ, მათ ეამაყებოდათ კიდეკვაც, რომ ქაქუცას ძმადნაფიც ჰაასას თანამზრახველებად იწოდებოდნენ. განსაკუთრებით მასთან ძმაკაცობდა ბააცა ღანიშაშვილი.

გვიანი შემოდგომა იყო, უკვე ციოდა, დილით ადრე შევედი ჩემი ძმის ჰაასას ოთახში. ჰაასა და ბააცა მაგიდასთან ისხდნენ და საუზმობდნენ. ჯოუჰარმა რომ გაიგო, ისინი დუმასტურში აპირებდნენ წასვლას, მაგ-

იდასთან მიყიდა და ორივეს შეეხვეწა, გადაეფიქრათ იქ წასვლა, სხვას ამოვატანინებო საქონლის საკვებს, მაგრამ ძმაკაცები ვერაფრით შეაჩერა, ისინი წავიდნენ. ჯოუპარი ამბობდა, უბედურებას გადაეყრებიან, გული მიგრძნობსო, ახლობლები ამშვიდებდნენ, ნუ გეშინია, არაფერი მოხდებაო.

მიდიოდა ორი მეგობარი დუმასტურში და აზრზეედაც არ იყვნენ, რა ელოდათ. ვიდრე დუმასტურში შეგიდოდნენ, გზის ორივე მხრიდან გაისმა შეძახილი:

— ხელები მაღლა, არ გაინძრეთ!

მგზავრები ისეთ ადგილზე იყვნენ, მოსაფარებელი არ პქონდათ. მიხვდნენ, ალყაში იყვნენ. ჰაასამ რევოლვერი იძრო და დაიძახა — ვერ ეღირსებით, ძაღლებო, ჩვენს დაჭერასო, და ტყვიები დაუშინა მილიციელებს. პირველი გასროლით ჰაასამ ერთი მილიციელი მიწაზე დასცა. ახლა ბააცამ მაუზერით მეორე მილიციელს მოუსწრაფა სიცოცხლე. ორივე თავდაუზოგავად იბრძოდა. ერთმანეთს ზურგი ზურგს მიაბჯინეს, რომ ზურგიდან მსროლელი არ გამოპპარვოდათ. მალე ტყვიაწამალი გაუთავდათ. გაბრაზებულებმა იარაღი მიწაზე დაახეთქეს. ორივე დაჭრილი იყო. რა დაინახეს მილიციელებმა, ყაჩაღებს ტყვია-წამალი გამოელიათო, მაშინვე ფეხზე წამოიმართნენ, ალყა შეაკიწროვეს, ბოლოს ახლოსაც მიყიდნენ დაჭრილებთან და ზურგს უკან ხელებიც გაუკრეს, — ხომ გაებით ხაფანგში, მგლებო, — აღიზიანებდნენ.

— კი გავებით, მაგრამ არა ლაჩრულად, ამ ქვეყნიდან რამდენიმე თქვენი ძმაკაცი წაყიმძღვარეთ, — უთხრა ჰაასამ და ანიშნა დახოცილ მილიციელებზე.

შეტაკება დამთავრებული იყო, როდესაც დუმასტურის მხრიდან კაშეხშებმული ურემი გამოჩნდა გზაზე. ურმის კოფოზე ომალოელი აბაზა იჯდა.

— ურემი მოაბრუნე, — უბრძანა მილიციის უფროსმა. ბაზამაც მოაბრუნა ურემი, მეტი რა გზა ჰქონდა. ურემზე ჯერ ორი მკვდარი მილიციელი დაასვენეს, ხოლო უკან ხელებგაკრული ორი აბრაგი ქალებზე მიაბეს. აბაზამ შესედა ზურგზე ხელებგაკრულ პაასას და ბააცას, შეენანა, ასე კარგი ვაუკაცები ამ დღეში ჩაცვივნულნი რომ ნახა, და უნებურად აღმოხდა:

— ამათ რა გათოკვა და დაბმა უნდოდათ, სად გაიქცეოდნენ, მკვდრები არიან, თორემ ცოცხლები თქვენს ხელში არ ჩავარდებოდნენ.

ურმის კოფოზე ასულ აბაზას მილიციელმა თოფის კონდახი ჩაარტყა და დაუყვირა:

— ხმა ჩაიკმინდე, ძაღლისშვილო, თორემ ახლავე გაგათავებ.

აბაზაც ძალაუნებურად დამორჩილდა.

ამ ყველაფერს გვიყვებოდა ქალბატონი ძააძეი და ამდენი წლის შემდეგაც თვალებზე ცრემლს ვერ იკავებდა. მან მრავალი უბედურება და გაჭირვება გადაიტანა ობლების გაზრდაში. კარგი აგებულების, საშუალოზე მაღალი, წელში გაშლილი, მსარბეჭიანი ბერი ქალია, შავი თვალწარბით დამშვენებულ სახეს ლამაზი ტუჩები უცისკროვნებს. მუსიკასავით ტკბილი ხმით თავისკენ გიზიდავს და გსურს, კიდევ და კიდევ უსმინო.

გიგოს ეორაზე ბევრ სასიქადულო ვაუკაცს მოუსწრაფეს სიცოცხლე. ახლა ამ ორ ვაუკაცსაც იქ მიიყვანდნენ დასახვრეტად.

ჩალხია იმედაშვილის ქალიშვილის საოხოჯნელად გამზადებულ ბააცას სურვილი და ოცნებები აუხდენელი დაუტოვა შეუბრალებელმა წუოისოფელმა, ვერც ჯოუპარის თვალთაგან ნაეურმა ცრემლებმა და ღმერთისადმი აღვლენილმა ვედრებამ უშველა ბედისწერისგან განწირულ ვაუკაცებს.

თელავისაკენ მიმავალი ურემი მოკლე გზით, ფიჩხოვანზე გაყლით მიდიოდა. ქვემო ალვანს გასცდნენ და ალაყერდის გზას დაადგნენ. შემხვედრნი ზოგი სინანულით აყოლებდა თვალს, ზოგიც შურისგებით და დაცინვით უყურებდა დაჭრილ აბრაგებს.

ხოფელ ალაყერდის მისადგომთან მილიციელებმა ურემი გააჩერეს, იქ მიბარებული ცხენები გამოიყვანეს და ცხენებით განაგრძეს გზა. თელავის მილიციის განყოფილებასთან რომ მივიდნენ, იქიდან იმ ურმითვე ორი ვაჟკაცი დასასვრეტად გიგოს გორისაკენ წაიყვანეს.

ერთ-ერთმა მილიციელმა თოფი ფეხზე შეაყენა, მანძილი მოზომა, დაიხარა და ურემზე მსხდომ ორივე დაჭრილს დაუმიზნა. პასას გულმკერდის არეში მოხვდა ტყვია, ასევე ბააცასაც. ურმის კოფოზე მჯდარი აბაზა მარჯვნივ გადაიხარა, ტყვია ასცდა. საშაგიეროდ ურმიდან გადაეარდა, მილიციელებს კი ეგონათ, იმასაც მოხვდათ ტყვია.

— ეს ერთი ტყვიაც საკმარია ამათთვის, — თქვეს მილიციელებმა, მკვდრები იქვე მიატოვეს და თავიანთი ცხენებით თელავში გაბრუნდნენ.

ცოცხლად დარჩენილ აბაზას არავის შველის თავი არ ჰქონდა. მხოლოდ თავის გადარჩენაზე ფიქრობდა. დაჯდა ურემზე და ცოდვით სავსე გიგოს გორა მიატოვა. ვიდრე, გათენდებოდა, ფიჩხოვანის ტყეს მიაღწია. მხოლოდ ახლა იგრძნო თავი გადარჩენილად.

გიგოს გორაზე ორი ახალგაზრდის ცხედარს ქარი დაპქვითინებდა. ქარისგან მოტაცებული ფოთლები სუდარად ეფინებოდა მათ.

ქვითინებდა გიგოს გორა,
ციდან ცვარი წვეთავდა,
უპატრონოდ დაყრილ ცხედრებს
მგელი-ტურა ფლეთავდა.

რა ცოდოა, წაახდინონ
ვაჟკაცების ცხედრები,
ცამ უეცრად თვალებიდან
დააფრქვია ცრემლები.
ჭირისუფლად ცივის მთა დგას
ცამდე აზიდებული,
ალაზანი ზარით მოთქვამს
ტალღააზვირთებული.

იმ ღამეს ცხედრებს ბუნება გლოვობდა. ალაზნის ტალღების მოთქმას მთელი კახეთის მთები ისმენდნენ. ცამდე ადიოდა ეს ხმები, შეწუხებული ცა ჭექა-ქუხილით დედამიწას აზაზანზარებდა. ისეთი ყიამეთი ღამე იდგა, იტყოდით, მეორედ მოსვლა არისო.

ჯოუპარის გულიც თითქოს გრძნობდა უბედურებას და მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს. დილით მუწუსხევში გავარდა, ნაკადულის პირას ჩამოჯდა და მოთქმით ტირილი დაიწყო.

— მოგიკვდეს ჩემი თაკი, გული მიგრძნობს, ცოცხალი აღარა ხარ, რად მინდა უშენოდ სიცოცხლე, ან შენს პატარა ჰაასას რა ვუყო, მას ხომ მაძის სახე არ ეხსომება, მითხარი, როგორ გავზარდო შენი ობოლი. რატომ არ დამიჯერე, რად წახვედი იმ დასაქცევ დუმასტურში, არ იცოდი, რომ გიღალატებდნენ! — ჯოუპარის თვალთაგან ნაკური ცრემლები მუწუსხევის წყალს უერთდებოდა და აქაფებულ მღვრიე ტალღებში იკარგებოდა.

„ტყის ძმების მდგომარეობა თანდათან რთულდებოდა, მათი რიცხვიც დღითი დღე მცირდებოდა. არც ისინი მიდიოდნენ ამ ქვეყნიდან ისე, რომ წინ რამდენიმე მოღალატე არ წაემძღვარებინათ. ფულზე დახარბებული მაბეზღარების რიცხვი კი დიდდებოდა.

დათიკო და მისი თანამებრძოლები ხორეჯოს ხეობას აფარებდნენ თავს. ღანიმ ფარეულიძემ ერთ დღეს ომალოში წასვლა მოიწადინა პირად საქმეზე, ახლობლებიც უნდა მოენახულებინა.

— სოფლის ამბავიც ამოგვიტანე, ისევ ხომ არ ავიწროვებენ მოსახლეობას, — უთხრა დათიკომ.

ღანიში სოფელში ფეხით, ქვეითად ჩამოვიდა. ბინდდებოდა, როცა მუწუსხევი უკან მოიტოვა და სოფელში შევიდა. სოფლის შარაგზაზე თანასოფლელი შეხვდა და უამბო, რომ ლევან ფარეულიძე ღამით ლოგინიდან წამოაყენეს და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს.

— დიდი სიფრთხილე გმართებს, მილიცია გააქტიურდა, სოფელში გამოჩენა საშიშია, — ურჩია მან ღანიშს.

ღანიში ძლიერ დააღონა ლევანის ასე უბრალო ჩავარდნამ, ვერ მოეფიქრებინა, როგორ ეშველა ბიძაშვილისთვის. მან ხომ ისიც არ იცოდა, საით წაიყვანეს ლევანი, თელავისკენ თუ თიანეთისკენ. შეწუხებულმა ესღა უთხრა თანამოსაუბრეს:

— დიახ, მოძრავლდნენ დამბეზღებლები, ბევრმა სინდის-ნაძუსი ფულზე გაყიდა, ძმაკაცს და თანასოფლელს ღალატობენ, მეტად გამოცდილია ლევანი და თავის სასიკეთოდ რამეს მოახერხებს.

ეს კი თქვა ღანიშმა ხმამაღლა, მაგრამ გულში სწამდა, რომ ლევანისთანა ადამიანი წითლების დამსჯელ ორგანოებს თუ ხელში ჩაუვარდებოდა, თავის დაძვრენას სასწაულით თუ მოახერხებდა.

ღანიში თანატოლებისგან ყველაფრით გამოირჩეოდა — ჭკუა-გონებით, გამჭრიახობით, ვაჟკაცობით და შესახედაობითაც. ამიტომ ზოგიერთები ვერ იტანდნენ და მხოლოდ პირში ეფერებოდნენ.

ღანიში მოსაუბრეს გამოეთხოვა და სახლში მიეიდა. აქაც უამბეს, რომ ყოველ ღამეს ალყას არტყამდნენ მათ სახლს, არც გარეთ უშვებდნენ ვისმეს, არც შიგნით.

ღანიშმა სიფელში თავისი საქმეები მოაგვარა და გასამგზავრებლად გაემზადა. ახლობლებმა ურჩიეს, სიფრთხილეს თავი არ სტკივა, ომალოს თავში მოკლეზე ადი ტყეში და სანამ მუწუსხევს არ გასცდები, ტყეტყე იარე, მერე კი საშიში არაფერია, რადგანაც მილიციელები ტყეში და ხევებში სიარულს ვერ ბედავენო. ღანიშმა არ დაიშალა და პირდაპირ სოფლის შარაგზით მუწუსხევის გზას დაადგა.

— სიკვდილს ვინც გაურბის, ფესებს ტყუილად იღლის, რადგან ბედისწერას ვერსად გაექცევი, — ეიუგო ახლობლებს.

ღანიში სახლიდან გაყიდა და, როგორც კი სოფლის თავს შიაღწია, მილიციელთა ალყაში მოექცა.

მილიციელებმა იცოდნენ, რომ ღანიში ძალიან მამაცი და შეუპოვარი იყო. მიტომ უნდოდათ, პირდაპირ მოეკლათ, სადაც კი მოასწრებდნენ.

ახლაც ერთდროულად ესროლეს რამდენიმეჯერ და ტყვია მოარტყეს. ღანიში ჯერ შებარბაცდა, შემდეგ ძირს დაეშვა და, თითქოს მხართეძოზე წამოწვაო, გვერდზე გადაწვა. მსწრაფლ იძრო ნაგანი და ორი გასროლა მოასწრო, სანამ სულს დალევდა, ორივე ტყვია მიზანს მოარტყა, ერთი მილიციელი მაშინვე უსულოდ დაეცა, მეორე მძიმედ დაიჭრა.

ღანიშის სიკვდილმა და ლევანის დაპატიმრებამ დათიკო ფარეულიძეზე და მის თანამებრძოლებზე ძალიან იმოქმედა. ერთხანს ადგილს ვერ პოულობდნენ, რა ექნათ, არ იცოდნენ. ბოლოს შეეგუენ გარემოებას, ძალა აღმართს ხნავს, ჩვენი ბოლოც ალბათ ეს იქნებაო, იფიქრეს.

ტუსაღი ლევან ფარეულიძე თბილისის ციხის ერთ-ერთ საკანში მოათავსეს. საკანში გალიაში დამწყვდეული მხეცივით მძვინვარებდა. ბოლოს, მასთან ღუშეთის რაიონიდან ერთი თექვსმეტი წლის ახალგაზრდა პატიმარი შეაგდეს. ლევანი ცოტაოი დაწყნარდა, გვერდით ხმის გამცემი მაინც ჰყავდა. ლევანმა რამდენიმე ხანში გამოკითხვითა და კარგი მოპყრობით გაიგო, ვინ და სადაური იყო ახალგაზრდა, რისთვის დაიჭირეს, ვინ პყავდა ახლობლებიდან. არც თავისი თავგადასავალი დაუმალავს, თავი შეაყვარა. დღეები გადიოდა. ლევანმა კარგა ხანს ფიქრის შემდეგ ამხანაგს გაანდო თავისი განზრახვა — ერთად გაქცეულიყვნენ საპატიმროდან. ამხანაგმა მოუწონა ჩანაფიქრი და საკნის კუთხეში კედლის გახვრეტა დაიწყეს. დაწყებული საქმე რამდენიმე დღეში შეუმჩნევლად დააამთავრეს. ლევანი ჯერ თვითონ გაძვრა ხვრელში და მერე დუშეთელი ახალგაზრდა ტუსაღიც გააძვრინა. ორ-სამ დღეში ციხიდან გაქცეულები მშვიდობიანად ჩავიდნენ პანკისის ხეობაში.

• ლევანის გაქცევამ ციხიდან პანკისის მცხოვრებნი გაახარა, ხოლო ციხის მომსახურე პერსონალისა და მილიციის ზემდგომი ორგანოების წარმომადგენელთა გაოცება გამოიწვია.

დათიკო და მისი ჯგუფი დიდი სიხარულით შეხვდნენ ლევანს და მის ამხანაგს. ომალოს ტყიდან ორივე ხორეჯოში წაიყვანეს თავიანთ ბინაში. ლევანის დუშეთელ ამხანაგს სახელი გამოუცვალეს, ალექსი ბეუუაშვილად მონათლეს. მის შემდეგ რვა წელიწადი გაატარა ალექსი ბეუუაშვილმა დათიკოს მებრძოლებთან. ბოლოს მთავრობამ ამნისტია გამოსცა და ტყის „ძმების“ მიმართ „ლმობიერება“ გამოიჩინა, მათ ხელშეუხებლობას დაპპირდა და ისინიც ოჯახებს დაუბრუნდნენ.

ლევანმა ალექსი ბეჟუაშვილი იყალთოელ ქალიშვილზე დააქორწინა. ალექსი იყალთოში დასახლდა და ტკბილი ოჯახი შექმნა.

ლევან ფარეულიძე დაავადდა და ორმოცი წლისა თავის ოჯახში გარდაიცვალა

* * *

ზაქრო ანდალაშვილს აბრაგობის დროს მოკლული პყავდა შალაურელი მილიციელი. ერთხელაც ფაიტონით მიემგზავრებოდა თელავისკენ. იგი მთავრობასთან შერიგების შემდეგ რაიმე საშიშროებაზე არ ფიქრობდა, მაგრამ ნახეთ ბედისწერისა და წუთისოფლის სიმუხთლე! ამავე ფაიტონით მიემგზავრებოდა თურმე ახალგაზრდა ქალი, რომელიც ზაქროს მიერ ადრე მოკლული შალაურელი მილიციელის ქალიშვილი აღმოჩნდა. ამ ქალმა ზურგში დაახალა რევოლვერი ზაქროს და შურისძიების მიზნით მოკლა მამის მკვლელი. მილიციამ კი ხმა გაავრცელა, თითქოს ზაქროს თვითონ გაუვარდა რევოლვერი, შემდეგ კი ყველამ გაიგო, რომ ეს ამბავი თვითონ მილიციის მიერ იყო მოწყობილი, ვითომ შურისძიების მიზნით. აბა, იმ ქალს საიდან უნდა ჰქონოდა იარაღი, ანდა იცნობდა კი მამამისის მკვლელს, ზაქროს?

მთავრობისგან მიცემული ხელშეუხებლობის გარანტიის შემდეგ დათიკო ფარეულიძე წყნარად ცხოვრობდა სოფელში. მან ხომ თორმეტი წელიწადი გაატარა ტყეში. მაგრამ ბოლშევიკებს თავიდანვე შავ სიაში ჰყავდათ შეყვანილი და შერიგება ფარსი აღმოჩნდა.

ერთხელაც დათიკო ერთ-ერთ სოფელში ქეიფობდა. რას წარმოიდგენდა, თუ ვინმე ღალატით მახეს დაუგებდა. ქეიფის დროს დაადგნენ თავს და დააპატიმრეს. უიარაღო დათიკომ მათ წინააღმდეგობა ვერ

გაუწია. არც მოელოდა დაჭერას. იმ დღიდან მისი სახელი ცხოვრების ასპარეზიდან წაიშალა. წლების შემდეგ ითქვა, რომ მთავრობამ შორეულში გადაასახლა, სადაც სიკვდილმისჯილებს ასახლებდნენ ურანის საბადოებზე სამუშაოდ.

* * *

ქაქუცას ერთგული თანამებრძოლი და დათიკოს თანარაზმელი ექა ანდალაშვილი არ ენდო წითლების დაპირებას. იცოდა, რომ მთავრობა არ შეიწყალებდა და სადღაც მახეს დაუგებდა. ამიტომ უწინდებურად ცხოვრება არჩია. სიკვდილის არ ეშინოდა და იარაღში ჩამჯდარი ბედაურს შუა სოფელში აჯირითებდა. ისე კი მშობლიურ სოფელ ომალოს უფრო არიდებდა თავს, ვიდრე სხვა სოფლებს. განსაკუთრებით სძულდა წითლების მიერ მოსყიდულები, რომლებსაც „პარტიზანებს“ უწოდებდნენ. კარგად იცოდა, რომ ისინი მის კვალს დაეძებდნენ და, თუ შემთხვევა მიეცემოდათ, ტყვიას არ დაინანებდნენ.

სოფელ ბირკიანში გზის პირას ალაზნის მხარეს, ომალოს მოპირდაპირედ მაშო ბორძიკიძის ოროთახიანი სახლი იდგა. მაშო ქვრივი იყო, ოთხ შვილს ზრდიდა. შვილები პატარები ჰყავდა. ხალხის თქმით ექა ანდალაშვილი ამ სახლს აფარებდა თავს. ერთმა დამბეზღებელმა შეაგულიანა მაშო, ექა მთავრობას დავაჭერინოთ და ფულს ავიღებთო. თუ არ დამეთანხმები, მილიციას შევატყობინებ, რომ ექა შენთან არის ხშირად და კარგი დღე არ დაადგებაო. მაშო უარზე იყო, მაგრამ ბოლოს მოღალატემ მაინც დაითანხმა.

პირველი მაისის სადღესასწაულო დღე იდგა. სოფელ ჯოყოლოს სკოლის და სასოფლო საბჭოს შენობებს შორის მდებარე მწვანე მინდორზე ხეობის ხალხი

შეკრებილიყო და დოლ-გარმონზე დაკვრითა და ცეკვით ერთობოდა. ამ დროს მოულოდნელად ბირკიანის ბოლოდან ხშირი სროლის ხმა მოისმა. ხალხი შეჩოჩქოლდა, დოლ-გარმონი დადუმდა. თურმე მოღალატეთა მიერ გაცემულ ექასათვის მილიციელებს და „პარტიზანებს“ ალყა შემოერტყათ. ექამ რომ დაინახა, ალყაში იყო, სროლას სროლით უპასუხა, ელვის უსწრაფესად გადახტა სახლის აივნიდან და ალაზნისაკენ გაიქცა. ერთდროულად თითქმის ყველა ესროდა, ტყვია კი არ ხვდებოდა. ექამ რიყე გადაკვეთა, ალაზანზე გადებული საცალფეხო ხიდი გაირბინა და ალაზნისპირს აუყვა, უნდოდა, მუწუსხევის წყალში გასულიყო და ტყეს შეფარებოდა. უკვე მიაღწია მუწუსხევის წყალს. და, აი მუწუსხევის წყლის მეორე მხარეს უნდა გასულიყო, რომ ტყვია დაეწია და მდინარის წყალი წითლად შეიღება ექას სისხლით. საიდანაც მილიციელები და „პარტიზანები“ თოფებს ისროდნენ, ომალოს იმ უბნის ხალხი სერის პირზე გამოიშალა. ერთი ომალოელი, „პარტიზანული“ რაზმის რიგითი წევრი პატარა სერზე გაჩერდა იმ მხარეს, საითაც ექა უნდა გასულიყო მუწუსხევის წყლიდან. ექამ დაინახა, რომ ის თოფს უმიზნებდა, ხელი ასწია და დაუძახა არ მესროლოო. ამ დროს ერთი ქალი ეცა „პარტიზანს“ და ხელები შემოხვია, არ ესროლო, შენი ჭირიმეო. პარტიზანი შემოტრიალდა და ქალს მკერდში თოფის კონდახი ჩაარტყა. ქალი მიწაზე დაენარცხა. სანამ ქალი ადგებოდა, „პარტიზანი“ შეტრიალდა და კვლავ დაუმიზნა თოფი ექას, გაისმა გასროლის ხმა, მუწუსხევის წყლის პირზე ექა სასიკვდილოდ დაიჭრა და წყალში ჩავარდა. ერთი ნაბიჯიღა აკლდა, რომ წყლიდან ამოსულიყო და ტყეს შეფარებოდა, მაგრამ ბედისწერას ვერ გადაურჩა.

* * *

ნაქერალას მთის უკანა მხარეს, საკმაოდ გრძელ ხეობაში, რომლის წყალიც აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ მოედინება და მდინარე ალაზანს ერთვის, მდებარეობს ორი სოფელი: ხორეჯო და ჩხათანა. ამ წყალს ხორეჯულას ეძახიან. ხორეჯულა იმ დროისათვის სავსე იყო წითლად ტანდაწინწკლული კალმახით. სოფელ ხორეჯოს თავში, მდინარე ხორეჯულას ნაპირზე მიწიდან ამოდის სამკურნალო გოგირდის წყალი, რომელიც გაციებულთა და რევმატიზმით დაავადებულთა უებარი წამალია.

სწორედ ამ ხეობაში ხორეჯოს ზემოთ, პატარა სოფელ ჩხათანაში ძველად ცხოვრობდა სახელგანთქმული მონადირე მელიქ ალხანაშვილი. ომალოელი ბერიკაცები ამბობდნენ, მელიქს ოთხასზე მეტი ნადირი ჰყავს მოკლულიო. ბოლოს მელიქი სინანულში ჩავარდა. თოფი დაწვა და დაიფიცა, ნადირს აღარ მოვკლავო.

მელიქს ჰყავდა ოთხი ვაჟიშვილი და ერთი ქალიშვილი.

* * *

პანკისის სათავის ალაზნის ხეობაში, იქ სადაც სპეროზას კლდოვანი მთის ორწვერა ქიმი მთავრდება, მდებარეობდა ფშავლების ძირძველი სოფელი ხადორი, სადაც ამჟამად ჩინელები ხადორჰესს აშენებენ. ხადორის ზემოთ, ოთხიოდე კილომეტრის დაშორებით მდებარეობდა ფშავლების მეორე სოფელი ზემო ხადორი, რომელიც ახლა ნასოფლარია. წარსულში აქაც ფშავლები ცხოვრობდნენ.

მელიქ ალხანაშვილის უმცროს ვაჟს შაქროს ზემო ხადორში ჰყავდა ძმაკაცი პაპი. მან გადაწყვიტა ძმისწული, ღანიშის შვილი, 12 წლის სეიდა პაპისთან საქონ-

ლის მწყემსად დაეყენებინა. შეჯდა ცხენზე, უკან სეიდა შეეოისვა და პაპის ეწვია.

გაზაფხული იყო, მწვანედ შეფოთლილ ტყეებში და ზურმუხტისფრად ასავერდებულ ველ-მინდვრებში სასიამოვნო სიობო იდგა. ფრინველთა საამური გალობა ყურთასმენას ატკბობდა. შაქრომ და სეიდამ ბდინარე ალაზანი გადავლეს და ხადორისკენ მიმავალ გზას დაადგნენ. უკვე ბინდი იყო, როცა ბიძა-ძმისწული პაპის სახლთან ჩამოსტა. ეზოში უნდა შესულიყვნენ, რომ იქვე გზის პირზე მსხდარმა ახალგაზრდებმა უთხრეს, პაპი შინ არ არის, ოჯახის წევრებიანად მეზობლის ქორწილშია წასულიო. აქასობაში ერთ-ერთი ბიჭი გაიქცა და პაპის სტუმრის მოსვლა შეატყობინა.

პაპის ესიამოვნა შაქროს დანახვა, ერთმანეთი მოიკითხეს. შაქრომ უთხრა, რისთვისაც ჩამოვიდა. პაპიმ ცხენი ჩამოართვა, გრძელი თოკით საბალახოდ დააბა და სტუმრებიანად ისევ ქორწილში წავიდა. გზაში შაქროს უთხრა, ნუ გერიდება, ნათესავებთან მივდივართო.

მექორწილეებს სტუმრების მოსვლა გაუხარდათ, მასპინძლის გვერდით ადგილები მიუჩინეს. გაჩაღდა ლხინი, როგორც ყველა ქორწილში, აქაც მხიარულება გამეფდა. მოკაფიავეები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, სიმღერა-ცეკვა ერთმანეთს ენაცვლებოდა. ერთმა ახალგაზრდა ფშაველმა იცეკვა და შაქრო საცეკვაოდ გაიწვია. შაქროს კარგი ცეკვა ეხერხებოდა, რხევით ჩამოუარა წრეს. შავი, კოხტად შეკერილი ჩოხა-ახალუხი ლამაზად ადგა ტანზე, წელზე ვერცხლის ქამარხანჯალი ერტყა, ძალიან უხდებოდა მუქი წაბლისფერი კრაველის ქუდი. ქალი თუ კაცი ყველა მოხიბლა მისმა სილამაზემ, მაგრამ დახედეთ ბედისწერის სიმუხთლეს. მოხდა საშინელება. ზომაზე მეტად მთვრალ ღვთისო

გედეხაურს თოფი გაუვარდა და მოცეკვავე შაქროს ტყვიამ გულში გაუარა. შაქრომ მარჯვენა ხელი მკერდზე იტაცა და მოცელილივით დაეცა ძირს.

ახალგაბედნიერებულ ოჯახში უბედურება დატრიალდა. მხიარულება წივილ-კივილმა შეცვალა.

— ეს რა ქენი, ძაღლისშვილო გედეხაურო, სტუმრად მოსული ძმაკაცი რად მომიკალი? — განრისხებული იწევდა ხანჯლით გედეხაურისაკენ პაპი. მას რამდენიმე კაცი აკავებდა.

გედეხაურმა თოფი გადააგდო, შაქროს ცხედართან ჩაიმუხლა, თავზე ხელი შემოირტყა და აქვითინდა.

— შაქრო, მე მოგკალი? — ღრიალებდა იგი. ამ არეულობაში დრო იხელთა პატარა სეიდამ, ბიძის წელზე შემორტყმული ხანჯალი ქარქაშიდან ამოიღო და გვერდში ტარამდე გაუყარა გედეხაურს. სანამ ვინმე გონს მოვიდოდა, გარეთ გავარდა და გაიქცა.

— ყმაწვილმა გედეხაური მოკლა და გაიქცა, არიქა, გამოვეკიდოთ! — იყვირეს იქ მყოფებმა და სეიდას გამოედევნენ.

სეიდამ გზიდან გადაუხვია და ტყე-ტყე ირბინა. მდევრები კი გზის ბილიკებზე ეძებდნენ, მაგრამ ვერ იპოვეს და უკან დაბრუნდნენ. სეიდამ უგზო-უკვლოდ ირბინა ტყე-ღრეში და დაქანცულმა ძლივს გაიკვლია გზა ხორეჯოს ხეობისკენ.

შაქროს მეუღლე ტასომ იმ ღამეს სიზმარი ნახა, ვითომ შაქრო სტუმრებთან ერთად სახლს უახლოვდებოდა. გამოეღვიძა და იფიქრა, სტუმრებს მოიყვანს, ხომ ვიცი, რა კაციაო, წამოდგა, ტანთ ჩაიცვა, ლამპა აანთო და საოჯახო საქმეს მოჰკიდა ხელი. სახლი დაალაგა, წყალი გააცხელა და სარეცხის რეცხვას შეუდგა. უკვე გათენდა კიდევაც, რეცხვა მოათავა, სარეცხი გარეთ გაიტანა და გაბმულ თოკზე გაფინა. რატომღაც თვალი

გზისკენ გაექცა. დაინახა, რომ გზაზე ვიღაც მორბოდა, მაგრამ ვერ გაარჩია, ვინ იყო, მერე კარგად დააკვირდა და სეიდა იცნო. შეშფოთებული გაეშურა მისკენ, ჰკითხა, რა მოხდაო. სეიდა მუნჯივით იდგა. ტასომ პასუხი რომ ვერ მიიღო, შაქრო სად არისო, იყვირა შეძრწუნებით.

— ზეძო ხადორში ფშაველმა მოკლა შაქრო ბიძა, — ძლივს ამოღერღა ფერდაკარგულმა სეიდამ.

ტასომ წივილ-კივილი ასტეხა, მიშველეთ, ხალხნო, მიშველეთ, — მთელი ხმით გაჰკიოდა გამწარებული. წივილ-კივილზე მთელი სოფელი შეგროვდა. ყველა კითხულობდა, რა მოხდა, როგორ მოხდა, სად მოხდაო. სეიდამ როგორც შეეძლო, ისე უამბო ხალხს ყველაფერი. არც ის დაუმალია, როგორ ამოუღო ბიძას ხანჯალი და მკვლელს გვერდში გაუყარა.

— ხანჯალი კი გავუყარე, მაგრამ მოკვდა თუ არა, არ ვიცი, — დააძთავრა თხრობა სეიდამ და თვალცრემლიანმა მწუხარედ ჩაჰკიდა თავი.

სოფლის ახალგაზრდობა სასწრაფოდ შეიარაღდა და გზას გაუდგა. დაუზოგავად მიაქანებდნენ ცხენებს.

ზეძო ხადორის მცხოვრებნი დაფიქრდნენ და საგონებელს მიეცნენ. უდანაშაულო სტუმრის მოკვლა სახუმარო საქმე არ იყო. გადაწყვიტეს, კაცები ტყეში გახიზნულიყვნენ, სანამ ქისტები თავიანთ მკვდარს არ წაასვენებდნენ.

— ბედნიერების ღამეს ცუდი ამბავი მომხდარა. რა ვუყოთ, ხშირად ბედნიერებას უბედურება მოსდევს. თქვენს ნეფე-დედოფალს ღმერთმა ბედნიერება ასუქოს. კაცებს გადაეცით, დაბრუნდნენ სახლებში და თავიანთ მკვდარს მიხედონ, — თქვა შაქროს ძმამ ექვთიმემ. მან თავისი ვაჟკაცური და ჭკვიანური მსჯელობით ზეძო ხადორის ფშავლები გააოცა. ქისტებმა შაქროს ცხედარი საკაცეზე დადეს და ჩხათანაში წაასვენეს.

* * *

ფილიპე ბორჩაშვილმა ბევრი ერთგული მეგობარი დაკარგა. ბაწარაში წაბლა ბედაურს რომ შეაჭენებდა, აღარ ესმოდა ქაქუცა ჩოლოყაშვილის და დათიკო ფარეულიძის მჭექარე შეძახილი: — ვინც მოვიდა გაუმარჯოსო! მდინარე ბაწარულაც თითქოს აღარ იყო წინანდელივით ხალისიანი, ხანდახან თავს მოიგიჟიანებდა, აიძღვრეოდა, აქაფდებოდა, ხან ჩხრიალით ქვიდან ქვაზე, ლოდიდან ლოდზე გადარბოდა და ნაპირებზე ვერცხლისფერი შხეფების ფრქვევით ბაწარის ხევის შესასვლელთან ალაზანს უერთდებოდა.

ფილიპეს უფროსი ვაჟი აბდულა სასკოლო ასაკის გახდა. მამამ თბილისში ჩაიყვანა და მთიელთა სკოლა-ინტერნატში მიაბარა. აბდულამ მოკლე დროში ისწავლა ქართულად ლაპარაკი. კარგი სწავლით გამოირჩეოდა ტოლებში. ფრიადზე დაამთავრა საშუალო სკოლა და საბუთები თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩის მექანიკური დამუშავების სპეციალობაზე შეიტანა. გამოცდები აქაც კარგად ჩააბარა და ჩაირიცხა ინსტიტუტში. სამაგალითოდ სწავლობდა, ამასთან პირდაპირი, გაუტეხელი და უშიშარი იყო. ინსტიტუტი დამთავრებული არ პქონდა, როცა ერთხელ საქართველოს კომპარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურ კომიტეტში ლავრენტი პავლეს ძე ბერიამ დაიბარა და თელავის რაიონის კომკავშირის კომიტეტის პირველ მდივნად მუშაობა შესთავაზა. აბდულამ თავაზიანად უარი უთხრა: ჯერ ინსტიტუტი უნდა დავამთავრო, შემდეგ კი რუსეთში მინდა სამუშაოდ წასვლა, რაოა რუსული ენა კარგად შევისწავლოო. ბერიას არ ესიამოვნა, მაგრამ არ შეიმჩნია.

იმ დღეს აბდულა რაღაცნაირად უგუნებოდ იყო. თანაკურსელებმა — შალვა კიკნაძემ, შალვა ყარყა-

რაშვილმა, სულავამ, ქამუშაძემ და გელაშვილმა მიზეზი ჰკითხეს. აბდულამ უამბო, რა შესთავაზა ბერიამ.

— უნდა დაგეჯერებინა მისთვის, — უთხრეს მეგობრებმა, მაგრამ აბდულას თავისი გადაწყვეტილება არ შეუცვლია.

შემდგომ აბდულას ინსტიტუტის თანაკურსელი შალვა კიკნაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვასილ მ.ჟავანაძის დროს ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო. ასევე ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრად და ცეკას საორგანიზაციო განყოფილების გამგედ მუშაობდა შალვა ყარყარაშვილიც.

სახელისუფლებო მმართველობის ზედა ეშელონებში მუშაობდნენ სულავა, ქამუშაძე, გელაშვილი და აბდულას სხვა ამხანაგები.

სტუდენტობისას აბდულა ბორჩაშვილს თვალები ქალიშვილებისკენ გაურბოდა. ეს შეამჩნია ჭკვიანმა მამამ და ვაჟიშვილისთვის საცოლის მოძებნას შეუდგა. ერთ მშვენიერ დღეს მოითხოვა მისი ცხენი შეეკაზმათ.

— რას აპირებ? — შეეკითხა მაქეი.

— შვილი დასაოჯახებელი გაგვიხდა, უნდა დავაქორწინოთ. ქალის სათხოვნელად ომალოში მინდა წავიდე. ამბობენ, ექვთიმე ალხანაშვილს კარგი, ტანადი და ეშხიანი ქალიშვილი ჰყავსო. მინდა აბდულას მაღალი ქალი შევრთო, რადგანაც ის, ჩემი არ იყოს, დაბალია და იმ მაღალმა მეუღლემ ეგებ ჯიში შეუცვალოს და შვილები ტანადი გამოუვიდეს. ექვთიმე, შენც კარგად იცი, ჭკვიანი, პატიოსანი და ვაჟკაცი კაცია, შვილიც კარგი ეყოლება.

მაქეიმ შეკაზმული ცხენი აივანთან მოაყენა და ოთახში ქმარს შესძახა:

— ცხენი გელოდება.

— ცხენი კი გელოდება, მაგრამ ექვთიმემ ემანდ უარი არ გითხრას, — უთხრა გარეთ გამოსულ ფილიპეს შემოსწრებულმა დამ.

— მე ვთხოვ, გამიგია, თხოვნა ვაუკაცის წესიაო, — მიუგო ფილიპემ და ცხენს მოახტა.

ფილიპემ სოფელ დუმასტურის ცოტა ზემოთ მდინარე ალაზანი გადაკვეთა და ომალოსაკენ აიღო გეზი. ომალოში ექვთიმეს სახლთან შეჩერდა და გზიდან გასძახა მასპინძელს. იმავე დროს ფილიპეს წაბლა ბედაურმა დაიჭიხვინა.

— კარს სტუმარი მოგვადგა, — უთხრა ექვთიმეს მისმა მეუღლე შუპეიმ და ქმართან ერთად გარეთ გამოვიდა.

— კეთილი იყოს შენი მოსვლა, ფილიპე, — მიეგება ექვთიმე ფილიპეს.

— მუდამ კეთილად გამყოფოთ მაღალმა ღმერთმა, — მიუგო ფილიპემ და ცხენიდან ჩამოვიდა.

შუპეიმ ცხენი ჩამოართვა, იქვე ღობის მარგილზე გამოაბა და წინ ბლომად თივა დაუყარა. ექვთიმე კი სტუმარს სახლში შეუძღვა.

— ჩემი ფეხი თქვენს ოჯახში ჩვენთვის საერთო ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს, — ამ სიტყვებით შეჰყვა ფილიპე ექვთიმეს ოთახში.

შუპეიმ მალე სუფრა გაშალა, სტუმარი მიიწვია. ორიოდე სადღეგრძელო რომ შესვეს და საჭმელსაც შეექცნენ, ფილიპემ მოსვლის მიზეზი აუწყა ექვთიმეს და შუპეის. ექვთიმემ კარგად უწყოდა, რომ ფილიპე უსაქმოდ არ იქნებოდა მოსული, მაგრამ თვითონ პირველი ვერ შეეკითხებოდა სტუმარს მოსვლის მიზეზს, ქისტური სტუმარ-მასპინძლობა და ზნე-ჩვეულება ამის უფლებას არ აძლევდა.

ფილიპე და ექვთიმე ერომანეთს კარგად იცნობდნენ, ორივეს დიდებული ვაუკაცის სახელი ჰქონდა. ექვთიმე ჩააფიქრა ფილიპეს წინადადებამ და გვიან, საკმაო დაფიქრების შემდეგ გასცა პასუხი:

— შენ ვაუკაცი ხარ და ვაუკაცურად მოხვედი. არ მინდა ისეთი პასუხით გაგისტუმრო, რომ არც შენ გეკადრებოდეს და არც მე. დღეს მარტო ჩემით ვერ გადავწყვეტ ამ საკითხს, უნდა გავითვალისწინო აგერ შუპეის აზრი, ჩვენი ქალიშვილის აზრი, საერთოდ ჩემიანებს დავეკითხები და მერე გიპასუხებ. ამიტომ გთხოვ, საწყენად ნუ მიიღებ და ზეგისოვის გადავდოთ პასუხი.

ფილიპე პირველივე სტუმრობით სხვანაირ პასუხს არც მოელოდა, დიდი მადლობა გადაუხადა ექვთიმეს. სტუმარ-მასპინძელმა კარგად ისადილა და ერთმანეთს დაემშვიდობნენ.

ექვთიმე უპირველესად თავის მეუღლეს შუპეის და ქალიშვილს ძააძეის დაელაპარაკა, თავისიანები შეკრიბა და ფილიპეს მოსელის მიზეზი მოახსენა. ახლობლებმა მოიწონეს ძააძეის საქმროც და ფილიპეს ოჯახიც: მდიდარი ოჯახია, სახელიანი ხალხია. სასიძოც ნასწავლი, განათლებული, ქისტებში პირველი ინსტიტუტდამთავრებული სპეციალისტი იქნება ხე-ტყის დამუშავების საქმეშიო.

— რადგან ასეა, მოხარული ვარ, — თქვა ექვთიმემ და გადაწყდა ძააძეის დანიშვნა აბდულა ბორჩაშვილზე.

ექვთიმეს და შუპეის ექვსი შვილი პყავდათ, ოთხი ვაჟიშვილი და ორი ქალიშვილი. ერთი ვაჟიშვილი იყო ჰაასა, ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობი, ქაქუცას დიდი ძმაკაცი, რომელიც ბაცასთან ერთად წითლებმა მოკლეს. დანარჩენებს ერქვათ: ვაუებს — მიხო, ციქი და აბუი, ქალიშვილებს — ძააძეი და ნაბისათი.

შეუღლების შემდეგ აბდულამ და ძააძეიმ ტკბილი ოჯახი შექმნეს. აბდულა ისევ სწავლობდა, ინსტიტუტი ჯერ არ დაემთავრებინა.

ერთხელ ფილიპემ თბილისში ჩააკითხა ვაჟიშვილს, პროდუქტები და ხილი ჩაუტანა. აბდულამ მამა თეატრში წაიყვანა, სადაც გრიგოლ რობაქიძის პიესას ლამარას უჩვენებდნენ. ფილიპე მოხიბლა სპექტაკლის გმირებმა, ძათმა ვაჟკაცურმა შემართებამ. განსაკუთრებით მოეწონა ლამარა და ამ როლის შემსრულებლის ოამაში.

სოფელში დაბრუნებულმა ფილიპემ თანასოფლელებს გრიგოლ რობაქიძის ამ პიესის შინაარსი უამბო და დასძინა: ჩემი რძალი ფეხმძიმედ არის და, თუ გოგო ეყოლა, აუცილებლად ლამარას დავარქმევო. ის თუ პირიქითელი ქისტი ლამარაა, ჩემი შვილიშვილი პანკისელი ქისტი ლამარა იქნება. იმედი მაქვს, ჩვენი ლამარაც თავისი ერის ღირსეული შვილი დადგება. ბევრი ქალი ვაჟკაცებს არ ჩამოუვარდება და ზოგჯერ მაოზე უკეთესნიც არიანო.

ამაზე ფილიპეს მეგობარმა პაასეი აჭიშვილმა უთხრა:

— ფილიპე, იმ ქისტი ლამარას სახელი შენ ისე მოგწონებია, შესაძლოა, ღმერთმა სურვილი აგისრულოს და გოგო გაგიჩინოს რძალმა. მიხაკო მუთოშვილმაც უსურვა ფილიპეს, რძალს გოგო შესძენოდა, მხოლოდ თუ პანკისელი ქისტი ლამარა იმ ქისტ ლამარას დაემსგავსებოდა.

— უყარგისი არც ქალი ვარგა და არც კაცი, — თქვა ბოლოს ფილიპემ.

— ვინც თავისი ქვეყნის ბედზე და მომავალზე არ ფიქრობს და მის კეთილდღეობაზე არ ზრუნავს, ის ხალხის და სამშობლოს მტერია. საქართველოს ისეთი

შვილები უნდა ჰყავდეს, როგორებიც იყვნენ დავით აღმაშენებელი, პატარა კახი, ქაქუცა ჩოლოყაშვილი და სხვა მრავალი, — დაურთო ფილიპეს ნათქვამს ჰაასეი აჭიშვილმა.

— ფილიპე, ძმაო, შენ ლამარა უფრო მოგეწონა თუ მისი როლის შემსრულებელი? — გაეხუმრა მიხაკო.

— ორივე ერთად, — მიუგო ფილიპემ. — როლის კარგად შესრულებას დიდი ნიჭი და უნარი უნდა. უამისოდ ფასი დაეკარგება ავტორის ჩანაფიქრს, პიესას და პიროვნებას.

ასე იმუსაიფეს მეგობრებმა სოფლის საფისვნოზე კარგა ხანს. შემდეგ ფილიპემ თავისთან მიიწვია ჰაასეი აჭიშვილი, მიხაკო და ვისერგი მუთოშვილები.

ეზოში შესულებს, დაბმული გაავებული ძაღლი ყეფით შეეგება, ჯაჭვის გაწყვეტას ლამობდა. აივანზე რომ შეაბიჯეს, მეზობელი ბებიაქალი შეეფეთათ, იგი ფილიპეს წინ შეჩერდა და მოკრძალებით უთხრა:

— ვაჟია თუ ქალი, ღმერთის მოცემული ყველა კარგია მაგრამ, მაინც გიჭირს თქმა, ეს ხომ თქვენი პირველი შვილიშვილია. გოგო ეყოლა ძააძეის, რა ვქნათ კარგი მახარობელი არა ვარ.

— რაო! — წამოიყვირა ფილიპემ სიხარულით.

— აბა, ერთი გაიმეორე, რა ეყოლა ძააძეის?!

ბებიაქალს ეგონა, ფილიპეს ეწყინა, გოგო რომ შეეძინათ, მორიდებით შეხედა მას და უკან დაიხია.

— აი, ესეც წადილის შესრულება, — თქვეს ერთდროულად მოწვეულმა სტუმრებმაც და გადაიხარხარეს. — ლამარა მოგვევლინა, ლამარა! — აყვირდნენ ყველანი.

მეზობელი ქალი უარესად დაიბნა და თავისთვის დაიჩივლა:

— ღმერთო, შენ მიშველე, ჭკვიანი კაცი გავაგიჟე, ნეტავი სულ არაფერი მეთქვა.

ამის გაგონებაზე სტუმრებმა ისეთი ხარხარი ატეხეს, მთელი სახლი შეაზანზარეს.

— მიშველეთ, ესენი ყველანი გაგიჟდნენ, —დაიძახა ბებიაქალმა და ოთახში შევარდა.

— რა მოხდა? — ჰკითხა მაქეიმ და გარეთ გამოიჭრა. მას ბებიაქალიც გამოჰყვა.

— რა მოხდა და ეს ხალხი გაგიჟდა, — მიუგო ბებიაქალმა.

ფილიპე და მისი მეგობრები სიცილ-ხარხარისგან ძლივს ითქვამდნენ სულს. მათ თავიანთი ქცევით ქალები შეაშფოთეს.

— ჩქარა ხანჯალი! — დაიძახა ფილიპემ.

— ვაიმე, მიშველეთ! ხანჯალი უნდა, ალბათ მე უნდა მომკლას, — მოთქვამდა ბებიაქალი.

— ხანჯალი ჩქარა! თავი უნდა მოვაჭრა, — ყვირის ფილიპე.

— ვის უნდა მოაჭრა თავი, რას ლაპარაკობ, კაცო, ხომ არ გაგიჟდი, — აშშვიდებს მაქეი.

— ჭედილას უნდა მოვაჭრა თავი, ჭედილას! გოგო შეგვეძინა და ჭედილას თავი უნდა მოვაჭრა, — იცინის ფილიპე.

ქალები რაკი დარწმუნდნენ, ფილიპეს მართლა ჭედილასთვის უნდა მოეჭრა თავი, დამშვიდდნენ.

მაქეიმ ხანჯალი გამოიტანა.

სტუმრებმა ქალებს უამბეს, თბილისში რომ ფილიპემ სპექტაკლი ნახა და ქისტი ქალი ლამარა მოეწონა. ახლა ძააძეიმ გოგო გააჩინა და ფილიპე თავის პირველ შვილიშვილს ლამარას არქმევს. ამიტომ კლავს ჭედილასო. ამაზე ქალებმაც ბევრი იცინეს.

ეზოში დიდი ცეცხლი დაანთეს. მსუქანი ჭედილას ხორცი ზოგი ხაშლამად მოხარშეს, ზოგიც შამფურებზე წამოაგეს და მწვადი შეწვეს. აქვე, ეზოში გა-

შალეს სუფრა და გაიმართა სმა-ჭამა დიდად შესარგი. სუფრას კიდევ ბევრი დაპატიჟებულ-დაუპატიჟებელიც მიემატა, ახმიანდა დოლ-გარმონი, გაიმართა ცეკვა-სიმღერა. სადღეგრძელოს სადღეგრძელო მოსდევდა. ფილიპემ პირველ რიგში თავისი შვილიშვილი ლამარა ადღეგრძელა, უსურვა საქართველოსა და ქისტი ხალხის საამაყო შვილი გაზრდილიყო.

ასე მოევლინა 1936 წელს ლამაზ სოფელ ჯოყოლოს მომავალი პირველი ქისტი ექიმი ქალი ლამარა.

ლამარას თავის ცხოვრებაში არც თავისი თავი და არც გრ. რობაქიძის პიესის გმირი, თავისი მოსახელე ლამარა არ შეურცხვენია.

ძააძეი და აბდულა ხარობდნენ თავიანთი სიყრმის შვილით, ალერსს და სიყვარულს არ აკლებდნენ პატარა ლამარას.

1938 წელს აბდულას დედა მაქეი გარდაიცვალა. მაშინ ლამარა ორი წლის იყო. 1939 წელს აბდულამ ინსტიტუტი დაამთავრა და სამუშაოდ რუსეთში წაიყვანა. ოჯახში დარჩნენ მეუღლე ძააძეი, სამი შვილი — ლამარა, ალბერტი და მაყვალა (ეთერი), მამა ფილიპე, უმცროსი ძმა ლაბაზა და და ძააძეი, რომელიც მალე ექიმ ვეტერინარს უსუფ ქუშანაშვილს გაჰყვა ცოლად.

აბდულა რუსეთში მოსკოვის ოლქის ერთ-ერთ სამხედრო ქარხანაში დანიშნეს მთავარ ინჟინრად.

1941 წელს სამხედრო ქარხნის თანამშრომლები ფრონტზე გაიწვიეს. აბდულა, როგორც სამი შვილის მამა და საიდუმლო ქარხნისათვის საჭირო სპეციალისტი, ფრონტზე არ წაიყვანეს. იგი ერთდროულად ქარხნის დირექტორის მოვალეობასაც ასრულებდა და მთავარი ინჟინერიც იყო. ქარხანაში დაიწყეს შორს მსროლელი გამანადგურებლის „კატიუშას“ გამოშვება.

ფილიპემ ომის დროს პანკისიდან მოსკოვის ოლქში

წერილი მისწერა აბდულას, შვილო, მე უკვე დავბერდი, შენი ცოლ-შვილის შენახვა აღარ შეშიძლია, მეუღლე ტიფით გყავს ავად, ჩამოდი შენს ოჯახს მიხედეო.

იმ დროს ასეთი საპასუხისმგებლო და მნიშვნელოვანი იარაღის მწარმოებელი საიდუმლო სამხედრო ქარხნის ხელმძღვანელს და კარგ სპეციალისტს ვინ გაანთავისუფლებდა, ან ვინ აპატიებდა თვითნებურად უპატრონოდ მიეტოვებინა ქარხანა. ამის გამო აბდულა შინ ვერ დაბრუნდა, იქვე დარჩა და იმავე ქარხანაში მომუშავე ექიმი ქალი მარია იაიჩუკოვა შეირთო ცოლად. ახალ მეუღლესთან აბდულას 1943 წელს ვაჟიშვილი შეეძინა, რომელსაც ავთანდილი დაარქვა. ავთანდილ ბორჩაშვილი წლების შემდეგ ექიმი გახდა.

აბდულას მეორე ცოლი მარია იაიჩუკოვა თავის ვაჟიშვილ ავთანდილ ბორჩაშვილთან ერთად ჩამოვიდა ჯოყოლოში. მაშინ აბდულა უკვე ცოცხალი აღარ იყო. მარიამ ავთანდილის და-ძმებს და ძააძეის უამბო, რამ აიძულა აბდულა 1943 წელს საქმე მოეგვარებინა და დაბრუნებულიყო საქართველოში:

— ერთხელ აბდულამ სამსახურიდან ბინაში დამირეკა — საპატიო სტუმრები მომყავს, აბა, შენ იცი, მათთვის შესაფერისი სადილი გაამზადეო. მეც, მოვამზადე რაღაც, რისი საშუალებაც გვქონდა ომის დროს, გაჭირვებაში. სტუმრები ცოტა დაგვიანებით მოვიდნენ. ორნი იყვნენ. ერთი ვიცანი, ლავრენტი პავლეს ძე ბერია იყო. მეორე, სამხედრო — მაღალი წოდების პირისვნება, როგორც შემდეგ გავიგე, მარშალი ტიმოშენკო. სტუმრები სუფრასთან მივიწვიე. აბდულამ მანიშნა, ოთახიდან გავსულვიყავი. მათ ისადილეს და რამდენიმე ხანში ხმამაღალი კამათი შემომესმა. მივვარდი კარს და ჭუჭრუტანაში შევიხედე. ვხედავ, ბერიამ რევოლვერი იძრო, იმწამსვე აბდულამაც ხელში

შეთამაშა რევოლვერი და ბერიას დაუმიზნა. შეშფოთებული ტიმოშენკო მათ შორის ჩადგა და საყვედურის კილოთი უთხრა:

— რას შვრებით, ჩვენ მტერი გვყავს დასამარცხებელი და ქვეყნიდან გასაგდები, ამ დროს კი გინდათ ერთმანეთი დახოცოთ! ტიმოშენკომ ისინი დააშოშმინა. მალე სტუმრები წავიდნენ.

იმ დღიდან აბდულა საგონებელში ჩავარდა, ხშირად ფიქრებში წასული აქეთ-იქეთ აქნევდა თავს. ამის შემდეგ დიდი ხანი არ გასულა და 1944 წლის პირველ ნახევარში სამსახურიდან როგორღაც გაინთავისუფლა თავი, მე და ავთანდილს გამოგვემშვიდობა და საქართველოში გამოემგზავრა.

აბდულა რუსეთიდან პანკისში ჩამოვიდა და თავის პირველ ცოლ-შვილთან დაბრუნდა. ომი კვლავ მიმდინარეობდა. როგორც მთლიანად საქართველოს, ასევე პანკისის ხეობის მოსახლეობას დიდი გაჭირვება ადგა. გლეხებს ხშირად საჭმელად მჭადიც ენატრებოდათ, რომ არაფერი ვთქვათ პურზე და სხვა პროდუქტებზე. გადასახადებსა და დამზადების გეგმებს ვერ აუდიოდნენ. კოლმეურნეობები მარცვლეულის — ხორბლის, სიმინდის მოსავლის უმეტეს ნაწილს სახელმწიფოს აბარებდნენ. კოლწევრებს უნდა გადაეხადათ სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, თვითდაბეგვრის, ხორცის, ერბოს, კვერცხის გადასახადები. შრომადღეებზე თითქმის არაფერი ნაწილდებოდა. ქალები და ბავშვები, მას შემდეგ რაც კოლმეურნეობა ხორბალს მომკიდა და მოსავალს აიღებდა, ნაწვერალზე გადადიოდნენ და მიწიდან თავთავს კრეფდნენ. ხშირად კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, ბრიგადირები და მეველეები მიწიდან აკრეფილ თავთავებსაც კი ართმევდნენ მათ. სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეები, მდივნები

და რაიონის საფინანსო განყოფილების გადასახადების ამკრეფი აგენტები, სასოფლო საბჭოებთან არსებული პირველადი ტერიტორიული პარტიული ორგანიზაციების მდივნები, საბჭოების აღმასკომების აღმსრულებლებიც კი უმოწყალოდ ძარცვავდნენ და აყიწროვებდნენ მოსახლეობას. წელიწადში ორჯერ ხდებოდა პირუტყვის აღწერა. ზამთარში, როცა საქონელი გომურებში ბაგურ კვებაზე პყავდათ, აღმწერი ბრიგადები აღებდნენ ბოსლებს, თვლიდნენ ძროხებს, კამეჩებს, ცხენებს, ღორებს, მოზარდ პირუტყვს, ბოჩოლებს და შეჰქონდათ სახეობათა მიხედვით ცალ-ცალკე სააღრიცხვო დავთარში. გლეხს ერთ მეწველ ძროხაზე მეტის ყოლის უფლება არ პქონდა და იმაზედაც ერბოსა და ხორცის ვადასახადი უნდა ეხადა. ცხვრის გადათვალა საშჯერ ხდებოდა. ჯერ ზამთარში სხვა პირუტყვთან ერთად ბოსლებში ამოწმებდნენ. ზამთარში საზაფთრო საძოვრებზე და ზაფხულში საზაფხულო საძოვრებზე იგზავნებოდა საგანგებო სპეციალური აღმწერი ჯგუფები. ხალხს აღწერების შედეგად გამოვლენილ კანონით გათვალისწინებულ რაოდენობაზე მეტ პირუტყვს ართმევდნენ და დამზადებაში აბარებდნენ.

განსაკუთრებით მძიმე იყო ქისტი ქალების მდგომარეობა. მათ მეუღლეებს და საერთოდ კაცებს უნდა ეკეთებინათ გარეთა საქმეები. ეს იყო: ხვნა-თესვა, შეშის დამზადება-მოტანა, საქონლის მოვლა-პატრონობა. ქალებს კი ევალებოდათ საოჯახო საქმეები: ბავშვთა აღზრდა-ჩაცმა, კაცების ჩაცმულობაზე ზრუნვა, რეცხვა, სისუფთავე, პირუტყვის კვება, საჭმლის კეთება, სიმინდის ოთხნა, მოსავლის აღება, ყანის მკა, პურის ლეწვა, მარცვლეულის გასუფთავება-დაბინავება, ქუდებისათვის ნაბდის დაგება-თელვა, ქუდების კეთება, მეცხვარეებისათვის და ცხენ-მხედართათვის თექა-ნაბ-

ლების დაგება-თელვა, ოთახებში დასაგები ფარდაგების დამზადება. ოჯახებს, სადაც ასეთი მშრომელი ქალები მუშაობდნენ და თავიანთ ქმარ-შვილზე თავდაუზოგავად ზრუნავდნენ, განსაკუთრებით მძიმედ ბეგრავდნენ ფინაგენტები. შეწერილ გადასახადს დროულად თუ ვერ გადაიხდიდნენ, ოჯახებიდან მიჰქონდათ ვირაო — საკერავი მანქანები, სპილენძის ქვაბები, წყლის საზიდი სპილენძის დიდრონი ოუნგები და სხვ. ფინაგენტების გაუმაძღრობას საზღვარი არ ჰქონდა. ისინი აქეთ გლეხობას აძვალტყავებდნენ, იქით მოავრობას ატყუებდნენ და ხაზინას ყვლეფდნენ. ადგენდნენ ფიქტიურ აქტებს, თითქოს აშა და ამ კომლს არ მოეძებებოდა არავითარი შემოსავალი, ცხოვრების სახსარი, ამიტომ მასზე შეწერილი გადასახადი უნდა ჩამოწეროდა. ასეთი აქტები შეჰქონდათ რაიონის საფინანსო განყოფილებაში, იქ გადასახადებს აუქმებდნენ, მაგრამ ფინაგენტები გლეხებს მაინც ასდევნებდნენ გადასახადებს და შეგროვებულ თანხებს საბჭოების, აღმასკომებისა და რაიონის საფინანსო განყოფილებათა მოხელეებთან ერთად ინაწილებდნენ.

რა თქმა უნდა, იმ წლებში ძალიან უჭირდა აბდულა ბორჩაშვილის ოჯახსაც. აბდულამ რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ ცოტა ხანში, როგორც პარტიის წევრმა და უმაღლესი განათლების მქონე ინჟინერმა, სამუშაოს თაობაზე მიაკითხა პარტიის რაიკომსა და რაისაბჭოს აღმასკომს. აღმასკომის თავმჯდომარემ გულგრილად მიიღო აბდულას განცხადება, მიკიბ-მოკიბა იქეთურ-აქეთური, ვნახოთ, დავიცადოთ, ჯერ არაფერი გვაქვსო შენთვის და სხვ. აბდულამ ისმინა, ითმინა, ბოლოს ვეღარ მოითმინა და აღშფოთებით უთხრა:

— რა უნდა გელაპარაკო, პოლიტიკაში ბეცი ხარ! — და გამოვიდა მისი კაბინეტიდან.

პარტიის ახმეტის რაიკომის დავალებით აბდულა 1944 წელს პანკისის სატყეო უბნის უფროსად იწყებს მუშაობას. მომდევნო წლებში დუისის საშუალო სკოლაში ფიზიკისა და მათემატიკის მასწავლებლად მუშაობდა. აქედან პარტიის ახმეტის რაიკომის ინსტრუქტორად გადაიყვანეს. შემდეგ თავისი სპეციალობის მიხედვით ახმეტის სატყეო მრეწველობის კომბინატში პარკეტის გადამამუშავებელი საამქროს უფროსად დანიშნეს. ბოლოს პარტიის დავალებით ჯოყოლოს და ბირკიანის გაერთიანებული ჩამორჩენილი კოლმეურნეობის თავმჯდომარედ გააგზავნეს.

იმ წლებში აბდულამ აქაურ სამ შვილს კიდევ ოთხი შვილი მიუმატა. ახლა უკვე ძააძეის ოთხი ვაჟიშვილი და სამი ქალიშვილი პყავდა. აბდულას კი რუსეთში მყოფი ავთანდილის მიმატებით ხუთი ვაჟიშვილი და სამი ქალიშვილი: ლამარა, ალბერტი, მაყვალა (ეთერი), ავთანდილი, ელდარი, ამირანი, მარგო და ელიზბარი.

მრავალშვილიანი აბდულა უმცროს ძმას ლაბაზას და მამას გაეყარა და სოფელ ჯიყოლოს თავში თემშარის მარცხენა მხარეს თავის მამაპაპეულ მამულში დასახლდა. აქვე აიშენა ქვითკირის ორსართულიანი ექვსოთახიანი ბინა, შეძლებისდაგვარად ავეჯით გააწყო ოთახები და შვილების ნორმალურად აღზრდასა და სათანადო სწავლა-განათლებაზე ზრუნავდა.

* * *

აბდულას სიმამრი ექვთიმე მელიქის ძე ალხანაშვილი წინაპართა მსგავსად მესაქონლე კაცი იყო. მისმა ვაჟიშვილებმა მიხომ, ციქიმ და აბუიმ აგრეთვე მესაქონლეობას მოპკიდეს ხელი. მათი ძირძველი სოფელი ჩხათანა იყო, მაგრამ ბოლო დროს ძირითადად ომალოში ცხოვრობდნენ, ზაფხულში, მთებზე ცხვრის ძოვებისა

და თივის დამზადების პერიოდში, ჩხათანაში ადიოდნენ. ძმათაგან ერთი — ციქი თავისი ცოლ-შვილით ბირკიანში დასახლდა.

ხორეჯიდან და ჩხათანადან ცხვარი და მსხვილფეხა პირუტყვი ჭიქაურისა და ნაქერალას მთების საზაფხულო იალაღებზე აპყავდათ. აბდულას სიდედრი შუპეი ჭკვიანი ქალი იყო. აბდულას სიყრმის შვილი ლამარა ზაფხულობით მეტწილად მასთან იზრდებოდა.

ერთ ზაფხულს ექვთიმე პაპა ჩხათანის ფერდობზე საქონელს მწყემსავდა. ლამარა მის შორიახლო ყვავილებს კრეფდა და ლამაზ თაიგულებად კრავდა. უცებ იქვე, პატარა გორაზე ცხოველი შეამჩნია, რომელიც ზემოდან დაჰყურებდა. ლამარას შეეშინდა და დაიყვირა:

— პაპა! პაპა!

— რა მოხდა, რამ შეგაშინა! — ჰკითხა ექვთიმემ.

— პაპა მგელი, მგელი მიყურებს, აიხედე გორაზე! — შესძახა შვილიშვილმა.

— არა შვილო, ეს მგელი არ არის, ნუ გეშინია! შენსავით პატარა და ცელქი შველია, დაინახე, როგორ შეიკუნტრუშა და ტყეში გაუჩინარდა?

ლამარა ცოტა ხანში დაწყნარდა, კვლავ დაიწყო ლამაზი ყვავილებით აჭრელებულ მწვანედ მობიბინე ფერდობზე თამაში.

ექვთიმე უკვე 75 წლის ხანდაზმული მოხუცი იყო. მის ლამაზ სანდომიან სახეს მოშვებული, თეთრად მოქათქათე წვერი აშშვენებდა. იმ დროს იგი უკვე ომალოში ცხოვრობდა.

1942 წლის გაზაფხულზე ექვთიმემ თავისი პირადი ცხვარი ჩხათანაში გარეკა, წველიდა და ყველს ამზადებდა. ერთ დღესაც, როცა ცხვარი ჩხათანის ფერდობზე იყო შეფენილი, მოხუცი მწყემსი მწვანეზე ჩრდილში

წამოწვა მხაროეძოზე დასასვენებლად. ფიქრებში გართულს ტკბილად ჩაეძინა. ძილში მარცხენა ხელის შუათითზე ნემსის ჩხვლეტასავით ტკივილი შეიგრძნო და გამოეღვიძა, გარშემო მიმოიხედა, მაგრამ ყურაფერი ნახა. მაშინ დიდი ტკივილი არ უგრძვნია, მაგრამ ცოტა ხნის მერე ტკივილმა თანდათან უმატა და ხელიც დაუსიცდა. ტკივილი და სიმსივნე მკლავზედაც გადაუვიდა.

ლამარას, რომელიც მაშინ ექვსი წლის იყო, ახსოვს, როგორ ეეუაკდნენ ვაშლს, პაპას მკლავზე ადებდნენ და ხელს შავი ნაბდის ნაჭრით უხვევდნენ.. შინ მრავალნაირ ბალახს ხარშავდნენ, პაპას ნახარშით ბანდნენ მკლავს და უხვევდნენ, მაგრამ ტკივილი თანდათანობით აუტანელი ხდებოდა. ვერც შინაურმა წამლებმა და ვერც ექიმებმა ვერ შეძლეს ექვთიმეს განკურნება და ყველასათვის საყვარელი კაცი გარდაიცვალა.

როცა მამა რუსეთიდან დაბრუნდა, აქ დროს ლამარა სასკოლო ასაკის იყო. მას მოსწავლის ფორმა უყიდეს და სასკოლოდ გაამზადეს. ლამაზი ფორმით და თეთრი ბაფთით შიუჯდა ლამარა სკოლის მერხს. წლები გადიოდა, სიცოცხლითა და ენერგიით სავსე გოგონა ყველას ყურადღებას იპყრობდა, ნიჭიერი იყო და კარგად სწავლობდა.

აბდულას ბებია, ფილიპეს დედა ანა, ბირკიანელი ანთაშვილების ქალი იყო. აბდულას ხშირად უყვარდა ანა ბებიას გახსენება და მასზე საუბარი. ანა ბებია ძალიან ჭკვიანი და ვაჟკაცი ქალი იყოო, — იტყოდა ხოლმე.

ოჯახურ საქმეებში ბორძას შუდამ გვერდს უმშვენებდა თავისი მეუღლე. მოელ ხეობაში ანას ქება-დიდებას ასხამდნენ.სწორედ ამიტომ ლამარამ თავისი ვაჟის პირველ ქალიშვილს ანა დაარქვა.

აბდულას ბებიას სამი ძმა ჰყოლია: ბოქა, დაადაი

და ხაქეი. ხაქეის და დაადაის რაღაც საკითხზე უთანხმოება ამოსულიათ და წაკინკლავებულან. გაბრაზებულმა ხაქეიმ თავისი წინაპრების გვარი უარყო და თურქოშვილად დაიწერა. ეს გვარი მან სიცოცხლის ბოლომდე ატარა.

ხაქეის და მის ცოლს ნატაშას ხუთი შვილი ჰყავდათ: ოთხი ქალიშვილი და უფროსი ქალიშვილის მარჯანის მომდევნო — ყაჟი შოთა. ჯიუტი და უხიაგი ხასიათის ხაქეიმ ცოლ-შვილი მიატოვა და სტავროპოლში გადაიხვეწა. ნატაშას ხუთი შვილის გაზრდა ძალიან გაუჭირდა. მიუხედავად ამისა, შოთამ მაინც შესძლო დუისის საშუალო სკოლის დამთავრება.

აბდულას უყვარდა საყვარელი ბებიის ძმისშვილი შოთა, ახლოს იყო შოთასთან და მის დებთან. ასევე აბდულას შვილებიც სიყვარულით ეპყრობოდნენ შოთას. 1950 წელს, როდესაც აბდულა ახმეტის ხე-ტყის გადამამუშავებელ კომბინატში მუშაობდა, შოთა მის თანასოფლელ ჟენია ქააძეზე დაქორწინდა. ჟენიას მამა ვასო ქააძე იმ დროისათვის სოფელ ბირკიანის კოლმეურნეობის მესაქონლეობის ფერმის გამგედ მუშაობდა და შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა ქალსა და სიძეს.

შოთას ოცნება იყო სწავლა გაეგრძელებინა, მაგრამ სიღარიბე ამის საშუალებას არ აძლევდა და ამ ოცნებას დროებით თავი დაანება. მან თუშეთის სოფელ დართლოში ჰიდრომეტეოროლოგიურ სადგურში დამკვირვებლად დაიწყო მუშაობა. ცოლიც თუშეთში გადაიყვანა. შოთამ თუშეთში მუშაობა იმიტომ დაიწყო, რომ იქ კარგი ხელფასი ექნებოდა და დანაზოგი ფულით შემდეგში უმაღლესში სწავლის გაგრძელებას შეძლებდა.

1950 წელს გვიან შემოდგომაზე შოთამ ფეხმძიმე მეუღლე დართლოში დატოვა და ბირკიანში ჩამოვიდა,

რათა დედისა და დებისათვის საზამთროდ შეშა და პროდუქტები მოეშარაგებინა. ამ საქმის მოგვარების შემდეგ ისევ დართლოში უნდა დაბრუნებულიყო.

ბარს მწვანე საშოსი შექრელებოდა. წითლად, ყვითლად და მწვანედ გამოიყურებოდა თმააქოსრილი ტყემალე თოვლი მოის მწვერვალებს თეთრით შემოსავდა. შოთამ გადაწყვიტა, დროულად დაბრუნებულიყო თუშეთში, სადაც ფეხშიმე ცოლი და სამსახური ელოდებოდა.

მთებში უკვე თოვა დაიწყო, ზვინებივით აგორებული დიდრონი ღრუბლები მთებისკენ მიიწევდნენ.

— ცუდი ამინდი დადგა, ახლა მთებში მგზავრობა საშიშია, — უთხრეს შოთას ბირკიანელებმა და სთხოვეს, მგზავრობა გადაედო, ვიდრე ამინდი მოიკეთებდა. შოთამ მათ ყური არ ათხოვა, ზურგჩანთა ზურგზე მოიკიდა და ერთგულ ყურშასთან ერთად გზას გაუდგა. გადაიარა წინუბანი, ფიჩხოყანი, ალვანი უკან მოიტოვა და შებინდებისას ლალისყურში შევიდა, სადაც მისი ცოლისდა და ქვისლი ცხოვრობდნენ. ძვირფასი სიძის სტუმრობით გახარებული მასპინძლები მას გულღიად შეხვდნენ, ერთმანეთი მოიკითხეს.

შოთამ ღამე ლალისყურში გააოუნა. იმ ღამეს კარგად იპურმარილეს, დილით გარეთ რომ გავიდა, შოთამ დაინახა, რომ მთელი ღამე ეთოვა. წასვლა მაინც გადაწყვიტა. ცოლისდამ, ქვისლმა და მეზობლებმა ურჩიეს, სანამ ამინდი ცოტათი მაინც არ გამოკეთდება, მოიცადეო, მაგრამ ჯიუტმა და უშიშარმა შოთამ თავისი არ დაიშალა, ზურგჩანთა ‘მოიკიდა და ყურშასთან ერთად მთებისკენ მიმავალ გზას დაადგა.

ლეჩურის შემდეგ მიხვეულ-მოხვეული აღმართი დაიწყო. ბანოს გზაზე შოთას ორი ლეჩურელი მონადირე შემოხვდა.

— გამარჯობა, ახალგაზრდაო, მონადირეს არ ჰგავხარ, რადგან იარაღი არა გაქვს. საით გაგიწევია ამ უამინდობაში? — ჰკითხეს მონადირეებმა.

— თუშეთში მივდივარ, იქ ვმუშაობ, — მიუგო მათ შოთამ.

— კი, მაგრამ ამ თოვლში და სიცივეში რამ მოგაფიქრა ამხელა მთებთან შეჭიდება? ჩვენ ტყიანი ზონის სათავიდან მოვდივართ, იქაც არ იყო კარგი მდგომარეობა და ზევით და ზევით ხომ უარესი იქნება. დაბრუნდი, ჯიუტობას ხშირად სიკეთე არ მოაქვს, — ურჩიეს მონადირეებმა.

— გულობილი რჩევისათვის გმადლობთ, ყველაფერი ღვთის ნებითაა, წასვლა კი აუცილებელია, — თქვა ღიმილით შოთამ.

— რადგან არ იშლი, კეთილ და მშვიდობიან მგზავრობას გისურვებთ, — უთხრეს მონადირეებმა და თავიანთი გზით წავიდნენ.

— თქვენც სიკეთე არ მოგაკლოთ ღმერთმა, — უკან დაადევნა მათ სიტყვა შოთამ და აღმართს შეუყვა.

დიდი აღმართი რომ აიარა, სიარული უფრო გაძნელდა. შოთა შეჩერდა, წრიაპები ფეხებზე ამოიკრა და ისევ განაგრძო გზა. სამხედრო მაზარაზე შემორტყმულ ქამარზე გამობმული ყურშა კვალში მიჰყვებოდა. ყურშა დრო და დრო ყეფდა, გეგონებოდათ, უკან დაბრუნებას ითხოვსო. ჩერდებოდა, წკმუტუნს იწყებდა, პატრონი რომ მოეფერებოდა, ისევ აგრძელებდა გზას, თითქოს გრძნობდა მოსალოდნელ უბედურებას და უწადინოდ მიჰყვებოდა პატრონს.

შოთა ძლიერ ციცაბო ბილიკს მიჰყვებოდა და თოვლის სქელი ფენით დაფარულ დაქანებულ გადასასვლელს უცქეროდა. ეს ციცაბო გადასასვლელი თოვლში კი არა უთოვლობის დროსაც, შიშის ზარს სცემდა ად-

ამიანს. შოთა ხედავდა ყოველ მოსახვევში ხახადაღებულ უფსკრულებს, რომლებიც ახალ მსხვერპლს დარაჯობდნენ.

ბოლოს, შოთამ მიაღწია იმ უფსკრულის თავს, რომელსაც თუშები „ცოდვიან“ ხევს უწოდებდნენ. რამდენი მეცხვარე, პირუტყვი და ბარგი შთაუნთქავს მის გაუმაძღარ ხახას. დიდი ენერგია სჭირდებოდა ადამიანს, რომ ოთვლის სქელი ფენა გაერღვია და ამ ციცაბო ფერდობის ვიწრო ბილიკზე ევლო. შოთა უშიშრად მიიწევდა თოვლის ქათქათა საფარზე, თუმცა ხანდახან წამიერად თვალები უჭრელდებოდა და მხედველობას პკარგავდა. ზოგჯერ ყურშასაც გამოელაპარაკებოდა, აიმედებდა, აი, საცაა გადავლახავთო მთავარ სიძნელეს.

შოთამ, როგორც იქნა, მაღალი ქედის გადასასვლელს მიაღწია. ქედის მწვერვალის სიგანე სულ ერთი მეტრი თუ იქნებოდა, რომლის ორივე მხარეს ციცაბო ფერდობები უფსკრულთა სიღრმეში იკარგებოდნენ. ქედის გადასასვლელზე ქარი თანდათან გაძლიერდა და ბოლოს ქარიშხლად იქცა, უცბად წალეკა ყველაფერი, რაც კი წინ შემოხვდა. ქარიშხლის მიერ ახვეტილი თოვლი ზვავად დაიძრა და ცოდვიანი ხევის უფსკრულისკენ გაექანა. ზვავმა შოთას მთელი ძალით შეაყარა თვალებში დამაბრმავებელი თოვლის ნაკადი. შოთა შეტორტმანდა და თოვლის კორიანტელში გახვეული უფსკრულისკენ დაქანდა ზვავთან ერთად.

ასე დამთავრდა მთებთან და სიცოცხლესთან შოთას ჭიდილი. ცოდვიანმა ხევმა გულში ჩაიხუტა ისიც და მისი ერთგული ყურშაც.

დართლოში შოთას ცოლი ლოდინმა გადაღალა. იცოდა, ქმარი დიდხანს არ დაიგვიანებდა, მაგრამ თითქოს იმასაც გრძნობდა, რომ უბედურება უნდა სწვეოდა და

თვალცრემლიანი გაჰყურებდა სოფლისაკენ მომავალ გზას. დარილოელები ამშვიდებდნენ ლოდინით გადაქანცულ ჟენიას: — თოვლმა ალბათ გზები ჩაკეტა და შეიძლება გზიდან დაბრუნდა, ანდა თავის საქმეები დროზე ვერ მოაგვარა და შეაგვიანდა, ნუ გეშინია, მალე გამოჩნდებაო.

— იმაზე ვნერვიულობ, რომ ვიცი, უკან დაბრუნებას სიკვდილს არჩევს, — ამბობდა ჟენია. იგი დილიდან საღამომდე გაჰყურებდა გზას, რომელზედაც უნდა გამოევლო აქოკენ მომავალ მგზავრს, მაგრამ მგზავრი არ ჩანდა.

ბოლოს, ლოდინით გული რომ გადაეღალა, ჟენიამ მოახერხა რაციით დაკავშირებოდა სოფელ ჯოყოლოს ფოსტას და შეიტყო, რომ შოთა დიდი ხანია თუშეთში წამოსულიყო. ამ ცნობამ ფეხძძიმე ქალს თავზარი დასცა.

ატყდა განგაში, მაგრამ შოთას საძებნელად ხალხი ვერ წავიდა, რადგან ზამთარი იყო და თოვლს შეიძლებოდა სხვაც შეეწირა. ამიტომ გაზაფხულამდე გადადეს ძებნა. თოვლსა და ყინვაში მკვდარი არ გაიხრწნებოდა. დაუსრულებლი ლოდინით გაგრძელდა ზამთარი. ქმრისა და გაზაფხულის ლოდინით გადაქანცულმა ჟენიამ ისევ ფოსტას მიმართა, რომ მეუღლის ამბავი ეცნობებინათ. პასუხი იგივე იყო — გვიან შემოდგომაზე მისი გამგზავრების გარდა არაფერი ვიცითო.

დადგა გაზაფხული. პანკისიდან სამოცკაციანი რაზმი გზას გაუდგა თუშეთისაკენ შოთას საძებნელად. რამდენიმე დღეში უშედეგო ძებნით დაქანცულები უკან დაბრუნდნენ.

შოთას მოულოდნელმა და უგზო-უკვლოდ დაკარგვამ დიდი მწუხარება მოუტანა აგრეთვე აბდულას ოჯახს. განსაკუთრებით წუხდა 13 წლის ლამარა,

რომელსაც ძმებზე ნაკლებად არ უყვარდა შოთა. მისმა ტრაგიკულმა ამბავმა ძალზე ატკინა გული აბდულას. მან ხევსურეთში დაბადებულ და გაზრდილ მოგვარეს მუხმად ბორჩაშვილს სთხოვა შოთას მოსაძებნად თუშეთის მთებში წასულიყო.

მუხმადს მთებში მიუვალი ადგილების დაპყრობის დიდი გამოცდილება პქონდა. მეტსახელად „მგლის მუხლას“ ეძახდნენ. მან ორი საიმედო ამხანაგი გაიყოლა და ნაქერალას მთის გავლით თუშეთში გადავიდა. ქარაფოვანი კლდეების გადავლის დროს მათ ყველაზე საეჭვო ადგილად მიიჩნიეს მთავარი გადასასვლელი ქედის ძირას მდებარე უფსკრული — „ცოდვიანი ხევი“. სამი კაცი ხევის უფსკრულს ჩაუყვა. მთებიდან ჩახვეტილ თოვლს დნობა შესდგომოდა და ქვაღორღში არეული ყინულგადაკრული თოვლის მასის ქვეშ ხმაურით მიედინებოდა წყალი.

მუხმადი და მისი ამხანაგები ცოდვიან ხევში რომ ჩავიდნენ, კიდევ სამი მძებნელი შეხვდათ: შოთას სიმამრი ვასო ქააძე, მისი ვაჟიშვილი სარდიონი და თანასოფლელი კოსტა ცუხურკაიძე. ისინი აღმართში ამოდიოდნენ. ვასომ უთხრა მუხმადს: ცხედარი აქ ყველგან ვეძებეთ, არავითარი კვალი არ ჩანს, საჭიროა სხვაგან ვეძებოთო. მუხმადმა გადაჭრით მიუგო: ცხედარი მხოლოდ ქვემო ზონაში თუ იქნებაო. ძებნა განაგრძეს, ხევისა და ჩახერგილი ზვავის მთელ სიგანეზე გაიშალნენ და ხევს ქვევით ჩაპყვნენ. ერთ ადგილას ხევის ნაპირიდან ნაპირამდე გაწოლილი ყინულის გვირაბის სიგრძე 60 მეტრს აღემატებოდა. ზვავის მარჯვენა მხარეს მზის სხივები უფრო კარგად ხვდებოდა, ამიტომ ეს მხარე უფრო დადაბლებული იყო, ვიდრე მარცხენა. მუხმადმა დადაბლებული მხარე უფრო საეჭვოდ მიიჩნია და იქით გავიდა. წინ მიმავალი სარდიონი ყინული-

დან ამოჩრილ შავ საგანს მიადგა და ფეხი წაჰკრა. საგანი ოდნავ შეტოკდა. სარდიონი დაიხარა, თოვლი აშოთხარა და ეს შავი საგანი ადამიანის მარჯვენა ფეხის ჩექმა აღმოჩნდა. სარდიონმა სხვებს გასძახა — ნუღარ მიდიხართ, აქ ჩექმა ჩანს, მოდით, თოვლი აქ ამოვთხაროთო.

ყველანი სარდიონთან მოქუჩდნენ, თოვლის თხრა დაიწყეს და შოთას გაუხრწნელი გვამი აღმოაჩინეს. მის გვერდით კი ყურშა იპოვეს. იქვე ზვავიდან ცოტა მოშორებით მიწა ამოთხარეს და ყურშა დამარხეს. შოთას ცხედარი დიდის წვალებით მაღლა მთის ბილიკზე აიტანეს და იქიდან ბირკიანში ჩამოასვენეს.

ცხარე ცრემლებით დაიტირეს ცოლმა, დებმა და ახლობლებმა ამდენი ლოდინის შემდეგ ნაპოვნი ძვირფასი ადამიანის ცხედარი. დაკრძალვას თითქმის მთელი პანკისის ხეობის მოსახლეობა დაესწრო.

აბდულა ბორჩაშვილმა თანადგომა გაუწია განსვენებულის ოჯახს და ქელეხში დასაკლავად ხარი მიუყვანა ჭირისუფლის ოჯახს.

შოთას დაკრძალვიდან რამდენიმე ხანში მის მეუღლეს ჟენიას გოგონა შეეძინა, რომელსაც ვენერა დაარქვეს. იგი ჯანსაღი და ლამაზი გოგო გაიზარდა. დედისძმის სარდიონის დახმარებით ისწავლა, საშუალო სკოლა დაამთავრა და რუსეთში სამედიცინო ინსტიტუტში ჩაირიცხა სამკურნალო განხრით. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ საქართველოში, კერძოდ, ახმეტაში დაბრუნდა. აქვე დაოჯახდა. ერთხანს ახმეტის რაისაავადმყოფოს მთავარ ექიმად მუშაობდა. ამჟამად ენდოკრინოლოგად მუშაობს ახმეტის საავადმყოფოში. მისი მეუღლე ავთანდილ თურქიაშვილი, ახმეტის რაიონული მილიციის განყოფილების გამგედ მუშაობდა. ქალბატონი ვენერა ბედნიერი დედა და მეუღლე გახლავთ.

* * *

ჯოყოლოს და ბირკიანის კოლმეურნეობების გაერთიანება-გამსხვილების შემდეგ პარტიის რაიკომმა აბდულა ბორჩაშვილი ჩამორჩენილი კოლმეურნეობის მუშაობის გამოსასწორებლად ახმეტის სატყეო კომბინატიდან მშობლიური ჯოყოლოს კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ გადაიყვანა.

ენერგიული, ნიჭიერი და საქმიანი აბდულა კარგად გაუძღვა დაკისრებულ მოვალეობას. კოლმეურნეობის მოავარ აგრონომად თანასოფლელი სეიდა გუმაშვილი შეარჩია. თავმჯდომარისა და მთავარი აგრონომის ერთობლივმა მიზანმიმართულმა მეცადინეობამ ნაყოფის გამოღება დაიწყო და კოლმეურნეობა აღმავლობის გზას დაადგა.

— მადლობა ღმერთს, ახლა კი ნამდვილად გვეშველება, ხალხის ერთგული და საქმით დაინტერესებული თავმჯდომარე მოგვივიდა, — ეუბნებობდნენ ერთმანეთს კოლწევრები.

* * *

აბდულას მეუღლე ძააძეი ეზოში სარეცხს რეცხავდა. ლამარა ვაშლის ჩრდილში წიგნს კითხულობდა. დედამ ლამარას დაუძახა. დედის დაძახებაზე ლამარა წამოხტა და დედასთან მიირბინა.

— შვილო, იცი, რა მოვიფიქრე? —უთხრა დედამ. — ამ სიცხეში ხეების ჩრდილში ყოფნას, გირჩევნია მთაში წახვიდე და საქონელი წაიყვანო. ზეგ ჩვენი სოფლიდან ახალგაზრდები მიდიან, მათ შორის ჟენია დაქაშვილი, მაყვალა მუთოშვილი, თენგიზ ბორჩაშვილი და სხვები. მთხოვეს, ლამარაც წამოვიდესო, თან ამირანი და ელდარიც გაიყოლე, ქოხში მარტო ხომ არ იქნები.

— კარგია, დედა, როგორ გამახარე, — უთხრა ლამარამ დედას, რეცხვის დროს წინ გადმოწეული თმა უკან გადაუწია და აკოცა.

— მამა ხომ წაგვიყვანს მთაში?

— არა, შვილო, მამაშენს ბევრი საქმე აქვს, ვერ მოიცლის. ერთად ბევრნი იქნებით, გზა არ აგერევათ, ის ახალგაზრდები ყოველ ზაფხულს დადიან მთაში.

— კი, დედა, მაგრამ რომელ მთაში უნდა გავატაროთ ზაფხული, ქოხი სად მექნება?

— ბირკიანელების მთაზე, საყვავის გორზე. მამაშენმა ჩვენთვის ქოხი სწორედ იქ დაადგმევინა.

საყვავის გორი ძალიან ლამაზი მთა არის, საძოვრებითა და წყლებით მდიდარი. სამი მხრიდან აღმართული მთების კალთებზე გაშლილი მწვანე მდელოა, სადაც მოჩუხჩუხებს სამკურნალო წყალი „ეანგა".

მეორე დღეს ლამარამ და დედამისმა ყველაფერი მოიმარაგეს, რაც მათთვის იყო საჭირო: ტანსაცმელი, სურსათი და ჭურჭელი ქვაბებიდან დაწყებული რძის სადღვებ ჩხუტამდე. მესამე დღეს, დილით სავსე ხურჯინები ცხენებს აპკიდეს და ლამარა მთაში მიმავალ თანასოფლელებს შეუერთდა. ახაგაზრდებმა აიარეს ბირკიანზე, ძიბახევზე და საცხენოსინო გზით აღმა აუყვნენ მთებს.

თენგიზ ბორჩაშვილი იმ დროისათვის თბილისის ფარმაცევტული ინსტიტუტში სწავლობდა. სოფელში ახალგაზრდებისა და ბავშვების მეგზური და ხელმძღვანელი ის იყო. ყოველ წელიწადს საყვავის გორში დადიოდა დასასვენებლად და გზა კარგად იცოდა.

მდინარე ბაწარულაში გასვლის დროს ლამარამ თენგიზს წინ გაუსწრო და ცხენი წყალში შეაგდო. ლამარას მოუსვენარი მაყვალა მიჰყვა. მის ცხენს ფეხი წაუბორძიკდა და ცხენმაც და მაყვალამაც წყალში ზღართანი მოადინეს. მაყვალას მისაშველებლად თენგიზი ცხენიდან ჩამოხტა, მაგრამ სანამ მიეშველებოდა, მაყვალამ მეორე ნაპირზე გასცურა. გაღმა გასული

ლამარა ცხენიდან ჩამოხტა და მეორე ნაპირზე მყოფ ამხანაგებს გასძახა:

— ამ სიცხეს წყალი მოუხდება, მოდით ვიბანაოთ, — დაიძახა და ტანსაცმლიანად წყალში გადახტა. გაღმა გასვლისთანავე სხვებმაც მიბაძეს და დაიწყეს წყალში ჭყუმპალაობა.

თენგიზმა ცოტა ხანს უყურა მათ და თქვა: გიუების მეთაური თუ მათზე გიჟი არ არის, რაღა მეთაურიაო, და ისიც გადაეშვა წყალში. როცა ბანაობა და სიცილ-ხარხარი მოიწყინეს, ტანისამოსის შეშრობის მიზნით ფეხით გაუყვნენ აღმართებს სიმღერებითა და მხიარული შეძახილებით.

მგზავრებმა ზურმუხტისფრად ამწვანებულ და ნაირნაირი ყვავილებით აჭრელებულ ბებრისტაფში შეისვენეს. ცხენები საბალახოდ გაუშვეს და თვითონ მოჩუხჩუხე წყაროსთან გაიქცნენ, რომ მგზავრობით დაღლილებს ცივი წყლით გაეგრილებინათ გული. შემდეგ სუფრა გაშალეს და გემრიელად ისადილეს. ნასადილევს მთის ლამაზი ყვავილები დაკრიფეს, თაიგულებად შეკრეს. ბოლოს ცხენებზე ამხედრდნენ და ტბათანის აღმართს შეუდგნენ.

მთა ტბათანა თუშების საზაფხულო დასასვენებელი ლამაზი ადგილია. საცხოვრებელი ოთახები გზის მარჯვენა და მარცხენა ნაპირზეა აშენებული. ჩვენი მგზავრები ბინებს შუა გამავალ გზას გაუყვნენ. ადგილ-ადგილ ჯგუფ-ჯგუფად დამსვენებლები ხვდებოდათ. თუშის ქალები საუბრითა და ჭრელი წინდებისა და ჩითების ქსოვით ირთობდნენ თავს. სხვაგან მხიარული გოგო-ბიჭების გუნდი სიმღერითა და ცეკვა-თამაშით ხალისობდა. ამაყად ყელმოღერებული თუშის ქალი რომ გასწევს გარმონს და თან ნაზ ხმას ააყოლებს, ძალზე ტკბილი მოსასმენია.

ახალგაზრდა მგზავრებს თუშები გულკეთილად შეეგებნენ, სახლებშიც კი შეიპატიჟეს. ახალგაზრდებმა დიდი მადლობა მოახსენეს და გზა განაგრძეს, რადგან საყვავის გორი ყველაზე შორი მთაა ამ მხარის მთებში. ისინი გასცდნენ ტბათანის თეალწარმტაც სილამაზეს და ცათამბჯენი კლდის ძირში მდებარე ტბასთან შეჩერდნენ. იქიდან კვლავ მიხვეულ-მოხვეულ და პიტალოკლდოვან ბილიკებს შეუდგნენ. მწვერვალი გადალახეს და მსუყე ბალახით დაფარულ ქედს გაჰყვნენ. ამ სიმაღლიდან ტბათანა ხელისგულივით მოჩანდა. დასახლების გზის ორივე მხარეზე ჩამწკრივებული ქოხები კი ხეებზე გამართულ სამტრედეებს მოაგონებდათ. ქედის მარჯვენა მხარეზე გადმოსჩქეფს ყინულივით ცივი წყლით ცნობილი საქისტოს წყარო, რომელსაც ალვანელმა იოსებ ლონგიშვილმა ლექსი უძღვნა:

„საქისტოს წყარო ანკარავ,
ნუთუ ვერ დაგლევ კიდევა,
მომაგონდები, ტიალო,
გულს ცეცხლი მომეკიდება“.

მაგარი გულისა და ყელის პატრონია ის, ვინც საქისტოს წყაროს სამ ყლუპზე მეტს დალევს. სამი ყლუპიც კი ადამიანს ბურძგლავს და ტვინში ურტყამს. ვინც გაბრიყვებულა და ამ წყაროთი წყურვილის მოკვლა დაუპირებია, ციებ-ცხელებით ლოგინში ჩავარდნილა.

თენგიზმა იცოდა ამ წყაროს საიდუმლო და თანამგზავრები გააფრთხილა, სამ ყლუპზე მეტი არ დალიოთო. საქისტოს წყარო იგემეს, ყველას ტანში სიცივემ დაუარა, ეცნენ თავიანთ ბარგს, თბილი ტანისამოსი

ამოიღეს და ჩაიცვეს. გზა ისევ განაგრძეს დაკლაკნილი ბილიკით და დიდტაიში ჩაიყვანეს. თავდაღმართში მუხლმოკვეთილი ცხენები ცოტა დაასვენეს.

ისევ დაიწყო დაღმართი და მიხვეულ-მოხვეული ბილიკი, რომელიც აყვავებულ და მზეში გაფენილ ხალიჩასავით მთის ყვავილებისგან აჭრელებული საყვავის გორის მთასთან მთავრდება.

საყვავის გორის დამსვენებლებმა, მწყემსებმა და მწველავებმა შეძახილებით აახმაურეს მთის კალთები. მორცხვი პატარძალივით მიებსა და გორებს იქით ჩასამალავად გამზადებულმა მზემ უფრო მოიბურა პირბადე და მთებს მოეფარა.

ვინც კი საზაფხულოდ მთაში წასულია თვეობით, მოუთმენლად მოელის გზაზე მგზავრის გამოჩენას, რადგან ძალიან აინტერესებს ოჯახების, სოფლისა თუ ქვეყნის ამბები. პატარებს კი მგზავრების მოსვლა იმიტომ აინტერესებთ, რომ ბარიდან ისინი ისე არ ამოვიდოდნენ, პირის ჩასატკბარუნებელი ხილი არ ამოეტანათ. გზავრები დაკლაკნილ ბილიკზე თავქვე დაეშვებოდნენ თუ არა, ბავშვებიც მაშინვე ყივილ-ხივილით გამოეშართებოდნენ მათკენ. ასე გამოეშართნენ ახლაც, მხიარულად შეხვდნენ ახალგაზრდებს და წინ გამოუძღვნენ. საყვავის გორში მყოფი დიდი და პატარა გარეთ გამოეფინა და მოლოდინას ქვაღორღიან გორას ჩამოცილებულ სტუმრებს მიაცქერდნენ.

— ნეტავი ვინ არის წინ რომ მოდის? — შეეკითხნენ ერთმანეთს ქალები.

— რა ლამაზი ახალგაზრდაა, — თქვა ერთმა თუშის ქალმა.

— კარგი სასიძო ჩანს, მაგრამ ჩვენს გოგოებს არ იკადრებს, — დასძინა მეორემ.

— ის ხომ ჩემი ძმა თენგიზია, — თქვა დარიკომ და შესაგებებლად ადგილიდან მოსწყდა. მივარდა თენგიზს და კისერზე ჩამოეკიდა. მათ ერთმანეთი გადაკოცნეს, მოიკითხეს და გზა განაგრძეს. მოსულებმა და დამსჯდურებმა ყველაფერი გამოიკითხეს, რაც აინტერესებდათ.

მასპინძლებმა სახელდახელოდ ხაჭაპურები გამოაცხვეს და ხინკალი მოხარშეს. საუზმეს დიდი სიამოვნებით შეექცნენ სტუმრები და მასპინძლები.

ლამარამ წრიულად ჩადგმულ ქოხებს შეხედა და თქვა: მოდი რამე სათამაშო მოვიგონოთო.

— რა ვითამაშოთ? — იკითხა მაყვალამ და ლამარასთან ახლოს მივიდა. ლამარამ შეხედა მის გაცრეცილ სახეს და უთხრა:

— შენ რა, ხომ არ გცივა?

— ძალიან მცივა.

— თბილიად ჩაიცვი, მთას ნუ ეხუმრები.

— თბილად მაცვია, მაგრამ მაინც მცივა.

მაყვალას ციებ-ცხელებამ შეუტია და თამაში არ შეეღვა. ის ქოხში შეიყვანეს, ლოგინში ჩააწვინეს და საბანი დაახურეს, მაგრამ მაინც ვერ გაათბეს. კბილს კბილზე აცემინებდა. ლამარა მაყვალას თავს დასტრიალებდა, არ იცოდა, როგორ გაეთბო დასავით ძვირფასი უმცროსი მეგობარი. მაყვალა კი სიცივისგან ლოგინში ხტოდა და ერთ ადგილაზე ვერ ისვენებდა.

— რა მოგივიდა, დაწყნარდი, — ეჩხუბებოდა ლამარა.

— ლამარა, როგორ მიყვარს, როცა მეჩხუბები, — ლუღლუღებდა მაყვალა.

— მიყვარხარ, შე მეტიჩარა, ოინბაზო, და იმიტომ გეჩხუბები. მთაზე დასასვენებლად ამოვედი, თუ შენ სამკურნალოდ? ექიმობაზე კი ვოცნებობ, მაგრამ ხომ ხედავ ჯერ ექიმი არა ვარ.

— პრაქტიკა ჩემზე გაიარე და მერე დიპლომს დაიცავ. ბა-ბა-ბაა, მციყა, მიშველეთ!

— ღირსი ხარ, ღირსი, ბაწარის წყალში პირველმა შენ იბანავე და ჩვენც გვაბანავე. საქისტოს წყაროზედაც გაგაფრთხილეს, ბევრი არ დალიოთ, მაგრამ შენს თავში არაფერი შეკიდა. მაინც ჯიბრით ისე ბლომად დალიე, ახლა იწექი და იბაბანე, რამდენიც გინდა!

ბოლოს მაყვალას ციებამ გაუარა, ცოტა სიცხე მისცა და ერთ-ორ დღეში სრულიად გამოჯანმრთელდა.

საყვავის გორის საცხოვრებელი ქოხებიდან ასიოდე მეტრის დაშორებით დაღმართი იწყება. შემდეგ გადაქიმულია მწვანე ბალახით აბიბინებული და ლამაზი ყვავილებით მოქარგული ნამარილევი გორა. ამ ულამაზესი გორის იქით იწყება მაღალი ტყით დაფარული მთის კალთა, რომელიც მღინარე ილტოს სათავისკენ ეშვება. მწყემსები ოდითგანვე ამ გორაზე აჭმევდნენ ცხვრის ფარებს მარილს; ალბათ ამიტომაც უწოდეს ნამარილევი გორა.

ეს მთა თუ ზამთარში დადუმებულია და მხოლოდ ზვავთა ნახმევი აფხიზლებს, გაზაფხულზე და ზაფხულშემოდგომაზე თოვლივით თეთრად გაშლილი ცხვართოსლისა და მსუყე ბალახით ვალაღებული საქონლის ასპარეზია. ისმის დოლ-გარმონის ხმა, მღერიან, ცეკვავენ. აქა-იქ შექუჩებული დიაცები ხელსაქმით ეროობიან: ზოგი ჩეჩავს მატყლს, ზოგი ართავს, ზოვიც ქსოვს და მასლაათობენ ამ წუთისოფელზე, წარსულზე, დღევანდელობაზე და მომავალზე.

* * *

იმ დღეს წყნარი, სასიამოვნო ამინდი იდგა. ტყიდან კბილებამდე შეიარაღებული აბრაგთა ჯგუფი გამოვიდა. ეს აბრაგები იყვნენ: ჩოქა ხოჟაევი, მუსა ხუნარი-

კოვი, სეიდ ხოჟაევი, აბდულ ქერიმოვი, მუხმად ისრაილოვი და სულ ბოლოს ყველა'ზე ახალგაზრდა ფეიზული მოდიოდა.

ფეიზული 1954 წელს მაღრაანის ტყეში ახმეტის მილიციამ მოკლა. მა'ში ფეიზულთან ერთად იყო ცნობილი აბრავი ახმად ხუშპაროეი. მან მილიციელთა ალყა გაარღვია და საპასუხო სროლით ახმეტელი მილიციელი სასიკვდილოდ დაჭრა, ხოლო პარტიზანი ძიბახეველი იბო ცათიაშვილი მუხლში დაჭრა და გაეცალა მაღრაანის ტყეებს.

დამსვენებლებს აბრაგთა ჯგუფი რომ მიუახლოვდა, ყველანი ფეხ'ზე წამოდგნენ. მოსულებმა შეამჩნიეს, რომ დამსვდურებს შეეშინდათ, და უთხრეს:

— შიაქ და მაბოვლათ! — არ შეგე'შინდეთ, ჩვენ საშიში ხალხი არა ვართო.

დამხვდურებმა მადლობა გადაუხადეს, დასხდომა სთხოვეს და თვითონაც დასხდნენ.

წყნარმა, გულთბილმა საუბარმა დააწყნარა დამსვდურნი და ისინიც საუბარში ჩაებნენ.

წარმოსადეგმა და ლამაზი შესახედაობის ჩოქა ხოჟაევმა თქვა:

— ჩვენსა და სხვა აქაურ ყაჩაღებს შორის დიდი სხვაობაა. ჩვენ ყაჩაღები კი არა, მთავრობისგან სახლკარწარიმეული ხალხი ვართ, ტყე'ში გასული იმისათვის, რომ ცხვრებივით არ გავერეკეთ ციმბირ'ში, სადაც ჩეჩნეთ-ინგუშეთის 33 რაიონის ხალხი სიცივით და შიმშილით ისოცება. 1944 წელს, ჩვენი ხალხის გადასახლების დროს, ვინც გადასახლებას თავი დავაღწიეთ, ნადირივით ტყეს 'მევეფარეთ. ვებრძვით მხოლოდ იმათ, ვინც არ გვასვენებს და ვინც ამ დღე'ში ჩაგვაგდო, ეიცავთ ჩვენს სიცოცხლეს. არავის ვესხმით თავს და არ ვდევნით. დარწმუნებული იყავით, ვინც ჩვენ დაგვინ-

დობს, მათ ჩვენგან არავითარი საშიშროება არ მოელის. მოგვწყინდა წვიმაში, თოვლში ღღეღაღამ ნადირივით წანწალი და გვინდა მთავრობას შევურიგდეთ, თუ კი ხელს არ გვახლებს და ჩვენთვის სასურველ ადგილზე პატიოსანი ცხოვრების საშუალებას მოგვცემს. გვინდა ამის საოქმელად მთავრობასთან სანდო ადამიანი გავგზავნოთ, მაგრამ ნდობაც საშიშია. კაცს კარგად უნდა იცნობდე, რომ ენდო.

ამის თქმაზე ჩოქამ ახალგაზრდა მასწავლებელ ქალს ბააზეი ბორჩაშვილს გახედა. ბააზეის მისი დაკვირვებული მზერა არ გამოპარვია, სახეზე სიწითლემ გადაპკრა, თავი ჩაღუნა, მიწას დააცქერდა და გაინაბა.

იმ დღის შემდეგ შეიარაღებული აბრაგთა ჯგუფი ხშირი სტუმარი იყო საყვავის გორისა. ნამარილევ გორაზე ერთობოდნენ სიმღერითა და ცეკვით. ერთხელ ჩოქამ მის პირდაპირ მდელოზე მჯდარ შავგვრემან და ლამაზ ტანსრულ მაყვალას შეხედა და უთხრა:

— ცოლად არ გამომყვები?

მაყვალას სიმორცხვისგან ღაწვებზე ვარდისფერმა გადაპკრა და უპასუხა:

— აბა, როგორ გეკადრება, მე ჯერ თოთხმეტი წლისა ვარ მხოლოდ.

— აა, მაშ დიდი რომ იყო უარს არ მეტყოდი ხომ ცოლობაზე? — პკითხა ღიმილით ჩოქამ და ყველამ ერთხმად გადაიხარხარა.

სეიდა სოჟაევმა დურბინდი ბუდიდან ამოიღო და ხევგაღმა აღმოსავლეთის მხარეს არყიან ფერდობს გახედა. ერთ ადგილს დააკვირდა და დათვი დაინახა, რომელიც თაყვე ეშვებოდა, საითაც საქონელი ბალახობდა. სეიდამ დურბინდი ჩოქას გადასცა და ხელით ის ადგილი ანიშნა. სადაც დათვი მიდიოდა.

— ეს პირუტყვისა და ხალხის დაუძინებელი მტერი,

ხედავ, საით მიძუნძულებს? მინდა ამ აკაზაკს ტყვიით ველაპარაკო, — თქვა ჩოქამ, თოფი აიღო და დაუმიზნა. თოფის ქუხილს დათვის ღრიალი მოპყვა; დათვი დაგორდა და ჭყირტლიანში დაეცა.

— როცა დათვმა ჩვენკენ მოიხედა სასხლეტს თითი იმ დროს გამოვკარი, პირდაპირ თავში მოხვდა, ის უკვე საშიში აღარ არის, მკვდარია. მწყემსებო, ხორციც თქვენი იყოს და ტყავიც, — უთხრა ჩოქამ მწყემსებს.

ფერმის მწყემსებმა ცხენები შეკაზმეს, ხურჯინები გადაპკიდეს და იქით წავიდნენ, სადაც მოკლული დათვი ეგულებოდათ. მათ დათვი იქვე გაატყავეს და ხორცითა და ტყავით დატვირთულნი ბინაში დაბრუნდნენ.

საღამო სანი იყო. პირუტყვი უკვე ბინებისკენ მოდიოდა. მოაგარაკენიც, ნამარილევი გორიდან დაბრუნებულნი, საღამოს თადარიგს შეუდგნენ

ღამით ცა საშინელი შავი ღრუბლით დაიფარა, ატყდა ჭექა-ქუხილი და გაწვიმდა. მთელი ღამე გადაუღებლად წვიმდა. მხოლოდ მეორე დღეს გამოიდარა. წვიმიან ამინდში მოაგარაკენი და მწველავები ქოხებში საქმიანობდნენ.

იმ წვიმიან დღეს ლამარა და მაყვალა ადრე ჩაწვნენ ლოგინებში და დაიძინეს. ლამარას ძილში ჩაპყვა ნამარილევი გორა, ჩოქას საუბარი. როცა გამოეღვიძა, მიმოიხედა და ნახა, რომ ნამარილევი გორის ნაცვლად ლოგინში იწვა. მან ჩუმად თავისთვის ჩაილაპარაკა:

— რა კარგია მრავალტანჯული და ვაებაგამოვლილი ადამიანების საუბრის მოსმენა. ეს სიბრძნის დიდი სკოლაა, საიდანაც ადამიანი სასარგებლო ცოდნას იღებს.

მაყვალა ლამარასკენ გადმობრუნდა და შეეხმიანა:

— ლამარა, რა დაგემართა, სიცხე ხომ არა გაქვს? ციებ-ცხელებამ მე რომ მიმატოვა, შენთან გადმოინაცვლა? მთამ, ეტყობა, შენც დაგცადა. რას ბოდავ, ერთი ამოისუნი.

— არ ებოდავ, არც სიცხე მაქვს, ვაზროვნებ ნორმალურად! ჩემი ოცნებაა, გავხდე ექიმი. გესმის, მაყვალა? ვებრძოლო დაავადებებს.

— თუ არა ვცდები, ლამარა, შენ მართლა სიცხე გაქვს და მართლა ბოდავ, წამალს მოგცემ. მთა სიკეთის მომტანიცაა და ცუდისაც.

— მაყვალა, იცი რა, წეღან სიზმარში ვნახე ჩემი ლურჯა ცხენი წაიქცა, ადგომა სცადა და ვერ წამოდგა. მინდოდა წამომეყენებინა, ვერც მე წამოვაყენე, ერთი დაიჭიხვინა, ფეხები გაჭიმა და სული განუტევა.

— სიზმრებს ნუ აპყვები, რას არ ნახავს სიზმარში ადამიანი, დაწყნარდი, დაიძინე, —უთხრა მაყვალამ მეგობარს და გვერდი იცვალა.

— მე შენზე 3 წლით უფროსი ვარ, შე ცხვირმოუხოცავო, შენ კი ისე მარიგებ ჭკუაზე, თითქოს შენზე პატარა ვიყო.

— მართალი ხარ, აკვანში მწოლიარეს ნანას მიმღეროდი, კარგად მახსოვს, — მიუგო მაყვალამ ღიმილით და გაჩუმდა.

შეუმჩნევლად მიფრინავდნენ დღეები.

ბინების წინ საკმაოდ დიდი ფართობი იყო, სადაც ახალგაზრდებმა გასართობი მოედანი გამართეს და ყოველ საღამოს ცეკვა-სიმღერით ირთობდნენ თავს. განსაკუთრებით საამო მოსასმენი ღამის მყუდროებაში თუში ქალის მიერ გარმონზე დამღერებული თუშური სიმღერები იყო. მეგარმონე კანუშა ცუხურკაიძემ გაწელა გარმონი და თუშურ მელოდიას ნაზი ხმით ააყოლა:

'ხევდან გადმომდგარიყო
ქალი ლამაზი თმიანი,
თან ამაყადაც მღეროდა
შურთხივით ნაზი ხმიანი...

მოედნის შუაგულში ახალგაზრდებმა ქისტური და თუშური ცეკვები გააჩაღეს. როცა ერთმა მოცეკვავეთა წყვილმა ცეკვა დაამთავრა, ლამარა წრეში გამოვიდა, კანუშა ცუხურკაიძეს შესძახა, დაუკარიო, წრეს ლამაზად შემოუარა ტანის რხევითა და ხელების მოხდენილი მოძრაობით და თენგიზის წინ გაჩერდა, სათამაშოდ გაიწვია. თენგიზმა დიდხანს არ ახვევწინა და მოხდენილად ჩაბუქნა ლამარას წინ. თენგიზისა და ლამარას ცეკვამ მაყურებელი აღაფრთოვანა და ისინი მქუხარე ტაშით დააჯილდოვა.

უცებ ბავშვების შეძახილები გაისმა:

— მოდიან, მოდიან!

— რა აშბავია, ბავშვებო, ვინ მოდის?

— გაიხედეთ ნამარილევ გორაზე და დაინახავთ! — მიუგეს უფროსებს ბავშვებმა და მოშავალი მგზავრებისკენ გაიქცნენ.

აბრაგთა შეიარაღებული ჯგუფი ისევ ეწვია საყვავის გორს. დამხვდურებიც გულთბილად შეხვდნენ. ზეიმი განახლდა. ახალგაზრდების ჯგუფს ლამარა გამოეყო და შეგარშონეს სთხოვა, ქისტური საცეკვაო დაუკარიო. შემდეგ წრე შემოუარა და ჩოქა ხოჟაევი გამოიწვია საცეკვაოდ.

ჩოქამ რომ ცეკვა დაიწყო, ლამარამ ბააზეი ბორჩაშვილს სთხოვა, სტუმართან ეცეკვა. ბააზეიმ გაიღიმა, მოცეკვავეს შესედა და მოხდენილად გაშალა მკლავები. მათი ცეკვის დროს ლამარამ სეიდას უთხრა, მაუზერი მათხოვეო. სეიდამ უარი ვერ უთხრა. ლამარამ სამი ტყვია ზედიზედ გაისროლა ჰაერში მოცეკვავეთა პატივსაცემად. მაუზერის ხმას ტაშის ხმა და შეძახილები მოჰყვა. ჩოქამ და ბააზეიმ ცეკვა რომ დააამთავრეს, ერთდროულად რამდენიმე გასროლამ საყვავის გორის არემარე შეაზანზარა. ეს ამ ლამაზი წყვილის

სიყვარულის და მათი მომავალი შეუღლების მაცნე იყო. ლამარას ვაჟკაცურმა საქციელმა უფრო მეტად გაამყარა ჩოქას და ბააზეის სიყვარული.

— ვინ გასწავლა იარაღის ხმარება? — შეეკითხა ნატო ლამარას.

— მამაჩემმა. კაცია თუ ქალი, თავდაცვა ყველას უნდა შეეძლოს, — ამაყად განაცხადა ლამარამ.

აგვისტოს მეორე ნახევარში დამსვენებლები, რომელთაც ახალი სასწავლო წელი ეწყებოდათ, ბარში დასაბრუნებლად სამზადისს შეუდგნენ. ზაფხულში დამუნჯებული სკოლის ზარი კვლავ უნდა ასმიანებულიყო.

მაყვალას მოუთმენლობა ეტყობოდა, ბარში დაბრუნება ეჩქარებოდა. ლამარას საყვარელი ლურჯასათვის ლაგამი ამოედო და ქოხის გვერდზე გამოება, ბეწვს უსუფთავებდა და ეალერსებოდა. თენგიზი მიუახლოვდა და ჰკითხა:

— ხვალ ხომ მივემგზავრებით?

— აუცილებლად, ყველა მზად არის; გული მწყდება, ხვალ რომ მთას ვეთხოვები, მაღალი მთების სუფთა ჰაერი, ლაღი ბუნება განუმეორებელი ბედნიერებაა ადამიანისთვისაც და პირუტყვისთვისაც. ასე რომ არ იყოს, განა საქონელს ყოველ ზაფხულში მთაში გარეკავდნენ? ნეტავი, მე და ჩემი ლურჯა თუ კიდევ ვიხილავთ ერთად ბუნების ამ განუმეორებელ სიდიადეს!

— რატომ, ლამარა, ასე რად გადაგიწურავს იმედი, რა გჭირს?

— წინათგრძნობა მაქვს ასეთი, თენგიზ.

— ნუ ხარ გულგატეხილი.

— იმიტომ ვარ გულგატეხილი, რომ ცუდი სიზმარი ვნახე.

მეორე დღეს ახალგაზრდების ჯგუფი მოლოდინას

ქვაღორღიან დაკლაკნილ ბილიკს შეეკიდა. აღმართი აათავეს, დიდტაფში ავიდნენ და იქიდან საქისტოს წყაროსთან მივიდნენ.

— მოდით, ერთხელ კიდევ დავლიოთ ეს ყინულივით წყაროს წყალი, — თქვა ლამარამ და პირველი დაეწაფა წყალს. მე სამი ყლუპი დავლიე, შენ ერთის მეტს ნუ დალევ, თორემ ცუდი სიმთვრალე იცი, — გაეხუმრა მაყვალას.

მაყვალას სახის ნაკვთები და მაღალი ტანი ისედაც ლამაზი ჰქონდა, მაგრამ საყვავის გორის სუფთა ჰაერსა და წყალს ისე დაემშვენებინა, მნახველი აღტაცებაში მოჰყავდა. მან მართლაც ვერ გაბედა ბევრის დალევა და ერთი-ორი ყლუპით დაკმაყოფილდა. ყველამ ცოტ-ცოტა დალია ანკარა წყალი და დაკლაკნილი ბილიკით ტბათანის ზურმუხტოვანი მთისკენ დაეშვნენ. როცა კლდეებში გაჭრილი დაკლაკნილი ბილიკი ჩამოათავეს და შედარებით სწორ და ვაკე ადგილას ჩამოვიდნენ, ლამარამ თქვა:

— აქედან ტბათანის დასახლებამდე კარგა მანძილია და კარგი საჯირითო ტრასაა. ვსინჯოთ, ვისი ბედაური აჯობებს და ასახელებს თავის პატრონს. აბა, განვლაგდეთ!

როცა მხედრები ტბათანის თავში სტარტზე დგებოდნენ, ქოჩადალას მთის ფერდობიდან შემოესმაო ძახილი: ჰე-ჰე-ჰეე! ყველამ იქით მიიხედა. ქოჩადალიდან ჩეჩნურად იძახდნენ:

— „ნიყ დიქ ხილბაშ, დაალა მორჩალლა ლუალდ შუნ," რაც ნიშნავდა — „მშვიდობიან მგზავრობას გისურვებთ, ღმერთმა მშვიდობა მოგცესთ."

გზავრებმა ჩოქას ხმა შეიცნეს და ხელების აწევით და მანდილების ფრიალით გადაუხადეს მადლობა. ისევ ჩოქას ხმამ დაჰფარა სივრცე:

— ჯირითის დაწყების მაუწყებელი ჩემი გასროლა იქნება.

იქუხა თოფმაც და ცხენები ადგილს მოსწყდნენ. ამას მოპყვა აბრაგთა ავტომატების გამოსამშვიდობებლი კაკანი.

საყვავის გორის მსუყე ბალახით გალაღებულ ცხენებს ახალგაზრდები ტბათანის დასახლებისკენ მიაქროლებდნენ. ბედაური, რომელსაც თავდაუზოგავად მიაქროლებდა პატრონი, ლამარას ლურჯა იყო. მან პირველობა დაისაკუთრა.

ტბაოანის დამსვენებლები, დიდი და პატარა გორაზე გამოიშალა. შეშფოთებულნი ცხენოსნებს ეკითხებოდნენ: ვინ მოგდევთ, ამ თავდაღმართზე ცხენებს თავდაუზოგავად რომ მოაჭენებთ, თავსაც და ცხენსაც საფრთხეში რად აგდებთ, რა მოხდა, არ იტყვითო? კითხვებზე მგზავრებმა გულიანად გაიცინეს.

— ჩვენმა ძმებმა ზალპით გზა მშვიდობისა გვისურვეს, — მიუგო შეშფოთებულ ხალხს ლამარამ.

* * *

1954 წლის შემოდგომა გულუხვი და მადლიანი გამოდგა. აბდულა ბორჩაშვილის თავმჯდომარეობის წყალობით ჯოყოლოსა და ბირკიანის გამსხვილებული კოლმეურნეობის ხალხმა შედარებით თავისუფლად ამოისუნთქა და უკეთესობის მტკიცე იმედი მიეცა.

სოფელ ჯოყოლოში სეიდა გუმაშვილის ძმის ხარებას მეზობლად ცხოვრობდნენ შატილის რაიონის სოფელ მუცოდან ჩამოსახლებული ბიძა-ძმისწული ლოომუ და საგეი ბორჩაშვილები.

კოლმეურნეობის მთავარმა აგრონომმა სეიდა გუმაშვილმა საგეის ქალიშვილი შეირთო მეორე ცოლად, რამდენიმე კვირის შემდეგ ყოველგვარი ქისტური ადათ-

წესების შესრულების გარეშე მიატოვა და მამის ოჯახს დაუბრუნა. ეს საგეიმ და ლოომუმ, მათმა ახლობლებმა, ოჯახის და საგვარეულოს აბუჩად აგდებად მიიჩნიეს.

სეიდას ახლობლები და გულშემატკივრები ურჩევდნენ ქისტური ადათ-წესები შეესრულებინა და ურვადი გადაეხადა, შემოერიგებინა ცოლოურები. სეიდამ მათ რჩევას ყური არ ათხოვა, მე კომუნისტი ვარო, და ქისტური ზნე-ჩვეულებანი არა მწამსო. მასზე არც დარიგებამ და არც ხვეწნამ არ გაჭრა.

წყალკურთხევის დღესასწაული იყო. ხარება თავის მეორე ძმა (მამით) ნუნუასთან ერთად ნათესავის ოჯახიდან ნაქეიფარი ბრუნდებოდა შინ. სახლის მახლობლად მათ შემოხვდა საგეის პატარა ბიჭი სალმანა, რომელსაც კავკასიური ნაგაზი მოპყვებოდა. მთვრალებს ძაღლმა შეუღრინა. ხარებამ ყმაწვილს სილა გაარტყა — ამ ძაღლით რას დაეთრევი სოფელშიო. ძაღლმაც, როგორ თუ პატრონი გამილახესო, გაავებით შეუტია მთვრალებს. მაშინ ნუნუამ ხანჯალი იძრო და ძაღლი შუაზე გაწყვიტა. სალმანა ტირილით გაიქცა სახლისაკენ. ხარება და ნუნუა კი შინ შევიდნენ.

სალმანმა სახლში ტირილით უამბო უფროსებს ყველაფერი. ხარებას და ნუნუას საქციელი საგეის და ლოომუს ოჯახების მამაკაცებმა თავიანთ მასხრად აგდებად და თავსლაფის დასხმად მიიჩნიეს. ქისტური ადათის საწინააღმდეგოდ ჯერ ქალი გაგვიმასხარავეს გუმაშვილებმა, ახლა კი ბავშვიც გვიცემეს და შესანიშნავი ძაღლიც მოგვიკლეს. ამდენის ატანა უკვე აღარ შეიძლებაო, — თქვეს უფროსებმა. მალე საგეის უფროსი ვაჟიშვილი სულთანი ხანჯლით მიუსტა ხარებას და, გარეთ გამოდიო, დაუძახა. ტახტზე წამოწოლილმა ხარებამ თავი მოიმძინარა. ნუნუამ კი კიბის საფეხურები ჩაირბინა და ეზოში გავიდა. სულთანმა მაშინვე ხან-

ჯალი მოუქნია მთელი ძალით. ნუნუამ ხანჯალი თავში რომ არ მოხვედროდა, სახეზე ხელი აიფარა და გვერდზე გადაიხარა. ძლავრად მოქნეული ხანჯალი დაჭიმულ გვერდში მოხვდა ნუნუას და ხერხემლამდე გადაჭრა. სულთანმა სასწრაფოდ დატოვა იქაურობა. სასიკვდილოდ დაჭრილმა ნუნუამ ორივე ხელი შემოიჭდო ჭრილობაზე, ნაწლავები რომ არ გამოპყროდა გარეთ, გაჭირვებით შევიდა ძმასთან ოთახში და უთხრა, ძმაო, ძმა მოგიკლესო, და ტახტზე გადავარდა.

ნუნუა სასწრაფოდ ახმეტის რაისაავადმყოფოში გადაიყვანეს, ქირურგმა ნიკოლოზიშვილმა ჭრილობაც გაუკერა, მაგრამ ნუნუა სისხლისგან დაცლილი იყო და მალე გარდაიცვალა.

გუმაშვილებსა და მუცოელ ბორჩაშვილებს შორის შესისხლეობა და მტრობა ჩამოვარდა. საგეი თავისი ვაჟიშვილებით პირიქითში გადასახლდა. ამ მკვლელობის შემდეგ, ავის მსურველებმა ხარება კოლმეურნეობის თავმჯდომარე აბდულა ბორჩაშვილისა და ძმის (მამით) აგრონომ სეიდას წინააღმდეგ შეაქეზეს. ხარებას თავი ვაუკაცად მოპქონდა და ამპარტავნობა ახასიათებდა, თანაც სხვები ცეცხლზე ნავთს უსხამდნენ. ათასნაირი ქორებით ბერავდნენ. სეიდა დედაშენის გაჩენილი რომ ყოფილიყო, ბორჩაშვილების გვარის თავმჯდომარესთან არ იმეგობრებდაო. ხარებას გული ღვარძლით აევსო და სეიდას კატეგორიულად გამოუცხადა, აბდულა ბორჩაშვილს ჩამოშორდიო. სეიდამ უპასუხა — მე კოლმეურნეობის აგრონომი ვარ და თავმჯდომარეს ვერ ჩამოვშორდებიო. ხარებამ კი განუცხადა — მიატოვე აგრონომობაცო. ამაზე სეიდა არ დათანხმდა და ძმებს შორის განსხეთქილება ჩამოვარდა. ხარებამ სეიდას დააყვედრა, ბორჩაშვილებმა ნუნუა შენი მიზეზით მოკლეს და შენ კი სისხლის აღება არც გაგხსენებიათ.

ნუნუა დედითაც და მამითაც სეიდას ძმა იყო, ხოლო ხარება მარტო მამით იყო მათი ძმა.

— მე რა მაქვს აბდულასთან სამტრო. ესენი ადგილობრივი ძირძველი მოსახლეები არიან ჯოყოლოსი, საგეიანი — კი შატილის მუცოდან გადმოსულები. ამათ ბირჩაშვილების გვარი აქვთ, თორემ სხვა დამაკავშირებელი ნაოესობა არ გააჩნიათ, — უთხრა სეიდამ ხარებას.

ხარება მოითხოვდა სეიდას სამსახური მიეტოვებინა, თუ არ მიატოვებ, ჩვენი ძმობა დამთავრდებაო.

— შენი მოთხოვნა უაზრობად მიმაჩნია, არც სამსახურს დავტოვებ და აბდულასთანაც ჩვეულებრივ ვიმეგობრებ! — მიუგო ხარებას გაბრაზებულმა სეიდამ.

აბდულა ერთ დილას ადრე ადგა, რომ კანტორაში წასულიყო და თანამშრომლებისთვის დავალებები მიეცა, შემდეგ ბირკიანშიც უნდა წასულიყო. ძააძეის უთხრა, სანამ ჩაის დავლევ ცხენი მომიყვანე და უნაგირიც მოაყოლეო. ძააძეი გავიდა ცხენის მოსაყვანად, მაგრამ თავლაში ცხენი არ დასვდა. გაკვირვებულმა მიმოიხედა და შეამჩნია, რომ თოკი, რომლითაც ცხენი იყო დაბმული, გადაჭრილი იყო. შეშფოთებული ქმართან შევიდა და უთხრა:

— ლურჯა იქ არ არის, თოკიც გადაჭრილია. ალბათ მოიპარეს.

აბდულამ ცოლს არ დაუჯერა. წამოდგა და თავლაში წავიდა. გადაჭრილი თოკი იქვე ეგდო. აბდულა საშინლად აღშფოთდა. გზაზე გამოვიდა. გზაზე არავინ ჩანდა, ჯერ ადრე იყო. როცა გაუსწორდა მამისეულ სახლს, სადაც იმჟამად თავისი ძმა ლაბაზა ცხოვრობდა, გულშეშზარავი სურათი იხილა. ტყვიით განგმირული მისი ლურჯა სისხლის გუბეში ეგდო.

— ლაბაზ! — იყვირა განწირულის ხმით აბდულამ.

ლაბაზა გარეთ გაშოვიდა, შეზობლებიც შექუჩდნენ, ხალხიც შეგროვდა. ლურჯა ძალიან დაენანათ და აბდულას საშინარი უთხრეს. ლურჯა მთელ რაიონში განთქმული ცხენი იყო, დოღში პირველობას არც ერთ ცხენს არ უთმობდა. იგი აბდულამ დუშასტურში იყიდა. ცხენს ღია ლურჯი ფერი გადაპკრავდა და ამიტომ ლურჯა დაარქვა.

ლურჯას სიკვდილი ყველაზე ძლიერ ლამარამ განიცადა. მწარედ ტიროდა და ამბობდა:

— აი, ჩემი სიზმარი, საყვავის გორში რომ ვნახე, ლურჯა მიწაზე დაეცა და ვეღარ ადგა. მამა ამშვიდებდა, უკეთესს გიყიდიო, მაგრამ ლამარა ვერ შშვიდდებოდა, თვალთაგან ცხარე ცრემლი სდიოდა.

ლურჯა იქვე ფილიპე ბორჩაშვილის ეზოში შეიტანეს, კუთხეში მსხლის ძირას გათხარეს მიწა და იქვე დაშარხეს.

ბებერი მსხალი, რომლის ქვეშაც ლურჯა მარხია, დღესაც ბევრ ნაყოფს იძლევაო, ამბობს ხალხი.

აბდულამ ცხენის მკვლელობაზე ახმეტის პროკურატურაში შეიტანა საჩივარი. პროკურორმა უთხრა, ისე არ გაშოვიდეს, ერთი ანდაზისა არ იყოს, შეშინებულმა თხამ მგელი მოკლაო.

აბდულა მიხვდა, ამ ანდაზით პროკურორს რისი თქმაც უნდოდა და იმასაც, რომ პროკურორი ბერიას კაცრი და მისი გზის მიმდევარი იყო. მართალია, დიდი ხანი გავიდა, რაც ბერია ქვეყნის ძალოვანი სტრუქტურის ხელმძღვანელობას ჩამოაშორეს და სიკვდილით დასაჯეს, მაგრამ ადგილებზე მისი ხალხი მისეული გეგმებითა და მეთოდებით მოქმედებდა, ადრევე დასასჯელთა შავ სიებში შეტანილი პატიოსანი და ალალმართალი პირების ამა თუ იმ ხერხით გზიდან ჩამოშორებას განაგრძობდნენ. აბდულა მყისვე ჩასწვდა ყვე-

ლაფერს და უხმოდ მიატოვა პროკურორიც და პროკურატურაც.

აბდულას საყვარელი უფროსი ქალიშვილი ლამარა პირველი კლასიდან მეტერომეტე კლასის ჩათვლით ფრიადებზე სწავლობდა. საშუალო სკოლის გამოსაშვები გამოცდები რომ დაიწყო, როგორც ეოსალოდნელი იყო, პირველ გამოცდაზეც ხუთიანი მიიღო. სასწრაფოდ წავიდა შინ, რომ მამისთვის ესარებინა. მამა შინ არ დახვდა. დედისგან გაიგო, რომ აბდულა და სეიდა კოლმეურნეობის საქმეზე იყვნენ წასულნი.

ლამარას მამის ლოდინში შეეოაღამდა. აბდულამ დაიგვიანა, უკვე ვახშმობის დროც დადგა და დედამ შვილებს ვახშამზე დაუძახა. ლამარას გარდა ყველამ ივახშმა. მამას მოვუცდი, ჩვენ ორნი ერთად ვივახშებთო, — თქვა მან. და-ძმები დაწვნენ, ლამარა კი იჯდა და მამას ელოდებოდა.

— დაიძინე, შვილო, ვინ იცის, მამაშენი როდის მოვა, — უთხრა დედამ ლამარას. ლამარამ დაძინებაზე უარი თქვა, დედა კი გავიდა მეორე ოთახში და დასაძინებლად დაწვა.

ლამარა ტანსაცმლიანად წამოიწვა საწოლზე და ოცნებებს გაჰყვა — როგორ წავიდოდა მამასთან ერთად თბილისში გამოცდების ჩასაბარებლად. დარწმუნებული იყო, რომ სამედიცინო ინსტიტუტში ჩაირიცხებოდა, თავისი თავის იმედი ჰქონდა. მამასაც გავახარებ და პანკისის ხეობაში პირველი ქისტი ექიმი ქალი ვიქნები, პაპის ფილიპეს სულიც გაიხარებს, ჯოყოლოში მისი ინიციატივით გახსნეს საექიმო პუნქტი და შემდეგში დაარსებულ საავადმყოფოშიც ექიმად მისი შვილიშვილი იმუშავებსო, — ფიქრობდა.

ზაფხული იყო, პაპანაქება სიცხე იდგა. მიწას ბუღი ასდიოდა, სუნთქვაც კი ჭირდა. ბირკიანში კანტორის

წინ ცხენზე ამხედრებული უსუფ გუმაშვილი წამოეწია აბდულას და სეიდას. უსუფი ჯოყოლოს სასოფლო საბჭოს აღმასრულებლად მუშაობდა. იგი მიმავლებს მიესალმა:

— გამარჯობათ, უფროსებო!

— გაგიმარჯოს, საით გაგიწევია?

— საბჭოს თავმჯდომარის დავალება უნდა შევასრულო. რაი-აღმასკომი გვსაყვედურობს, ხალხს გადასახადებს არ ახდევინებთო. ბირკიანის მოსახლეობის საქონლის ნახირი უნდა ჩაკრეკო ჯოყოლოში; ვინც გადასახადს გადაიხდის, თავის პირუტყვს შინ წაიყვანს, ვინც არა, ალბათ მის საქონელს დამზადებას ჩავაბარებთ.

— ვისაც არ აქვს გადასახადის გადახდის საშუალება, მისმა პირუტყვმა რა ქნას, ვისთან იჩივლოს, ბაკში შიმშილით სული რომ გააფრთხოს. ანდა, პირუტყვი დამზადებას ჩააბარით და გლეხი ძროხის გარეშე დატოვოთ — ასეთი კანონი ხომ მშრომელ ადამიანებს დაღუპავს, — თქვა აბდულამ.

— აბდულა, არც მე მომწონს გლეხების ასე შევიწროება, მათი წყევლა-კრულვის მოსმენა, მაგრამ რაიონის სელმძღვანელობა საბჭოს თავმჯდომარეს, კობე მუთოშვილს, ავალებს ამ გზით აკრიფოს მოსახლეობისგან გადასახადი. მე კი, რასაც უფროსი მიბრძანებს, უნდა შევასრულო. თქვენ საით გაგიწევიათ ამ სიცხეში?

— ჩვენც რაიონის დავალებას ვასრულებთ, — მიუგო უსუფს აბდულამ და გაიცინა. — აბრეშუმის ჭიის მური ამოვუტანეთ ბრიგადირებს. ისინი დაურიგებენ კოლმეურნეობის წევრებს. ანაზღაურება კარგია და გლეხი ამ გაჭირვებაში ასე თუ ისე ხელს მოითბობს.

ამ საუბრის შემდეგ ისინი დაემშვიდობნენ ერთმანეთს და თავთავიანთი გზით წავიდნენ.

უსუფმა მოძებნა სოფლის ნახირი, მიუხედავად მენახირის წინააღმდეგობისა, ჩარეკა ჯოყოლოში და კოლმეურნეობის შემოღობილში დააშყვდია. მენახირეს კი უთხრა, პატრონებს გადაეცი, ვინც საბჭოში გადასახადს არ გადაიხდის, ძროხებს არ დაუბრუნებენო.

მენახირესაც შეტი რა გზა პქონდა, შემოირბინა სოფელი და უსუფის დანაბარები გადასცა.

მოსაღამოვდა, მზე გორებს უკან ჩაეფარა და თავისი სხივებით მაღალი მთების მწვერვალები ოქროსფრად შემოსა, თითქოს მთელი დღე სიცხისგან გათანგული გაშოსათხოვარ სალამს ეუბნებოდა.

იმ საღამოს ბირკიანში, ქისტი სახალხო მთქმელის, ვისერგი თურქოშვილის გადმოცემით, მის ძმას შერიფს მეზობლები ესტუმრნენ და ქეიფობდნენ. შერიფმა ძმას უთხრა, ვისერგი, გაიქეცი ჯოყოლოში და ჩემს ძმობილ უსუფ გუმაშვილს უთხარი, ჩვენს ძროხას პატარა ბოჩოლა ჰყავს, ცოდვაა თუ ამაღამ არ მოაწოვა; ძროხა გამოგატანოს, ფულს ხვალვე ჩავუტან საბჭოშიო.

ვისერგიმ სწრაფად ჩაირბინა ჯოყოლოში, მივიდა ლატნებით შემოღობილ ბაკთან და უსუფს დაუძახა. უსუფმა სადარაჯო ჯიხურიდან გამოიხედა — ვინ ხარ, რა გინდა, სიბნელეში ვერაფერს ვხედავო.

— ბირკიანელი შერიფის ძმა ვარ.

უსუფი მისკენ წამოვიდა და ჰკითხა:

— რა გაგჭირვებია ამ ბნელ ღამეში?

ვისერგიმ ძმის დანაბარები გადასცა. უსუფმა უპასუხა:

— თხოვნას ვერ შეგისრულებთ, საბჭოს თავმჯდომარემ გამაფრთხილა, ამაღამ საქონელი არავის მისცე, თუნდაც გადასახადი მოგიტანონო. ნახირი დათვალა და ისე წავიდა კობე. ერთ ღამეს არც ბოჩოლას და არც ძროხას არაფერი არ მოუვა, ხვალ კი ჩამოიტანოს გა-

დასახადი და წაიყვანოს.

ვისერგიმ იფიქრა, როცა უსუფი დაიძინებს, ძროხას მოვიპარავ და წავიყვანო. იქვე ბუჩქებში შეძვრა და გაინაბა. ბუჩქებიდან გამოსვლას დააპირებდა თუ არა, ორი-სამი ძაღლი ერთად აყეფდებოდა და ვისერგი ვერ ბედავდა გამოსვლას. ყარაულიც ფხიზლად იყო, სტვენითა და შეძახილებით აქეზებდა ძაღლებს.

ვისერგის დაგვიანებამ სტუმარ-მასპინძელი დააფიქრა, ქეიფი მიატოვეს და სამნი ჯოყოლოში წამოვიდნენ. საქონლის ბაკს რომ მოუახლოვდნენ, ვისერგიმ მოსაუბრეთა შორის თავის ძმის ხმა შეიცნო. შერიფი ამბობდა, ძროხა თუ არ გამოატანა, თვითონ მაინც სად ჯანდაბაში დაიკარგაო. ვისერგი ბუჩქებიდან გამოძვრა და უთხრა, აქა ვარო. ძმა გაუბრაზდა, რატომ სახლში არ დაბრუნდიო?

შერიფმა უსუფს დაუძახა და სთხოვა, ძროხას წავიყვანო. უსუფმა იგივე გაიმეორა, რაც ვისერგის უთხრა. შერიფი და მისი ამხანაგები ვისერგისთან ერთად ბირკიანში გაბრუნდნენ.

ჯოყოლოსა და ბირკიანს შორის მანძილი ერთი კილომეტრი იქნება. ამ ორ სოფელს შუა, ალაზნის მხარეს ხორბლის ყანა იყო. ყანა თითქმის მომწიფებულიყო და ხორბლით სავსე თავთავებს თავი დაეხარათ. მეორე მხარეს, ჭობიოს მთის კალთებამდე სიმინდის ყანა ეთესა.

აბდულამ და სეიდამ ბირკიანის კანტორაში ბრიგადირები დაიბარეს და აუხსნეს, რა საპასუხისმგებლო საქმეა აბრეშუმის ჭიის მოვლა-პატრონობა და პარკის სახელმწიფოსათვის ჩაბარება. ანაზღაურებაც კარგი ექნებათ მომვლელებსო. ბრიგადირებს მური გადასცეს დასარიგებლად და ჯოყოლოს გზას დაადგნენ. იქვე კანტორის პირდაპირ, გზის მეორე მხარეს ალექსი ბორ-

ძიკიძე შესვდაო თავისი სახლის ახლოს.

— აბა, ბიჭებო, ფეხით გივლიათ, დაღლილები იქნებით, დაისვენეთ, ჩემი ოჯახიც ინახულეთ, პურმარილიანი ხალხი ვართ, ნუ მოგერიდებათ, — შეიპატიჟა ალექსიმ აბდულა და სეიდა.

— ძია ალექსი, არ დაგიმალავთ, მართლაც დავიღალეთ და პურიც გვშია, მაგრამ გვეჩქარება, ორი სოფელი ძნელია ორმა კაცმა მოიაროს, ისიც ფეხით. ზემოთაც გვეხვეწნენ და არ მიკვდით.

ალექსი გადაეკიდა აბდულას და სეიდას, უპურმარილოდ არ გაგიშვებთო, და ისინიც შევიდნენ. ალექსის მეუღლე გულგახსნილად შეეგება სტუმრებს. სახელდახელოდ ერბო-კვერცხი და ხაჭო-ერბო გააკეთა, პომიდორი და კიტრი მოიტანა სუფრაზე, წნილით სავსე ჯამი დადგა და თონის პურებიც დააწყო. ალექსიმ სასმისები ყიპიტაურით გაავსო და თქვა:

— ბიჭებო, თქვენში უფროსი მე ვარ და თანაც მასპინძელი, ამიტომ ერთ სადღეგრძელოს ვიტყვი: გაუმარჯოს ჩვენს შეხვედრას, ოჯახში თქვენს შემოსვლას და ოჯახის დახვედრას. პირველი არ ყოფილიყოს თქვენი მოსვლა, მრავალჯერ შევხვედროდეთ ერთმანეთს კეთილი გულით და კეთილი სურვილებით.

სტუმრებმაც თქვეს საპადლობელი და სასმისები გამოცალეს. პურის ჭამა საკმაო ხანს გაგრძელდა. ამბობდნენ სადღეგრძელოებს, საუბრობდნენ თავიანთ საქმეებზე, ქვეყნისა და კოლმეურნეობის ამოცანებზე, მშვიდობაზე.

იმ დღეს აბდულა და სეიდა ბირკიანისკენ რომ მიდიოდნენ, ხარებამ თვალი შეასწრო მათ და შემხვედრ გამვლელს გამოელაპარაკა, რომელიც ის-ის იყო აბდულას და სეიდას ელაპარაკებოდა და აქეთკენ წამოვიდა. ხარებამ ჰკითხა, ხომ არ იცი, საით წავიდნენო?

შემხვედრმა მიუგო: ბირკიანში წავიდნენ, აბრეშუმის ჭიის მური უნდა დაარიგონო.

— აბდულასთან მიწის ნაკვეთზე მინდოდა ლაპარაკი, ნეტავი როდის დაბრუნდებიან? — თქვა ხარებამ.

— მეც მაქვს საქმე აბდულასთან და მითხრა, ამაღამ შეიძლება გვიან მომიხდეს დაბრუნება და ხვალ მნახეო. როდის ბრიგადირებს ნახავენ, როდის აბრეშუმის ჭიის შენახვის მსურველებს მოელაპარაკებიან. შეიძლება ვინმეს შეიპატიჟოს კიდეც.

— აბრეშუმის პარკით აშენებას პირდებიან ხალხს, თვითონ კი მშივრები იხოცებიან, — ირონიულად ჩაიცინა ხარებამ. მან რისი გაგებაც აინტერესებდა, გაიგო და გულის წადილის შესასრულებლად უნდა აჩქარებულიყო. სახლში მივიდა, ტახტზე წამოწვა და გეგმა შეადგინა, იმ საღამოს ვინ უნდა ენახა და რა უნდა გაეკეთებინა.

— ამ ბოლო დროს ძალიან შეიცვალე, შინ შემოდიხარ, ხმას არ იღებ, გადიხარ, ხმას არ იღებ, რამ გაგხადა ასე გულჩათხრობილი? — უთხრა მეუღლემ ხარებას

— რა მოხდა, რას ჩამაცივდი, ყოველთვის ერთ ხასიათზე ხომ არ იქნება ადამიანი, — უკმეხად უთხრა ხარებამ. თოფი და ხანჯალი გამომიტანე!

— რა დროს თოფი და ხანჯალია, კაცო, ხომ არ გადაირიე?

— ამბობენ, სიმინდებს მაჩვები შემოესივნენო, და მინდა ამაღამ მათზე ვინადირო.

ხარებამ თხის უმარილო ქონით თოფი გაწმინდა და გვერდზე გადადო, მერე ხანჯალი გაპოხა და გააპრიალა. საქმეს ნელა აკეთებდა, ჯერ არ იყო დაღამებული, არ ეჩქარებოდა. როცა ბინდი ჩამოწვა, ჭობიოს ფერდობის ნაპირს აუყვა, სიმინდის ნაკვეთი გადაჭრა, ცენ-

ტრალურ გზაზე გავიდა და ცოტაზე გაიარა ბირკიანისკენ. შემდეგ გზისპირა არხზე გადახტა და მოშორებით ხორბლის ყანაში ჩაჯდა.

შერიფი, ნასყიდა და აბრი, როგორც შეზარხოშებულებს შეეფერებათ, ხმამაღალი საუბრით ბრუნდებოდნენ ბირკიანში. მათ ფეხდაფეხ ყმაწვილი ვისერგიც მოჰყვებოდა.

ხარებამ მგზავრების გამოჩენაზე ყანაში ცოტა კიდევ შიგნით შეიწია, რასაც ყანის მტვრევისა და შრიალის ხმაური მოჰყვა. ეს ვისერგის შეუმჩნეველი არ დარჩა, იფიქრა მელა ან კურდღელი იქნებაო, ჩუმად მიეიდა არხის პირას, ამოიღო ქვა და დაელოდა, როდის განმეორდებოდა ხმაური, რომ ქვა ესროლა, მაგრამ არ განმეორებულა. ვისერგიმ ქვა გადააგდო და სირბილით დაეწია წინ წასულებს.

ბნელოდა, როცა აბდულა და სეიდა ალექსის ოჯახიდან გამოვიდნენ და ჯოყოლოს გზას დაადგნენ.

უკვე კარგა ხნის დაღამებული იყო. ამიტომ ბირკიანის ბოლოში მგზავრებმა ერთმანეთს გვერდზე გაუარეს და უცებ ვერ იცნეს ერთმანეთი.

— რა ძალიან ბნელა, მგზავრები ვერ ვიცანი, — უთხრა ნასყიდამ შერიფს.

— თუ არ ვცდები, ერთი მათგანი სეიდა გუმაშვილია, ჩვენი კოლმეურნეობის აგრონომი, — თქვა შერიფმა.

— შერიფ, შენ ხარ? — შეეხმიანა სეიდა.

— მე ვარ, მეორე ვინ გყავს აძხანაგი?

— ნუთუ ვერ იცანი, ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარე აბდულა გახლავს.

შერიფი შემობრუნდა მათკენ, გადაეხვია ორივეს, გადაკოცნა და უთხრა, ახლა ყველანი ჩემთან ბირკიანში მივდივართო. აბდულამ და სეიდამ ერთმანეთს

გადაულაპარაკეს და ორივემ ერთდროულად სთხოვა, გაგვიშვით, გვეჩქარებაო. შერიფი კი ორივეს ბირკიანისკენ ეწეოდა.

აბდულამ ნასყიდას სთხოვა, თუ ძმა ხარ, შეასმინე ამ კაცს, გაგვიშვას, საქმეზე მიგვეჩქარებაო.

ნასყიდამ და აბრიმ უთხრეს შერიფს, გაუშვი ეს ხალხი, იქნებ მართლა ეჩქარებათ, სხვა დროს შევხვდეთ, აქ არა ვართ, დროსტარებას შემდეგაც მოვასწრებთო.

შერიფმა დაუჯერა მათ, რაკი ასეა, წადით, კეთილი მგზავრობა გქონდეთო. ერთმანეთს გამოემშვიდობნენ. აბდულა და სეიდა ჯოყოლოსკენ წამოვიდნენ, დანარჩენები — ბირკიანისკენ.

ბირკიანელები სოფლის კანტორასთან იყვნენ მოსულები, როცა თოფის გასროლის ხმა შემოესმათ. ჭობიოდან ექოს გამოძახილმა ალაზნის პირი შეაზანზარა. რადგანაც ჭობიოს ტყემ ექო გამოსცა, მათ ეგონათ, სროლა ჭობიოს მხარეს იყო. იფიქრეს, ალბათ ჭობიოში მაჩვებზე ნადირობენო, და ყურადღება არ მიუქცევიათ. კიდევ ორჯერ გავარდა თოფი.

აბდულა და სეიდა ჩვეულებრივი ნაბიჯით ერთიმეორის გვერდიგვერდ მიდიოდნენ და კოლმეურნეობის პირველი რიგის ამოცანებზე ლაპარაკობდნენ. იმ ადგილს როცა ჩაუარეს, სადაც ხარება იყო ჩასაფრებული, ხარება წამოდგა, გზაზე ნელ-ნელა გავიდა და ზურგიდან ჩუმად მიეპარა მგზავრებს. მათ ფეხის ხმა შემოესმათ და შემოტრიალდნენ. აბდულა დაბალი იყო სეიდაზე და ხარებამ პირველად მას ესროლა. სულგანგმირული აბდულა გზის პირას მწვანეზე დაეცა. სეიდამ გაქცევით სცადა თავის გადარჩენა, მაგრამ იმასაც ზურგში მოხვდა ტყვია და პირქვე დაეცა. მკვლელმა იფიქრა, შეიძლება არ მოხვდა, თავის გადასარჩენად

ეშმაკობსო. მიუახლოვდა და ახლოდან დაახალა ტყვია. ზურგში ტყვიაგავლილი სეიდა გზისპირა ბალახზე პირქვე ფოფხავდა და წყალს ითხოვდა. ორი კაცის მკვლელი უსულგულო ხარება კი არხზე გადახტა, სიმინდის ყანაში ჩაჯდა და ისმენდა ძმის გულშემზარავ ვედრებას — წყალი დამალევინეთ, წყალიო! ხარება სინდისის ქენჯნასაც არ განიცდიდა. სეიდამ რამდენიმე წუთი კიდევ ითხოვა წყალი, მიწას ფრჩხილებით ფხოჭნიდა და შემდეგ სული განუტევა.

ხარებამ, რომელმაც ორი ვაჟკაცი მუხანათურად, ქურდულად გამოასალმა სიცოცხლეს, ვითომც არაფერი გაეკეთებინოს, ნათესები გაიარა, ალაზნისპირზე გავიდა, იქ ერთი გუბე მონიშნა წყლის პირზე და ცელოფანში გახვეული თოფი გუბეში ჩადო, ზედ ტალახი და ქვები დააფარა, რომ არავის შეეშჩნია. თოფის დამალვის შემდეგ მდინარის დინებას გაჰყვა ნაპირ-ნაპირ. ჯოყოლოს რომ გაუსწორდა, აჩქარებული ნაბიჯით საავადმყოფოში მივიდა. მორიგე ექთანს უთხრა — დედა ძალიან ცუდად მყავს, დამეხმარე, წამოდი ნემსი გაუკეთეო. ექთანმაც დაუჯერა და გაჰყვა. როცა ოთახში შევიდნენ, ადრიდანვე ქრონიკულად დაავადებულმა ავადმყოფმა ექთანი რომ დაინახა, გაკვირვებით უთხრა შვილს:

— რად შეაწუხე ეს ადამიანი ამ უდროო დროს, მე ხომ ყოველთვის ასე ვარ.

— დედაჩემმა ისე დაკარგა გონება, არ იცის, როდის როგორ არის, — თქვა ხარებამ.

ექთანმა დამაყუჩებელი ნემსი გაუკეთა მოხუცს და ხარებამ ისევ საავადმყოფომდე მიაცილა.

— დავიღალე, უნდა წამოვწვე, — უთხრა ცოლს, შინ რომ მივიდა, და ტახტზე წამოწვა.

— ვერაფერი ინადირე? — შეეკითხა ცოლი.

— მგონი, ორი მაჩვი მოვკალი, მაგრამ ისე ბნელოდა, ყანებში ვერ ვიპოვე და თავი დავანებე.

— მარტო შენ იყავი, თუ სხვებიც იყვნენ სანადიროდ?

— სხვებიც იყვნენ, მაგრამ მაჩვებს ვინ ესროდა ჩემს გარდა, არ ვიცი, — მიუგო ხარებამ, გვერდი იბრუნა და ფიქრებს გაპყვა. ფიქრობდა: არავინ არაფერი არ იცის, არავის დავუსახივარ, მოწმე არა მყავს და ყველაფერმა კარგად უნდა ჩაიაროსო.

* * *

ლამარა მამის მოსვლას ელოდებოდა. უნდოდა თავისი სიხარული მისოვის გაეზიარებინა, რადგან იცოდა, როგორ ელოდებოდა აბდულა გამოცდების შედეგს.

ღამის ათი საათი იქნებოდა, როდესაც ძილგამკრთალ ლამარას თოფის ხმა შემოესმა. რამდენიმე წუთში მეორედ, მესამედ დაიქუხა თოფმა. ლამარა ინსტინქტურად წამოვარდა ფეხზე, მეორე ოთახში დედის ლოგინთან მიიჭრა და ორივე ხელით შეანჯღრია.

— მამა სად არის წასული? — შეპყვირა შიშისაგან აკანკალებულმა.

საქმეებით დაღლილ-დაქანცულ დედას ღრმად ჩასძინებოდა. ლამარამ ერთი შენჯღრევით რომ ვერ გააღვიძა, იფიქრა დედას ტკბილ ძილს არ დავუფრთხობო. ფეხაკრეფით გავიდა მეორე ოთახში და ისევ ლოგინზე წამოწვა. გული უშფოთავდა, რაღაც უბედურებას გრძნობდა. ლურჯას მოკვლაც გაახსენდა. რა ემართებოდა, თვითონაც არ იცოდა, მთელი ღამე ძილღვიძილში გაატარა. გამთენიისას მეზობლის ძახილი შემოესმა. სანამ თვითონ გაეპასუხებოდა, ძმამ დაასწრო და გარეთ გავიდა.

ალბერტიმ შეამჩნია, რომ მეზობელს ძალიან შეწუ-

ხებული სახე ჰქონდა და ჰკითხა, რა მოხდა, რატომ ხარ ასე ფერშეცვლილიო. მეზობელმა, ახმაად ბორჩაშვილმა, გაკვირვებით შეხედა ალბერტის და სიტყვის თქმა ვეღარ მოახერხა. ალბერტიმ არ იცოდა, მეზობელი ასე ადრიანად რას შეეწუხებინა, ამიტომ უთხრა, — შენ რაღაცის თქმა გინდა და არ იცი, საიდან დაიწყოო.

— გამაგრდი, ალბერტ, უკვე ვაუკაცი ხარ და კარგი ვაუკაცის შვილი, დიდი რომ გაიზრდები, მაძასავით სახელოვანი ვაუკაცი უნდა გამოხვიდე. ძალიან დიდი უბედურება დაგვატყდა, სწორედ ასეთ დროს უნდა ვაუკაცობა, რომ დიდ უბედურებას გაუმკლავდე. ამ დილით ბირკიანში მივდიოდი ადრიანად და ბირკიანის ბოლოში მისული არ ვიყავი, რომ გზაზე მამაშენი და სეიდა მკვდრები, ანუ დახოცილები დავინახე. უკან დავბრუნდი და აქ მოსვლამდე ხალხს შევატყობინე ეს ამბავი. მთელი ხალხი იქით მირბის!

1955 წლის პირველ ივნისს სოფელ ჯოყოლოში ასე შეიჭრა აბდულა ბორჩაშვილის ეზოში უბედურება. აბდულას ცხედარი საკაცით მოასვენეს ოჯახში. სეიდა გუმაშვილი ურმით წაასვენეს სოფლის ბოლოში.

დილაადრიან საწოლიდან წამოდგა ხარება, ტანისამოსი ჩაიცვა და სახლიდან გასვლას აპირებდა, როცა მეუღლემ უთხრა, სიცხე გქონდა, თუ სიზმარში იყავი, არ ვიცი, წუხელ საზარელ რაღაცას ლაპარაკობდი, უკეთესია მითხრა, რა გაწუხებსო.

— ცუდი სიზმარი ვნახე და ალბათ ძილში ვლაპარაკობდი, — მიუგო ქმარმა.

ამ დროს ბირკიანის ბოლოდან გულშემზარავი კივილის ხმა გაისმა. ერთი და ორი ადამიანი კი არ კიოდა, ორივე სოფლის — ჯოყოლოს და ბირკიანის ქალები ერთიანად კიოდნენ და მოთქვამდნენ.

— რა წივილ-კივილის ხმა ისმის, — თქვა ხარებამ და სოფლის შარაზე გავიდა. ამ დროს საკაცით აბდულა მოასვენეს, რომელსაც ტირილ-კივილით ორივე სოფლის ქალები და კაცები მოსდევდნენ. სეიდა გუმაშვილს ურმით მოასვენებდნენ, რადგანაც ის უფრო შორს, სოფლის ბოლოში ცხოვრობდა.

— რა მოხდა, რა არის? — იკითხა ხარებამ, თითქოს არ იცოდა, რა მოხდა და როგორც მოხდა.

ხარება თავისი ძმის სეიდას სახლისკენ წამსვლელებს გაჰყვა, ურმის ჭალზე ხელმოკიდებული. მას სამძიმარს ეუბნებოდნენ, კარგი ძმა ჩამოგაცილეს გვერდიდანო.

— ვავიგებ, ვინ არის ამის გამკეთებელი და ვაი იმისი ბრალი, ორმაგად გადავუხდი, — უსირცხვილოდ იქადნიდა ხარება.

აბდულა ბორჩაშვილის მკვლელობამ შესძრა არა მხოლოდ პანკისის ხეობა, არამედ მთელი რაიონი. ეს უბედურება თბილისს აცნობეს — საშინელი მკვლელობა მოხდა პანკისში, მოკლულია ყველასათვის ცნობილი, ნიჭიერი და ენერგიული ვაუკაცი აბდულა ბორჩაშვილი და მისი აგრონომი სეიდა გუმაშვილიო.

თბილისიდან ჩამოვიდნენ: შინაგან საქმეთა მინისტრი ვლადიმერ ჯანჯღავა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ალექსი ინაური. მათ მოჰყვნენ რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანოების, თუ ახმეტის წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელები, მთელი რაიონის აქტივი. პანკისის ხეობიდან თითქმის ყველანი — ქისტები, ფშავლები, ოსები, — დიდძალი ხალხი დაესწრო აბდულას დაკრძალვას.

დიდი თანაგრძნობით ისმენდა ხალხი აბდულას მეუღლის ძააძეის და ქალიშვილის ლამარას მოთქმა-გოდებას.

— შენ რომ შვილების სწავლაზე ოცნებობდი, რა უნდა ვუყო შენს შვიდ ობოლს, როგორ შევინახო და ვასწავლო. ნუთუ ჩემი იმედი გქონდა, რომ შევძლებდი ისინი ნასწავლები გამომეყვანა, რა ტყუილად გქონია ჩემი იმედი. ჩემს ანაბარა დარჩენილნი უსწავლელნი იქნებიან. მე ხომ დიასახლისი ვარ. ვერ შევძლებ შენი იმედების გამართლებას, ნუ წახვალ, არ დატოვო შენი შვიდი შვილი უპატრონოდ, ეხვეწებოდა აბდულას ძააძეი.

ვერას დიდებით ვერ დაეწყნარებინათ ლამარა. მამაა! — გაჰკიოდა გამწარებული.

უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ა. ინაურმა და შინაგან საქმეთა მინისტრმა ვ. ჯანჯღავამ მიუსამძიმრეს ძააძეის და ლამარას. ისინი ცდილობდნენ, დაეწყნარებინათ ლამარა:

— ნუ გეშინიათ, ჩვენ ვიცნობდით თქვენს მამას, ყოველნაირად დაგეხმარებით.

ლამარას მოთქმამ შესძრა მთელი ხეობის თავკაცები — უსუფ მარგოშვილი, ქერიმ დუიშვილი, ქაასა ქავთარაშვილი, ლაზარე გორნაკაშვილი და სხვები. ისინი თვალცრემლიანები ცდილობდნენ, ლამარა დაეწყნარებინათ. ეს ტრაგედიაა, ეუბნებოდნენ ისინი, არა მხოლოდ თქვენი ოჯახის და ახლობლებისა, არამედ მთელი ხეობის მოსახლეობის ტრაგედიაა, რადგან ჭკვიანი, გულმოწყალე ადამიანი იყო, თანაბრად უყვარდათ ოსებს, ქისტებს, ქართველებსო. იხსენებდნენ აბდულას პანკისში სატყეო უბნის უფროსად მუშაობის პერიოდსაც, როცა უკანონოდ მოჭრილ და ჩამორთმეულ ხეებს და შეშას ომში დაღუპულთა ოჯახებს უგზავნიდა.

აბდულა ბორჩაშვილის დაკრძალავას მისი კაიკაცობის გამო დიდძალი ხალხი დაესწრო. იმ დროს მანქანების რაოდენობა ხომ გაცილებით ნაკლები იყო,

ვიდრე დღესაა, მაგრამ მარტო მანქანების რიგი აბდულას სახლიდან მიხაკო მუთოშვილის სახლის იქითაც გრძელდებოდა.

საერთოდ ქისტების ადათით ქალები გარდაცვლილს სასაფლაოზე არ მიპყვებიან. ლამარა არ დამორჩილდა ამ წესს. მასთან სამძიმარზე გვირგვინებით მოვიდნენ სკოლის პედაგოგები და ამხანაგები. იმ დღეს ისინი, აგრეთვე სხვა ეროვნების ქალები და ქისტის ქალებიც, პანკისის ხეობის ქისტების ცხოვრების ისტორიაში პირველად გავიდნენ სასაფლაოზე.

ლამარას და მისი პატარა და-ძმების ცოდვით მთელი პანკისის ხეობა, ბუნება და ტყე ტიროდა.

ესმოდა კი მამის სულს ლამარას ძახილი? ალბათ ესმოდა, მაგრამ პასუხის გაცემა არ შეეძლო. აბდულას შვილებიდან ელდარი, რიგით მეოთხე შვილი, მაშინ მესამე კლასში სწავლობდა. მას დედისა და უფროსი დის გულსაკლავ მოთქმაზე თვალებიდან მდუღარე ცრემლი სდიოდა. ხან დედას გადაეხვეოდა და კოცნიდა, ხან დას, ცდილობდა მათ გამხნევებას — ჩვენ გავიზრდებით და არავის შევარჩენთ მამის მოკვლასო, მართალია, მამა არ გაცოცხლდება, მაგრამ მისი შესაფერისნი გავიზრდებით და გავახარებთ მის სულსო.

აბდულა ისე გაისტუმრა ამ ქვეყნიდან ბოროტმა ადამიანმა, რომ თვითონ ვერ მოესწრო შვილების აღზრდა-განათლებას და მათ ბედნიერებას.

ალექსი ინაურმა და ვლადიმერ ჯანჯღავამ ჯოყოლოში ყოფნის დღესვე შეაგროვეს საჭირო ინფორმაცია ბოროტმოქმედის შესახებ. ხარებას დაპატიმრების ბრძანება გასცეს და თბილისში გაემგზავრნენ.

აბდულა და სეიდა ერთ დღეს დაასაფლავეს. ძმის დაკრძალვის შემდეგ ხარებამ მამას საიდუმლოდ უამბო, როგორ დახოცა ორივე.

— მინდოდა საბჭოს თავმჯდომარეც გამეყოლებინა მათთვის, მაგრამ სახლში არ დამხვდა. მალე იმასაც გავისტუმრებ იქით, — თქვა ბოლოს.

სანამ მილიციაში გადაიყვანდნენ, ხარება ჯოყოლოს სკოლის შენობის ერთ-ერთ ოთახში ჩაკეტეს და ყარაულად მილიციელები დაუყენეს. მან გადაწყვიტა, რადაც უნდა დაჯდომოდა გაქცეულიყო. ყვირილი ატეხა და საპირფარეშოში გაყვანა ითხოვა. მილიციელებმაც გაიყვანეს. ხარებამ საპირფარეშოს უკანა ფიცრის აძრობა სცადა, მაგრამ ფიცრები დაჭედილი იყო და ხმაური გამოიღო. ხმაურმა მილიციელთა ყურადღება მიიქცია.

ხარება ხელებაწეული გამოიყვანეს და ისევ შეაგდეს ოთახში. შემდეგ პატიმრების მანქანა მოვიდა და ხელბორკილდადებული ხარება ჯოყოლოდან ასმეტის მილიციაში გადაიყვანეს.

ყოველ დაკითხვაზე ხარება კატეგორიულად უარყოფდა მკვლელობას და სამართალდამცავ ორგანოს იქით სდებდა ბრალს, რომ ჭირისუფალს შეურაცხყოფა მიაყენეს, დააპატიმრეს და ძმის დასაფლავება არ დააცადეს. ამას მე თქვენ არ გაპატიებთ, მოსკოვშიაც გიჩივლებთო.

ბოლოს საკანში ცრუპატიმარი შეუგდეს, ვითომდა ისიც კაცისმკვლელი. იქ ორივე დაახლოვდა. ხარებამ მას ყველაფერი უამბო. ეს ცრუპატიმარი თვითონ გამომძიებელი აღმოჩნდა. ხარება იძულებული გახდა, დანაშაული ეღიარებინა, და დაიწყო:

ბორჩაშვილებმა ძაღლის გულისთვის ძმა ნუნუა მომიკლეს. მე არ მინდოდა ძმისმკვლელის მოგვარესთან სეიდას ემუშავა და ემეგობრა. აბიტომ ვთხოვე, აბდულა ბორჩაშვილს ჩამოშორებოდა და აგრონომობასაც, მაგრამ ჩემი თხოვნა ყურად არ იღო. რადგან არ დამიჯერა, იძულებული გავხდი, იმქვეყნად ორივე ერ-

თად გამეგზავნაო.

— სად გაქვს იარაღი, რომლითაც ისინი დახოცე? — შეეკითხა ხარებას გამომძიებელი.

— ალაზნის პირას, ჯოყოლოს მოპირდაპირე მხარეს არხის ცოტა მოშორებით გუბეში ჩავდე და ზედ ტალახი და ქვები მივაყარე, რომ ვინმეს არ შეემჩნია და არ ამოეღო.

— რატომ ჩააგდე გუბეში?

— იმიტომ, რომ სხვებსაც გამოვუტანე იგივე განაჩენი და სისრულეში მოყვანა ვერ მოვასწარი. ვფიქრობდი, სხვა დროსაც გამომეყენებინა ის იარაღი.

ამ აღიარების შემდეგ ხარება პანკისში ჩაიყვანეს. მანქანა იქ მიაყენეს, სადაც ხარებამ მიუთითა. მილიციელებმა იგი მანქანიდან გადმოიყვანეს. ხარებამ გუბიდან იარაღი ამოიღო და მილიციის მუშაკებს გადასცა.

* * *

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ბერიამ საქართველოში მუშაობის დროს გამოიძახა სტუდენტი აბდულა ბორჩაშვილი და თელავის კომკავშირის კომიტეტის პირველი მდივნობა შესთავაზა. უარი რომ მიიღო, დიდად განაწყენდა.

ბერია დააწინაურეს და მოსკოვში გადავიდა. მას არც საქართველოში და იქაც რუსეთში აბდულა ბორჩაშვილი არ ავიწყდებოდა. როცა აბდულა მოსკოვის საიდუმლო ქარხანაში მთავარ ინჟინრად მუშაობდა, ბერია საბჭოთა კავშირის მარშალ ტიმოშენკოსთან ერთად ეწვია და სცადა, როგორმე სწორი გზიდან გადაეყვანა, მაგრამ, როგორც ვნახეთ, ეს იარაღით და დაშინებით ვერ შესძლო. აბდულა ძალიან კარგად იცნობდა ბერიას, ამიტომ ქარხანა მიატოვა და თავის რაიონს დაუბ-

რუნდა საქართველოში. ბერიას კი მთელ საბჭოთა კავშირში ხელი მიუწვდებოდა. თუ ვინმე მის ობობას ქსელში გაებმებოდა, ძნელად თუ დააღწევდა თავს. აბდულა, მართალია, გაურბოდა მასთან საქმის დაჭერას და დაახლოებას, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ბოლოსაც, ტყის მექანიკური დამუშავების ფაკულტეტდამთავრებული ინჟინერი კოლმეურნეობის თავმჯდომარედ გაგზავნეს პარტიის დავალებით, ვითომ იმ მიზნით, რომ ჩამორჩენილი გამსხვილებული კოლმეურნეობა ფეხზე დაეყენებინა. როგორც უკვე ითქვა, ბერია ცოცხალი არ იყო, მაგრამ მისი ქსელი მოქმედებდა. ამ ქსელში, როგორც ჩანს ხარება გუმაშვილიც მოექცა.

ნუნუა გუმაშვილის მკვლელობის შემდეგ აბდულა ბორჩაშვილის გზიდან ჩამოშორებით დაინტერესებულმა პირებმა ამ საქმისათვის ბრმა იარაღად ხარება გუმაშვილი გამოიყენეს. ხარებას დაავალეს, აბდულას ჯერ შენი ძმა სეიდა ჩამოაშორეო. ამიტომ ხარება მტკიცედ მოითხოვდა სეიდასგან ბორჩაშვილს ჩამოსცილდიო. სეიდამ კი რა იცოდა, ძმის გულში რა ავი სული იყო ჩასახლებული.

ვინაიდან, თავმჯდომარე და აგრონომი ერთმანეთს ვერ ჩამოაშორეს, გადაწყდა, ორივე მოეკლათ. ამ გადაწყვეტილების შემდეგ ხარება აქტიურ მოქმედებაზე გადავიდა. ჯერ იყო და თავლიდან ღამე გაიყვანეს აბდულას ცხენი, ლურჯა, და მოკლეს. საქმეში ჩახედული ხალხი მაშინ იმასაც ამბობდა, ხარება თვითონ არ შესულა თავლაში, სხვა ქურდს, თავისნაირ ამხანაგს გამოაყვანინაო. თუ ქისტური ადათით ყურანზე დაფიცების საკითხი დადგებოდა, შეეძლო თამამად დაეფიცა, არ შევსულვარ აბდულას თავლაში, მისი ცხენი მე არ გამომიყვანიაო.

მართლაც, ხარება აბდულას სახლიდან მოშორე-

ბით გზაზე დამდგარა და სხვას გამოაყვანინა ცხენი. როცა ქურდმა ცხენი მოიყვანა, ხარება ცხენზე უკან შემოუჯდა ამხანაგს და ორივე სოფლის მთავარ შარაგზაზე გაქანდა. აბდულას მამის ფილიპეს სახლს რომ გაუსწორდნენ, დაჩვეულმა ლურჯამ გზიდან ეზოსკენ გაიწია, გაჯიუტდა და სხვა მიმართულებით ფეხი არ მოიცვალა. მხედრებს არ დაეშორჩილა და ერთ ადგილზე დაიწყო ტრიალი. ხარებამ უთხრა ამხანაგს, ესროლე და მოკალით. ამხანაგს თითქოს არ უნდოდა ბრძანების შესრულება. ხარებამ იარაღი იძრო და შეუტია, ახლავე ესროლე, თორემ გაგათავებო. მაშინ ცხენის ქურდმა იარაღი ამოიღო და ლურჯას მკერდში დაახალა.

ამ საქმეზე უხუცესთა სასამართლო შედგა. სასამართლომ გადაწყვიტა, ეჭვმიტანილმა ხარებამ ყურანზე დაიფიცოს თავის საგვარეულოსთან ერთად, რომ ცხენი არ მოუპარავს და არ მოუკლავს. ხარება მზად იყო დაეფიცა, არ მომიპარავს და არც იმ გომურში შევსულვარო, მაგრამ სეიდა გრძნობდა, რომ ძმა დამნაშავე იყო და მასთან ერთად დაფიცებაზე უარი თქვა. რადგანაც ძმამ არ დაიფიცა, საგვარეულომაც უარი განაცხადა დაფიცებაზე და ხალხი მიხვდა, რომ ხარება ტყუილად დაფიცებას აპირებდა. გვარის განდგომამ კი ხარებას დამნაშავეობა დაადასტურა.

ხარებამ თავისი ძმა ახლა უარესად შეიძულა. ერთ ბნელ ღამეს ხეხილი გაუჩეხა და გომურში ძროხაც მოუკლა.

ეს აგორებული მტრობა მანამდე არ დაცხრა, სანამ სოფლის ორი თავკაცი არ შეიწირა.

წუთისოფლად თურმე არსებობენ გულბოროტი, დაუნდობელი ადამიანები, რომელნიც სხვის უბედურებას კმაყოფილებით უმზერენ. სწორედ ასეთმა ადამი-

ანებმა ხარებას ხელით შეისრულეს ავი ზრახვები. ამ ადამიანებმა სამ ოჯახს მოუსპეს მარჩენალი, მათ შორის ხარებას ოჯახსაც. ხარებას კანონმა დახვრეტა მიუსაჯა. განაჩენი აღსრულდა. ხარებას შემქეზებელნი კი უსინდისოდ მშვიდად ისხდნენ თავიანთ ოჯახებში და არავითარ სინდისის ქენჯნას არ განიცდიდნენ.

* * *

მამის ტრაგიკულმა სიკვდილმა განუკურნავი იარა დაამჩნია ლამარას ახალგაზრდა გულს. ოცნება, რომ სამედიცინო ინსტიტუტი დაემთავრებინა, ექიმი გამხდარიყო და ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვაზე ეზრუნა, თავსდატეხილმა უბედურებამ გაუცამტვერა. ვერ წარმოედგინა, რომ უმამოდ შეძლებდა ექიმი გამხდარიყო.

ახლა მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, როგორმე გასწორებოდა მამის მკვლელს. მას არასწორად მიაჩნდა დამნაშავის ნათესავებზე შურისძიება. კანონი იმ დროისათვის მკაცრი იყო, განზრახ მკვლელობაზე სიკვდილით დასჯას ითვალისწინებდა და ბორჩაშვილებმა გადაწყვიტეს, მკვლელის ბედი მისთვის მიენდოთ.

* * *

გუმაშვილის სასამართლო პროცესი ახმეტაში მთელი ერთი კვირა მიმდინარეობდა. სასამართლოზე ხარებამ აღიარა დანაშაული და თქვა: ჯავრად მიმყვება, რომ სამი კაცი დამრჩა იმქვეყნად გასასტუმრებელიო.

— ვინ იყვნენ ისინი და რატომ უნდა დაგეხოცა? — შეეკითხა მოსამართლე.

— ორი ჩემი ბიძაშვილია: პამეი და უსუფ გუმაშვილები, რომელნიც ცხენის მოკვლასთან დაკავშირებით ფიცში არ გამომყვნენ, ჩემი ძმა სეიდასავით უარი თქვეს დაფიცებაზე, ამის გამო კი სხვებმაც უარი გან-

მიცხადეს და ჩემი დანაშაული გამოაშკარავდა. მესამე, ჯოყოლოს საბჭოს თავმჯდომარე კობე მუთოშვილია. იმასთან პირადი ანგარიში მქონდა. სწორედ კობემ წააქეზა აბდულა ბორჩაშვილი ჩემ წინააღმდეგ, ხარებას მეტი ცხენს ასე შეუბრალებლად არავინ მოგიკლავდაო.

ბუნებრივია, დამნაშავემ თავისი სისასტიკე სასამართლოზე იმდენ ზღვა ხალხშიც არ დამალა. სასამართლომ გუმაშვილს სისხლის სამართლის შესაბამისი მუხლით, სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა მიუსაჯა. ხარებას თავის მართლება არც უცდია.

* * *

გაიარა დრომ. განაჩენი აღსრულდა თუ არა, არავითარი ცნობა არ არსებობდა. მის გასაგებად ლამარა 1956 წლის 16 აპრილს შინაგან საქმეთა მინისტრ ვ.ჯანჯღავასთან შევიდა. მინისტრმა ტელეფონის ყურმილი აიღო და სადღაც დარეკა. შემდეგ ლამარას უთხრა:

— განაჩენი სისრულეშია მოყვანილი 1956 წლის 10 აპრილს.

მინისტრთან ლამარას ყოფნის შემდეგ გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ ფურცლებზე გამოქვეყნდა ცნობა ხარება გუმაშვილის დახვრეტის შესახებ. იმ დროისათვის ლამარა ვეტერინარული ინსტიტუტის სტუდენტი იყო და ლექტორმა ირეოდი კვაჭაძემ მოუტანა „ზარია ვოსტოკას“ ის ნომერი, რომელშიც აღნიშნული ცნობა დაებეჭდათ.

* * *

ლამარამ, როგორც ზემოთ ითქვა, უმაღლესში სწავლის განგრძობა ფუჭ ოცნებად მიიჩნია და სკოლაში გამოსაშვები გამოცდების ბოლომდე ჩაბარებაზე ხელი

ჩაიქნია. ამ დროს კეთილ მრჩევლად მოევლინა პანკისის ხეობის ქისტურ სოფლებში პირველი ქართული სკოლების მშენებლობის ფუძემდებელი, ჭკვიანი და დარბაისელი კაცი უსუფ ადოს ძე მარგოშვილი. მან ნიჭიერ მოსწავლეს ურჩია სასოწარკვეთილებას არ ისცემოდა, სწორედ მაძის ხსოვნისადმი პატივისცემის ვამო მეთერთმეტე კლასის დარჩენილი დამამთავრებელი გამოცდები ჩაებარებინა და უმაღლესშიც გაეგრძელებინა სწავლა. ლამარას დედას და ასლობლებს კი სთხოვა, მისთვის ხელი შეეწყოთ.

უსუფის დარიგებამ ლამარას წონასწორობა დაუბრუნა და წასაქცევად ფეხმოცურებულს ძალა და ოპტიმიზმი შემატა. კვლავ გაუჩნდა თბილისში წასვლის სურვილი. ოჯახის წევრები და ამხანაგები გვერდით დაუდგნენ.

ლამარამ მეთერთმეტე კლასის გამოცდები წარმატებით ჩააბარა და ბიძამ ლაბაზ ბორჩაშვილმა ის და მისი ძმა ალბერტი თბილისში საბუთების შესატანად ჩაიყვანა. ისედაც დასუსტებული ლამარა თბილისში ჩასვლისთანავე ცუდად გახდა და სასწრაფოდ ინფექციურ საავადმყოფოში დააწვინეს.

ერთ დღეს ლამარასთან საავადმყოფოში ბიძამისი ლაბაზა მივიდა და უთხრა, სამედიცინო ინსტიტუტში საბუთების მიღება შეწყდა, მხოლოდ ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში შეიძლება საბუთების შეტანა და უშენოდ საბუთებს არ იღებენო. ლაბაზამ ლამარას მკურნალ ექიმსაც მოახსენა ეს ყველაფერი და სთხოვა, საავადმყოფოდან გაეწერა. ასე შეიტანა საბუთები ლამარამ ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში ვეტერინარულ ფაკულტეტზე.

ლამარა გამოცდებზე გავიდა, ყველა გამოცდა კარგად ჩააბარა და ზოოვეტერინალური ინსტიტუტის ვეტერინარულ ფაკულტეტზე ჩაირიცხა. არავითარი

სურვილი არ პქონდა ამ ინსტიტუტში ყოფნისა, მაგრამ მაინცხუთებზე სწავლობდა. ისე კი სულ ფიქრობდა, თავი გაეანებებინა ზოოვეტისთვის და სამედიცინო ინსტიტუტში ჩაებარებინა მისაღები გამოცდები.

ლამარა ზოოვეტინსტიტუტის მეორე კურსზე სწავლობდა, როდესაც ამ ინსტიტუტიდან სამედიცინო ინსტიტუტში გადაიყვანეს სტუდენტი ასლანიდი ეროვნებით ბერძენი. ლამარამ ნახა ასლანიდი და გამოჰკითხა, როგორ მოახერხა სამედიცინო ინსტიტუტში გადასვლა. სლანიდძა უთხრა, საბერძნეთიდან მწერალი ქალი იანაკოპულო იყო ჩამოსული და მას ვთხოვე დახმარებაო. იგი პარტიის ცენტრალურ კომიტეტში ვასილ მჟავანაძესთან შევიდა და იმანაც თხოვნა შეუსრულაო. ლამარამ ფრიად'ზე დაასრულა ზოოვეტინსტიტუტის ორი კურსი და განცხადებით მიმართა სახელმწიფო სამედიცინი ინსტიტუტის რექტორს და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, რათა ჩაერიცხათ სამედიცინო ინსტიტუტში განსხვავებული საგნების ჩაბარების შემდეგ. ინსტიტუტიდან და სამინისტროდან უარით გამოისტუმრეს. მა'მინ მან ცენტრალურ კომიტეტს და მინისტრთა საბჭოს მიმართა. აქაც იგი დიდ წინააღმდეგობას წააწყდა. ლამარას ფარ-ხმალი არ დაუყრია და ახლა მოსკოვის სათანადო უწყებებს გაუგზავნა განცხადება.

განათლების საკავშირო სამინისტროს ლამარამ გააცნო თავისი სურვილი, ისიც აუწყა, რომ პირველი კლასიდან დღემდე წარმატებით სწავლობდა.

ბოლოს მოსკოვიდან მოვიდა თანხმობა, რომ ლამარა ზოოვეტინსტიტუტიდან სამედიცინო ინსტიტუტეს სამკურნალო ფაკულტეტზე გადაეყვანათ. მან განსხვავებული საგნები ხუთებზე ჩააბარა და მეორე კურსზე ჩარიცხეს.

ლამარამ მიზანს მიაღწია. ცოტად თუ ბევრად ნერვე-

ბი დაიწყნარა. სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს უყვარდათ და აფასებდნენ ფრიადოსან და ნიჭიერ სტუდენტს. დედას, უსახსროდ დარჩენილ წვრილშვილიან ოჯახს, უჭირდა თბილისში სტუდენტის შენახვა და ლამარას საარსებო წყარო ძირითადად სტიპენდია იყო. სუთებზე სწავლობდა, მაღალ სტიპენდიას იღებდა და გაჭირვებით გადიოდა იოლას.

შვიდი შვილის დედას ძააძეის გაუჭირდა შვილების შენახვა. სათანადო ცოდნა-განათლება არ ჰქონდა, რომ სადმე სამსახური დაეწყო და ხელფასით ერჩინა ისინი, მაგრამ ისეთი შრომისმოყვარე იყო, საქმელს და ჩასაცმელს ნამდვილად არ აკლებდა. ძააძეის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ შვიდი შვილიდან სუთს უმაღლესი განათლება მიაღებინა. ერთ-ერთი შვილი — ელდარ ბორჩაშვილი კი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორი გახდა. იგი ქ. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორია.

სამკურნალო ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტებს ლექციას უკითხავდა პროფესორი შიო გუგეშაშვილი. სტუდენტთა სიის ამოკითხვისას ბორჩაშვილის გვარს რომ წააწყდა, თავი მაღლა აიღო.

— აბა, რომელი ხართ ბორჩაშვილი? — იკითხა მან.

როცა ლამარამ უპასუხა, მე ვარო, უთხრა, ქისტი იქნები ჯოყოლოელიო. ლამარამ დაუდასტურა, ასეაო. პროფესორი დაინტერესდა, ის პატარა, ათსაწოლიანი საავადმყოფო ისევ არსებობდა, თუ არა. ბოლოს თქვა — სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ჯოყოლოში გამანაწილეს და ექიმობის ნათლობა იქ მივიღეო. გაუხარდა, ქისტი რომ სწავლობდა სამედიცინო ინსტიტუტში, პანკისის ხეობას საკუთარი კადრი, ეროვნებით ქისტი ქალი ექიმი ეყოლებაო.

ლექციის დამთავრების შემდეგ პროფესორმა შიო

გუგეშაშვილმა დერეფანში დაუცადა ლამარას, საუბრით გაიყოლა ფანჯარასთან და ზარის დარეკვამდე ისაუბრეს. შიომ გამოპკითხა ფილიპეს და აბდულას ამბავი. ძალზე განიცადა აბდულას მკვლელობა, მიუსაძძიმრა ლამარას და, რაც შეეძლო დაარიგა, როგორ გადაეტანა ეს დიდი უბედურება. გაიხსენა ახალგაზრდა აბდულასთან ერთად ალაზნის პირის მწვანე მინდორზე როგორ დააჭენებდა ცხენს, როგორ დაპყავდა ფილიპეს ბაწარის უნიკალურ ნაკრძალში.

ზოოვეტინსტიტუტში სწავლის დროს და ახლაც სამედიცინო ინსტიტუტში ყოფნისას, ლამარა ვაკეში, სტუდენტთა ქალაქში ცხოვრობდა. დილაადრიან დგებოდა და ფეხით მიდიოდა ინსტიტუტისკენ. მომჭირნედ ხარჯავდა სტიპენდიას, მუდმივად ტრანსპორტით მგზავრობის საშუალება არც ჰქონდა. სტუდქალაქში საცხოვრებელი ოთახიდან იშვიათად გამოდიოდა, იჯდა და მეცადინეობდა, ხანდახან პურის და რაიმე პროდუქტის საყიდლად თუ გამოვიდოდა გარეთ. მთელი ეს პერიოდი მამაზე მგლოვიარე იყო და შავები ეცვა. სტუდქალაქის ტერიტორიაზე სტუდენტი ახალგაზრდები თავისუფალ დროს ერთად იკრიბებოდნენ. ხან ფეხბურთის, ფრენბურთის თამაშით იქცევდნენ თავს, ხან უბრალოდ ლაზღანდარობდნენ და თვალსა და ეპითეტებს აყოლებდნენ გამვლელ-გამომვლელ სტუდენტ ქალიშვილებს. როცა ლამარა სტუდქალაქის ტერიტორიაზე გამოჩნდებოდა, ბიჭები ფეხზე დგებოდნენ, ზრდილობიანად ესალმებოდნენ. თვით სვანების მოჩხუბარი ბათალბეგის ჯგუფიც კი დიდი პატივისცემით ეპყრობოდა ლამარას.

ლამარა სემინარებზე და გამოცდებზე პირველი იყო, ასევე პირველობდა საავადმყოფოებში პრაქტიკისა და მორიგეობის დროს. მესამე კურსზე იყო ლამარა, როდე-

საც მესუოე კლინიკურ საავადყოფოში მიიყვანეს ახმეტის რაიონის მკვიდრი ალბორიშვილი. ლამარა ხედავდა, რომ ავადმყოფს ძალიან უჭირდა და ხშირად ეკითხებოდა ექიმებს, რა წამალი მივცეთ ან რა ნემსი გავუკეთოთო. პროფესორმა სოფიო ბუაჩიძემ უთხრა კოლეგებს, ხედაგთ, რა მოწადინებულია, ავადმყოფს მდგომარეობა შეუმსუბუქოს; ამისგან ბრწყინვალე ექიმი დადგებაო.

ფარმაკოლოგიის გამოცდაზე მიმავალს წინ შავმა კატამ გადაურბინა. უცებ შეკრთა, გაგონილი ჰქონდა, შავი კატა თარსიაო, მაგრამ გზა მაინც განაგრძო. იმ დღესაც პირველი შევიდა გამოცდაზე და ხუთიანი გამოიტანა. აუდიტორიიდან ლამარასთან ერთად გამოსულმა პროფესორმა გეიშიანმა სტუდენტებს უთხრა, ვისაც ხუთიანები გინდათ, ბორჩაშვილივით უნდა იყოთ მომზადებულიო.

ფსიქიატრიაში გამოცდისა ძალიან ეშინოდა ლამარას, არა იმიტომ, რომ საგანი მომზადებული არ ჰქონდა, არამედ გამომცდელი პროფესორი ირაკლი მენთეშაშვილი, ინსტიტუტის დირექტორი, თავის დროზე წინააღმდეგი იყო ზოოვეტინსტიტუტიდან სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე მისი გადმოყვანისა, და გოგონა ფიქრობდა, რადგან მოსკოვის მეშვეობით ჩემსას მივაღწიე, ჯიბრში ჩამიდგებაო. მოხდა კი პირიქით. როცა მენთეშაშვილი ლამარასგან გამოცდას იბარებდა, გვერდით პროფესორი გობრონიძე ეჯდა. ლამარას პასუხს რომ ისმენდა, მოუსვენრად ტოკავდა. ხედავთ, ამხანაგებო, რა ბრწყინვალედ იცის საგანი? რომ მცოდნოდა, ასეთი ნიჭიერი იყო, არც განათლების საკავშირო მინისტრ ელიუტინის რეკომენდაცია დამჭირდებოდა და არც რესპუბლიკური ორგანიზაციებისა, თვითონ ჩავრიცხავდი ინსტიტუტში, თუნდაც ზემდგომი ორგანოებიდან საყვედური მიმეღოო, — თქვა ბო-

ლოს და ლამარას ხუთიანი დაუწერა.

შინაგან სნეულებათა პროპედევტიკის ავტორს, პროფესორ ვახტანგ ალადაშვილს ძალიან უყვარდა ლამარა, რადგანაც ხედავდა, რა ნიჭიერი, ენერგიული და მოწადინებული სტუდენტი იყო. ნიშნად კარგი დამოკიდებულებისა თავისი ნაშრომი აჩუქა მას.

მეხუთე კურსის პრაქტიკაზე ყოფნის დროს ლამარამ ინფექციურ საავადმყოფოში ღამე იმორიგეევა. დილით შემოვლაზე პროფესორ გამყრელიძეს უპატაკა, რამდენი ავადმყოფი მიიღო, ვინ სად დააწვინა და რა დახმარება გაუწია. პროფესორი მოხსენებით ნასიამოვნები დარჩა და შემდეგ კონფერენციაზე კოლეგებს მიმართა:

— მეგობრებო, ხედავთ, ქალიშვილი მეხუთე კურსის სტუდენტია, თქვენ კი ექიმები ბრძანდებით და თუ მოგიხსენებიათ ჩემთვის ასე საფუძვლიანად განყოფილების ავადმყოფთა მდგომარეობა? ყოჩაღ ბორჩაშვილო! შენგან ჭეშმარიტად კარგი ექიმი, ნამდვილი სპეციალისტი დადგება.

მეხუთე და მეექვსე კურსებზე ყოფნისას ლამარა სწავლის პარალელურად სასწრაფო დახმარების სამსახურში მუშაობდა. სტიპენდიის ფული არ პყოფნიდა და იძულებული გახდა, ემუშავა. სასწრაფო მანქანაზე მორიგეობის დროს ცდილობდა, გამოცდილ, მცოდნე ექიმთან მოხვედრილიყო.

ერთხელ სასწრაფო დახმარების მანქანით ავადმყოფი ტიმოფეევი მიჰყავდათ საავადმყოფოში. მას მკვეთრად გამოხატული დეფანსი პქონდა. სასწრაფოს ექიმი ჩვეულებრივ მძღოლის გვერდით იჯდა, ხოლო ლამარა — სალონში, ავადყოფის გვერდით. მან ავადმყოფს პკითხა, ადრე კუჭს თუ იტკივებდიო.

— დიახ, კუჭის წყლული მქონდა, — მიუგო ავად-

მყოფმა.

ექიმი ფიქრობდა, ავადმყოფს გულის ინფარქტი აქვსო, ხოლო ლამარა დარწმუნებული იყო, რომ კუჭის პერფორაცია ჰქონდა. როცა ავადმყოფი ძიმღებში მიიყვანეს, ლამარამ ექიმებს მოახსენა, კუჭის წყლულის პერფორაცია აქვსო. ექიმებმა დაკვირვებით გასინჯეს ავადმყოფი. ერთი ბრგე, მხარბეჭიანი ქირურგი ძიუბრუნდა ლამარას და შეეკითხა:

— ქალბატონო, თქვენ რომელ კლინიკაში მუშაობთ?

— მეხუთე კურსის სტუდენტი ვარ, — უპასუხა ლამარამ.

ექიმმა უთხრა:

— თქვენ სტუდენტი კი არა, ჩამოყალიბებული ექიმი ბრძანდებით.

1959 წელს ლამარამ თავისი ბედი სოფელ დუისში მცხოვრებ მუხმად უნუზას ძე ალდამოვს დაუკავშირა.

* * *

პანკისის ხეობის სოფელ დუისში მცხოვრები ალდამოვები ერთი კაცის არსნაყ ალდამოვის — შთამომაყლები არიან. არსნაყი მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ჩეჩნეთის იჩქერიიდან დაღესტნის გამოვლით ჭარ-ბელაქანში მოსულა. იგი საქონლით ვაჭრობდა. ერთ შემოდგომაზე ბელაქნიდან ალავერდის დღესასწაულზე გასაყიდად მსხვილფეხა საქონელი ამოურეკია. ალავერდობაზე გასცნობია პანკისელ ქისტებს და სტუმრად სწვევია დუისში ქისტების დასახლების წინამძღოლის დუი ციცხაშას ძის ვაჟიშვილს იდას. იდა მამის გარდაცვალების შემდეგ დუისის მამასახლისი იყო. იდას ახალგაზრდა დას (დუის ქალიშვილს) მოჩიგას და ახალგაზრდა არსნაყს ერთმანეთი შეუყვარდათ.

 არსნაყმა რამდენიმე ხანი პანკისში დაჰყო და ჩეჩ-

ნეთში დაბრუნდა. იგი მააქაყოის თემიდან ჩეჩნეთში სახელგანთქმული სახალხო გმირის ალდამღეეზის შთამომავალი იყო. არსნაყის ძმა მახმადი, ძმისშვილები სეიდი, შერიფი და აშირა სოფელ ხოშქელდში ცხოვრობდნენ, ხოლო ბიძაშვილები ხასთამირი, ღანთამირი, ბორძა, ბუღა და ჯალლა — ზემო და ქვემო ქურჩალებში. თვითონ არსნაყ ვისერღის ძე ალდამოვი ზემო ქურჩალის მკვიდრი იყო. იგი ახალგაზრდობაში მუშაითის, თოკზე თამაშისა და აკრობატიკის ხელოვნებას დაეუფლა, უმაგალითო მოცეკვავეც იყო.

მოკლე ხანში არსნაყი ჩეჩნეთიდან პანკისში დაბრუნდა, ახლა უკვე მუშაითის დამხმარე ჯგუფთან ერთად. აქ, დუისში, ჯოყოლოსა და ომალოში ხალხს თოკზე თამაში უჩვენა. ისეთ რთულ ილეთებს ასრულებდა, განცვიფრებული ქისტები ამბობდნენ, ფილტვებზე ფრთები აქვსო. მის შემყურე დუის უმცროს ქალიშვილს გული შეუღონდა და არსნაყის წუღით წყალი აპკურეს და მოასულიერეს.

ეს ამბავი 1958 წელს ჯოყოლოში ლამარა ბორჩაშვილის სახლის აივანზე მოპყვა ლამარას ბებიამ შუბეიმ, ომალოელი ექვთიმე ალხანაშვილის ქვრივმა, რომელიც ამ დროისათვის 90 წელს იყო მიღწეული და ახალგაზრდობაში უნახავს არსნაყის თოკზე თამაში, აკრობატული ნომრები და ჩეჩნური ცეკვა.

არსნაყმა ცოლად შეირთო მოჩიგა და დუისში დასახლდა. მათ ეყოლათ ვაჟიშვილები: ჰასანა, მუსა, უსუფი, ესქი, იუნუზი, თუთახა და ერთი ქალიშვილი — ჯოვჰარი. სწორედ, ამ ძმების შთამომავლები ცხოვრობენ დღეისათვის დუისში.

იუნუზ არსნაყის ძე ალდამოვი, მუხმადის მამა, დაიბადა 1895 წელს. უნუზის ძმისშვილი ისრაილ ჰასანის ძე ახალგაზრდა მუხმადს უამბობდა, რომ იუნუზის ახალ-

გაზრდობის წლებში პანკისში მოსულა დაღესტნელი მუშაითი, რომელიც კარგად თამაშობდა თოკზე. იუნუზი დაინტერესდა მისი ხელოვნებით, ალბათ იმიტომაც, რომ მამამისი არსნაყიც მუშაითი ყოფილა. იუნუზს არ ახსოვდა მამა, რომელიც ადრე გარდაიცვალა.

ახლობლები და თანასოფლელები უამბობდნენ მამის ხელოვნების შესახებ, ისევე როგორც უამბობდნენ მუსმადს მამის და პაპის შესახებ.

იუნუზმა გადაწყვიტა ესწავლა თოკზე თამაში, აკრობატიკა და გიმნასტიკა. იგი დაღესტნელ მუშაითს გაჰყვა ჩეჩნეთში თავის ნათესავებთან. გზად იმ დაღესტნელთან ზედმიწევნით შეისწავლა თოკზე თამაშის ხელოვნება და საიდუმლო. იმდენი ივარჯიშა, რომ სახელგანთქმული (თავის მამასავით) აკრობატი, გიმნასტი და მოცეკვავე დადგა. შვიდი წელიწადი დაჰყო იუნუზმა ჩეჩნეთში. ეს იყო პირველი მსოფლიო ომის წლებში, რუსეთის მეფის ხელისუფლების დამხობამდე. ჩეჩნეთიდან დაბრუნებულმა იუნუზმა ცოლად შეირთო შავლახ გოის ასული ბაღაკაშვილი. გოი თავის დროზე დუისოფლის მამასახლისი, პანკისში ცნობილი ვაჟკაცი იყო, მაღალი, მხარბეჭიანი მთაკაცი, პირდაპირი და სამართლიანი. მუსმადის ოჯახში ინახება ბაბუის გოი ჩორას ძის სურათი. იგი სკამზე ზის, საკმაოდ ხანდაზმულია. მის გვერდით დგას ჩოხა-ახალუსსა და ქამარხანჯალში გამოწყობილი ახალგაზრდა, ლამარას პაპა ფილიპე ბორჩაშვილი. დედამ, შავლახმა უამბო მუსმადს, რატომ გადაიღეს ერთად სურათი ფილიპემ და გოიმ. თქვა, მამაჩემის დედა ბორჩაშვილების ქალი იყოო. ასე, რომ გოის მამა ჩორა, ბორჩაშვილების სიძე გახლდათო.

საქართველოში ბოლშევიკების მოსვლისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, იუნუზი და

მისი დასი თავიანთ ხელოვნებას უჩვენებდნენ ხალხს. თოკზე გასაოცარი თამაშის შემდეგ, თავის ძმისწულ ისრაილთან ერთად საინტერესო აკრობატულ ნომრებს ასრულებდა. ბოლოს იმართებოდა ცეკვა-თამაში. აქაც იუნუზი უბადლო იყო. იუნუზთან ერთად ხალხში წარმატებით სარგებლობდა მისი მეზურნე იმედა მარგოშვილი. უიმისოდ თუშები ქორწილს არ იხდიდნენ. იმედა მთელს კახეთში განთქმული ზურნის დამკვრელი იყო.

ჯოყოლოს კანცელარიას, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სასოფლო საბჭოდ გადაკეთდა, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ფილიპე მახარაძე ესტუმრა. როგორც ზევითაც გიამბეთ, ფილიპე ბორჩაშვილის თხოვნის შემდეგ, მახარაძე შეპირდა ხალხს, რომ ჯოყოლოში საავადმყოფო გაიხსნებოდა. შეხვედრის დასრულების შემდეგ გაიმართა ხალხური სანახაობანი: ცეკვები, დოღი, თოკზე თამაში. იუნუზ ალდამოვის თოკზე თამაშმა და ცეკვამ სტუმარი და მაყურებელი აღფრთოვანებაში მოიყვანა.

სანახაობათა დასრულების შემდეგ ფილიპე მახარაძემ იუნუზი თავისთან დაიბარა. იუნუზმა ქართულ ენაზე ლაპარაკი კარგად არ იცოდა, ვინაიდან ახალგაზრდობის წლები უპირატესად ჩეჩნეთში პქონდა გატარებული. თარჯიმნის როლი ფილიპე ბორჩაშვილმა შეასრულა. ბორჩაშვილი ხნოვანებით უფროსი იყო იუნუზზე. ორივეს ბაღაკაშვილის ქალები პყავდა მეუღლეებად, კარგად იცნობდნენ და პატივს სცემდნენ ერთმანეთს. ფილიპე მახარაძემ ოფიციალური ნებართვა გაუფორმა იუნუზს და მის დასს საქართველოს ტერიტორიაზე სანახაობის გამართვის უფლებაზე.

ამის შემდეგ იუნუზმა და მისმა დასმა მთელი კახეთი შემოიარა. ძირითადად რელიგიური და სახალხო

დღესასწაულების დროს უჩვენებდნენ ხალხს თავის ხელოვნებას. შემდეგში ბიძაშვილი ისრაილი უამბობდა მუხმადს, რომ სურამში მთელი ზაფხულის განმავლობაში ჩამოუხსნელად გვქონდა თოკი გაბმული და ყოველდღიურად მაყურებელი მაინც ბევრი იყოო.

ისრაილი იუნუზზე ორი-სამი წლით იყო პატარა. როცა იუნუზი მაღლა თოკზე თამაშობდა და სხვადასხვანაირ საინტერესო ილეთს ასრულებდა, ისრაილი დაბლა იდგა და აწვდიდა საჭირო ნივთებს. დაბლა, მიწაზე თამაშის დროს კი ორივენი ერთად ასრულებდნენ რთულ აკრობატულ ილეთებს.

ისრაილი თან პყავდა იუნუზს ჩეჩნეთში თოკზე თამაშის წარმოდგენების დროს, როცა იგი მეორედ ჩავიდა იქ, სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ.

იუნუზი და მისი ბიძაშვილი სეიდა ისეთი ლამაზნი და აღნაგნი ყოფილან, როცა ჩოხა-ახალუხში, უძიროებსა და ბუხრის ქუდებში გამოწყობილნი, ვერცხლის ქამარხანჯლით აღჭურვილნი გროზნოდან საქართველოში მოდიოდნენ, გოგო-ბიჭები თვალს ვერ აცილებდნენ ქუჩებში.

დედა შავლახი ეტყოდა მუხმადს, ცოტათი, ოდნავ შეუმჩნევლად კოჭლობდაო მამათქვენი. თურმე, იჩქერიის ტყეებში გაშენებულ ერთ-ერთ სოფელში იუნუზი თოკზე თამაშობდა. ტყიდან დამფრთხალი ბუღა კამეჩები გამოიჭრნენ, რომელთაც უღელი ედგათ კისერზე. პირდაპირ სანახაობისკენ წამოვიდნენ, მიწაში ჩასმულ ძელზე გამობმულ თოკს უღლით დაეჯახნენ და გაწყვიტეს. იუნუზი ჩამოვარდა, წაქცეული ძელების ქვეშ მოჰყვა და ბარძაყის ძვალი მოტყდა. ამის მიუხედავად, ფეხზე წამოდგა და ცალი ფეხით ხტუნვა-ხტუნვით სათამაშო წრეს დაუარა. მაშინვე იმ მხარეში ცნობილი დასტაქარი მოუყვანეს, რომელიც ვედენოს რაიონის

სოფელ ერეკლიანოვკაში ს

დან, ის უკერავდა ტანსაცმელს. ყიდულობდა და ამუშავებდა მატყლს, აძზადებდა თუშურ ქუდებს, ფარდაგებს, ნაბდებს და თექებს. წერა-კითხვა არ იცოდა, მაგრამ თელავის რაიონული საბჭოს დეპუტატად მაინც იყო არჩეული.

იუნუსის უფროსი ქალიშვილი იაზაუნა პანკისის ხეობაში უჭკვიანესი და უმამაცესი ვაჟკაცის კონსტანტინე მარგოშვილის უმცროს ვაჟიშვილზე ახიად მარგოშვილზე გათხოვდა. კონსტანტინე ცნობილი მასწავლებლისა და ქისტი ხალხის განმანათლებლის უსუფ ადოს ძე მარგოშვილის უფროსი ძმა იყო.

იუნუსის მომდევნო შვილი ახიადი მუხმადზე 5 წლით უფროსი გახლდათ, ხოლო და მედეა ორი წლით უფროსი. ახიადი დუისის სასოფლო საბჭოსთან არსებული სამკითხველო ბიბლიოთეკის გამგედ მუშაობდა. პედაგოგიური ტექნიკუმი დაამთავრა და დუისის საშუალო სკოლის დაწყებით კლასებს ასწავლიდა. მუშაობისგან მოუწყვეტლად ქ.თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტეს გეოგრაფიის ფაკულტეტი დაამთავრა. წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა სკოლის ცეკვისა და სიმღერის გუნდს. ახიადი, მუხმადი და მედეა, კარგად ცეკვავდნენ და სკოლის დაწყებითი კლასებიდან მოკიდებული, თელავისა და ახმეტის რაიონული ანსამბლებთან ერთად ხშირად მონაწილეობდნენ ხალხური თვითშემოქმედების დათვალიერებებზე, რაიონულ და რესპუბლიკურ ოლიმპიადებზე. ახიადი და მედეა 1957 წლის რესპუბლიკური დათვალიერებების ლაურეატები გახდნენ. ასევე მუხმადსაც დაწყებითი კლასებიდან მეთერთმეტე კლასის ჩათვლით ხშირად უცეკვია ქისტური ახმეტისა და თელავის კულტურის სახლსა და თეატრში, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში.

მუხმადის ბავშვობის, ყრმობისა და ყმაწვილობის წლები ჩვეულებრივ ისეთივე იყო, როგორიც ხეობის ბავშვებისა. მშვილდ-ისრით დასდევდნენ ჩიტებს, შაშვებს და ჩხართვებს, წისქვილის წყალში ბანაობდნენ, თევზაობდნენ, ლახტაობდნენ, თამაშობდნენ ჩილიკობანას, ვირობანას და ყარაულობანას, კაკლაობდნენ და სხვა. ხოლო ზაფხულიბით ბანაობის მთელ სეზონზე ალზნის რიყეზე მზეს იკიდებდნენ, თამაშობდნენ, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომაში, ჭიდაობდნენ და თამაშობით გახურებულნი ალაზანში ხტებოდნენ. წყალშიც ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო სწრაფად გაცურავდა ალაზანს და სხვა. მუხმადი კარგი სწავლით გამოირჩეოდა სკოლაში. პირველი კლასიდან მეთერთმეტე კლასის ჩათვლით ფრიადებზე სწავლობდა.

დუისის საშუალო სკოლაში მეშვიდე-მერვე კლასების მათემატიკისა და ფიზიკის მასწავლებლად რაიონის განათლების განყოფილებამ მოავლინა სოფელ მატანში მცხოვრები თათარი გარშაულაშვილი, რომელმაც ჩამოარჩინა ძოსწავლეები სასწავლო პროგრამას.

როცა მუხმადი მეცხრე კლასში სწავლობდა, დუისის საშუალო სკოლის ფიზიკისა და მათემატიკის მასწავლებლად მოვიდა აბდულა ფილიპეს ძე ბორჩაშვილი. იგი მუხმადის კლასის ხელმძღვანელიც იყო ბოლო სამი წლის განმავლობაში. ასწავლიდა ფიზიკას, ალგებრას, გეომეტრიას და ტრიგონომეტრიას, ხაზვას. ამ წლებში დიდი მუშაობა დასჭირდა, რათა თათარი გარშაულაშვილის მიერ ჩაგდებული საპროგრამო სწავლება სათანადო დონეზე დაეყენებინა. თვითონ აბდულა ძალიან ნიჭიერი, განათლებული და, რაც მთავარია, მომთხოვნი, საჭიროების დროს მკაცრი მასწავლებელი იყო. უნდა ითქვას, რომ თავისი საგნების ამოცანათა

კრებულებში არ დარჩენილა ერთი მაგალითი და ამოცანა, რომ მოსწავლეთათვის არ აეხსნა. თუ გაკვეთილებისათვის გამოყოფილი დრო არა კმაროდა, ბავშვებს დამატებით ამეცადინებდა. საშინაო დავალებას მკაცრად ამოწმებდა და მოსწავლის ცოდნას ობიექტურად აფასებდა.

აბდულა სპეციალობით პედაგოგი არ იყო, ხის მექანიკური დამუშავების სპეციალობით ჰქონდა უმაღლესი დამთავრებული და რუსეთში ომიანობის წლებში დიდად საპასუხისმგებლო სამხედრო საიდუმლო ქარხანას ხელმძღვანელობდა, სადაც „კატიუშებს“ უშვებდნენ. რუსული ენა ზედმიწევნით კარგად იცოდა და დუისის საშუალო სკოლაში ერთ-ერთი წამყვანი პედაგოგი გახდა.

მაშინ, როცა მუხმადი ზედა კლასებში (1947-1948 და 1949 წლები) სწავლობდა, დუისის სკოლის დირექტორად ამ დროს ზაქრო შველიძე მუშაობდა. ერთ ზაფხულს სასაფლაოსთან დიდრონი კაკლის ხეების ჩრდილში ახალგაზრდა დაღესტნელმა მუშაითმა ბაგირი გააბა და საკმაოდ კარგად შეასრულა სხვადასხვა ნომერი. მუხმადი დაინტერესდა, მით უმეტეს ბავშვობაში შინ თუ გარეთ, შინაურთაგან თუ თანასოფლელთაგან ხშირად ესმოდა, პაპა არსნაყისა და მამა იუნუზის გასაოცარი ხელოვნების ამბავი, და გადაწყვიტა, დაუფლებოდა მუშაითობას. ნათესავ ბიჭებთან ერთად დადიოდა ბაბურის ტყეში. იქ ისინი ხეებზე ასვეულ გარეულ ვაშს ლერწებს აჭრიდნენ და ცდილობდნენ, თოკის ან ბაგირის მაგივრად ჯვარედინად აღმართული ხის ძელებზე გაეჭიმათ, მაგრამ ვერაფერს ხდებოდნენ. ვაზი გაჭიმვისას წყდებოდა. მაშინ მუხმადმა თავის ძმასთან ახიადთან ერთად ოდის სხვენიდან ჩამოიღო მამისეული მაუდის თოკი და მასზე დაიწყო ვარჯიში.

მოკლე დროში მუხმადმა დაღესტნელი ჯამბაზის

ყველა ნომერი და ილეთი აითვისა. მუხმადი თოკზე თამაშობდა, ახიადი დაბლა იდგა და ძმის უსაფრთხოებას იცავდა. ყველაზე რთული ნომერი ასეთი იყო: მუშაიოს თოკის შუა ადგილზე წონასწორობისათვის ხელში დაჭერილი ხარიხა მაღლა უნდა აეწია და მეორე მიმართულებით შემოტრიალებულიყო. ეს ილეთი მუხმადმა წარმატებით აითვისა, მაგრამ მისთვის ყველაზე ძნელი გამოდგა მხოლოდ ერთი ილეთი: თოკიდან უნდა ამხტარიყო, ძირს დაშვებულიყო, თოკზე დამჯდარიყო, მყისიერად ისევ მაღლა ამხტარიყო და თოკზე ფეხებით დამდგარიყო. თვითმხილველნი ამბობდნენ, რომ იუნუზი თერთმეტჯერ უწყვეტად ასრულებდა ამ ილეთს. ის კი არა, ცალ ფეხს ქვაბში ჩადგამდა, ფეხზე მოიმაგრებდა ბაწრით და ასე აკეთებდა ბუქნას. ქვაბიანი ფეხით თოკზე, რომ დგებოდა, მეორე ფეხს ჰორიზონტალურად განზე იშვერდაო.

სწორედ ბუქნით თოკზე დაჯდომა-ადგომის სწავლების დროს მამისეული დაძველებული თოკი გაწყდა და ქვეშ ახიადი რომ არ მდგარიყო მუხმადი დაშავდებოდა.

ამის შემდეგ მუხმადმა სწავლას მოპკიდა ხელი და მუშაითობა დაივიწყა.

დუისის საშუალო სკოლა სახელმწიფო გზის გვერდზეა აშენებული. გაკვეთილებზე ყოფნის დროსაც კი, როცა გზაზე ამვლელი ან ჩამვლელი მხედრის ცხენის ფეხის ხმას გაიგონებდნენ, ბიჭები მერხებიდან წამოიშლებოდნენ და ფანჯრებში იცქირებოდნენ, ცდილობდნენ, გამოეცნით ცხენმხედარი.

იმ წლებში გზაზე თავის წაბლა ბედაურზე ამხედრებული ტყის მცველი, უკვე ხანდაზმული ფილიპე ბორჩაშვილი ამოიკლიდა ხოლმე. ზოგჯერ თან ახლდა ასევე წაბლისფერ ცხენზე ამხედრებული მახამ უმარის

ძე ქავთარაშვილი, პანკისში ცნობილი ვაჟკაცი, ფილიპეს ძმაღნაფიცი, პანკისის ხეობის სოფლებში ხორცის დამამზადებელი.

ზოგჯერ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ქერიმ ქავთარშვილი მოაგელვებდა ხოლმე თეთრ იორღას, ზოგჯერ საკობიანოს კოლმეურნეობის თავმჯდომარე სეთური შავ კუპრისფერ ტაიჭს მოათამაშებდა. უფრო მოგვიანებით დუისის საბჭოს მდივნის ისიდორე ბაღაკაშვილის ოქროსფერი იორღა გამოჩნდებოდა.

ერთხელ ალავერდობის დღესასწაულზე საგაჭროდ წასასვლელად გამზადებულ დედას მუხმადმა სთხოვა —მეც წამოვალ, ძალიან მაინტერესებს ალავერდის ტაძრის ნახვაო. დედამ უარი ვერ უთხრა და ორივე ფეხით გაუდგა გზას. ალავერდში იმ დროისათვის ვისაც რა ჰყავდა, იმით მიდიოდა: ზოგი — ცხენით, ზოგი — ურმით, ზოგი — ცხენის საზიდრით, უმრავლესობა კი — ფეხით. ალავერდში ღამისთევით მიდიოდნენ.

შავლახმა და მუხმადმა წინუბანთან ალაზანზე გადებული წიფლის საცალფეხო ხიდი გაიარეს, სოფელი წინუბანი ჩამოიტოვეს და წინუბან-ფიჩხოვანის ტყით დაფარული ღელესაკენ აიღეს გეზი. ის იყო, ღელე უნდა გაევლოთ და ფიჩხოვანის მიმართულებით თავდაღმართში უნდა დაშვებულიყვნენ, რომ ზედ ღელის მარჯვენა მხარეს, მოტიტვლებულ, მწვანე ბალახით დაფარულ ბექზე კბილებამდე შეიარაღებული სქელი, ჩოფურა კაცი შეამჩნიეს. მის გვერდით ორი დუისელი იდგა. ჩოფურამ მგზავრებს უბრძანა, ნუ შეჩერდებით, გაიარეთო.

ღელეს როგორც კი გადავალთ, გზა ორ ტოტად იყოფა. ერთი ტოტი, მარცხენა მხრისა, ფიჩხოვანისა და ქვემო ალვანის მიმართულებით მიდის, მეორე — მარჯვენა მხრისა, ტყე-ტყე, ზემო ალვანისა და ბახტრიონის მიმართულებით. ამ ორი გზის გასაყართან ჩაღ-

რმავებული ადგილია. აქ ორი შეიარაღებული ახალგაზრდა იდგა ისე, რომ ღელეზე გადასული კაცი მათ ვერ ასცდებოდა. როგორც შემდეგ გახდა ცნობილი, ესენი იყვნენ ყაჩაღები — გოგია ჭიჭოშვილი, მისი დეიდაშვილი და მაღლა ბექობზე მდგომი ჩოფურა, სქელი კაცი — საგარეჯოელი თომა.

როგორც კი შავლახი და მუხმადი ღელეს გასცდნენ, პისტოლეტმომარჯვებული გოგია ჭიჭოშვილის წინ აღმოჩნდნენ. გოგიას შავლახისთვის ხელი არ უხლია. უთხრა, ვიცი, უბეში ფული გაქვს, ამოიღეო. მუხმადის დედა, როდესაც საყაჭროდ მიდიოდა, თელავში ან წნორში, ფულს ქისაში დებდა, ქისას ყელზე იკიდებდა და უბეში ინახავდა. ამჯერად ქისაში თავისი შრომის მონაგარი სამასი თუმანი პქონდა, ამ ფულის მაღლა იმავე ქისაში 40 თუმანი ედო შამარგიანთ მახაპას მარუსას გამოტანებული — ბავშვებისათვის პერანგებისა და შარვლებისათვის ფარჩა მომიტანეო. შავლახმა ხელი ჩაიყო უბეში, ქისიდან 40 თუმანი ამოიღო და ყაჩაღს გაუწოდა. ყაჩაღმა კმაყოფილებით გამოართვა ფული და ასლა მუხმადს გაუსინჯა ჯიბეები. მუხმადს ფული არა პქონდა. შავლახმა მარუსას ფული მისცა გოგიას, მაგრამ რაც ამ საწყალმა ქალმა დააბარა, ყველაფერი უყიდა თავისი ფულით.

ამის შემდეგ ყაჩაღებმა დედა-შვილი იმ ორი გზის გასაყარს შუა ჩაღრმავებულ ადგილას დასხეს სხვებთან ერთად. იქ უკვე ათიოდე ქალი, მოზარდები და ორიოდე კაცი იჯდა. ცოტა ხანში მოდგა და მოდგა ხალხი. ორივე ყაჩაღი ძარცვავდნენ მათ და ხევში უჩენდნენ ადგილს. გამოჩნდა დუისელი იაკობ მარგოშვილი, რომელსაც მილიციელის მაზარა ეცვა. იგი თბილისში მსახურობდა მილიციაში. იაკობს ორივე ყაჩაღმა შაშხანები მიუშვირა, იარაღი არა პქონდესო. გაჩხრიკეს, იარა-

ღი არა ჰქონდა, ფული წაართვეს და სხვებთან ერთად დასვეს. მოვიდა აგრეთვე დუისელი ბისან სოსოს ძე მარგოშვილი, ყოფილი მწყემსი. მან გაამარჯობა, გოგიაო, ხელი ვაუწოდა ჭიჭოშვილს. გოგიამ ხელი ჩამოართვა და უთხრა, ბევრს ნუ ლაპარაკობ, დაჯექიო.

ცოტა ხანში გამოჩდნენ ყვარელწყლელი ცნობილი მეკარმონე გიდერძი ზურაბული და მედოლე როსტომი, რომლებიც სხვებთან ერთად დასხეს. ისინი ეტყობოდათ, სულ არ განიცდიდნენ იმას, რაც იქ ხდებოდა, იქედნურად და ირონიულად იღიმებოდნენ. ამ ამბის შემდეგ ხმა გავრცელდა, ყაჩაღებს ამავე ხალხის დოლგარმონზე წინა ღამეს უქეიფიათ საკობიანოში სეთურის ოჯახშიო. შემდეგ მოდგა იბრაჰიმ ზალაკაშვილი ორცხენშებმული ფაეტონით.

იბრაჰიმს პანკისიდან ახმეტა-თელავში მგზავრები გადაჰყავდა და ამით ცოტა ფულს შოულობდა. ეს იყო ომის მონაწილე, მაღალი, მხარბეჭიანი ვაუკაცი, რომელმაც არ იცოდა, რა არის შიში. ჭიჭოშვილი და მისი დეიდაშვილი მივარდნენ იბრაჰიმს, ფული და იარაღი ჩაგვაბარეო, უთხრეს. იბრაჰიმმა მათ ხელების ფათურის საშუალება არ მისცა. მაშინ მათ ცოლისა და დედის გინება დაუწყეს. იბრაჰიმმაც, რაც ყაჩაღებმა უთხრეს, მათ ხურდა გინებისა ორმაგად უკან დაუბრუნა. მაშინ ორივე ყაჩაღმა აქეთ-იქიდან თავზე და სახეზე კონდახებით დაუწყეს ცემა. იბრაჰიმი მაინც არ ტყდებოდა და რაც შეეძლო წინააღმდეგობას უწევდა შეიარაღებულ ბანდიტებს. წარბი გაუხეთქეს, ჰირსახიდან სისხლი დიოდა. ქალებმა ტირილი დაიწყეს.

იბრაჰიმი შავლახს გარე ბიძაშვილად ერგებოდა. ძალიან უყვარდათ ერთმანეთი. შავლახ ალდამოვი დუისის სკოლის მახლობლად გზისპირზე ცხოვრობდა. იბრაჰიმი — მისი სახლის მოპირდაპირედ. გააჩერებდა ხოლმე იგი თავის „ლილეინკას“ და მოაკითხავდა შავ-

ლახს — აბა, როგორა ხარ, ბიძაშვილო, შვილები როგორ გყვანანო.

შეშფოთებულმა შავლახმა იბრაჰიმს დაუძახა — იარაღიან ხალხთან რას გააწყობ, ცოლ-შვილის ცოდვაში არ ჩადგე, მოდი ჩვენთან დაჯექიო. იბრაჰიმმა რომ შეიცნო შავლახის ხმა, ასე თუ ისე, დაშოშმინდა და ჩვენთან ერთად დაჯდა. ამის შემდეგაც ემუქრებოდნენ ყაჩაღები, გიჩყენებთ, როგორ უნდა წინააღმდეგობის გაწევაო.

ცოტა ხანში ყაჩაღებმა თქვეს, ახლა ქალიშვილები უნდა შევარჩიოთ და ტყეში გავიყვანოთო. დატყვევებულ მძევლებს შორის ჩოჩქოლი ატყდა. ქალიშვილები ატირდნენ. იბრაჰიმმა და სხვებმა თქვეს, აქვე სიკვდილი გვირჩევნია ასეთი სირცხვილის ჭამასო, და გადაწყვიტეს, თუ ბანდიტები რომელიმე ქალიშვილს ხელს დააკარებდნენ, ყველანი ეროდროულად მივარდნოდნენ და განეიარაღებინათ.

ამ დროს მოულოდნელად გაისმა ორი თუ სამი გასროლის ხმა. ყაჩაღები შეშფოთდნენ. ერთი მათგანი შემართული თოფით დატყვევებულებს თავს დაადგა და უბრძნა, არ გაინძრეთ, თორემ დაგხოცავთო. მეორე ტყეში მიიმალა და გაეხმაურა მესამეს, საგარეჯოელ ჩოფურას, რომელიც მაღალ ბექზე იდგა და მთელ მიდამოს ზვერავდა. გოგიას შეკითხვაზე, რა მოხდა, რატომ ისროლეო, თომამ უპასუხა: სამი ცხენოსანი გამოჩნდა და, როგორც კი თვალი შემასწრეს, გაბრუნდნენ და გაიქცნენ. მგონი, ერთი დავჭერიო.

მალე მძევლებთან გოგიაც დაბრუნდა და უთხრა: ახლა ყველანი მხოლოდ ფიჩხოვანის მიმართულებით წახვალთ, უკან პანკისისკენ წასვლა არავინ გაბედოს, თორემ ტყეში ჩვენ ვიქნებით და დაგხოცავთო.

იმავე დღეს ალავერდის დღესასწაულზე ჩასულმა პანკისელებმა გაიგეს, რომ დუისელი მახამ უმარის ძე

და მსჩვილფეხა საქონლის შესაძენად. ცხენოსნებს მახამი მოუძღოდა. როგორც კი ღელეს ქედზე ამოვიდნენ და ბექობზე ყაჩაღს თვალი შეასწრეს, მახამი ყველაფერს მიხვდა. სამივე მხედარმა მაშინვე ცხენები შემოაბრუნა და წინუბნისკენ დაეშვნენ. მახამს უნდოდა დუისში ასულიყო და ხალხი გამოეგზავნა ყაჩაღების დასაჭერად. საბწუხაროდ, თომა ყაჩაღის ნასროლი ტყვია ბარძაყში მოხვდა. იგი ცხენიდან არ გადმოვარდნილა, შეეძლო სოფელ წინუბანში შეჩერებულიყო და ჭრილობა შეეხვია, მაგრამ ჩქარობდა. ვიდრე ალაზანს გადმოლახავდა და დუისში აყიდოდა, იმდენი სისხლი დაკარგა, დუის'ში თავის ეზოში ცხენიდან უგონოდ გადმოე'შვა. ქისტებმა იგი სასწრაფოდ ჯერ ახმეტა'ში, შემდეგ თელავში ჩაიყვანეს ექიმებთან. დასუსტებულ მახამს ფილტვების ანთებაც დაემატა და რამდენიმე დღე'ში გარდაიცვალა. მახამის დაკრძალვას დიდძალი ხალხი დაესწრო. აქ იყვნენ მახამის ძმადნაფიცები და მეგობრები თელავის, ახმეტის, თიანეთის რაიონებიდან, ყარაჯალიდან, ფშავლებისა და ოსების სოფლებიდან. მოპყავდათ ცხვარი, მოჰქონდათ ღვინო, არაყი. ჭედილა მოიყვანეს და ქავთარაშვილებ'ში უფროსებსა და მახამის შვილებს — რამაზს და მახმადს მიუსამძიმრეს მახამის ძმადნაფიცის ფილიპე ბორჩაშვილის შვილებმა აბდულამ და ლაბაზმა. ამ ორი ოჯახის შთამომავლებს შორის აბდულას, ლაბაზის, რამაზის და მახმადის გარდაცვალების შემდეგაც დღემდე გრძელდება ურთიერთნათესაობა, მისვლა-მოსვლა, ლხინში თუ ჭირში თანადგომა.

* * *

1949 წელს მუხმად ალდამოვმა, თავის დეიდაშვილებთან ომარ ხანგო'შვილთან და ღოისოლთ (გივი) მარგოშვილთან ერთად დუისის საშუალი სკოლის მეთერთმეტე

კლასი დაამთავრა. იმავე წელს სამივე დეიდაშვილმა საბუთები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე შეიტანა და დუისში დაბრუნდნენ. მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად ხელახლა თბილისში ჩასვლამდე მუხმადი ავად გახდა, მშრალი პლეურიტი დაემართა და დედა შავლახმა დიდგვერდის მთაზე თავის ძმასთან, მეცხვარეობის ფერმის სარქალთან, ბასა ბაღაკაშვილთან გააგზავნა. მუხმადის დეიდაშვილებმა კი უნივერსიტეტში მისაღები გამოცდები ჩააბარეს და ექსტერნის წესით ეკონომიკის ფაკულტეტზე ჩაირიცხნენ.

მუხმადმა თითქმის 40 დღე გაატარა დიდგვერდში. ზედმიწევნით კარგად გაიცნო მეცხვარეთა ცხოვრება, ცხვრის წველის, გუდის ყველის ამოღების წესი. სექტემბრის პირველი დეკადის ბოლოს გამოჯანმრთელებული დაბრუნდა დუისში. ცხვარ-მწყემსებიც თანდათანობით საზაფთრო საძოვრებისკენ დაიძრნენ, რასაკვირველია, მხოლოდ ცხვრის საშემოდგომო პარსვის შემდეგ.

მეორედ 1950 წელს მუხმადმა საბუთები ეკონომიკის ფაკულტეტიდან გამოიტანა და ისტორიის ფაკულტეტზე შეიტანა. მისაღები გამოცდები ჩააბარა, შაგრამ ქულები არ ეყო. ფაკულტეტზე აბიტურიენტების აბსოლუტური უმრავლესობა თბილისელები და ომის ვეტერანები იყვნენ, ერთ ადგილზე 10 კაცი მოდიოდა. მიუხედავად ამისა, მუხმადმა გამოცდები კარგად ჩააბარა, განცხადებით შევიდა უნივერსიტეტის რექტორთან ნიკო კეცხოველთან და იგი ექსტერნის წესით მიიღეს უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე. მუხმადმა გააამართლა რექტორისთვის მიცემული პირობა, იანვრის სესიაზე გამოცდები ფრიადებზე ჩააბარა ხუთ საგანში, ჩათვლებიც მიიღო და მომდევნო წლისათვის

ძირითად კონტინგენტში ჩაირიცხა ისტორიის ფაკულტეტზე, სტიპენდია დაენიშნა და შედარებით თავისუფლად ამოისუნთქა. არადა, იმ წლებში ძალზე ჭირდა თავის გატანა, ოჯახიდან დიდად არ ეხმარებოდნენ, ნავთის ქურაზე მჭადს აცხობდა, თავის უფროსი ძმის ახიადის გამონაცვალ ტანსაცმელს და ფეხსაცმელს იცმევდა. ვაკის სტუდენტთა ქალაქიდან ფეხით დადიოდა ლექციებზე უნივერსიტეტის კორპუსებში.

უნივერსიტეტის რექტორი ნიკო კეცხოველი ქართული სპორტის დიდი გულშემატკივარი და მოყვარული იყო. იქ და უნივერსიტეტში ძირითადად სწავლობდნენ იმ დროისთვის საქვეყნოდ ცნობილი სპოტსმენები.

მუხმად ალდამოვიც თავის თანაჯგუფელ ზემო ალვნელ საბა ქადაგიძესთან ერთად, ჭიდაობის სექციაში ჩაეწერა და ინტენსიური წვრთნა და ვარჯიში დაიწყო. მზდდებოდა უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში ბაგირის გაჭიმვისა და მასზე მუხმადის თამაშის შესაძლებლობების შემოწმება. ამასობაში, 1950 წლის ადრე გაზაფხულზე მუხმადი მოულოდნელად მარჯვენა თირკმლის მწვავე შეტევით პლეხანოვის გამზირზე პირველ საავადმყოფოში დააწვინეს. აქ უროლოგიის განყოფილებაში პროფესორმა ალექსანდრე გზირიშვილმა და მისმა შვილმა გივიმ თირკმელიდან კენჭები ამოუღეს. ამის გამო თითქმის სამ თვემდე გაუცდა ლექციები, მაგრამ საგაზაფხულო სესიების დაწყების წინ საავადმყოფოდან გამოეწერა და გამოცდები მაინც ჩააბარა. პირველი კურსიც დასურა.

სპორტს და მუშაითობას საბოლოოდ გამოეთხოვა მუხმადი, მაგრამ სწავლის გულმოდგინედ მოპკიდა ხელი. მეორე კურსიდან კვლავ ფრიადოსან სტუდენტთა რიგებში ჩადგა.

ერთხელ, ზამთრის სესიის დამთავრების შემდეგ, არდადაგებზე დუისელი სტუდენტები სოფელში ჩამოვიდნენ. დეიდაშვილები — მუხმადი, ომარი და გივი ხან ერთის ოჯახში, ხან მეორის, ხანაც ომარის შეყვარებულის ჟუჟუნა მარგოშვილის ოჯახში იკრიბებოდნენ, პურმარილობდნენ, მხიარულად ატარებდნენ დროს. ჟუჟუნა უნივერსიტეტის გეოგრაფიის ფაკულტეტის სტუდენტი იყო. ერთ დღეს ომარმა უთხრა მუხმადს, მოდი დუისის სკოლაში გავიაროთ, იქნებ ჩვენს სიძეს, რუსული ენის მასწავლებელს ბისან დავიდოვიჩს გაკვეთილზეც დავესწროთო. ბისან დავიდოვიჩს მუხმადის და ომარის დედის ძმის მუსას (მეცნიერის) ქალიშვილი საცითა პყავდა ცოლად.

ომარი და მუხმადი სკოლაში მივიდნენ, ცალკე გამოიხმეს ყოფილი მასწავლებელი ბისან დავიდოვიჩი, მოელაპარაკნენ და დირექციასთან შეუთანხმებლად დაესწრნენ რუსული ენის გაკვეთილს მე-9 კლასში. გაკვეთილზე განსაკუთრებით აქტიურობდა და ყველა კითხვაზე ხელი პქონდა მაღლა აწეული ერთ ცისფერთვალა, ქერა გოგონას, რომელიც მასწავლებლის კითხვებზე ბრწყინვალედ პასუხობდა. გაკვეთილი კარგად ჩატარდა და სტუდენტები კმაყოფილნი გამოვიდნენ. სკოლის დერეფანში მუხმადმა ბისან დავიდოვიჩს ჰკითხა, ვინ არის ის აქტიური მოსწავლე, ცისფერთვალება გოგონაო. ეგ ხომ თქვენი ყოფილი კლასის ხელმძღვანელის და ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებლის აბდულა ბორჩაშვილის ქალიშვილია. მამა როგორი ნიჭიერი და მცოდნე კაცია, შვილიც ისეთი ეზრდება.

— ომარ, — უთხრა ეზოში გამოსულმა მუხმადმა თავის დეიდაშვილს, — გახსოვს, კინოთეატრ ამირანში, პლეხანოვზე ფილმს რომ ვუყურეთ, იქ რომ მსახიობი მარინა ვლადი თამაშობდა, მას არ პგავს ეს ქალ-

იშვილი? სწორედ ასეთ გოგონას ვისურვებდი შომავალში მეუღლედ.

— შენ რა, მოგეწონა, ბიჭო? ის ხომ ჯერ პატარაა.

— მერე რა, რომ პატარაა. თვითონაც საკმაო დრო მაქვს უნივერსიტეტის დამთავრებამდე. შემდეგ მუშაობა უნდა დავიწყო, ქორწინებისთვის პირობები უნდა შევიქმნა. ამასობაში ეს ქალიშვილიც დაამთავრებს სკოლას, უმაღლესშიც თავისუფლად ჩაირიცხება ასეთი ნიჭიერი რომაა და მერე ალბათ ჩვენს ბედს უფალი გადაწყვეტს. ყოველ შემთხვევაში, ამჯერად ჩემი სურვილი ასეთია. მართლაც გულში ჩამივარდა ეს გოგონა.

— ღმერთმა სურვილი აგიცხადოს, ჩემო ძვირფასო დეიდაშვილო და ძმაო, მეც მოხარული ვიქნები ამ საქმისა და ხომ მიცნობ კარგად, ყოველთვის მხარს დაგიჭერ, — უთხრა ომარმა.

იმ დღეს კმაყოფილი დეიდაშვილები მუხმადის ოჯახში მივიდნენ. მუხმადი სკოლის მახლობლად გზისპირას ცხოვრობდა. შავლახი გაღიმებული შეეგება ნაბოლარა ვაჟიშვილს და დისწულს. მაშინვე სუფრა გააწყო და სადილზე მიიწვია ისინი.

1955 წლის ივნისში მუხმადმა თბილისში გაიგო თავისი ყოფილი მასწავლებლის აბდულა ბორჩაშვილის და კოლმეურნეობაში მისი აგრონომის სეიდას მკვლელობის ამბავი. თბილისში მყოფ პანკისელ სტუდენტებს ძლიერ ეწყინათ ეს საშინელი ამბავი. აბდულა ხომ მათი საყვარელი მასწავლებელი იყო.

მუხმადმა უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი დაამთავრა, სახელმწიფო გამოცდები ჩააბარა, დიპლომი დაიცვა და ახმეტის რაიონის განათლების განყოფილების განკარგულებაში გამოაგზავნეს. იგი აბდულას მკვლელის ხარება გუმაშვილის სასამართლო პროცესსაც დაესწრო.

რაიონის სკოლებში ისტორიის მასწავლებლის ვაკანტური ადგილი აღარ იყო. მუხმადმა სოფლის ახალგაზრდობის დუისის საღამოს 8-წლიანი სკოლის დირექტორად დაიწყო მუშაობა. დიდი ხელფასი არ ჰქონდა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ იყო. მომდევნო წლებში საშუალო სკოლაში ისტორიის გაკვეთილები შეითავსა, ამავე დროს კონსტიტუციასაც ასწავლიდა. საღამოს სკოლაში სოფლის ახალგაზრდების დასწრებისა და აკადემიური მოსწრების დონე საგრძნობლად გააუმჯობესა. 1957 წელს მე-8 კლასში 8 ხუთოსანი, მე-7 კლასში კი 6 ხუთოსანი პყავდა.

1958 წელს მუხმადი კომპარტიის წევრი გახდა და მალე პარტიის ახმეტის რაიკომში ინსტრუქტორად გადაიყვანეს. ახლა უკვე დრო იყო დაოჯახებაზე და ბინის მშენებლობაზეც ეფიქრა. ძალიან აინტერესებდა აბდულას ქალიშვილის, ლამარას ბედი. მოსდიოდა ხმა, რომ ლამარა ზოოვეტინსტიტუტში ჩაირიცხა, შემდეგ კი სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე გადაიყვანეს. მუხმადს უნდოდა ქალიშვილს შეხვედროდა და სერიოზულად დალაპარაკებოდა.

ჯოყოლოში ლამარა ბორჩაშვილის სახლის მეზობლად, ჭობიოს ტყიანი გორის ძირში ცხოვრობდა პირიქითა ქისტეთიდან დიდი ხნის გადმოსახლებული დადა ბორჩაშვილი, რომლის მეუღლე ბელისათი მუხმადის ბიძაშვილ ბელიჟას შვილი იყო. მუხმადი ელაპარაკა თავის ნათესავ ქალს. უნდოდა გაეგო, როდის დაბრუნდებოდა ლამარა თბილისიდან, და როგორმე შეხვედროდა.

ერთ დღეს ახმეტიდან დუისში მომავალი მუხმადი თელავი-ჯოყოლოს ავტობუსში ავიდა. ავიდა და მაშინვე დაინახა სტუდენტობის პერიოდში უფრო დამშვენებული, მორცხვი, დაფიქრებული, სევდიანი და

კდეამოსილებით აღსავსე ლამარა. მუხმადს გულმა მოხშირებით დაუწყო ძგერა. ცოტა ხანში დაწყნარდა, ლამარას ახლოს თავისუფალი სკამი შეამჩნია და ჩამოჯდა, „მარჩ იოღუილ“— გზა ბშვიდობითამც გივლია, უთხრა ქალიშვილს. ლამარამ პასუხად ასევე მშვიდობა უსურვა. ვაჟი უფრო ახლოს მიიწია ქალიშვილთან და ხმადაბლა, ისე რომ სხვების ყურადღება არ მიექცია, დაუწყო საუბარი. მიუსამძიმრა, უთხრა, მამაშენის ამბავი ძალიან მეწყინა, იგი ხომ ჩვენი ძვირფასი მასწავლებელი და დამრიგებელი იყოო. ამ ამბის შემდეგ შენთან პირისპირ შეხვედრისა და სამძიმრის თქმის საშუალება არ მქონია. მაღალმა ღმერთმა სასუფეველში ამყოფოს მისი სული, შენ კი მოთმინება მოგცეს და ეს უბედურება გადაგატანინოსო. რა ვქნათ, თავს ზემოთ ძალა არაა. ახლა დარდით და ნაღველით მამას ვერაფრით უშველი, თავს კი ავნებ. წინ გასავლელი დიდი და საპასუხისმგებლო გზა გიდევს, დედას და და-ძმებსაც უნდა მიაქციო ყურადღება, მომავალზეც უნდა იფიქრო, უნდა გამაგრდე, ხომ გახსოვს რუსთაველი — „ჭირსა შიგან გამაგრება ისრე უნდა, ვით ქვითკირსაო“

ლამარამ მუხმადს წყნარად მოუსმინა, თვალებზე ცრემლი აუკიაფდა, მადლიერების თვალით შეხედა ვაჟს და მადლობა მოახსენა. აშასობაში ავტობუსმა დუისს მოაღწია. მუხმადმა მშვიდობა და კარგად ყოფნა უსურვა ლამარას და ავტობუსიდან ჩავიდა.

მშვენიერი ზაფხული იდგა. მუხმადის და მედეა და რძალი ფირდაუზი ჭიქაურის მთაზე იყვნენ. დედამ მუხმადს უთხრა, შენ ხომ ახლა შვებულებაში ხარ, ჩვენს ნათესავ ისიდორეს ცხენს გამოართმევ და ფქვილი, ბოსტნეული და ხილი აუტანე შენს რძალსა და დასო.

მუხმადი დაეთანხმა და მეორე დღეს დილით გზას გაუდგა. ჯოყოლოს თავში ლამარაანთ სახლის ახლოს

ჩამოქვეითდა და ცხენი სადავით გაიყოლა უკან. ამით ქისტურ ადათ-წესს სცა პატივი. ქისტურ სოფლებში კი სახელოვანი ვაჟკაცის გარდაცვალებიდან რამდენიმე წელს (2-3 წელი) მის სახლთან მიახლოებისას ნიშნად გარდაცვლილისადმი ღრმა პატივისცემისა, მხედარი ჩამოქვეითდებოდა და ასიოდე მეტრს ფეხით გაივლიდა. გარდაცვლილის სახლს გასცდებოდა და ისევ შეჯდებოდა ცხენზე. მუხმადს კარგად ახსოვდა დედის ნათქვამი: როცა მამათქვენი იუნუზი გარდაიცვალა, სამი წლის განმავლობაში ჩვენი სახლის წინ ცხენზე შემჯდარ ქისტს არ გაუვლიაო.

ვიდრე მუხმადი ლამარას სახლს მიუახლოვდებოდა, დაინახა, რომ ლამარა ეზოდან გამოვიდა და გზის პირზე ნაკადულთან მივიდა. მუხმადმა დილა მშვიდობისა უსურვა და გაჩერდა. ლამარა მაშინვე შეეკითხა, ცხენი თქვენიაო? საით გაგიწევიაო? ნათესავისაა, დუისის საბქოს მდივნის ისიდორე ბაღაკაშვილისაა. ის დედას ნათესავია. ჭიქაურაში ჩემი და და რძალი ძროხებს წყელიან. იმათ ფქვილი და რაღაც-რაღაცეები უნდა ავუტანოო, — მიუგო ვაჟმა

— რა ლამაზი ცხენია, — თქვა ლამარამ, ალბათ მამისეული ლურჯა გაახსენდა. მართლა ლამაზი იყო ისიდორეს ცხენი. მაღალი, გრძელი ტანი პქონდა და წვრილი ფეხები. ოქროსფერ-მოყვითალო ფერი დაჰკრავდა. ისეთი ჩქარი და ლამაზი იორღით მიდიოდა, ოთხაღებით გაჭენებულ ცხენს ტოლს არ უდებდა.

მუხმადს საუბრის გაგრძელება უნდოდა, მაგრამ გზაზე ლამარას ძმა ალბერტი დაინახა, რომელიც მათკენ მოდიოდა. მიხვდა, რომ ქალიშვილს თავის სათქმელს ვერ ეტყოდა, კარგად ყოფნა უსურვა და გზა განაგრძო. ცოტა ხნის შემდეგ უკან მოიხედა და დაინახა, რომ ალბერტი ცხარედ ეკამათებოდა ლამარას.

გამოხდა ხანი, მოიდან დაბრუნებული მუხმადი თავის ნათესავს, ლამარას მეზობელ ბელისათს ეწვია ჯოყოლოში. მუხმადმა გულისსადები გაანდო ნათესავს. ბელისათიც ძალიან აქებდა ლამარას, მუხმადს ეუბნებოდა, მაგას თუ შეირთავ, ბედნიერი ოჯახი გექნებაო. მუხმადმა ჰკითხა — ახლა, შეიძლება მასთან ამ თემაზე საუბარი, შავები ხომ არ გაუხდია, ისევ მგლოვიარე არის თუ არაო? ბელისათმა მიუგო, როგორ არ შეიძლება, მხოლოდ კაბა აცვია მოშავო ლურჯი ფერისაო.

— კარგია, — თქვა მუხმადმა, — ახლა ის გამიგე, ალბერტი როდის მიდის თბილისში, ალმაცერად მიყურებს და არ მინდა, მაგის სახლში ყოფნისას მივიდე ბორჩაშვილებთან. და კიდევ აი რა, რაც ყველაზე მთავარია: შენს სახლში უნდა შევხვდეთ მე და ლამარა, თანაც მან არაფერი უნდა იცოდეს ამ შეხვედრის შესახებ. თავმომწონე, ამაყი ქალიშვილია და, თუ გაიგო, აქ ვარ, არ მოვა.

ბელისათმა მუხმადი დააიმედა, ნუ გეშინია, ყელაფერს მივაგვარებო.

რამდენიმე ხნის შემდეგ, როცა მუხმადი ბელისათის სახლში იმყოფებოდა, ოჯახის უფროსი კი სხვაგან იყო წასული, ბელისათმა ისე მოახერხა, ლამარა მოიყვანა. ბელისათი ვითომ თავის საქმეზე გარეთ გავიდა და მუხმადი და ლამარა პირისპირ დატოვა. მუხმადმა ბევრი იწვალა, არ იცოდა, როგორ დაეწყო, რით დაეწყო საუბარი. ბოლოს, როგორც იქნა, ამოღერღა სათქმელი და ლამარას სიყვარული გაუმხილა.

ლამარა ადრევე ქვეცნობიერად გრძნობდა მისდამი მუხმადის სიმპათიას, მაგრამ ახლა მაინც შეკრთა და უთხრა:

— მამის დაკარგვა დიდად განვიცადე და გათხოვებაზე არასდროს მიფიქრია, არც ახლა ვფიქრობ ამაზე.

თანაც სტუდენტი ვარ, ჯერ ინსტიტუტი უნდა დავამთავრო.

მუხმადმა თავაზიანობა გამოიჩინა, არ დაუძალებია, ლამარასთვის გინდა თუ არა, დღესვე პირობა მომეციო. მადლობა გადაუხადა, რომ მისი აღსარება მოთმინებით მოისმინა, ყოველივე სიკეთე და წარმატება უსურვა. ამით ლამარას გულიც მოიგო. ეს შემდგომმა შეხვედრებმაც ცხადყო.

* * *

არდადეგების დრო ამოიწურა და სტუდენტმა დაძმამ თბილისს მიაშურა. ობლების დედას ძააძეის ძალიან უჭირდა ორ-ორი სტუდენტის თბილისში ყოფნა და ალბერტი იძულებული გახდა, დაუსწრებელზე გადასულიყო.

მუხმადი მომავალი სიდედრის და ლამარას და-ძმების გაცნობის მიზნით ბელისათთან ერთად ძააძეის ესტუმრა. თუმცა გვიან, მაგრამ მაინც მიუსამძიმრა ქმრის გარდაცვალება. რაიონში მოსაგვარებელი საქმეების, პენსიის დანიშვნისა და სხვა საკითხების გადაწყვეტაში დახმარება და თანადგომა აღუთქვა. ძააძეიმ დიდი მადლობა გადაუხადა და კმაყოფილება გამოხატა მუხმადის გაცნობით. მუხმადი აქვე შეხვდა და ესაუბრა ძააძეის დედას, 85 წელს გადაცილებულ შუპეი ალხანაშვილს, რომელსაც ასაკის მიუხედავად ყურთასმენა და მხედველობა არ აკლდა და აზროვნებაც ნორმალური ჰქონდა. მან მუხმადს გამოჰკითხა ვინაობა. როცა გაიგო, ვისი შვილი იყო, გაიხსენა მუხმადის მამა იუნუზი, ბაბუა არსნაყი, ხალხს ძალიან უყვარდა ორივე, რადგან ვაჟკაცები იყვნენო. შენც გისურვებ, პატიოსანი და ღირსეული კაცის სახელი მოგეხვეჭოსო, — უთხრა ბოლოს.

* * *

ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკის კვლავ აღდგენისა და გადასახლებიდან ხალხის დაბრუნების შემდეგ ჩეჩნების დრამატული თეატრი, ცეკვის და სიმღერის ანსამბლი, მწერლები რამდენჯერმე ეწვივნენ პანკისის ქისტურ სოფლებს, ახმეტას, ზემო და ქვემო ალვანებს. სტუმრებს შორის იყვნენ დრამატურგი და პოეტი ბილალ საიდოვი, ჩეჩნეთ-ინგუშეთის სახალხო არტისტი, მომღერალი ვალიდ დაგაევი, ჩეჩნეთის სახალხო არტისტი ხალიმი. მუხმადის ძმამ ახიადმა დაპატიჟა ისინი. ახიადი და ბილალ საიდოვი ძმად გაიფიცნენ.

სუფრაზე ჩეჩენმა ხალიმმა თქვა: ვიცნობდი იუნუზ ალდამოვს. ახალგაზრდობაში, ქ. გროზნოს მოედანზე ვუყურე მის თამაშს. სანახაობას ესწრებოდნენ ნავთობსარეწების მფლობელის თაფა ჩერმოეკის ქალიშვილები და ნათესავები. ერთ-ერთ ქალიშვილს ისე მოეწონა იუნუზი, გულში ჩაუვარდაო.

ახიადმა გადაწყვიტა, ემოგზაურა ჩეჩნეთში, სასკოლო ასაკს მიღწეული შვილები გროზნოს სკოლა-ინტერნატში მიებარებინა. მუხმადმაც მიზნად დაისახა, როგორც კი ამის საშუალება მიეცემოდა, ჩასულიყო ჩეჩნეთში, ნათესავები მოენახულებინა და გაერკვია, შეიძლებოდა თუ არა იქ მუშაობის დაწყება.

1958 წელს ზაფხულის არდადაგების დროს სოფელში მუხმადი რამდენჯერმე შეხვდა ლამარას და თავის სიყვარულზე გაუბა საუბარი. უთხრა, მე სხვა ქალის შემრთველი არ ვარ და თუ შენ სხვაზე ფიქრობ, ჯობს, ახლავე გაირკვეს ყველაფერი. გთხოვ, პირდაპირ მითხრა, თანახმა ხარ თუ არა, ჩემს ბედს დაუკავშირო შენი ბედიო. ლამარა უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. ერცხვინებოდა, უმძიმდა გულის პასუხის წარმოთქმა.

ისღა თქვა, სხვაზე არასოდეს მიფიქრია, თუმცა მთხოვნელი ბევრი მყავდაო.

— მაშ, თანახმა ხარ, ხელი მომეცი, — შესძახა მუხმადმა და მისი ხელი ხელში მოიქცია.

ლამარამ მრისხანედ შეხედა და ხელი გამოსტაცა:

— როგორ გეკადრება, თუ ასე მოიქცევი, ეს ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა იქნება, — უთხრა უკმაყოფილოდ.

მუხმადმა ბოდიში მოუხადა და უთხრა:

— მე მაინც საბოლოო პასუხს ველოდები, თანახმა ხარ, თუ არა?

— არ ვიცი, ახლა, სიმართლე რომ გითხრა, არ ვარ მზად პასუხისთვის. ვნახავ. ავწონ-დაეწონი, საკუთარ გულსაც შევეკითხები. არდადეგების დროს, 1959 წლის იანვრისთვის გადაწყვეტილ პასუხს გეტყვი, — მიუგო ლამარამ.

— მართალი გითხრა, ძალიან მიმძიმს იანვრამდე მოცდა. იანვარში მაინც იმედი ვიქონიო, თუ არა? — საკითხავი აი, ეს არის, — უთხრა მუხმადმა ლამარას და ღიმილით შეხედა. ლამარამაც ღიმილით უპასუხა. ეს ღიმილი უკვე იმედის წყარო იყო.

დადგა 1959 წლის იანვარიც. მუხმადმა ბელისათი გააფრთხილა 11 იანვარს შევხვდებით მე და ლამარა შენს სახლშიო.

დათქმული დროისთვის მუხმადმა თან გაიყოლა ძმა ახიადი და უფროსი დის ქმარი, რომელსაც ასევე ახიადი ერქვა. შეღამებულზე სამივემ ბელისათ ბორჩაშვილის ეზოში შეაბიჯა. მუხმადი ბელისათთან შევიდა ოთახში, სიძე-ცოლისძმა გარეთ გაჩერდა. ცოტა ხანში მუხმადს გაქცეულ ადამიანთა ფეხის ხმასავით რაღაც ხმაური შემოესმა. თურმე შეხვედრაზე მომავალმა ლამარამ ბელისათის ეზოში ორი მაღალი კაცი რომ

შეამჩნია, გაიქცა, ისე შეშინდა, ყვირილი უნდოდა, მაგრამ ხმა ვერ აშოელო. ამასობაში ორმა ახიადმა ხელი სტაცა. რამდენიმე წამში მუხმადიც იქ გაჩნდა. მუხმადის დანახვაზე ლამარა ცოტა დაწყნარდა, მაგრამ დალაპარაკება მაინც ვერ შეძლო. მუხმადმა უთხრა, ახლა დუისში ჩემს სახლში უნდა წავიდეთ. ეს საქმე გადაწყვეტილია. ძმა და სიძეც აქისთვის წამოვიყვანე. წინააღმდეგობის გაწევა, ამ საქმის გახმაურება და ალიაქოთის ატეხვა არც შენ მოგიტანს კარგს და არც ჩვენ. ამიტომ, იფიქრე, რომ მოსახდენი უკვე მოხდა. ნელ-ნელა დავიძრათ და მშვიდობიანად წავიდეთ აქედან.

სიძე-ცოლისძმა აქეთ-იქიდან ამოუდგა ლამარას. იღლიებში ხელი გაუყარეს, რომ არ წაქცეულიყო. მუხმადი მათ უკან გამოჰყვა, გამოვიდნენ დადა ბორჩაშვილის ეზოდან და ჭობიოს ძირზე გაიარეს, ჯოყოლოს ბოლოში გავიდნენ, იქიდან მთავარ სახელმწიფო გზას დაადგნენ და მშვიდობიანად მივიდნენ დუისში მუხმადის ოჯახში.

მუხმადმა და ლამარამ დუისში ქორწილი გადაიხადეს. ქისტური ხნე-ჩვეულების შესაბამისად მუხმადმა ცოლოურები ოჯახში დაპატიჟა. ლამარას ოჯახსაც ეწვივნენ მუხმადის შინაურები და ახლობლები. ამასობაში ლამარას არდადეგები დაუმთავრდა და იძულებული გახდა, დაბრუნებოდა ინსტიტუტს. მუხმადის შვებულებაც დამთავრდა და იგი სამსახურში გავიდა.

პირველი ვაჟიშვილი ლამარას და მუხმადს 10 თვისა გარდაეცვალათ. მეორე შვილი გოგონა შეეძინათ, მარინა დაარქვეს. დედა-შვილს სტუდენტთა ქალაქში ცალკე ოთახი გამოუყვეს. გაუჭირდა ლამარას თბილისში ბავშვის შენახვა. ლექციები უცდებოდა. პრაქტიკაც უნდა გაევლო სხვადასხვა საავადმყოფოში.

მთელი დღე ბავშვისთვის ვერ იცლიდა. ბავშვს კი გამუდმებული ყურადღება სჭირდებოდა. ამიტომ, ჯოყოლოში დედას ჩაუყვანა, რადგან არ უნდოდა აკადემიური შვებულების აღება, ინსტიტუტის დროზე დამთავრება და სამსახურის დაწყება ეჩქარებოდა.

მუხმადი ჯერ კიდევ ხელმოკლედ იყო და მეუღლეს საჭიროებისამებრ ვერ ეხმარებოდა. მიუხედავად ამისა, ლამარას არ შეშინებია და ფარ-ხმალი არ დაუყრია. იმდენს ასერხებდა, რომ და-ძმებსაც ხელს უწყობდა სწავლაში. სტუდქალაქში თავისთან პყავდა ერთი მათგანი. ლამარამ უმცროსი ძმა თამაზი თბილისში ჩაიყვანა და №1 სპორტულ სკოლა-ინტერნატში მოაწყო. შაბათობით თავისთან მოპყავდა, მოაწესრიგებდა და ორშაბათს დილით ისევ სკოლაში მიპყავდა.

* * *

მუხმადის ბაბუის გოი ბაღაკაშვილის და ცოლად პყავდა ჩეჩენ ბეოაყს. ივი სოფელ ხოშქელდში ცხოვრობდა. მათი შვილი მახმად-ხაჯი, ანუ მუხმადის დედის შავლასის მამიდაშვილი, დიდძალი ცხვარ-ძროხისა და ქონების პატრონი გამხდარა. თურმე, როგორც კულაკს, ციმბირში გადასახლება ემუქრებოდა. ამიტომ ოჯახით გამოერიდა იქაურობას და პანკისში ბიძაშვილებთან — მუსასთან და ბასასთან ჩამოვიდა. ბასა მეცხვარე იყო. კოლმეურნეობათა პერიოდში კერძო მესაკუთრე მეცხვარეების ფერმის სარქლად მუშაობდა. მახმად-ხაჯიმ ბასასთან ერთად საკუთარი ცხვარი მოიმრავლა და დუისში დამკვიდრდა.

1944 წელს მახმად-ხაჯის ოჯახი შუა აზიაში გადაასახლეს. გადასახლებაში ყოფნის დროს მახმად-ხაჯის ერთმა ინგუშმა თვითმცლელი ავტომანქანა დააჯახა და ფეხი მოტეხა. ვაინახების ადათითა და

ტრადიციით მოძრიგებული შუამავლები დატრიალდნენ და ეს ოჯახები შეარიგეს. ჩეჩნებისა და ინგუშების სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, მძღოლი ინგუშის ძმა ჩახქიევი პარტიის ჩეჩნეთ-ინგუშეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივნად მუშაობდა.

ქ. გროზნოში ჩასული შუხმადი ალდამოვი მახმადხაჯის ქალიშვილს სარას ესტუმრა, რომელიც ქმარშვილით გროზნოში ცხოვრობდა. შუხმადი ახიადის ძმადნაფიცს პოეტ ბილალ საიდოვს ესტუმრა. მისი მეშვეობით გაიცნო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი სალამოვი, მეცნიერი და მკვლევარი ხ. ოშაევი, ჩეჩნური ეპოსისა და ზეპირსიტყვიერების კრებულთა შემდგენელი ჯამალდინოვი და სხვ. შუხმადი შეხვდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გაირბეკოვს. მოახსენა, ვინ იყო წარმოშობით და ხოხოვა, ჩეჩნეთში მუშაობის დაწყებაში დახმარებოდა.

გაირბეკოვმა ურჩია მისი სახელით მიეკითხა შალის რაიონის მთავარი ექიმისთვის და იგი აღმოუჩენდა ჯეროვან დახმარებას. ალბათ იმ კაცს საკმაო გავლენა და ნაცნობობა ჰქონდა შალში და შუხმადი ერთ დღეს ავტობუსით გაემგზავრა იქ.

ზაფხულის ცხელი დღე იყო. მთავარი ექიმი მუხმადს ადგილზე არ დახვდა, გროზნოში სამინისტროში წავიდაო, უთხრეს, შუადღის შემდეგ დაბრუნდებაო. მუხმადმა გადაწყვიტა, დალოდებოდა, ეზოში გამოვიდა და ხის ჩრდილში სკამზე ჩამოჯდა. მცირე ხანში სასწრაფო დახმარების მანქანით მშობიარე ქალი მოიყვანეს. მას თურმე მშობიარობა გაურთულდა და გადაუდებელი ოპერაცია სჭირდებოდა. არ გასულა დიდი დრო, რომ სააკადმყოფოს ეზოსთან კაცებით და ქალებით გავსებული საბარგო ავტომანქანა გაჩერდა. ეზოში შემოვიდნენ ხანდაზმულები და ახალგაზრდები.

ზოგი მათგანი საავადმყოფოში შევიდა, დანარჩენებმა ეზოში დაიცადეს. ესენი, მშობიარე ქალის ახლობლები და ნათესავები, ვედენოს რაიონიდან ჩამოსულიყვნენ.

მთავარი ექიმი იგვიანებდა, მუხმადი სკამზე იჯდა, უცებ დედის ხნოვანების ქალი მიუახლოვდა და დააკვირდა, შეეკითხა, ვინ ხარ და სადაური ხარო. მუხმადმა უპასუხა, საქართველოში მცხოვრები ჩეჩენი ვარ, მთავარი ექიმის მოსვლას ველოდებიო.

— მამაშენს რა ერქვა?

— იუნუზი.

ქალს თვალები ცრემლით აევსო, მივარდა მუხმადს და გულში ჩაიკრა. როცა გული მოიოხა, უთხრა:

— მამაშენს ფეხი რომ დაუშავდა, ორი თვე ჩვენს ოჯახში იმყოფებოდა.

მუხმადიც გაოგნებული და დაბნეული იყო. ქალმა მამაკაცებს დაუძახა:

— ისლამ, ისმაილ, მობრძანდით აქ!

ორი წარმოსადეგი, სანდომიანი ჭარმაგი ჩეჩენი გამოეყო კაცებს და მოვიდა. მათ ჩეჩნური მაღალი ბუხრის ქუდები ეხურათ. ქულაჯები, წუღა-მესტები ეცვათ, წელზე ვერცხლით მოზარნიშებული, ტყავის ძველებური ქამრები ერტყათ.

— ეს ახალგაზრდა საქართველოდანაა, ჩვენი მეგობრის იუნუზის ვაჟიშვილია, შეხედეთ, როგორ ჰგავს მამას?!

ახლა იუნუზის ხნოვანების ორი კაცი გადაეხვია მუხმადს. ჰკითხეს, როდის გარდაიცვალა იუნუზი, რამდენი შვილი დარჩა და სხვ.

ამასობაში, მშობიარე ქალის ოპერაცია—საკეისრო კვეთა წარმატებით დასრულდა, მუცლიდან ბავშვი ამოუყვანეს და ქალმა მოიხედა. ვედენოს ჩეჩნები წასასვლელად გაემზადნენ. იუნუზის მეგობრებმა თავიანთი

მისამართი ჩააწერინეს მუხმადს, სთხოვეს, აუცილებლად გვინახულეთო, გამოემშვიდობნენ და წავიდნენ. მთავარი ექიმი იმ დღეს საერთოდ არ მოსულა საავადმყოფოში და მუხმადი იძულებული გახდა, საღამოს აგტობუსით გროზნოში დაბრუნებულიყო.

1960 წელს, ახმეტის რაიკომში ინსტრუქტორად მუშაობის დროს, მუხმადი კიდევ ჩავიდა ჩეჩნეთში და სოფელ ხოშქელდში ესტუმრა დედის მამიდაშვილს მახმად-ხაჯის. კოჭლობით გამოეგება მოხუცი, ტიროდა და ეხვეოდა მუხმადს. დუისში მცხოვრები ყველა ახლობელი და ნათესავი გაიხსენა, მოიკითხა, როგორ არიანთ, მოპყვა დუისში ცხოვრების ეპიზოდებს. მუხმადმა გროზნოში მუშაობის სურვილი გაუმჟღავნა. ძლიერ გაუხარდა, უთხრა:

ამ დღეებში გროზნოში ჩემი ქალიშვილის სარას ოჯახში სტუმრობას ვაპირებ, ეგებ საოლქო კომიტეტში ჩახქიევი ვნახო, მე მგონია, მომისმენს და დაგვეხმარება. ისეთ რაიმეს ხომ არა ვთხოვთ, რომ კანონსაწინააღმდეგო იყოს. უმაღლესი განათლება გაქვს, ახალგაზრდა ხარ, ისტორიულ საქმობლოში დაბრუნება გინდა და აქაურმა ხელმძღვანელებმა სიამოვნებით უნდა შეგიწყონ ხელი.

მახმად-ხაჯი მართლაც შესვედროდა ოლქკომის მეორე მდივანს ჩახქიევს. მას უთქვამს, აუცილებლად დავეხმარები, მოვიდეს ჩემთანო. ეს ყოველივე მუხმადს მახმად-ხაჯის ქალიშვილმა სარამ უამბო.

მუხმადი ჩახქიევთან მიღებაზე იყო. იმ დროისათვის პარტიის ქურჩალოის რაიკომში მესამე მდივნად ლამარას ნათესავი, ფილიპე ბორჩაშვილის დის დეის შვილიშვილი ყენია დუდარას ასული დაქიშვილი მუშაობდა. ჩახქიევმა მუხმადს პარტიის ქურჩალოის რაიკომში პარტიული კაბინეტის გამგის თანამდებობაზე

მუშაობა შესთავაზა. გარკვეული დროის გასვლის გასვლის შემდეგ კი უმაღლეს პარტიულ სკოლაში გაგზავნაც შეიძლებოდა.

მუხმადი დაუკავშირდა ჟენია დაქიშვილს და მოკლე დროში ქურჩალოის პარტრაიკომში პარტკაბინეტის გამგედ დაიწყო მუშაობა. მუხმადი ქურჩალოიში ჟენია დაქიშვილთან და მის უმცროს ძმასთან სოსო დაქიშვილთან ერთად ცხოვრობდა მთავრობის ბინაში.

ჟენია გასათხოვარი იყო. იგი შეუყვარდა სოფლტექნიკის ქურჩალოის რაიონული საწარმოს მთავარ ინჟინერს ახალგაზრდა ომარს. ჟენიამაც თანაუგრძნო და ბედნიერი, ტკბილი ოჯახი შექმნეს, შვილებიც შეეძინათ.

ქურჩალოიში მუხმადის ყოფნის დროს ლამარამ მოსაკითხით და ძღვენით მიაკითხა მუხმადს, რითაც ძლიერ გაახარა. ლამარამ გაიცნო რაიონის ხელმძღვანელები, პურმარილზე მოიწვია რაიკომის პირველი მდივანი ღ. მეუიდოვი, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. მაგამედოვი, რაიკომის მესამე მდივანი ჟ. დაქიშვილი. ჟენიას ძმა, სოსო გიტარაზე და ბალალაიკაზე საუცხოოდ უკრავდა და კარგად მღეროდა, მშვენივრად გაატარეს დრო.

ლამარა იმ დროს მშვენიერი იყო. წყაროზე წყლის მოსატანად მიმავალს ყმაწვილკაცები ქათინაურებს ეუბნებოდნენ და გამოლაპარაკებას ცდილობდნენ. ეს ეპიზოდი ლამარას თავმოსაწონებლად დარჩა ცხოვრებაში.

1962 წელს პარტიის ჩეჩნეთ-ინგუშეთის საოლქო კომიტეტმა მუხმად ალდამოვი სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული დონის როსტოვის უმაღლეს პარტიულ სკოლაში გაგზავნა, რომელიც ძან 1964 წელს დაამთავრა. როსტოვიდან დაბრუნებულ მუხმადს პარ-

ტიის ჩეჩნეთ-ინგუშეთის საოლქო კომიტეტმა სეასანის, ქურჩალოის და ნოჟაიურთის პარტიულ კომიტეტში საოლქო კომიტეტის ინსპექტორ-პარტორგანიზატორის თანამდებობა შესთავაზა. იმ დღეებში მუსმადს დუისიდან აცნობეს, რომ დედამისი ავად გახდა. მუსმადმა გაითვალისწინა დედის ავადმყოფობა, ისიც, რომ ინსტიტუტდამთავრებული ლამარა ჯოყოლოს საუბნო საავადმყოფოში მუშაობდა და როდემდე უნდა ყოფილიყვნენ ახალგაზრდა მეუღლეები სხვადასხვა ადგილას? ძმასთან გაყრის შემდეგ მუსმადის ოჯახი ცალფარდულა ფიცრის ოთახში ცხოვრობდა. საჭირო იყო კაპიტალური საცხოვრებელი ბინის მშენებლობა. ჰოდა, იძულებული გახდა, უარი ეთქვა ჩეჩნეთში შემოთავაზებულ მაღალ თანამდებობაზე და საქართველოში, კერძოდ ახმეტის რაიონში დაბრუნებულიყო. პანკისში შობილს და გაზრდილს პანკისისაკენ მოუწევდა გული. მან უწინდებურად პარტიის ახმეტის რაიკომის ინსტრუქტორად დაიწყო მუშაობა.

* * *

1963 წელს ლამარამ სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა. ინსტიტუტის რექტორატმა სთხოვა, ინსტიტუტში დარჩენილიყო და ასპირანტურაში გაეგრძელებინა სწავლა, მაგრამ ქალიშვილმა გაითვალისწინა ოჯახური პირობები, დედისა და და-ძმების მდგომარეობაც და მშობლიურ პანკისის ხეობას დაუბრუნდა. იგი ჯოყოლოს საუბნო საავადმყოფოს გამგეექიმად დანიშნეს.

ჯოყოლოში ლამარა შეუდგა მუშაობას, თავის ადგილზე დააბრუნა წინა წლებში სხვადასხვა მიზეზით საავადმყოფოდან წასული, სამეურნეო ნაწილში გამგე-ექიმის მოადგილე, ვისერგი მუთოშვილი. ლამარას ეამაყებოდა, რომ სამნეო დარგში გვერდით ედგა თავისი

პაპის, ფილიპე ბორჩაშვილის ახლო მეგობარი ვისერგი მუთოშვილი.

ვისერგის დიდი ჭირვარამი პქონდა გამოელილი. პანკისის ტყეებში ქაქუცა ჩოლოყაშვილის ყოფნის წლებში გადატანილ ამბებს უამბობდა ლამარას, უხარობდა, რომ იგი პირველი ქისტი ექიმი ქალი იყო, მამაშვილურ დარიგებებს აძლევდა ხოლმე.

ვისერგიმ, დუისულ მახმად დუიშვილთან ერთად, დიდი წელილი შეიტანა მთავრობასთან ჩეჩენი აბრაგების შემორიგების საქმეში. ტყეში აბრაგებთან გასულ ახალგაზრდა სეიდ ხოჟაევს ისე მოეწონა ვისერგის სიტყვა-პასუხი, შემორიგების შემდეგ სულ მალე მისი ქალიშვილი ცოლად შეირთო.

პანკისის ხეობაში ვისერგი დიდი აუტორიტეტით სარგებლობდა, მის სიტყვას ანგარიშს უწევდნენ და მოსისხლე გვარების შერიგებაში შუამავლობას აკისრებდნენ. ლამარამ თავის ძმას, ალბერტის სწორედ ვისერგის ქალიშვილი ელიკო მოაყვანინა ცოლად. მათ ბედნიერი ოჯახი შექმნეს.

ლამარას გულით უხაროდა, როცა მძიმე ავადმყოფს მოარჩენდა და გამოჯანსაღებულს გაწერდა საავადმყოფოდან. ჯოყოლოს საბჭოში ბევრი სოფელი შედიოდა: ბირკიანი, ძიბახევი, ომალო, დუმასტური, ქვემო, შუა და ზემო ხალაწნები. და ყველას ემსახურებოდა. ალაზანს გაღმა სოფლებში, დღისით თუ საღამოთი ავტომანქანით, ცხენით, ტრაქტორითაც კი, უხდებოდა წასვლა. თავს არ იზოგავდა და მრავალი მძიმე ავადმყოფი ფეხზე დაუყენებია. ხშირად ოჯახში თავის ქმარ-შვილთან ძილი და დასვენება მონატრებია, სოფლიდან სოფელში მიმავალს გზაში შემოთენებია. გაზაფხული, ზაფხული და ცივი ზამთარი არ არსებობდა, ნიადაგ მზად იყო ავადმყოფს დახმარებოდა. ამიტომაც პანკისის ხეობის მთელი მოსახლეობა ემად-

ლიერებოდა. ლამარა ღმერთმა მოგვივლინა მკურნალადო, — ამბობდა ხალხი.

ერთ დღეს ჯოყოლოს საავადმყოფოში თავიდან ფეხებამდე დასველებული ცხენოსანი ოსის ბიჭი მივიდა და ექიმი იკითხა.

— რა მოხდა, საიდან მოდიხარ? — მიაგება ლამარამ.

— ლამარა ექიმო, შენზე ამბობენ კარგი ექიმიაო, მე კი არ გიცნობ.

— ეგ სხვა დროს, ახლა ის მითხარი, რა გაგჭირვებია?

— ჩემი რძალი ცუდ დღეშია. ბავშვს ვერ აჩენს, ხალხი ამბობს ორივე მოკვდებაო. ხიდი ადიდებულმა წყალმა წაიღო, და ავადმყოფი როგორ მოვიყვანოთ აქ, არ ვიცით, თქვენ კიდევ ვერ მოხვალთ, რა ეშველება მშობიარეს, როგორ გადავარჩინოთ სიკვდილს?

— რომელი სოფლიდან ხართ?

— დუმასტურიდან.

— სად ვიშოვო სასწრაფოდ ცხენი? — აღმოხდა ლამარას. ამ საუბარს ვისერგი მუთოშვილი ესწრებოდა.

— ცხენი ახლავე აქ იქნება, — თქვა მან და მეზობელთან გაიქცა, რომელიც სადღაც აპირებდა წასვლას და შეკაზმული ცხენი ეზოში იდგა.

— ცხენი ლამარას სჭირდება, ავადმყოფთან უნდა წავიდეს, შენი საქმე ცოტა ხნით გადადე, — უთხრა ვისერგიმ მეზობელს და ცხენი ლამარას მიუყვანა. ლამარას მომზადება არ დასჭირვებია, რადგანაც სასწრაფო დახმარების ჩანთა მუდამ მზად პქონდა. ჩანთა ოსმა მხედარმა გამოართვა. ლამარა უმალ ცხენს მოახტა, წინ გამიძეხ, უთხრა მხედარს და ალაზნისაკენ გაქროლდა. ადიდებულ ალაზანში ფონის ძებნა არ დაუწყია, პირდაპირ შეაგდო ცხენი მდინარეში. ცხენს ფეხი ქვაზე დაუცურდა და წყალში ჩაყვინთა. ლამარას უზანგებში ფეხები არ ედო, ამიტომ მდინარეს ცხენის ზურგს მოწ-

ყვიტა და გაიტაცა. ექიმი არ დაიბნა, ცურვით გავიდა დუმასტურის მხარეს. ცხენმა ცურვით გააღწია გაღმა, ტანი შეიბერტყა, ლამარასთან მივიდა და გაჩერდა.

— ლამარა ექიმო, კარგი მხედარი და კარგი მოცურავეც ყოფილხარ, მე კი შემეშინდა, წყალმა არ წაიღოსო, — უთხრა ოსის ბიჭმა. ლამარამ მელოგინეს დროულად აღმოუჩინა საჭირო დახმარება და სასიკვდილოდ განწირული დედა-შვილი დაღუპვას გადაარჩინა.

ახალგაზრდა მშობიარეს ბიჭი შეეძინა, რამაც მათი ოჯახის წევრები, ახლობლები და მეზობლები ძლიერ გაახარა. ლამარას ეხვეწნენ, სადილად დარჩენილიყო, მაგრამ უარი თქვა მიპატიჟებაზე, თან გაიხუმრა, რაც მთავარია, დახმარებაზე არ მითქვამს უარი, და თუ პურმარილზე გეუბნებით უარს, ნუ გეწყინებათო.

როცა ლამარა საავადმყოფოს ეზოში შეაბიჯებდა, თვალწინ მხცოვანი პაპა ფილიპე ბორჩაშვილი დაუდგებოდა. ეს საავადმყოფო ხომ ფილიპეს ინიციატივით გაიხსნა. აქ მრავალი გაჭირვებული მოდიოდა და იქიდან იმედით აღსავსე, გამოჯანმრთელებული ბრუნდებოდა შინ. ახლა, ამ საავადყოფოში ფილიპეს შვილიშვილი მუშაობდა, რომელიც პანკისის ხეობაში პირველი ქისტი ექიმი ქალი იყო და, რომელსაც სახელი ლამარა, ოვით პაპამ დაარქვა.

ლამარა დღენიადაგ იმაზე ფიქრობდა, არ შეერცხვინა პაპის და მამის სახელი, არ შერცხვენილიყო ხალხში.

ლამარას მამიდა, ძააძეი, ჯოყოლოელ ვეტერინარს, უსუფ ქუშანაშვილს გაპყვა ცოლად, ვისთანაც ბედნიერი და ტკბილი ოჯახი შექმნა. ლამარას ბიძა, ლახაზ ბორჩაშვილი გვიან დაქორწინდა, მაგრამ ცოლად კარგი ქალი, ზემო ხოდაშნელი მასწავლებელი თამარ ჩანგაშვილი შეირთო. იგი ჯოყოლოს 8-წლიან სკო-

ლაში მათემატიკის მასწავლებლად მუშაობდა, კარგად ასწავლიდა ბავშვებს და მათაც უყვარდათ და პატივს სცემდნენ. ლაბაზას და თამარს ორი შვილი შეეძინათ ლეილა და ზურაბი. ლეილამ უმაღლესი განათლება მიიღო და მატანში ქართველზე გათხოვდა.

ზურიკომ ცოლად შეირთო ჯოყოლოელი ზაურბეგ ცისკარიშვილის ქალიშვილი, ექთანი დარო ცისკარიშვილი. მათ ოთხი ბიჭი და ერთი გოგო შეეძინათ.

ლამარას ძალიან უყვარს და პატივს სცემს ბიცოლა თამარს, რომელიც თავის მხრივ, დიდი პატივისცემით ეპყრობა ლამარას და მის ოჯახს.

ლაბაზა, განათლებით მეტყევე ინჟინერი, ათეული წლების მანძილზე პანკისის სატყეო უბნის უფროსის მოადგილედ მუშაობდა. მამის მსგავსად, ბუნების ერთგული იყო და ბრაკონიერებს უფლებას არ აძლევდა, ტყე გაეჩანაგებინათ. ძვირფასი ძმის ასე ტრაგიკულად დაღუპვამ ლაბაზა ძალიან დაჩაგრა და დაავადმყოფა. თავის დღეში გულს დამჩნეული იარა არ მორჩენია, ისე წავიდა ამ წუთისოფლიდან.

რაც დრო გადიოდა უფრო მეტი საფიქრალი ემატებოდა ლამარას. ეკონომიურად უჭირდა. მუხმადი ჯერ ჩეჩნეთში მსახურობდა, შემდეგ დონის როსტოვში, უმაღლეს პარტიულ სკოლაში სწავლობდა. იქიდან დაბრუნებულმა ისევ პარტიის ახმეტის რაიკომში დაიწყო მუშაობა. თვითონ ლამარაც ოჯახს მოწყვეტილი (მცირეწლოვანი ბავშვები დედასთან ჰყავდა მიბარებული), სულ საავადმყოფოში და დედასთან ათენ-აღამებდა. ოჯახებში დადიოდა ავადმყოფებთან, თუმცა ტრანსპორტი არ ჰყავდა. უტრანსპორტოდ კი ერთი ექიმი ქალისთვის მეტად ძნელი გახლდათ ამხელა ხეობის სოფლების მომსახურეობა. მაგრამ, უპრეტენზიოდ ზიდავდა ესოდენ მძიმე ტვირთს. ამიტომაც, უყვარდა ხალხს და პატივს სცემდა.

პაპების მხრიდან ახლო ნათესაობა ჰქონდა ლამარას ილო ბორჩაშვილთან. ილო ფიზიკურად ძლიერი ახალგაზრდა იყო. ერთხანს ქართულ ჭიდაობაშიც ჰქონდა შესამჩნევი წარმატებები, მაგრამ მალე სასმელს მიეძალა და ცუდ გზას დაადგა, ქურდობა დაიწყო. ერთხელ ილო სოფელ ომალოდან ცხენით მოდიოდა ჯოყოლოში. ომალოში ამხანაგთან, ბოტი გუნაშვილთან ყოფილიყო სტუმრად და ნაქეიფარი ბრუნდებოდა. სოფელ ბირკიანისკენ ალაზანი რომ გადმოკვეთა, ბირკიანში მცხოვრები მოგვარე, უსუფ ბორჩაშვილი გადაუდგა წინ. უსუფი ხნოვანებითაც უფროსი გახლდათ ილოზე და ფიზიკურადაც უფრო ძლიერი და ტანადი. ხელგაშლილი, სტუმართმოყვარე კაცი იყო. ცხვარი პატიოსანი შრომით მოიმრავლა. ვერ იტანდა სახელშელახულ ადამიანებს. პანკისის ხეობაში და მთელს რაიონში ბევრი იცნობდა და პატივს სცემდა. კაცური კაცი ყველას უყვარდა.

ომალოში ფეხით მიმავალ უსუფს ილოს ნახვა არ ესიამოვნა. წინ დაუდგა ილოს, უთხრა ჩამოდი ცხენიდანო. ილო ჩამოვიდა.

— ილო, შენ ჩემი ჭედილა მოგიპარავს. თუ გჭირდებოდა, რატომ არ მითხარი, მოგვარისთვის კი არა, უცხოსთვისაც მიჩუქებია ცხვარი. ვაჟკაცს ქურდობა არ უხდება, სხვისი ნაოფლარი როგორ უნდა შეერგოს ადამიანს?!

— უსუფ, რაკი ერთხელ სახელი გამიტყდა და ქურდი შემერქვა, ხალხს ყველაფერში დაშნაშავედ მე გამოვყაყარ, მაგრამ მთლად ასე არაა საქმე. კარგად ვიცი, ვის უნდა მოვპარო და ვის არა. ჩვენ ხომ ბიძაშვილები ვართ და მეზობლები ვიყავით ჯოყოლოში. მე შენ არაფერს მოგპარავ, ეს იცოდე. შენ ისეთი ვაჟკაცი არა ხარ, ვინმემ რამე მოგპაროს.

უსუფი კარგა ხნის ავადმყოფი იყო, ნერვებს ვერ იკავებდა. გაბრაზდა ილოს სიტყვებზე და შეუტია:

— შენი არა მჯერა. ვინც მითხრა, ილომ მოიპარაო, იმისი მჯერა.

— მაშინ პირზე დამაყენე, ვინც ქურდობას მაბრალებს. იცოდე, მე შენი ჭედილა არ მომიპარავს და ვინ მოიპარა, არც ის ვიცი, — უთხრა ილომ.

განერვიულებულმა უსუფმა რევოლვერი ამოიღო, ფეხზე შეაყენა

და მიუშვირა.

— ბოლო კითხვაა, თქვი, ჰო თუ არა?

— გითხარი, არ მომიპარავს-მეთქი. თუ არ გჯერა, მესროლე, რაღას აყოვნებ?

უსუფმა ესროლა, ტყვიამ ბარძაყში გაუარა ილოს, იგი არც გატოკებულა. მეორე ტყვია ესროლა უსუფმა. ისიც მეორე ბარძაყში მოხვდა ილოს, მაგრამ მაინც ფეხზე იდგა და ხელში ცხენის აღვირი ეჭირა.

— სროლა არ გცოდნია, უსუფ, ეგ რევოლვერი მე რომ მეჭიროს, სროლა როგორ უნდა, გასწავლიდი, — უთხრა უსუფს.

ამ სიტყვებმა უსუფი ძალიან გააღიზიანა და შიგგულში დაუმიზნა რევოლვერი. სასხლეტს თითი გამოჰკრა, მაგრამ ტყვია არ გავარდა.

— დღეს ჩემი წერა არ ყოფილხარ, — მიუგო უსუფმა და ხელი ჩაიქნია. რადგან ღმერთმა ცოცხალი დაგტოვა, ცხენზე შეგსვამ, წადი და იმკურნალე.

— შენი დახმარება არა მჭირდება. არც ლაჩარი ვარ და არც ბავშვი, — უთხრა ილომ, ორივე ხელი უნაგირს ჩასჭიდა, მკლავებით ტანი აზიდა და უნაგირზე დაჯდა. შინ ალაზნის ნაპირ-ნაპირ ჯოყოლოსკენ წაბოვიდა.

უსუფი იმავე ადგილზე იდგა, გაკვირვებული გასცქეროდა მხედარს, რომელიც ორივე ბარძაყიდან ჩა-

მონადენი სისხლით ცხენის ორივე გვერდს წითლად ღებავდა. თავის თავს კიცხავდა, ერთი ჭუდილას გულსიოვის როგორ გავიმეტე ეს გაუტეხელი გიჟი სასიკვდილოდო.

ილომ ცხენი საავადმყოფოს შესასვლელთან შეაჩერა და ლამარა იკითხა.

ლამარა ექიმი სახლში წასულიყო, ბავშვი ჰყოლოდა ავად. ილომ ცხენი ისევ ალაზნისკენ შეაბრუნა, სოფლის განაპირას გავიდა და ლამარას მშობლების სახლისაკენ გაემართა.

ლამარამ ილო შეიპატიჟა, ცხენიდან ჩამოდიო, უთხრა.

— ცხენიდან როგორც იქნება ჩამოვალ, მაგრამ ფეხის გადადგმას ვერ შევძლებ, თუ შენ არ დამეხმარები, მიუგო ილომ.

ლამარამ დაკვირვებით დაათვალიერა ცხენი და ილო, დაინახა რომ ცხენი წითლად შეეღება ილოს სისხლს.

— ილო, რა ამბავია, რა მოხდა? — ჰკითხა ლამარამ.

— ისეთი არაფერი, შენი დახმარება მჭირდება, — მიუგო ილომ. ცხენიდან ძლივს ჩამოვიდა და წაბარბაცდა. ლამარამ ხელი შეაშველა და სახლში შეიყვანა. ტახტზე წამოაწვინა, ჭრილობები გაუსინჯა, შეუხვია, სისხლის დენა შეუჩერა. ილოს ძალიან ბევრი სისხლი ჰქონდა დაკარგული, შეიძლება ძვალიც ჰქონდა დაზიანებული, ქირურგი იყო საჭირო. ლამარამ რაისაავადმყოფოდან სასწრაფოდ ამოიყვანა ქირურგი. ორივემ გულდასმით გასინჯა ილო და დაადგინეს, რომ ძვალი არ ჰქონდა დაზიანებული, საჭირო წამლები გამოუწერეს. ლამარამ ცალკე ოთახში დააწვინა დაჭრილი. რაც სჭირდებოდა, ყველაფერი გაუკეთა.

ლამარას წყალობით ილო მალე მომჯობინდა, ფერზე მოვიდა, მადა გაეხსნა და ფეხზეც წამოდგა.

— დაო, უთხრა ილომ, — შენს ამაგს არ დავივიწყებ, პატივისცემას ვადაგიხდი.

— პატივისცემაზე არც იფიქრო, მე ექიმი ვარ და ჩემს მოვალეობას ვასრულებ, — მიუგო ლამარამ და იმედიანად გაუცინა.

ლამარას დედის სახლში ილოს მკურნალობის შესახებ არავინ იცოდა. ეს ამბავი რომ გამოაშკარავებულიყო, უსუფ ბორჩაშვილს დაიჭერდნენ. ის კი სერიოზულად იყო ავად და ციხიდან ცოცხალი ვერ გამოვიდოდა. არც ლამარას დაადგებოდა კარვი დღე. სამართალდამცავი ორგანოები მადლობას როდი ეტყოდნენ.

როგორც იქნა, ილო გამოჯანმრთელდა და ლამარამ ოჯახიდან გაისტუმრა. ხელმადლიან ბიძაშვილს ილომ აღუიქვა, სიკეთეს სიკეთით გადაგიხდიო, მაგრამ შემდგომი მოვლენები სულ სხვაგვარად წარიმართა.

ილომ გადაწყვიტა, უსაფრთხოებისთვის სამაგიერო გადაეხადა უსუფისთვის: დამნაშავე არ ვიყავი, სასიკვდილოდ რად გამწირაო. ვიღაცამ გვარის უხუცესებს გააგებინა, უსუფსა და ილოს შორის მტრობა ჩამოყარდნილა და ერთმანეთს ანგარიში უნდა გაუწორონო. გვარის უფროსები დატრიალდნენ. ცალკე უსუფს მოელაპაკნენ, ცალკე ილოს. ორი კაცის სასამართლოზე გადაწყვიტეს, ისინი, როგორც ბიძაშვილები, ყურანზე დაფიცების გარეშე შეერიგებინათ. უსუფი არ იყო უარზე, ჭორებს ავყევი, ილო თურმე დამნაშავე არ ყოფილა, ეს უკვე შემდეგ გავიგეო. ილოს მან ბოდიში მოუხადა, შუამავლებმა ისინი შეარიგეს და ბიძაშვილებმა ერთმანეთი გადაკოცნეს.

ლამარამ დაჭრილ ილოს სიცოცხლე შეუნარჩუნა, ხოლო უსუფს თავისუფლება. ორივე მოგვარე მოსალოდნელ საფრთხეს გადაარჩინა.

უსუფმა გაიგო, ვინ იყო მისი ჭედილის ქურდი; ეს არავის გაუმხილა და ქურდობითვე სამაგიეროს გადახ-

და განიზრახა. მხოლოდ თავის მეზობელ ოთარ ბათირაშვილს გაანდო ჩანაფიქრი და დახმარება სთხოვა. უთხრა:

— ილოს დაჭრის შემდეგ გავიგე, რომ მთვრალ გარას და შერიფს ამოუვლიათ ძირობზე. ჩემს სახლს ვიდრე მოაღწევდნენ, გზის პირას ბუჩქებში უნახავთ ჭედილა. პირუტყვი დარბოდა და ბღაოდა. ორივე გამოეკიდა, ბუჩქებში მოამწყვდიეს, დაიჭირეს და წაიყვანეს. ეს დაინახა თავისი ეზოდან გამოსულმა უშახამ ფარეულიძემ, რომელიც ქურდებმა ვერ შეამჩნიეს. ახლა, შენ უნდა მოპარო ძროხა შერიფს და დიდ ქვასთან გამოიყვანო. მეც იქ დაგხვდები, ორივემ გავატყაოთ და გავინაწილოთ. ქურდობითვე მინდა გადავუხადო სამაგიერო ქურდს, თორემ შენც კარგად იცი, მე არც ხორცი მაკლია და არც ქურდი ვარ.

ოთარმა უსუფს თხოვნა შეუსრულა, მოიპარა შერიფის ძროხა, დაკლეს, გაატყავეს, დაინაწილეს.

ძროხის ძებნის დროს, დიდ ქვასთან შერიფი თავისი ძროხის თავ-ფეხს და შიგნეულს წააწყდა. გაიფიქრა: აი, როგორი ყოფილა, როცა სხვა გაგქურდავს. ძროხა ალბათ იმან მომპარა, ვისთვისაც საქონელი მე მომიპარავსო.

ამ აქბის შემდეგ, ერთად ქეიფობდნენ ილო, შერიფი და გარა. ილომ გარას და შერიფის სიცილით უთხრა თქვენ უსუფის მსუქანი ჭედილას ხორცით იქეიფეთ, მე კი უსუფმა კინაღამ მომკლა, თქვენს მიერ ჩადენილი ქურდობისათვისო.

— არ ვიცოდით, ვისი იყო ჭედილა, ჯაგებში დარბოდა, ვთქვით, ან სხვა მოიპარავს, ან მგელი შეჭამს, სჯობია ჩვენ ვისარგებლოთთ. წავიყვანეთ და იმ ღამეს კარგად მოვილხინეთ. მეორე დღეს კი გავიგეთ, რომ უსუფის ყოფილიყო, მაგრამ ხმა არ ამოგვიღია. თუმცა

ვიცოდით, უსუფი ქურდის ვინაობას გაიგებდა და ქურდობას არ შეარჩენდა.

* * *

1963 წელს ლაშარას უმცროსი ძმა ელდარ ბორჩაშვილი გროზნოს სახელმწიფო ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტის მეოთხე კურსიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის მეორე კურსზე გადმოიყვანა ლაშარამ. მეორე კურსი ელდარმა წარჩატებით დაამთავრა და ზაფხულის არდადეგებზე სოფელში დაბრუნდა.

ილო ბორჩაშვილი ხშირად აკითხავდა ელდარს. ლაშარა საყვედურობდა ძმას, რა საერთო გაქვს შაგლოთთან და ქურდთან, ჩამოცილდიო. ელდარი პასუხობდა, — რა ვქნა, ვიცი, მართალი ხარ. არც მე მსიამოვნებს მის გვერდით ყოფნა. ისიც გამიგია, ქურდის ამხანაგი ქურდიაო, ლოთის ამხანაგიც ლოთი უნდა იყოს. ვცდილობ, მოვერიდო, მაგრამ ოითქოს განგებ მეტორღიალება. ჩვენი ახლო ნათესავია და ვერ დაკითხავ, მეუხერხულება.

ერთ დღეს, სოფელ ომალოში მცხოვრები სადულ ციხესაშვილი ესტუმრა ილოს. როცა წაიპურმარილეს და შეზარხოშდნენ, ილომ სადულს უთხრა, მოდი ახლა, ჩემს ძმას ელდარს ვეწვიოთო. სადულმა, დრო არა მაქვს, უნდა წავიდეო, უთხრა, მაგრამ ილომ არ გაუშვა, ეხვეწა და ელდარის სახლში გაიყოლა. ელდარის დედამ მაგიდა გააწყო. პურის ჭამის დროს ილომ ელდარს უთხრა: ჩვენს გვარში განსაკუთრებული ნიქით ხარ დაჯილდოებული. ჩვენ ყველანი ვალდებული ვართ, პატივი გცეთ. მე თქვენი ოჯახის დიდი ვალი მაქვს. იქნებ არც იცი, ლამარამ რომ სიცოცხლე შემინარჩუნა. ახლა მე, შენ და სადული წავალთ ჩემთან სახლში, მინდა ჩემს

ოჯახში დაგინახო, — უთხრა ილომ ელდარს და მკლავში ხელი გაუარა. ძააძეიმ უთხრა, — ხომ ხედავ, სასმელს არა სვამს, რად გინდა, წაიყვანოო.

— მინდა ჩემმა ბიძაშვილმა სახლამდე მიმაცილოს, — დაიჩემა ილომ. ელდარმა, როგორც წლოვანებით უფროსს, წინააღმდეგობა არ გაუწია, და გაჰყვა სტუმრებს.

ელდარმა სახლამდე მიაცილა ილო და მისი ამხანაგი. ილომ შინ შეიპატიჟა, ძალით შეიყვანა ოთახში.

— პურ-მარილზე ვერ დავრჩები, ხომ იცი, სასმელს ვერიდები, თქვენ დასხედით და იქეიფეთ, იმდენს კი ნუ დალევთ, რომ არ იცოდეთ, რას აკეთებთ, — უთხრა ელდარმა ილოს და კარისკენ შებრუნდა. ამ დროს ილოს ხელში პისტოლეტმა იელვა და სროლის ხმაც გაისმა. ტყვია ელდარს მარცხენა მკლავსა და მკერდის არეში მოხვდა.

— რატომ მესროლე, შე უსინდისოვ. იმიტომ მომიყვანე რომ მოგეკალი? — აღმოხდა ელდარს და იატაკზე დაეცა.

— ეს რა პქენი? — შესძახა სადულმა ილოს, მუშტი უოავაზა და გარეთ გამოიჭრა. იგი იქვე მდებარე საავადმყოფოს ეზოს ღობეს გადაევლო და ლამარას კაბინეტში შევარდა.

— აბა, ჩქარა, ლამარამ შენი ძმა ელდარი დაჭრილი წევს ილოს სახლში, — უთხრა ლამარას და ისევ ილოს სახლისკენ გაიქცა.

— რაო? — იკივლა ლამარამ და გამოიქცა. ღობეს სადულივით გადაეევლო, თავის ფეხმძიმობა არც კი გახსენებია. იატაკზე გულაღმა სისხლში მწოლარე ძმა რომ ნახა, დაემხო და აღმოხდა — ვინ გიყო ეს, ძმაო, ვინ გაგიმეტა?

— დაო, ძმა მოგიკლეს, სულით არ გატყდე, ცხოვრებაში ყველაფერია მოსალოდნელი.

— ვინ, მითხარი, ვინ გესროლა? — შეეკითხა ძმას ლამარა, ფეთიანივით წამოდგა, ფანჯრის რაფაზე ჩამომჯდარ ილოს მივარდა და შესძახა: — ილო, მითხარი რა მოხდა?

ილო მშვიდად იჯდა ფანჯრის რაფაზე და მშვიდადვე უპასუხა: არ მინდოდა, დაო, რევოლვერი შემოხვევით გამივარდაო.

— ოხ, შე ბინძურო, ძმა მომიკალი და როგორ მშვიდად ზიხარ?! — უყვირა ლამარამ და ორივე ხელით ყელში სწვდა. ილომ გაქცევით უშველა თავს, გამძვინვარებულ ქალს ხელიდან დაუსხლტა.

ლამარა ეზოში გამოვარდა, ექთნებს დაუძახა, — ჩქარა, საკაცე მოიტანეთო.

იმავე წუთებში საკაცე მოარბენინეს, ელდარი საკაცეზე დააწვინეს და ცენტრალურ გზაზე გაიყვანეს. საბჭოს შენობიდან რაიონის სასწრაფოში დარეკეს. ამასობაში ლამარამ ბირკიანიდან მომავალი „ვილისი“ გააჩერა, ელდარი შიგ მოათავსეს და ახმეტისკენ გასწიეს. სოფელ საკობიანოსთან სასწრაფო მანქანა შემოხვდათ. ელდარი ვილისიდან მასში გადაიყვანეს და ახმეტაში გააქანეს.

დაჭრილ ელდარს ერხელაც არ დაუკვნესია. პირიქით, ლამარას და დედის დამშვიდებას ცდილობდა.

ზოგიერთნი ჯოყოლოში ჩურჩულებდნენ, ტყვია მკერდში აქვს მოხვედრილი, ტყუილად ხომ არ ვაწუხებთ დაჭრილს, საეჭვოა ახმეტაში ჩაყვანით რაიმე ეშველოსო. მაშინ, ლამარამ ხმამაღლა განაცხადა:

— არა, ჩემმა ძმამ უნდა იცოცხლოს, ჩვენ მას აუცილებლად გადავარჩენთ!

ახმეტის რაისაავადმყოფოს მიმღებში ელდარი უკვე უგრძნობი შეყვანეს. მორიგე ექიმმა მელიქ ოგანეზოვმა განაცხადა, გულის ბლოკადა აქვსო, შეშფოთებულმა

ლამარამ ძმას გულზე ყური დაადო და მოუსმინა.

— არა, გული მუშაობს! — წამოიძახა მან.

ლამარამ საავადმყოფოში ყველაფერი იღონა, რომ ძმა სიკვდილის კლანჭებისთვის გამოეგლიჯა.

დაჭრიდან მერვე დღეს ელდარი ძალიან ცუდად გახდა, პაერი არა ყოფნიდა. ლამარამ სასწრაფოდ გამოაძახებინა თბილისიდან ექიმი გაიოზ ნაცვლიშვილი, რომელსაც პრაქტიკა მოსკოვში პეტროვსკის კლინიკაში ჰქონდა გავლილი. ექიმმა გულდასმით გასინჯა ავადმყოფი. ტყვიას გულთან ერთი სანტიმეტრით ახლოს გაევლო და მარცხენა ფილტვის დაბლა დიაფრაგმის მყესში ორ ნაწილად გაპობილი, სხვადასხვა ადგილს გაჩერებულიყო. ეს უჩვენა რენტგენმა. ნაცვლიშვილმა მარცხენა ფილტვის პლევრიდან ორნახევარი ყანეს შპრიცი სითხე ამოუღო ელდარს. მაჯისცემა დაჭრილს 160 ჰქონდა, მაგრამ სითხის ამოღების შემდეგ გამოიხედა, სუნთქვაც ნორმალური გაუხდა. ღვთისნიერი მკურნალის, გაიოზ ნაცვლიშვილისა და ლამარას წყალობით, სიცოცხლე შეუნარჩუნდა მომავალ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს და პროფესორს. იგი ამჟამად თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორია. ჰყავს სამი ვაჟიშვილი და სამი ქალიშვილი.

ილოს მიერ ელდარის დაჭრა განზრახ მკვლელობის მცდელობა იყო და არა შემთხვევითობა. მომხდარი ამბის ასსნას შევნებულად ვარიდებთ თავს, საჭიროდ არ მიგვაჩნია მიზეზთა გამო. ის კი, ცხადია, რომ ილო იჯდა ფანჯრის რაფაზე და მშვიდად ელოდებოდა ელდარის სიკვდილს.

იმ დღეებში და შემდგომაც ელდარის დიაფრაგმის მყესში გაჩერებული ტყვიის ამოღება შეუძლებელი გახდა. ოპერაციის გაკეთება სარისკო და სათუო იქნებოდა. ამიტომ დღესაც ატარებს გაპობილი ტყვიის ორ

ნატეხს დიაფრაგმის მყესში.

* * *

ლამარა ბორჩაშვილი ამაყობდა და დღესაც ამაყობს თავისი ქვირფასი მეუღლით — მუხმად ალდამოვით, მისი გულკეთილობით, ზნეობრიობით, შორსმჭვრეტელობითა და ინტელექტით.

პატიოსნებით, ნიჭიერებით დაჯილდოებული, ყველასათვის საყვარელი, შვილების დედა კი მუხმადის სიამაყეა.

მუხმადი და ლამარა ისე არიან ერთმანეთთან შეხმატკბილებულნი, რომ სიტყვის უთქმელად უგებენ ერთმანეთს, იციან ერთიმეორის გულისთქმა. გულით იზიარებენ ერთმანეთის სიხარულსაც და ტკივილსაც. მათ პანკის'ში და მთელს ახმეტაში შექმნეს ბედნიერი და თითით საჩვენებელი ოჯახი, მათი სიხარული ახლა ბედნიერი მომავალი თაობაა.

ბინის მშენებლობა მუხმადმა და ლამარამ 1965 წელს დაიწყეს. ორსართულიანი ქვითკირის ბინის მშენებლობას ორივემ დიდი ენერგია შეალია. სახელმწიფო გზის ორივე მხარეს საკარმიდამო ნაკვეთები საფუძვლიანად გაწმინდეს და კეთილმოაწყეს.

სახლის მშენებლობის დროს ლამარა ფეხმძიმედ იყო. ზოგჯერ მუხმადი ახმეტაში სამსახურის საქმეებს ვერ აუდიოდა და არ ეცალა, ლამარა კი უშიშრად დადიოდა ხადორის ტყეებში მუშებთან ერთად საშენი მასალის ჩამოსაზიდად. ამავე დროს, ხეობის მოსახლეობას სანიმუშოდ უწევდა სამედიცინო მომსახურებას, საავადმყოფოში ავადმყოფებს ყურადღებას არ აკლებდა.

მრავალს გაუწოდა დახმარების ხელი ლამარამ, ბევრს სიცოცხლე შეუნარჩუნა. რამდენი ლოგინად ჩავარდნილი ფეხზე დაუყენებია, რამდენ დედობაზე იმედ-

დაკარგული ქალისთვის უბოძებია სიხარული. ვინ მოთვლის, ალაზანს გაღმა თუ გამოღმა, რამდენ ადამიანს დაულოცნია ხელმადლიანი ექიმი, ქისტი ლამარა.

პანკისს ქისტები ისტორიულად დიდი პატივისცემით სარგებლობდა სანიმუშო ოჯახის დიასახლისი, დედაბოძი ანუ ქისტურად „წინაან“ — ოჯახის დედა, როგორც დიდი მოაზროვნე და მწერალი ილია მართალი იტყოდა, ქალი — კარგი დედა, ქალი — კარგი ვაჟკაციც საჭიროებისას, ბოროტების დამთრგუნველიც. სწორედ ეს სიტყვები ესადაგება ლამარა ბორჩაშვილს.

* * *

ერთხელ ლამარა პანკისში მძიმე ავადმყოფთან გამოიძახეს. მან გასინჯა ავადმყოფი, დაუსვა სწორი დიაგნოზი, სასწრაფო დახმარების ჩანთიდან წამლები გამოარჩია და დაალევინა, ნემსიც გაუკეთა. ავადმყოფს რამდენიმე ხანში უკეთესობა დაეტყო. ტკივილები რომ დაუყუჩდა, თვალები ფაროდ გაახილა და მკაფიოდ თქვა:

— ლამარა ექიმო, ღმერთის შემდეგ შენ ხარ ყოვლად ძლიერი და სიცოცხლის მჩუქებელი. ჩვენს ხეობაში ღვთის მოვლენილი მკურნალი. ღმერთმა დაგლოცოს, ამდენ აუტანელ ტკივილს რომ გადაჭარჩინე.

ლამარას სიხარულიც ხომ ავადმყოფის გამოჯანმრთელება იყო.

ერთ დღეს ჯოყოლოს პატარა საავადმყოფოში ლამარას ავადმყოფები ელოდებოდნენ. მან მოსვლისთანავე შემოიარა პალატები, გამოკითხა ავადმყოფებს, თავს როგორ გრძნობდნენ. ლამარამ კარგად იცოდა, რომ ექიმის იმედიან სიტყვაზე დიდად იყო დამოკიდებული ავადმყოფების ჯანმრთელობის გაუმჯობესება. ისიც არ იშურებდა იმედიან სიტყვას.

ლამარამ შემოვლა რომ დაამთავრა, კაბინეტში მა-

გიდასთან დაჯდა და ფიქრებს მიეცა. ფიქრობდა ავადმყოფებზე, თავის ოჯახზე, დედაზე, და-ძმებზე. უცებ გაისედა და საავადმყოფოს ეზოში თეთრცხენზე ამხედრებული ახალგაზრდა დაინახა. იგი ეზოში გავიდა და შეეკითხა მხედარს:

— რა ამბავია, რა მოხდა?

— ჩქარა, ლამარა ექიმო, შუა ხალაწანში მშობიარე ქალი ძალიან მძიმე მდგომარეობაშია.

ლამარამ ხელჩანთაში წამლები ჩააწყო და გზაზე გავიდა. იქვე, ტრაქტორი „ბელორუსი" დაინახა და ტრაქტორისტი მოიძია. ტრაქტორისტმა მაშინვე მოირბინა.

— შუა ხალაწანში მშობიარე ქალისა და ბავშვის სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია. უნდა წამოიყვანო, — უთხრა ლამარამ.

ტრაქტორისტი უსიტყვოდ დამორჩილდა.

შუა ხალაწანში ლამარამ ტრაქტორის მისაბმელის ძარაზე ლოგინი დააგებინა, მშობიარე ზედ დააწვინა, თვითონ გვერდით დაუჯდა და ასეთნაირად გადმოიყვანა საავადმყოფოში. აქ კი კარგად ამშობიარა და ორი ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინა. როცა გამარჯვებით გახარებული და დაღლილი ლამარა იქვე მელოგინე ქალის ოთახში ჩამოჯდა და დასვენებას აპირებდა.

ეზოდან ხმა მოესმა.

— რა არის, რა გაგჭირვებიათ, აცალეთ ამ ქალს ამოსუნთქვა, — გაეპასუხა ვისერგი მოსულს.

— ბირკიანში ორი კაცია დაჭრილი, ადგილზე სჭირდებათ დახმარება, — მიუგო მხედარმა. — ლამარამ მხედარი ჩამოსვა ცხენიდან, თვითონ შეჯდა ზედ და ბირკიანისაკენ გაქუსლა.

ღამბოლთას სახლთან გზაზე ხალხი შეკრებილიყო. ღამბოლთამ ცხენი ჩამოართვა და დაჭრილებთან შეიყვანა. გულდასმით გასინჯა ისინი, ჭრილობები შეუხვია და გარეთ მდგომ ხალხს უთხრა:

— ორივე გადარჩება, საშიში არაფერია. — შემდეგ ღამბოლთას მკლავში ხელი მოჰკიდა, ცალკე გაიყვანა და ჰკითხა: — რა მოხდა?

— პურ-მარილზე მყავდნენ ჩემი ძმა ჯარაფა და ეს ლეკი ხაზბულა. პირისპირ ისხდნენ. როცა კარგად შექეიფიანდნენ, ხაზბულამ ხანჯალი იძრო და ჯარაფას სახეზე სიბრტყით შემოჰკრა, რაც ვაუკაცისათვის დამცირებას და აბუჩად აგდებას ნიშნავს. ჯარაფას ქისტურად გადავულაპარაკე, სტუმარია ნუ აპყვები-მეთქი. ამიტომ ჯარაფმა დამიჯერა. ლეკს კი ეგონა, შეშინდაო, წათამამდა და მეორედაც მოუქნია ხანჯალი. ჯარაფამ აიცდინა ხანჯალი, ეს მეორე დამცირება ვეღარ აიტანა, თვითონაც იძრო ხანჯალი და წამოდგა, თან თვალებში შემომხედა, ახლა რაღას იტყვიო. მე სუფრიდან ავდექი და ორივეს ვუთხარი, რადგან ორივეს გსურთ ერთმანეთი ძალ-ღონესა და ხანჯლაობაში გამოსცადოთ, გარეთ გადით და იქ დაამტკიცეთ თქვენი ვაუკაცობა-მეთქი. დამყაბულდნენ. მე ქარქაშიდან ამოღებული ხანჯლით მათ გარშემო წრე შემოვხაზე და არავის ახლოს არ ვუშვებდი. ორივეს თავპირიდან და მკლავებიდან სისხლი სდიოდა, მაინც აგრძელებდნენ ბრძოლას, ბოლოს დაიღალნენ, ძალ-ღონე გამოეცალათ და მიწაზე დაეშვნენ. ხაზბულას ხანჯალი ხელიდან გაუვარდა, ალლა მოიხსნა დ გვერდზე გადავარდა, ჯდომა ვეღარ შესძლო. ჯარაფამ ხანჯალი მიწაზე დადო და თქვა, არ მოვკლავ, ჩვენი ოჯახის სტუმარია, ექიმი მოუყვანეთ, იქნებ გადარჩესო. ორივენი სახლში შევიყვანეთ და შენთან კაცი ვაფრინეთ.

— რაც მთავარია, ორივეს ღვიძლი საღი აქვს, დაკარგულ სისხლს მალე გამოიმუშავებენ, მეც ყურადღებას არ მოვაკლებ და მალე ფეხზე დადგებიან, — იმედიანად უთხრა

ლამარამ ღამბოლათს და ჯოყოლოში წამოვიდა.

* * *

ლამარას 1965 წელს მეორე ქალიშვილი ნონა შეეძინა, ხოლო 1966 წლის ნოემბერში — ვაჟიშვილი მალხაზი. დიდად გაიხარეს ლამარამ და მუხმადმა, მათმა ახლობლებმა. ცოლ-ქმრის გულებს დღენიადაგ მძიმე ლოდად აწვათ ის, რომ პირველი ვაჟიშვილი 10 თვისა გარდაეცვალათ. ღმერთმა ისინი საბოლოოდ არ გაწირა და ვაჟიშვილიც აჩუქა. იმავე 1966 წელს ბედნიერმა ოჯახმა ახალმოსახლეობა და ძეობა ახალ ბინაში გადაიხადა. მუხმადი იმ დროისათვის უკვე ახმეტის სკოლა-ინტერნატის დირექტორად მუშაობდა.

მალხაზის ძეობაზე დიდძალი ხალხი შეიკრიბა. ახმეტიდან მოვიდნენ მუხმადის თანამშრომლები, ჯოყოლოდან — ლამარას მედპერსონალი. თითქმის ერთი ქორწილის ხალხი ეწვია მუხმადს და ლამარას.

მუხმადმა თამადად თავისი ბიძაშვილი, ახმეტის, თიანეთისა და თელავის რაიონებში კარგად ცნობილი, ვაჟკაცური შემართების ქალი, ქალბატონი ნატაშა ალდამოვა დანიშნა. ნატაშამაც ვახშამი მისთვის ჩვეული სიხალისით, სადღეგრძელოებით, მოსწრებული სიტყვა-პასუხით წარმართა, სტუმრებს კარგი დრო გაატარებინა და ისინიც კმაყოფილნი წაბრძანდნენ.

* * *

ნატაშა ალდამოვი მუხმადის ბიძის მუსას ასული იყო. დამთავრებული ჰქონდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. მუშაობდა ყვარელწყალში ბუღალტრად, დუისში კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. წუღა-მესტები და ტყავის პალტო ეცვა, პაპიროს „ყაზბეგს“ ეწეოდა, ცეცხლსასროლი იარაღი ეკიდა და ომიანობისა და შემდგომ წლებში

ტყეში გასულ ყაჩაღებს არ ეპუებოდა, ცხენით ასწრებდა ყველგან მისვლას, როგორც ნათესების შემოვლას, ასე მთასა და ბარში მეცხვარეობისა და მხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ფერმების დათვალიერებას, მათ მომარაგებას საჭირო პროდუქტებითა და ინვენტარით.

დუისში თავმჯდომარეობის შემდეგ ნატაშა თიანეთის რაიონის საფინანსო განყოფილებაში მუშაობდა. ბოლოს ასმეტის რაიკოოპკავშირში დამზადების კანტორის დირექტორად დანიშნეს. მისი მუშაობის წლებში ასმეტის რაიონი მოწინავეთა რიგებში იყო მატყლის, ყველისა და სხვა პროდუქციის დამზადების დარგში. ნატაშა ჩრდილოეთ კავკასიაშიც ამზადებდა მატყლს, სადაც ზოგიერთ პანკისელ ქისტს და ალვანელ თუშს ზამთარ-ზაფხულ პყავდათ ცხვარი. იგი ყიზლარის ველებშიც მიდიოდა ხოლმე და დაკისრებულ მოვალეობას პირნათლად ასრულებდა.

ნატაშას ბიოგრაფიიდან კიდევ ერთი ამბავია საგულისხმო, რომელიც მის გამბედაობასა და შეუპოვრობაზე მეტყველებს. ნატაშას მეუღლე მახმად კონსტანტინეს ძე მარგოშვილი მფრინავი ოფიცერი იყო. ახალგაზრდა მეუღლეების სამწუხაროდ მათი ვაჟიშვილი დაბადებიდან რამდენიმე ხანში გარდაიცვალა. ამის შემდეგ ნატაშას შვილი არ გასჩენია.

მახმადი მეორე მსოფლიო ომის პირველივე დღეებიდან მოქმედ ავიაციაში ირიცხებოდა.. მოწინააღმდეგის ზურგში საბრძოლო გაფრენების დროს გარკვეულ წარმატებებს აღწევდა. ერთ დღეს ზურგში ღრმად შეიჭრნენ საბჭოთა მოიერიშე თვითმფრინავები და დაგეგმილი სამიზნე წერტილები დაბომბეს. შორის იყო მახმად მარგოშვილიც. საპასუხოდ გერმანელთა თვითმფრინავებიც აფრინდნენ ცაში, დაიწყო საპაერო ბრძოლა. საბჭოთა მფრინავებმა შემოტევა მოიგერიეს და

უკან გამობრუნდნენ, მაგრამ შეამჩნიეს, რომ მახმადი მარგოშვილის თვითმფრინავს ცეცხლი წაეკიდა და მიწისაკენ დაეშვა. მახმადი შეეცადა უსაფრთხოდ დაშვებულიყო, მიწასთან მიახლოებისას კი ძრავა გაჩერდა, თვითმფრინავი პირით დაეცა და გადატრიალდა, მახმადის ამხანაგი, რუსი პილოტი, რომელიც მის ზურგს უკან იჯდა, ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო მახმადს მენჯი მოტყდა და გონება დაკარგა. გერმანელებმა ჰოსპიტალში წაიყვანეს. იქ რამდენჯერმე ოპერაცია გაუკეთეს, მოარჩინეს და საკონცენტრაციო ბანაკში გააგზავნეს. გერმანელები ბევრს ეცადნენ მახმადი გადაებირებინათ და მათ სასარგებლოდ ეშუშავა, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწიეს.

ერთხელ, პირველად მახმადი ორ ტყეესთან ერთად ბანაკიდან გამოიქცა. დიდხანს იარეს ტყე-ტყე. ბოლოს დაღლილნი, მოშიებულნი ტყის ახლოს სოფლის განაპირა ქოხს მიადგნენ. ბინის პატრონმა ქალმა ისინი შეიფარა, პურიც აჭამა, მაგრამ როცა დაიძინეს, გერმანელებს შეატყობინა, ჩემთან გამოქცეულები არიანო, და დაიჭირეს. ტყვეები ახლა უფრო მკაცრი რეჟიმის ზონაში მოათავსეს. რამდენიმე ხნის შემდეგ მახმადი ისევ გაიქცა საკონცენტრაციო ბანაკიდან, მაგრამ უკვე მარტო. მშიერ-მწყურვალი, დაღლილ-დაქანცული ტყე-ტყე მოდიოდა აღმოსავლეთისაკენ. მცენარეთა ფოთლებს და ფესვებს ჭამდა. ერთხელ მგლის ხროვას გადაეყარა. ასანთის რამდენიმე ღერი ჰქონდა, რამდენჯერმე გაპკრა ასანთის ღერი კოლოფს. სინათლეზე მგლებმა ცოტათი უკან რომ დაიხიეს, ძლივს აძვრა ხეზე და მთელი ღამე იქ გაათია. დილით მგლები წავიდნენ, მახმადი ჩამოცოცდა ხიდან და გზა განაგრძო.

ეს ამბავი ზღაპარს ჰგავს, მაგრამ სინამდვილეა. ბევრი იარა თუ ცოტა, ბელორუსიაში მოქმედი პარტიზანული შენაერთის მზვერავებმა შეიპყრეს. მათ იგი

შემოგზავნილი ეგონათ. მახმადმა დაასახელა ავიაციის სარდალი, თვითმფრინავთა საბრძოლო შენაერთის ნაწილი, სადაც მსახურობდა, მაგრამ, ვიდრე პარტიზანებმა მოსკოვიდან არ მიიღეს დადებითი პასუხი, არ ენდობოდნენ. ბოლოს პარტიზანთა რიგებში ჩადგა და სიმამაცითა და ვაჟკაცობით მეთაურთა მადლობა და პატივისცემა დაიმსახურა. დროდადრო მენჯის არეში ნაოპერაციევი ადგილები სტკიოდა და ხშირად შეუძლოდ იყო.

როდესაც მახმადის ამხანაგები საბრძოლო დავალების შესრულების შემდეგ თავიანთ აეროდრომზე დაბრუნდნენ, სარდლობას მოახსენეს, მახმად მარგოშვილი პირველი ჩაება საპაერო ბრძოლაში, მოწინააღმდეგის რამდენიმე თვითმფრინავი მწყობრიდან გამოიყვანა, მაგრამ მის თვითმფრინავსაც ცეცხლი გაუჩნდა და მიწაზე დაეცა, მაშასადამე, იგი გმირულად დაიღუპაო.

მახმად მარგოშვილის საბრძოლო შენაერთის სარდლობამ დეპეშა გამოუგზავნა დუისში მის მშობლებს, თქვენი შვილი, საპაერო ბრძოლაში გმირულად დაიღუბა და თანაგრძნობას ვუცხადებთ ოჯახსო. კონსტანტინე მარგოშვილის ოჯახმა, ნატაშა ალდამოვმა, მათმა ახლობლებმა და მთელი პანკისის ხეობის ქისტობამ მწარედ დაიტირეს ახმადი, მაგრამ, ჰოი საკვირველებავ! ამის შემდეგ გავიდა საკმაოდ დიდი დრო და ნატაშა ალდამოვმა და მახმადის ოჯახმა მიიღეს წერილები ბელორუსიაში მოქმედი პარტიზანული შენაერთიდან, რომ იგი ცოცხალი იყო და ამა და ამ შენაერთში იმყოფებოდა.

ნატაშა ალდამოვი ჩავიდა მოსკოვში. იქიდან ბელორუსიაში ჩაფრინდა და ნახა თავისი მეუღლე. ნატაშამ და მახმადმა დაუსაბუთეს პარტიზანული შენაერთის სარდლობას და მოსკოვის სათანადო ხელ-

მძღვანელობას, რომ მახმადის ჯანმრთელობა მძიმე ტრავმისა და ძვლების მოტეხილობათა გამო საიმედო არ იყო, რომ იგი კვლავ ოპერაციას და სერიოზულ მკურნალობას საჭიროებდა. მახმადი სამხედრო ექიმებმა გულდასმით გასინჯეს მოსკოვში, მისი ჯანმრთელობა ყოველმხრივ შეისწავლეს და გაანთავისუფლეს სამხედრო სამსახურიდან. მახმადი და ნატაშა ერთად დაბრუნდნენ სამშობლოში.

მახმადის შინ დაბრუნების შემდეგ დიდი დრო გავიდა, ნატაშას შვილი არ ეყოლა. ბევრჯერ იმკურნალა, თბილისში ცნობილ ექიმებს მიმართა, მაგრამ არაფერი ეშველა. დადგინდა, რომ შვილი არ ეყოლებოდა. ამის გამო მეუღლეებმა ბევრი იდარდეს, ბევრიც იწუხეს. რა ექნათ, ნატაშა თავისი სამსახურეობრივი მდგომარეობის გამო მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდა. ხან შირაქში იყო, ხან ყიზლარში, ხანაც ჩეჩენ-ინგუშეთში, პანკისში და თუშეთში.

მახმად კონსტანტინოვიჩი, როგორც მას იმ დროისათვის უწოდებდნენ, შინ დაბრუნების შემდეგ ქ. ახმეტის ბოლოში, პატარა თვითმფრინავის დასაჯდომ მოედანზე, ახმეტა-თბილისის 12 ადგილიანი თვითმფრინავის მიღებისა და გაფრენის საქმეს ემსახურებოდა. შემდეგ კი, როცა აქ აეროდრომი გაუქმდა, დუისის საშუალო სკოლაში სამეურნეო ნაწილის გამგედ მუშაობდა გარდაცვალებამდე. მის ადგილზე მისმა ძმაძ, ახიადმა დაიწყო მუშაობა.

ნატაშა და მახმადი გაიყარნენ. მახმადმა სხვა ცოლი მოიყვანა, მასთან ვაჟიშვილები შეეძინა.

ნატაშა ალდამოვი კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და კერძო მეცხვარეებში გეგმას დიდი გადაჭარბებით ასრულებდა. ამასთან თვითონაც გარკვეული თანხა რჩებოდა. მან ახმეტაში სახლი აიშენა,

მაგრამ დასამოავრებელი დარჩა. დუისში კი, მამისეულ საკარმიდამოში კეთილმოწყობილი, თეთრი თუნუქით დახურული ორსართულიანი შენობა დადგა და ავეჯით გააწყო.

1957 წელს, როდესაც პანკისის ხეობის ქისტებს ჩეჩენ-ინგუშეთის კვლავ აღდგენილი რესპუბლიკიდან ჩეჩნების ცეკვისა და სიმღერის სახელმწიფო ანსამბლი ეწვია, ნატაშამ, თავისი ხარჯით, დუისის საშუალო სკოლის ფართო და გრძელ დერეფანში სადილი გამართა მათ პატივსაცემად. სადილს ესწრებოდა პარტიის ახმეტის რაიკომის პირველი მდივანი შაქრო უზუნაშვილიც. გაიმართა ცეკვები, სიმღერები. მასპინძელთაგან მუხმად ალდამოვმა იცეკვა, თანაც ისე, სტუმრებისა და მასპინძელების ტაში დაიმსახურა. თურმე, რაიკომის მდივანმა ჰკითხა გვერდით მჯდომ ნატაშას — ვინ არის ეს ახალგაზრდაო. შაქროს ეთქვა — ეს ახალგაზრდა მომეწონა, პარტიაში მივიღებ და დავაწინაურებო.

ერთ საღამოს პარტრაიკომის ინსტრუქტორმა, ბისოლთ მარგოშვილმა ოჯახში დაპატიჟა მუხმადი. ივახშმეს და მუხმადის ავტობიოგრაფია შეადგინეს, პარტიაში კანდიდატად მიღების ანკეტა შეავსეს. მეორე კვირას მუხმადი რაიკომის ბიუროზე გაიყვანეს, პარტიის წევრობის კანდიდატად მიიღეს. ერთ წელიწადში საკანდიდატო სტაჟი განვლო და პარტიის წევრი გახდა. ბისოლთ მარგოშვილი კოლმეურნეობის თავმჯდომარედ გააგზავნეს, ხოლო მუხმადი რაიკომის ინსტრუქტორად გადაიყვანეს ახმეტაში.

ვიდრე ახმეტაში რაიკომის მდივნად შაქრო უზუნაშვილი მუშაობდა, ნატშა ალდამოვის საქმე კარგად მიდიოდა. შემდეგში შაქრო სხვა რაიონში გადაიყვანეს. ახმეტაში რაიკომის პირველ მდივნად წინანდლელი

ალექსი ბატიაშვილი მოვიდა. როგორც ჩანს, იგი ნატაშასაგან უფრო მეტ და მეტ ფულს თხოულობდა, ნატაშას კი გადახდის საშუალება არ ჰქონდა. მდივანმა თავიდანვე აითვალწუნა იგი და გადაეშტერა. სხვებიც უმსედრა, თანამშრომლებსაც სასივრები დააწერინა. ბოლოს ნატაშა სამსახურიდან მოხსნეს და პასუხისგებაში მისცეს, თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს რამდენიმე წლით.

ნატაშა ვაუკაცურად შეხვდა ამ მორალურ შეურაცხყოფას. საქმე ზემდგომ სასამართლო ინსტანციებში გაასაჩივრა. ამასობაში, რამდენიმე წელი გავიდა. ბოლოს გამართლდა და გამოვიდა ციხიდან, მაგრამ ნერვიულობის ნიადაგზე მძიმედ დაავადდა, დაეშაროა ათეროსკლეროზი, გულის იშემია, პიპერტონიული დაავადება.

ლამარა ბორჩაშვილმა დიდი ამაგი დასდო ნატაშა ალდამოვს იმით, რომ ბოლო წლებში სიცოცხლე გაუხანგრძლივა. როგორც კი ცუდად გახდებოდა, მაშინვე მასთან გაჩნდებოდა და მოუხსნიდა ჰიპერტონიულ კრიზს. გარკვეული დროის შემდეგ ეს ვერაგი დაავადება ახალი ძალით იჩენდა თავს. ავადმყოფს უამრავი მეგობარი მოსდიოდა თბილისიდან, თელავიდან, თიანეთიდან, ახმეტიდან. მას კარგად აცნობდნენ და რამდენჯერმე ეწვივნენ სახლში ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქალიშვილები.

ნატაშა მკურნალობის კურსს გადიოდა ქ. თბილისის პირველ საავადმყოფოში, კარდიოლოგიის ინსტიტუტში და სხვაგან. ბოლოს ლოგინად ჩავარდა. ლამარა ხშირად აკითხავდა, საჭირო პრეპარატები მიჰქონდა, კონსულტაციას უწევდა, იმედიანი საუბრით ამხნევებდა.

ნატაშას აშენებულ ბინაში მისი ძმისწული რეშიკო აბდულას ძე ალდამოვი ცხოვრობს. რეშიკოს ცოლმა სობურ უსუფის ასულმა დიდი ამაგი დასდო ნატაშას, მოვლა-პა-

ტრონობას არ აკლებდა, როცა იგი ლოგინად ჩავარდნილი სიკვდილის სარეცელზე იტანჯებოდა. 1980 წელს სამუდამოდ განისვენა პანკისელი ქისტების საამაყო ქალმა.

* * *

1968 წელს საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის საბინისტროდან ახმეტის რაიონში ჯანმრთელობს დაცვის მდგომარეობის შემოწმების მიზნით 16-კაციანი ბრიგადა ჩამოვიდა. შემმოწმებელი კომისია რაიონის სამ ზონაში განაწილდა. ერთ დღეს კომისიის წევრები, 8 კაცის შემადგენლობით, ჯოყოლოს საუბნო საავადმყოფოს ეწვივნენ. შეამოწმეს აკადმყოფთა მოვლა-პატრონობის, ნორმით გათვალისწინებული სახსრების ხარჯვის, კვებისა და სისუფთაკის მდგომარეობა. საავადმყოფოს გამგე-ექიმს ლამარა ბორჩაშვილს საქმე ჩინებულად ჰქონდა აწყობილი. შემოწმების დამთავრების შემდეგ კომისიის წევრებმა მადლობა გადაუხადეს ლამარას საავადმყოფოში არსებული სანიმუშო წესრიგისათვის და წასასვლელად გაემზადნენ. ლამარა მათ წინ გადაუდგა და უთხრა:

— არაფრით არ გაგიშვებთ. მოსვლა თქვენი ნება იყო, წასვლა ჩვენი ნებაა. თქვენ ქისტებში ბრძანდებით სტუმრად და ყოვლად შეუძლებელია პურუჭმელად წაბრძანდეთ. მთელი დღე იმუშავეთ, გადაიღალეთ, პურის ჭამის დრო გადასულიცაა, მოშიებული ნამდვილად იქნებით, არა, არ გაგიშვებთ ასე!.

მეტი რა გზა ჰქონდათ თბილისელ შემმოწმებლებს, ლამარას ნებას დაჰყვნენ. ლამარამ ისინი იქვე საავადმყოფოს გვერდით, ფინურ ბინაში გაშლილ სუფრასთან მიიწვია. სუფრაზე გულუხვად იყო ნუგბარი საჭმელები: მოხარშული მსუქანი დედლები, ჩახოხბილი და ტაბაკად შემწყარი ყარიები. რაც მთავარია, კახური ღვინო, „რქა-

წითელის“ თეორი, ცხვრის ხორცის ხაშლამა და შამ-
ფურზე აგებული ცვრიანი მწვადები. ლამარა თვითონ
თამადობდა ხატოვნად, რიგრიგობით აბობდა ქართუ-
ლი და ქისტური სუფრების ტრადიციულ სადღეგ-
რძელოებს. თვითონაც წვეთს არ ტოვებდა ჭიქაში და
სტუმრებსაც აიძულებდა ბოლომდე დაელიათ სასმე-
ლი.

სტუმრები განცვიფრებაში მოიყვანა ლამარას ვა-
ჟკაცურმა შემართებამ, კარგად შეხარხოშდნენ, საამად-
ლობელი სადღეგრძელოები უთხრეს მასპინძელს,
საქმეშიც ყოჩაღი ყოფილხართ და პურ-მარილშიც გა-
დასარევიო. ნასიამოვნები და კმაყოფილი სტუმრები
გვიან საღამოს წავიდნენ ჯოყოლოდან.

მეორე დღეს ასმეტის რაისაავადმყოფოს მთავარ
ექიმს, ოთარ მათიკაშვილს ჯანდაცვის სამინისტროს
კომისიის წევრები ეუბნებოდნენ: ბატონო ოთარ, ლა-
მარა ბორჩაშვილისთანა კარგი ექიმი, ვფიქრობთ,
ასმეტაში კი არა, მთელს კახეთის ზონაში არ გეყოლე-
ბათ. მისთანა ქალი ჯერ არ შეგვხვედრიაო.

მომდევნო დღეებში ასმეტაში ჩასულ ლამარას ოთარ
მათიკაშვილი ეკითხებოდა:

— ასე როგორ გააგიჟე ის ხალხი, რა ჯადო გაუკე-
თეო?

ეს ამბავი ჯოყოლოს საუბნო საავადმყოფოში ჯან-
დაცვის სამინისტროს კომისიის ყოფნის შესახებ, 2002
წელს ლამარას ასმეტაში მცხოვრებმა ნასყიდა მება-
ღიშვილმა გაახსენა, რომელმაც თურმე ეს კომისიის
ხალხი სასწრაფო დახმარების მანქანით ამოიყვანა
ასმეტიდან ჯოყოლოში. — ეხ, ლამარა ექიმო, — ეუბ-
ნებოდა ნასყიდა ლამარას, — რაც მაშინ ჯოყოლოში
ვიხილე, კაცი დავბერდი და არ მინახავსო.

იმ საღამოს, როდესაც ლამარამ სტუმრები გააცი-

ლა და შინ წასასვლელად გაემზადა, ქვემო ხალაწნიდან თვითმცლელი ავტომანქანით მოვიდნენ ერთი ავადმყოფის პატრონები. ცხოვრებოვი შალიკო ცუდად არისო. ლამარა მაშინვე გაეშურა ქვემო ხალაწნისკენ. 12 შვილის მამას, ავადმყოფ შალიკო ცხოვრებოვს ჰიპერტონიული კრიზი ჰქონდა. ლამარამ წამლები დაალევინა და სწრაფად მოუხსნა კრიზი. შალიკომ მადლიერებით შემოიხედა:

— ლამარა ექიმო, მეორე ღმერთი ხარ შენ, ჩვენს ხეობაში მოვლენილი!

— ძია შალიკო, თქვენზე ამბობენ თორმეტი შვილი ჰყავსო, 11 ვაჟიშვილი და ერთი ქალიშვილი. ეს ამდენი შვილები როგორ გააჩინეთ? — შეეკითხა ლამარა.

— ლამარა ექიმო, ხომ იცი, ჩვენ სოფელში სხვა გასართობი — კინო, თეატრი არა გაქვს, მეტი რა საქმე გქონდა, მე და ჩემ მეუღლეს? — ამ სიტყვებზე ოთახში მყოფებმა გადაიხარხარეს.

* * *

1969 წელს ლამარა ჯოყოლოს საავადმყოფოდან ახმეტის რაისაავადმყოფოს გინეკოლოგიურ განყოფილებაში მეან-გინეკოლოგად გადაიყვანეს. იმავე წელს, ქ.თბილისში სპეციალიზაცია გაიარა. 1970 წელს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ ლენინგრადში მიავლინა ექვსი თვით მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის სამეანო-გინეკოლოგიურ ინსტიტუტში პრაქტიკის მისაღებად. 1983 წელს დამატებით კიდევ ორჯერ ქ.თბილისიში გაიარა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები.

ახმეტის რაიონის საავადმყოფოს მეან-გინეკოლოგ ლამარა ბორჩაშვილს დიდი ავტორიტეტი ჰქონდა, მედპერსონალსა და რაიონისა და კახეთის ზონის მოსახ-

ლეობაში.

მუხმადს და ლამარას ახმეტაში, საავადმყოფოს ახლოს, ლეონიძის ქუჩაზე საშოთახიანი ბინა მისცეს. კარგად უგებენ ერთმანეთს. შვილები ახმეტის სკოლებში სწავლობენ, ერთიმეორის მხარდამხარ შეხმატკბილებულად ქმნიან ბედნიერ ცხოვრებას, საფუძველს უყრიან სანიმუშო მოშავალს, იღვწიან საზოგადოების სასარგებლოდ.

ლამარას მაზლი, ახიად ალდამოვი დიაბეტით იყო დაავადებული. ფიზიკურად ძლიერი ახიადი დაუდევრად ეკიდებოდა ამ მუსანათ დაავადებას. დიეტას არ იცავდა, არა ჰქონდა გათვითცნობიერებული მოსალოდნელი მძიმე შედეგი. და აი, ერთ დღეს, იგი მოულოდნელად კომაში ჩავარდა. მუხმადმა და ლამარამ ახიადი სასწრაფოდ საავადმყოფოში მიიყვანეს. ავადმყოფს უკვე გვამური ლაქები ჰქონდა, უგრძნობ მდგომარეობაში იყო. ზოგიერთმა ექიმმა ხელი ჩაიქნია, ეს არ გადარჩებაო. ლამარამ სასწრაფოდ მოძებნა თერაპევტი აკაკი გიგაური, რომელსაც დიაბეტზე საკურსო თემა ჰქონდა დაწერილი. მისგან მიიღო სათანადო რჩევა-დარიგება. ახიადს გაუკეთეს გადასხმები, ნემსები და გვიან საღამოს იგი გონს მოვიდა. დაენიშნა საჭირო აუცილებელი მკურნალობა და იგი კარგად გახდა. მას შემდეგ 17 წელიწადს იცოცხლა.

* * *

ლამარას მოგვარე ჯარაფ ბორჩაშვილი მას შემდეგ, რაც ჩეჩნეთში გადასახლდა, იქ პატიოსნად შრომობდა. ცხვარი მოიმრავლა, ქონება მოინაგრა, შვილებსაც პატიოსნად ზრდიდა.

ჯარაფი კარგი ვაჟკაცი დადგა. ადრე, ახალგაზრდობაში ცოტას ქედმაღლობდა, მაგრამ შემდეგ, დაღვინდა. ზედმეტს არავის ჰკადრებდა და არც სხვას შეარ-

ჩენდა შეურაცხყოფას. ხალხთან საერთო ენის გამონახვა იცოდა. ითომხალის რაიონის მოსახლეობამ შეიყვარა ეს ღირსეული კაცი. მის მრავალშვილიან ოჯახსაც პატივს სცემდნენ.

ჯარაფი პატიოსან შრომას და საქმისადმი ერთგულებას აჩვენდა შვილებს. ფატიმა და ჯაბრაილი განსაკუთრებულად უყვარდა. დრომ თვალსა და ხელს შუა გაირბინა. ფატიმა გასათხოვარი გახდა. ლამაზი, ეშხიანი გოგო დადგა და ბევრი ხელის მთხოვნელიც გამოუჩნდა. ფატიმამ მათ შორის დუისელი ჯაბრაილ აბდულას ძე ხანგოშვილი აირჩია.

ჯაბრაილ ხანგოშვილმა კარგად დაკვრა და მშვენიერი სიმღერები იცოდა. ლენინგრადის კონსერვატორიით დაიწყო და თბილისის კონსერვატორია დააამთავრა. ივი გროზნოს სახელმწიფო ფილარმონიაში ცნობილი მომღერალი გახდა. შემდეგ ამას ყველაფერს თავი გაანება და ბიზნესს მოპკიდა ხელი. დღეისათვის აჭარაში და თურქეთში მოღვაწეობს, ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირებასა და ყიდვა-გაყიდვას უძღვება.

* * *

ვაუკაცობით განთქმული „ჭშგლისმუხლა“ მუხმად ბორჩაშვილი ნადირობიდან ბრუნდებოდა, ჯიხვი და ორი ფსიტი მოეკლა. შინ მომავალმა ბიძაშვილ ჯარაფის სახლს გვერდი ვერ აუარა, ცხენი შეაჩერა. ჯარაფი გამოეგება. მუხმადმა ნანადირევი გაუყო, მწვადებიც ააშიშხინეს, მადიანად შეექცნენ სადილს. გულიანად იმუსაიფეს. გამომშვიდობებისას მუხმადმა უთხრა:

— ზეგ პანკისში ვაბირებ გადასვლას, სეიდ ხოჟაევიც ჩემთან ერთად მოდის, გვინდა კახეთში ცხენები ვიყიდოთ, მთებზე გადმოვიყვანოთ და ცხვარში გავცვალოთ.

— კარგი რამ მოვიფიქრებიათ, — მოუწონა ჯარაფმა განჩრახვა. მეცხვარეობა ძნელი საქმეა, დიდ ხარჯებსაც მოითხოვს, მაგრამ ოჯახში ბარაქა შემოაქვს. სადაც ცხვარია, იქ სიღარიბე ფეხს ვერ იკიდებს, გაგონილი გექნება თქმულება: ცხვარი შევიდა სახლში და სიღარიბეს შეუტია მე შემოვედი და აბა, ჩქარა, სახლი დაცალეო. სიღარიბემ უპასუხა ორივენი დავეტევით, რა გვაქვს სადავოო. ცხვარმა უთხრა ერთი კუთხე მატყლისთვის მინდა, მეორე ყველისათვის, მესამე კუთხეში ბატკანი უნდა დავაყენო, მეოთხეში თვითონ უნდა დავდგე, აქ შენოვის ადგილი არ არის, ჩქარა გარეთ გადით. სიღარიბეს მეტი რა გზა ჰქონდა, იძულებული გახდა დაეტოვებინა სახლი, დააბოლოვა სათქმელი ჯარაფმა და გაიცინა. მან ოთახის ერთი კუთხიდან ჯიხვის რქები გადმოიღო და მუხმადს სთხოვა ეს რქები ჩვენს ბიძაშვილებს, ლამარას ძმებს ალბერტის და ელდარის ჩაუტანე ჯოყოლოში სახსოვრად, მოკითხვაც გადაეცი. განსაკუთრებით ლამარა მომიკითხე, რომელმაც სიცოცხლე შემინარჩუნა ბირკიანში ლეკთან დუელის შემდეგ. ლამარას თავისი ახლობლები და, საერთოდაც, უბრალო და პატიოსანი ხალხი განსაკუთრებულად უყვარს. იგი კაცური კაცის აბდულას სიყრმის შვილია და წარმოუდგენელი იქნებოდა, ფილიპეს და აბდულას ასეთი შთამომავლობა რომ არა ჰყოლოდაო.

— ჩვენი ბიძაშვილი ლამარა მართლაც საამაყო ქალია, ბევრ ვაჟკაცს სჯობია, — დაეთანხმა მუხმადი.

მუხმადის გამგზავრებიდან რამდენიმე დღე გავიდა. ჯარაფი ცხვარს აძოვებდა. ტყიდან ვეებერთელა დათვი გამოვიდა. ცხვარი ტორებში მოიმწყვდია და ბაჯბაჯით ისევ ტყეს მიაშურა. ჯარაფმა კარაბინს ხელი დაავლო. მსუბუქად დაჭრილმა დათვმა ცხვარი დააგდო და ღრიალით გამოემართა ჯარაფისკენ. ერთი ტყვია

ჰქონდა შემორჩენილი ჯარაფს. ის ტყვია, თუ სასიკვდილო არ იქნებოდა, ჯარაფის სიცოცხლე სათუო გახდებოდა. დაახლოებით ათი მეტრის სიშორიდან მეორე ტყვია დაახალა ჯარაფმა დათვს, მაგრამ სასიკვდილოდ ვერც ახლა დაჭრა. უარესად გააფთრებული დათვი ეცა ჯარაფს. მან კი ხანჯლის ამოღება მოასწრო. გაიმართა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. დათვი დიდრონი ბასრი ბრჭყალებით გლეჯდა და ფლეთდა ჯარაფის ხორცს. ჯარაფი ხანჯლით ღრმა ჭრილობებს უმატებდა მსეცს მთელ სხეულზე. გამწარებულმა ნადირმა ღრიალს უმატა, ჯარაფმა უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და მუცელში ტარამდე გაუყარა ხანჯალი. ძალაგამოლეული დათვი მიწაზე დაენარცხა, ბრძოლა-წაგებულმა ტორებით მიწა მოფხოჭნა, უკანასკნელად დაიღრიალა და სული განუტევა.

ვერც დაღლილ-დაქანცულმა სისხლისგან დაცლილმა ჯარაფმაც შეძლო დგომა და დათვის გვერით დაეშვა, განძრევის თავი აღარ ჰქონდა.

ჯარაფს ჯერ კიდევ შერჩენოდა გრძნობა-გონება, მაგრამ იმდენი სისხლი დაკარგა, მთლად დაძაბუნდა. იწვა თვალებმილულული, შველას არსაიდან მოელოდა, თავის შვილებზე, ოჯახზე, უპატრონოდ დარჩენილ ცხვარზე ფიქრობდა.

ჯარაფის ვაუიშვილმა ჯაბრაილმა სვენებ-სვენებით აიარა ციცაბო მთები, მამის ბინას მიაღწია, ცხენს სურსათით სავსე ხურჯინი ჩამოხსნა, ბარგი ბინაში შეიტანა, ცხენს ბორკილი გაუკეთა და საბალახოდ გაუშვა. შემდეგ ტყეს მიახლოებული ფარა ფერდობისკენ შემოაბრუნა. ახლო მიდამოებს ერთხელ კიდევ შემოავლო თვალი. მამა რომ ვერსად დაინახა, ალბათ შეშის მოსატანად წავიდაო, — გაივლო გულში. დაიძახა, — მამა! პასუხი ვერ მიიღო, უფრო ხმამაღლა დაიძახა, მა-

ვრამ მხოლოდ ექომ უპასუხა. იფიქრა, დაველოდებით, და სწორი წამოსაწოლი ადგილისაკენ მოსაძებნად გაემართა. ცებ მიწაზე გაშოტილ, უზარმაზარ დათვს პკიდა თვალი. იფიქრა, ვაითუ მკვდარი არ არის, დაჭრილია და მეცესო, მაუზერი ამოიღო და თავში დაახალა. ამ დროს მამის ხმა შემოესმა:

— შვილო, მკვდარს რაღას ერჩი?

ჯაბრაილმა დათვთან მიირბინა და იქვე, სხეულდაფლეთილი მამა დაინახა. ჯარაფს მთელი სახე დაგლეჯილ-დასისხლიანებული ჰქონდა. დაფხრეწილი ტანისამოსიდან სისხლი მოჟონავდა. ჯაბრაილმა ჩაიჩოქა. სცადა მამისთვის წელს ზევით სამოსი გაეხადა, მაგრამ ჯარაფმა არ დაანება, ჯერ კიდევ თვითონ შემიძლია გავიხადოო, ორივე ხელით ჩაბღუჯა ხალათი და პერანგი, ასწია და გაიხადა.

ჯაბრაილი გამოუცდელი იყო. არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. რამდენიმე ტყვია ჰაერში ისროლა, თანაც რაც შეეძლო ხმამაღლა დაიძახა მეზობლებო, დამეხმარეთ!

მეზობელი ბინებიდან მწყემსები გამოიქცნენ და ჯარაფს შეძლებისდაგვარად დახმარება აღმოუჩინეს. ჭრილობები შეუხვიეს, საკაცე გამართეს. ჯარაფმა მწარედ ჩაიცინა, — ჯერ არ მომკვდარვარ, საკაცეს რატომ მიმზადებთ, რამდენ ხანს ვიწექი დათვის გვერდით, კარგად დავისვენეო.

მწყემსებმა დაჭრილი ცხენზე შესვეს, აქეთ-იქიდან ამოუდგნენ და ითომხალის გზას გაუდგნენ. დაჭრილ, გამხეცებულ დათვთან ჰირდაპირ შებმა და ბრძოლა, არა მარტო შებმა, არამედ ბრძოლის მოგება საარაკო ამბავი იყო.

შატილში მცხოვრები ქირურგი ასლან-ბეგი, რომელიც სასწრაფოდ მოუყვანეს ჯარაფს, ისეთი მცოდნე და მარჯვე გამოდგა, ჯარაფის დაფლეთილ სახეს და

სხეულს მკურნალობის შემდეგ ნაჭრილობევები აღარ ეტყობოდა.

ჯარაფმა საავადმყოფოში ახლობლებს სთხოვა, იმ დათვის ფიტული გაეკეთებინათ და დაეხვედრებინათ. მას თხოვნა შეუსრულეს, ისეთი ფიტული დაახვედრეს, ცოცხალი გეგონებოდათ.

სუფთა ჰაერს დაჩვეულმა ჯარაფმა საავადმყოფოში დიდხანს ვერ გასძლო. როცა დარწმუნდა სიარული შემიძლიაო, ექიმს სთხოვა, ახლა კარგად ვგრძნობ თავს, გამწერეთო.

ასლან ბეგმა უარი უთხრა: — ხვალამდე ვერ გაგწერ, მოსკოვიდან ჟურნალისტები ჩამოდიან, რომ შენგან ინტერვიუ აიღონ. ვიდრე არ მოვლენ, ვერ გაგიშვებო.

ჯარაფმა გაიღიმა. ჯერ ერთი, დათვი ვერ დაილაპარაკებს, ცოცხალიც რომ იყოს. მეორეც, ჩემი ნათქვამი იქნებ არ დაიჯერონ, დათვი ხომ ადამიანზე ძლიერია. მე მას მოხერხებით და შეუპოვრობით ვაჯობე. სიცოცხლე კი შენ შემინარჩუნე, დიდად გმადლობთ, ყოველთვის მეხსომება ეს. ახლა, უკვე კარგად მყოფს, მინდა დავუბრუნდე მაღალ მთებს, ცხვრის ფარას, რომელიც ჩემს მრავალრიცხოვან ოჯახს კვებავსო.

მეორე დღეს, მოსკოვიდან რუსი ჟურნალისტები ეწვივნენ შატილის საავადმყოფოში ჯარაფ ბორჩაშვილს და მისგან ინტერვიუ აიღეს. ქისტი ვაუკაცის დათვთან ბრძოლის შესახებ მასალა ჟურნალ ოგონიოკში გამოქვეყნდა.

შინ დაბრუნებულ ჯარაფს გოლიათი დათვის ფიტული დახვდა. მან თავზე ხელი გადაუსვა და ჰკითხა:

— ბრძოლაწაგებულო, როგორ გრძნობ თავს?

ხახადაღებული და თვალებგადმოკარკლული ფიტული უხმოდ მისჩერებოდა ბრძოლამოგებულ ვაუკაცს.

იქვე კედელზე ეკიდა ხანჯალი, რომლითაც ჯარაფმა დათვი სიცოცხლეს გამოასალმა. ხანდახან ჩამოიღებდა ხანჯალს, ქარქაშიდან ამოაძრობდა, ფხას გაუსინჯავდა და ისევ ჩააგებდა, ისევ თავის ადგილზე ჩამოჰკიდებდა და სკამზე ჩამოჯდებოდა. გაიხსენებდა ამ ხანჯალთან ერთად რამდენჯერ ყოფილა საფრთხეში, როგორ უმართლებდა მტკიცე ფოლადი, ძლიერი მკლავი, უშიშარი გული.

ითომხალის მთებში საკუთარ ცხვარს მწყემსავდა ომალოელი ჰაასა ალხანაშვილი. როცა გაიგო ჯარაფი საავადმყოფოდან შინ დაბრუნდაო, ოჯახში ეწვია, მიულოცა დათვზე გამარჯვება და გამოჯანმრთელება. საუბრის დროს ჰაასამ ჰკითხა, კიდევ შეძლებ ჯიხვებზე ნადირობასო?

— შენზე უკეთ, ჰაასა, თუ გინდა, ხვალ წავიდეთ სანადიროდ. მიუგო ჯარაფმა. მეორე დღეს ჯარაფი და ჰაასა დილაადრიან საჯიხვეების ციცაბო კლდოვან მწვერვალებს ეწვივნენ.

— მონადირეებმა შეამჩნიეს ჯიხვთა ნოტო, იგი ლაღად ძოვდა ბალახს კლდეთა შორის ფერდობზე. ჯიხვმა, რომელიც ბელადობდა ნოტოს და სადარაჯოზე იდგა, ჩაიფრუტუნა, საშიშროება ამცნო თანამოძმეებს და ისარივით სწრაფად აჰყვა აღმართს. ნოტომაც მას მიბაძა. ჯარაფმა მოკლეზე გადასჭრა ფერდობი და მთის მწვერვალზე მოექცა. ჰაასა მას დაედევნა, მაგრამ ჩამორჩა. ორჯერ ისროლა ჯარაფმა და ორი ჯიხვი გააგორა. ჰაასა მაშინვე ავიდა ჯარაფთან, როცა მას ნადირობა დამთავრებული ჰქონდა და ხანჯლით თავს სჭრიდა მეორე ჯიხვს. მონადირეებმა ჯიხვები გაატყავეს, ხორცი საზურგე ტომრებში ჩადეს და ითომხალში დაბრუნდნენ.

დრო შეუმჩნევლად გადიოდა, ზოგისთვის ბედნიერ-

ება მოპქონდა, ზოგისთვისაც უბედურება. ჯარაფს მარცხენა ფეხის ტკივილი დაეწყო. ქირურგ ასლანბეგს გაეგო მისი ავადმყოფობა, ოჯახში ეწვია, გასინჯა და პირდაპირ, დაუფარავად უთხრა:

— მარცხენა ფეხზე განგრენა გაქვს, თუ სიცოცხლე გინდა უნდა მოიჭრა.

— ჯარაფმა გაიღიმა, ჩეჩნური ფანდური აიღო და დაუკრა. ასლან-ბეგი ეხვეწა, ფეხის ამპუტაციის უფლება მომეცით. ვერ დაიყოლია. ჩემი სხეულის ყველა ნაწილით უნდა წარვსდგე ღმერთის წინაშეო, იყო მისი პასუხი.

* * *

მუხმად ალდამოვი ახმეტის სკოლა-ინტერნატის დირექტორად 1965 წლიდან 1972 წლამდე მუშაობდა. შემდეგ გადაყვანილი იქნა რაიონულ გაზეთ გაზეთ „ბახტრიონის“ რედაქციაში. გადაიყვანეს ჯერ სოფლის მეურნეობის გამგედ, შემდეგ კი პარტიული განყოფილების გამგედ და რედაქტორის მოადგილედ.

სკოლებში და გაზეთის რედაქციებში მუშაობის დროს ალდამოვი ცოდნას, ნიჭსა და ენერგიას არ ზოგავდა, რათა მომავალი თაობა ზრდილობიან, პატიოსან და უფროსების პატივისმცემელ ადამიანად აღზრდილიყო. ახალგაზრდობას სამშობლოს სიყვარულს, ქართველებისა და ვაინახების, ძმობის, მეგობრობის და ურთიერთთანადგომის გრძნობას უნერგავდა.

* * *

1981 წლის ერთ შაბათ-კვირას მუხმადი და ლამარა დუისში ამოვიდნენ. იმ საღამოს ვახშამზე ვისერგი მუთოშვილი ესტუმრათ. ლამარა და მუხმადი პატივს სცემდნენ ვისერგის. ხშირად ეპატიჟებოდნენ სადილზე თუ ვახშამზე. თვითონ ვისერგისაც მათკენ მოუწევდა გული.

მუხმადს დუისის საკარმიდამოში პატარა ადგილზე რქაწითელი ჰქონდა გაშენებული. ისეთ ღვინოს აყენებდა, მეღვინესაც შეშურდებოდა. ოცლიტრიანი მინის ჭურჭლებით ჰქონდა ღვინო შენახული. მსუბუქი ავტომანქანა „ჟიგულით“ ოჯახისათვის საჭირო პროდუქტების მოტანა არ უჭირდა.

იმ დღისათვის ჩაბინაანის მეფრინველეობის კომბინატიდან ქათმები და ყარაჯალიდან ბოჩოლას ხორცი აშოეტანა.

ლამარამ სწრაფად შეწვა ქათამი, ხორცი მოხარშა, მწვადიც მოაყოლა და სუფრა გააწყო. მუხმადმა ვისერგის სთხოვა, სადღეგრძელო ეთქვა. ვისერგი დარბაისელი კაცი იყო, კარგი ლაპარაკი იცოდა, ალამაზებდა და ნათელს ჰფენდა სათქმელს. ამასთან ხუმრობაც ეხერხებოდა და სუფრას აშხიარულებდა. ვისერგი ამბობდა სადღეგრძელოს. მუხმადიც თავისას დაუშატებდა და ლამარა მეტწილად მსმენელის როლში გამოდიოდა. მუხმადი იმ დროისათვის რიგიანი მოქეიფე ახალგაზრდა გახლდათ. სიმთვრალე არ ეტყობოდა, პანკისელი ქისტები თავიანთი ახალგაზრდების ქორწილებში თამადად იწვევდნენ ხოლმე, თუკი ამის დრო და საშუალება ჰქონდა.

მუხმადი მკვეხარა და ამპარტავანი არა ყოფილა, თავის ქება არ უყვარდა, ასეთ ადამიანებს ვერც იტანდა. მისი თაობისა და მასზე უმცროსი თაობის წარმომადგენლებმა, თანამშრომლებმა, ახმეტელმა მეგობრებმა და მეზობლებმა, ვისთანაც საქმე ჰქონია, სამსახურეობრივი თუ ცხოვრებისეული, კარგად იციან, როგორი პატრიოტია იგი თავისი ხალხისა — ვეინახებისა, როგორაა დაინტერესებული ქისტებისა და ქართველების ძმობითა და მეგობრობით. „ბახტრიონის“ რედაქციაში მუშაობის დროს მრავალი წერილი მიუძღვნა ჩეჩნებისა

და ქართველების ურთიერთობას. მუხმადმა და ელდარ ბორჩაშვილმა 1973-1974 წლების დეკემბერ-თებერვალში გაზეთ „ბახტრიონში“ გამოაქვეყნეს ისტორიული ნარკვევი „როდის დასახლდნენ ქისტები პანკისში“. უფრო ადრე თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ რელიგიათა შესახებ შედგენილ კრებულში დაბეჭდა ელდარ ბორჩაშვილისა და მუხმად ალდამოვის სტატია, რომელიც პანკისელი ქისტების ზნე-ჩვეულებებსა და ისლამს ეხებოდა.

გაზეთ „ბახტრიონში“ და ცენტრალურ რესპუბლიკურ გაზეთებში გამოქვეყნდა მუხმად ალდამოვის მრავალი წერილი, აგრეთვე რუსული გაზეთებიდან მის მიერ თარგმნილი მასალები ჩეჩნებზე, მათ მამაცობასა და ძმობაზე.

მუხმად ალდამოვმა და ვისერგი მუთოშვილმა გარკვეული ამაგი დასდეს პანკისის ხეობის ქისტებს. თავის ოჯახში სუფრაზე მუხმადი მოუყვა ვისერგის ბირკიანში წყალსაცავის მშენებლობის დაწყების შესახებ.

ეს მშენებლობა გათვალისწინებული იყო საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეთერთმეტე ხუთწლიანი გეგმით. ამასთან დაკავშირებით, ალდამოვი დაიბარა პარტიის ახმეტის რაიკომის პირველმა მდივანმა ვაჟა ბატიაშვილმა და დაავალა შეედგინა კითხვარი ბირკიანის წყალსაცავის მშენებლობასთან დაკავშირებით, სპეციალურად სწვეოდა მთავარსაქწყალმშენის უფროსობას ესოდენ საინტერესო საკითხზე — ბირკიანის წყალსაცავის მშენებლობაზე. მუხმადი შეხვდა მთავარსაქწყალმშენის უფროსის პირველ მოადგილეს მიხეილ წიკლაურს.

მოგვყავს მათი საუბრის მოკლე შინაარსი:

— პატივცემულო მიხეილ, საქართველო მცირემიწიანი რესპუბლიკაა. ამიტომ პარტია და მთავრობა

იბრძვის ჩვენი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გასაჯანსაღებლად, მიწების გასასარწყავებლად, რათა უზრუნველყოს სააკარგულებიდან უხვი და სტაბილური მოსავლის მიღება. როდის დაიწყება ბირკიანის წყალსაცავის მშენებლობა და რა მოცულობის იქნება იგი, სად გადაიკეტება მდინარე ალაზანი?

— წყალსაცავის მშენებლობა დაიწყება 1983 წელს; მისი დამთავრება ნავარაუდევია 1987 წელს. 1982 წელს დაიწყება გზებისა და მუშათა დასახლების მშენებლობა. მოსამზადებელი სამუშაოები უკვე დაიწყო მიმდინარე წელს ახმეტა-ბირკიანის გზის მშენებლობით. ეს გზა საშენებლო ბაზებს უშუალოდ კაშხალთან დააკავშირებს. ბირკიანის წყალსაცავი 175 მილიონი კუბური მეტრის ტევადობისა იქნება. შესაძლებლობას მოგვცემს სარწყავი წყლით უზრუნველყოთ 110 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები და ჯერ კიდევ აუთვისებელი მიწები ალაზნის ველზე და გარე კახეთში მდინარე იორის აუზში. შესრულდება დიდი მოცულობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. კაშხალის ტანში, რომლის სიმაღლე 135 მეტრი იქნება, დაიყრება დაახლოებით 20 მილიონი კუბური მეტრი ფლეთილი ქვა. რაც შეეხება კაშხალის ღერძს, წარმოდგენილია მისი სამი ვარიანტი: ერთი ვარიანტით ეს ღერძი უნდა იყოს სოფელ ქიზახევის ზემოთ ბაწარის შესასვლელთან, მეორე ვარიანტით — მინდორში, მესამე ვარიანტით — სოფელ ჯოყოლოს ბოლოში. ამ სამი ვარიანტიდან უპირატესობა მიენიჭა ე.წ. ბირკიანის ღერძს. ამჟამად, ამ ღერძზე მიმდინარეობს სამუშაოები, რომელთა დამთავრების შემდეგ, კიდევ უფრო დაზუსტდება ზოგიერთი ტექნიკური მაჩვენებელი.

ბირკიანის ღერძზე საძიებო სამუშაოები ამ გაზაფხულზე დაათვალიერეს საკავშირო მელიორაციისა და წყალთამეურნეობის სამინისტროს სპეციალისტებმა.

გამოითქვა აზრი კაშხალის ღერძის სხვა უფრო მოსერხებულ ადგილზე გადატანის შესახებ. ამასთან დაკავშირებით, დაათვალიერეს სოფელ ჯოყოლოს მიმდებარე ტერიტორია და საძიებო ჯგუფს დაავალეს ადგილის გეოლოგიური მონაცემების შესწავლა.

საკითხი ზემდგომ ორგანოებში განიხილეს და გადაწყდა, რომ კაშხალი აშენდეს ბირკიანის ღერძზე" სოფელ ძიბახევის ზევით.

— ბატონო მიხეილ, ხომ არ შეუქმნის საფრთხეს ძიბახევთან აშენებული კაშხალი მის ქვემოთ განლაგებულ სოფლებს: ბირკიანს, ჯოყოლოს, დუისს და სხვა. რა გაკეთდება ამ სოფლების კეთილმოსაწყობად და მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად.

— ძიბახევის მიდამოებში კაშხალის აშენება არავითარ საფრთხეს არ შეუქმნის მის ქვემოთ განლაგებულ სოფლებს. პირიქით, ამ მშენებლობასთან დაკავშირებით კიდევ უფრო გაუმჯობესდება ამ სოფლების კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები. კაშხალის მშენებლობას დიდი რაოდენობით მუშახელი სჭირდება. მათთვის აშენდება საცხოვრებელი სახლები, კლუბები, სამედიცინო მომსახურეობის პუნქტები, საზოგადოებრივი კვების ობიექტები, წყალსადენი და სხვა კულტურულ-გამაჯანსაღებელი დანიშნულების ნაგებობი.

ძირითადად ასეთი იყო ბატონ მიხეილ წიკლაურის მუხმად ალდამოვისთვის მიცემული ინტერვიუს შინაარსი. პარტიის ახმეტის რაიკომის მითითებით მასალა დაიბეჭდა გაზეთ „ბახტრიონის" ფურცლებზე სათაურით: „აშენდება ბირკიანის წყალსაცავი".

ეს ინტერვიუ მიზნად ისახავდა პანკისის ხეობის მოსახლეობის ყურადღების მოდუნებას, რათა ხალხს უყოყმანოდ მიეღო ხელმძღვანელი პარტიული და საბ-

ჭოთა ორგანოების შეთავაზებული ყოველგვარი გადაწყვეტილება. აშას მუხმად ალდამოვი ხვდებოდა ხვდებოდა და უკმაყოფილო იყო ყველაფრით. მისმა მონაყოლმა ვისერგი მუთოშვილიც და ლამარაც აღაშფოთა. მუხმადი ამბობდა: ვინ დაიჯერებს, რომ მილიონი კუბური მეტრის ტევადობის და 135 მეტრი სიმაღლის კაშხალი არავითარ საფრთხეს არ შეუქმნის პანკისის ხეობის სოფლებს? თუ გავითვალისწინებთ, რომ აკდრების დროს მდინარე ალაზანი წყალუხვია და თავდავიწყებით მოედინება მთათა ფერდობებიდან და ხევებიდან ფესვებიანად მოგლეჯილი უშველებელი ხეებითა და ქვაღორღით სერავს კალაპოტს, ასეთნაირად შეგუბებული წყალი ყველაფერს დაანგრევს და დალეწავს. დასაფიქრებელია, ბუნების მოულოდნელი მოვლენებიც: მიწისძვრა, ზვავები, წყალი კაშხალის კედელს გაანგრევს და ყველაფერს წალეკავს პანკისის ხეობაში. ვინ მისცემს მოსახლეობას იმის გარანტიას, რომ ალაზანი ყოველთვის წყნარად იდენს და არავითარ საფრთხეს არ შეუქმნის ხეობის სოფლებს?

იმ დროისათვის სამშენებლო ორგანიზაციებში და ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში მომუშავე ზოგიერთმა პიროვნებამ ხეობის მოსახლეობაში ხმა დაარხია, რომ ქისტებს აყრიდნენ და გადაასახლებდნენ შირაქში, სადაც ერისიმედში მათთვის ბინებს აშენებდნენ. ამის კატეგორიული წინააღმდეგნი იყვნენ მუხმადი, ლამარა და ვისერგი, აგრეთვე მთელი მოსახლეობა ქისტებისა.

მუხმადი და ვისერგი შეთანხმდნენ, რომ ქისტი მოსახლეობის ხელმოწერებით განცხადება შეეტანათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში. ასეთი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სამეულმა ვახშამი დაამთავრა. ვისერგი ჯოყოლოში წავიდა.

ამ შეხვდრიდან რამდენიმე ხანში მუხმად ალდა-
მოვმა ქისტი მოსახლეობის სახელით ცეკაში გასაგზა-
ვნი განცხადების ტექსტი შეადგინა. ვისერგის შეხვდა,
ტექსტი წაუკითხა. შეთანხმდნენ, შეეგროვებინათ
მოსახლეობის ხელმოწერები. მუხმადის მიერ დაწერი-
ლი განცხადების ძირითადი აზოსავალი დებულებები
იყო ის, რომ პანკისის ხეობაში ალაზნის მარჯვენა მხ-
არეს მდებარე სოფლებს ნამდვილად დაემუქრებოდა
დიდი საფრთხე. ამ სოფლების მოსახლეობას მოუწევ-
და გადასახლება. მართალია, ომალოსა და შუა ხალაწნის
მცხოვრებლებს საფრთხე ელოდა, მაგრამ პანკისის
ქისტი მოსახლეობა ერთიანი ეთნიკური ორგანიზმია თავი-
სი ნათესაობით, მოყვრობით და მეზობლობით. ამიტომ
უკეთუ ბირკიანს, ჯოყოლოს, დუისს გადასახლება მოუწ-
ევს. მაშინ ომალოსა და შუა ხალაწნის მოსახლეობა გულ-
გრილი არ დარჩება ამ ამბისადმი, ისინიც გადასახლდებიან
იქ, სადაც გადასახლდება ალაზნის მარჯვენა მხარის ქის-
ტი მოსახლეობა. მაგრამ ქისტები არავითარ შემთხვევაში
არ გადასახლდებიან შირაქში, ერისიმედში. საკითხს დას-
ვამენ ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკის
ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოების წი-
ნაშე. რომ ჩეჩნეთის ტერიტორიაზე გამოუყონ შესაფერ-
ისი ტერიტორია სახნავით, ტყითა და წყლით, რათა პანკ-
ისელი ქისტების ეთნიკური ჯგუფი ჩეჩნეთში კომპაქტურად
დასახლდეს.

მუხმადმა და ვისერგიმ ქისტური სოფლების მცხოვ-
რებლებს ხელი მოაწერინეს ამ განცხადებას და ვის-
ერგიმ იგი თბილისში ჩაიტანა, რომ იქაური მეგობრებ-
ის მეშვეობით ცენტრალურ კომიტეტში შეეტანა.

მუხმადისა და ვისერგის მცდელობამ შედეგი გამ-
ოიღო.

რესპუბლიკის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ ალ-

ბათ გაითვალისწინა, რომ თუ ქისტები უარს იტყოდნენ შირაქში გადასახლებაზე და მოისურვებდნენ ჩეჩნეთში გადასახლებას, ეს ნაციონალური უმცირესობის უფლებების შეზღუდვა-შევიწროებად ჩაეთვლებოდათ, რაც პირველ რიგში ქართველი ხალხის ჩრდილოელი „უფროსი ძმის“ წისქვილზე დაასხამდა წყალს. რუსეთი სიამოვნებით დაუჭერდა მხარს ქართველებსა და ქისტებს შორის განხეთქილებას, ქისტების წინაშე გაითამაშებდნენ „კეთილი ძიას“ როლს. ამ ნაბიჯს ქართველები არ გადადგამდნენ, რამეთუ ვაინახები და ქართველები გენეტიკურად, წარმოშობით, ენით, ტერიტორიით, შეზობლობით და სხვა კომპონენტებით ერთი ძირის, ერთი საერთო წინაპარი ხალხისაგან წარმოშობილი მონათესავე მეზობლები არიან.

საქართველოს ხელმძღვანელობის საქმიან წრეებში ცდუნებას იწვევდა ამ საკითხის მეორე მხარეც. ხუთწლიანი გეგმებით დიდ მშენებლობებს მოსკოვი აფინანსებდა. ამიტომ სახსრები რომ არ დაეკარგათ, დიდი მოცულობის საამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, საცხოვრებელი ბინების, სახკვების ობიექტების, კულტურულ-გამაჯანსაღებელი ნაგებობების მშენებლობა ბირკიანის წყალსაცავის სახელით ილტოს ხეობაში შახვეტილისა და ჭართალის მიდამოებში გაჩაღდა.

რესპუბლიკურ გაზეთებში კი ქვეყნდებოდა პუბლიკაციები, რომ შენდება „ბირკიანის წყალსაცავი“. სინამდვილეში მშენებლობები მიმდინარეობდა ილტოს ხეობაში. ხოლო ქისტებისათვის გათვალისწინებულ ერისიმედის ბინებში მთის რაიონებიდან აჭარელები ჩამოასახლეს.

ამრიგად, მუხმად ალდამოვსა და ვისერგი მუთოშვილს მართლაც ჭეშმარიტად დიდი როლი მიუძღვით, რომ იმ წლებში ქისტები აყრა-გადასახლებას

გადარჩნენ. ეს იდეა ჩაისახა მუხმადისა და ლამარას ოჯახში, როცა ვისერგი სტუმრად იყო მათთან.

შეხვედრის დროს ვისერგი მუთოშვილი ხშირად იხსენებდა თავის დუისელ ძმობილს, დათიკო დუიშვილს და დათიკოს მეგობარს, ელიზბარ მაყაშვილს, რომლებიც საფრანგეთში ემიგრაციაში იმყოფებოდნენ. პყვებოდა მის სახელზე გამოგზავნილი მათი წერილებისა და ლექსების შესახებ.

მუხმად ალდამოვი, როგორც გაზეთის მუშაკი, დაინტერესდა დათიკო დუიშვილისა და ვისერგი მუთოშვილის მიმოწერით. გარდაცვალების შემდეგ, ვისერგის ვაჟიშვილს, ირაკლის სთხოვა, მისთვის გადაეცა ვისერგისათვის საფრანგეთიდან დათიკო დუიშვილის გამოგზავნილი წერილები და ელიზბარ მაყაშვილის ლექსები. ეს ის ელიზბარ მაყაშვილია, რომელიც ქაქუცა ჩოლოყაშვილთან ერთად წავიდა ემიგრაციაში საფრანგეთში.

მუხმადი გაეცნო ამ წერილებს და ლექსებს, გაითვალისწინა, რომ მეუღლე ლამარა ხშირად მადლიერებით იხსენიებდა ვისერგი მუთოშვილს, და ქ. თბილისში გამომავალ გაზეთ „ქართულ მახვილში" დაიბეჭდა სათაურით „ფიქრები ძმობაზე, მეგობრობასა და თანადგომაზე".

პუბლიკაციას ერქვა „პანკისელი ქისტები — „ძმანნი ჩვენნი". (გაზეთი „ქართული მახვილი" 1999 წელი, მაისი-ივნისი, №44, 45, 46).

გთავაზობთ ამ მასალას უცვლელად:

— საქართველო ჩვენი, პანკისელი ქისტების სამშობლოა, სადაც დაიბადა და აღიზარდა არა მარტო დღევანდელი თაობა, არამედ ჩვენი მამა-პაპაც. ვაინახებს (ქისტები, ნოხჩუელნი ანუ ჩეჩნები, ღალღაი ანუ ინგუშები, ვეფფიი — წოვა თუშები) ქართველ ერთან

გვაკავშირებს მრავალსაუკუნოვანი ძმური გენეტიკური ურთიერთობის ისტორია, რომლის შედეგია ის, რომ ქისტები დღეს ქართველებთან ერთად საქართველოში ვცხოვრობთ. ჩვენი წინაპრები მეფის რუსეთის თიანეთის მაზრის ქართველ ხელისუფალთა მოწვევით დასახლდნენ პანკისში გასული საუკუნის 30-50-იან წლებში. ამ ხნის განმავლობაში სწავლა-განათლება, კულტურა, ზნე-ჩვეულებანი — ყველაფერი ქართული შევითვისეთ. ამასთან, ეროვნულში რაც კარგი იყო და არის, არც ის დაგვიკარგავს. საგულისხმოა ის, რომ ჩვენი ნაახრევ-ნაფიქრალის გადმოცემა უპირატესად მხოლოდ ქართული ენაზე შეგვიძლია.

„დიდი მეზობელი" რუსეთი, რომელსაც თავისი იმპერიული ზრახვები აქვს არა მარტო აფხაზეთ-სამაჩაბლოში, საქართველოში, არამედ მთელს კავკასიაში, შუა აზიისა და მის მიერ დაპყრობილ სხვა რეგიონებში, სოჭის შეთანხმების დაცვის გარანტად გამოდიოდა, როგორც მომრიგებელი, შუამავალი მხარე, მაგრამ როგორც დავინახეთ, ეს მორიგი ფარსი აღმოჩნდა. ყოველივე ამის შედეგად ის, რომ სოხუმი და აფხაზეთი დავკარგეთ, სამაჩაბლოს ვერ ვაკონტროლებთ.

რუსეთის თვითმპყრობელობა „გათიშე და იბატონეს" დოქტრინით ხელმძღვანელობდა, ატარებდა ეროვნებათა ერთმანეთზე წაკიდების პოლიტიკას. ასევე გრძელდება დღესაც. ამის ცოცხალი მაგალითებია დნესტრისპირეთი, ყარაბახი, ტაჯიკეთი, ინგუშეთი-ოსეთი, ჩეჩნეთი, აფხაზეთი, სამაჩაბლო. რუსეთის მაფიოზური სამხედრო ძალების ხელმძღვანელობა იარაღითა და ცოცხალი ძალით უმართავენ ხელს მათ მიერვე წაქეზებულ დაპირისპირებულ ძალებს.

ჩვენი სანუკვარი პატარა ჩეჩნეთი ცეცხლის ალში იყო გახვეული, რუსთა მიერ უმაწყალოდ იბომბებოდა

ჰაერიდან. იულიტებოდა მშვიდობიანი მოსახლეობა, მსოფლიოში არნახულ ბარბაროსულ ომს დასასრული არ უჩანდა. ეს უკვე მერამდენედ, გენოციდი განხორციელდა მათ თავზე და ალბათ ეს უკანასკნელიც იქნება. მხოლოდ, ფაქტია ის, რომ ჩეჩნებს სიკვდილი ურჩევნიათ რუსთა ჩექმის ქვეშ „თავისუფალ“ სიცოცხლეს. „თავისუფლება ან სიკვდილი!“ — ასეთია მათი საბრძოლო დევიზი. ისმება კითხვა — სწორია ეს გადაწყვეტილება? ვინ იცის, ზოგი ვინმე „ოპოზიციონერი“ ამას სიგიჟედ, სისულელედ მიიჩნევს. ამას ისტორია განსჯის. ვფიქრობ, ერის შიგნით განხეთქილება, რომ არ ყოფილიყო, როგორც საქართველოში, ასევე ჩეჩნეთშიც, რუსეთი უფრო მძიმე მდგომარეობაში იქნებოდა და სანატრელი, ნამდვილი თავისუფლება და დამოუკიდებლობა უფრო ახლო, უფრო ხელშესახები იქნებოდა. დღეს ალექსანდრე ლებედისა და ასლან მასხადოვის მცდელობითა და მსოფლიო სამშვიდობო მოწესრიგებას ეყრება საფუძველი, რაც ესოდენ სანატრელი და სანუკვარი გაუხდათ თვით ჩეჩნებს, რუსთა პროგრესულ ნაწილს, ჩვენ. დაე, მყარად ჩაეყაროს ამას საფუძველი.

ძვირფასო ქართველნო, ქისტებო, გამომდინარე ყოველივე აქედან, ეროვნული ურთიერთობის სფეროში რეალური მოვლენები ობიექტურად უნდა განვიხილოთ. ამ ურთიერთობათა სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, სულიერი არსი ძალზე რთული, წინააღმდეგობრივი და მეტად სათუთი საქმეა. ძმობა, მშვიდობა, მეგობრობა, თანადგომა ყოველთვის სძლევდა მტრობას, მოსისხლეობას, ბოროტს. ამიტომ, არ უნდა შევეცადოთ ეროვნებათა შორის ურთიერთობის გამწვავებას და უნდობლობის დათესვას. ადამიანებს უნდა ჩავუნერგოთ ხალხთა შორის ძმობისა და მეგობრობის

გრძნობა-სინდისი. ხალხთა შორის სიყვარული უწინარესად ზნეობრივი გრძნობაა. სულმნათი ვაჟა მტრობის, უნდობლობის, ბოროტების სათავეების ძალთა წინააღმდეგ ევედრება ღმერთს: გონებას ფიქრი სტანჯავდეს, გულს ცეცხლი სწვავდეს ძლიერი, მშიოდ-მწყუროდეს კეთილი, ვერ გაგძღე, მოვკვდე მშიერი... არ შეიძლება მოკვდეს ლამაზი არსი ჩვენი კაცობისო".

გამომდინარე ყოველივე ზემოთქმულიდან, ჩვენთვის არასწორია, მიუღებელია, წინააღმდეგობრივია ეროვნულ, სახელმწიფო რანგში აყვანილი სიძულვილის, მტრობისა და უნდობლობის ქადაგება მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მეშვეობით. ე.წ. ჩეჩენი ბოევიკის" მონაწილეობა ქართველების წინააღმდეგ აფხაზეთის ომში არ იყო ჩეჩენი ხალხის დამოკიდებულების გამოხატულება ქართველებისადმი. მიმაჩნია, რომ საქართველოს არავითარი საშიშროება არ დაემუქრება ჩრდილო მეზობლის ჩეჩნეთის მთიანეთიდან. იქ საზღვართან რუსი მესაზღვრე მებრძოლების ჩაყენება ქართველებთან ერთად მხოლოდ აძლიერებს მეზობელ მოძმე ერებს შორის უნდობლობას, რაც არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენს. კარგი იქნებოდა საქართველოს ხელმძღვანელობას ქმედითი კონტროლი დაეწესებინა საქართველო-რუსეთის ფედერაციის სასაზღვრო საბაჟო-ს-თან, სამხედრო გზაზე. აქ უმოწყალოდ იძარცვება საქართველოდან, განსაკუთრებით კი — ახმეტის რაიონის ქისტებიდან წამსვლელ-მომსვლელნი გროზნოსა თუ ნაზრანისაკენ.

მახსოვს 1944 წელი, ჩვენს ძმებს ჩეჩნებსა და ინგუშებს 24 საათში დეპორტაცია ჩაუტარეს რუსეთის კომუნისტებმა. ეს იყო ჩეჩენ-ინგუში ხალხის გენოციდის ერმოლოვ-მილიუტინისეული გეგმების ხორცშესხმა. პანკისელ ქისტებსაც იგივე ბედი ეწერათ, მაგრამ თბი-

ლისის ქართველმა ხელისუფლებმა მაშინ მფარველობის კალთა გადმოგვაფარა და გადავრჩით. ამიტომ ქისტებს არა აქვთ უფლება, იყვნენ უმადურნი ქართველების მიმართ. მართლაც, ქართველებისა და ქისტების ურთიერთობის მანძილზე საერთო ეროვნულ მასშტაბების დაპირისპირებანი ჩვენ არა გვქონია. პირიქით, ჩვენი ურთიერთობის ლეიტმოტივი იყო ძმობა, მეგობრობა, თანადგომა, ერთმანეთის გატანა, ერთმანეთის შეკსება. ქართველი ვაინახისათვის, ვაინახი ქართველისათვის გაჭირვების ჟამს ყოველთვის იყო სწორი გზის მანიშნებელი, მსარში აქომდგომი და ჭირ-ვარამის გამ'ხიარებელი. ამის ისტორიული მაგალითები ძალზე ბევრია, დაწყებული ფარნავაზისა და საურმაგის მეფობიდან დღემდე. ქართულ საისტორიო წყაროებში, ქართველ სასიქადულო მეცნიერ-მკვლევართა არქეოლოგიურ, ეთნოგრაფიულ, ანთროპოლო-გიურ, ლინგვისტურ გამოკვლევებში ზღვა მასალებია, რომლებიც მოწმობენ, რომ ქართველებსა და ქისტებს, ჩეჩნებს, ინგუშებს, აგრეთვე ჩრდიოლოეთ კავკასიის ზოგიერთ სხვა ხალხს, ერთი საერთო წინაპარი ხალხი პყოლიათ. რომ ისინი ერთი ძირის, ერთი წინაპარი დიდი ხალხის სხვადასხვა განშტოებებია. ბიზანტიელი, ბერძენი, არაბი, სპარსი, სომეხი მწერლები და ისტორიკოსები კავკასიას „ენების მთას“ უწოდებენ. მარტოოდენ საქართველოში 30-ზე მეტი სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხი ცხოვრობდა ჯერ კიდევ ძველ ანტიკურ პერიოდში. მათ შორის უძველესი კულტურისა და სახელმწიფოებრიობის მქონენი ქართველები იყვნენ. რით იყო ცუდი ქისტ-ვაინახელთა წინაპრების დურ-ძუკ-ძუძუკელთა, თარგამოსია-ნ-ელ კავკასოსის შთამომავალთა სიძის ფარნაოზ მეფის დროინდელი დიდი საქართველო, რომელ'შიდაც აღმოსავლეთი იბერია,

დასავლეთი და სამხრეთი საქართველო (დღევანდელი თურქეთის ტერიტორიის ნაწილი) იყო გაერთიანებული — „ფრიადი ქვეყანა“, რომელშიც ქართული ენა „იზრახებოდა“. ეს ხომ ე.წ. „კავკასიური სახლის“ პროტოტიპი იყო. რით იყო ცუდი დავით აღმაშენებლის მიერ საქართველოს განთავისუფლება უცხოელ დამპყრობელთაგან და საქართველოს გაერთიანება და ის, რომ მან თბილისში ააშენა სპეციალური სასახლე არაბი, სპარსი და სხვა აღმოსავლეთის ხალხის მეცნიერთათვის, მწერლებისა და პოეტებისათვის? რით იყო ცუდი თამარ მეფის დროინდელი დიდი საქართველო, შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, ნიკოსფიიდან დარუბანდამდე, თავისი ყმადნაფიცი ქვეყნებით. ეს ხომ ნამდვილი კავკასიის სახლი იყო. ამ სახლში ღალღა-ნახჩოელნიც შედიოდნენ და დაღესტნის ავარიელ-ხუნძახელნიც. ტყობაერდისა და დათუნას ეკლესია-მონასტრები ხომ თავისი ჯვარგამოსახულებით თუ ქართული დამწერლობით ამის ცოცხალი ისტორიული ილუსტრაციებია.

მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობაში საოცრად განსაკუთრებულად გამოიკვეთა მთის ქართველი და ქისტი ხალხის ურთიერთობა. ვაჟა-ფშაველას ჯოყოლა, ზვიადაური, მუცალი, ალუდა, ალექსანდრე ყაზბეგის გმირი პერსონაჟები ზოგადკაცობრიული კაი ყმობის სიმბოლოებია. ისინი შთაგვაგონებენ ჩვენ ორ ხალხს — გვიყვარდეს ერთმანეთი. ჩვენი დროის დიდოსტატის კონსტანტინე გამსახურდიას ხოგაის მინდიასათვის ქისტი ქალი „მზისფერი ხადიშათი“ მართლაც მზე იყო სულში ჩასახლებული, მაგრამ კარჩაკეტილმა ტრადიციამ და გაუმართლებელმა მტრობამ შეუძლებელი გახადა მათი სიყვარულის გამარჯვება. მაგრამ მინდიას სიტყვებში არ არიანო, დედავ, ქისტები „ურჯულონი“, კვლავ მეორდება ვაჟას და ყაზბეგის იდეა — ჩვენ ერთმა-

ნეთი უნდა გვიყვარდეს! და, მაგალითი, ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა დამპყრობელი მეფის რუსეთის წინააღმდეგ იმამ შამილის წინამძღო-ლობით მთელ მეოთხედ საუკუნეს გაგრძელდა. ალექსანდრე ყაზბეგი შამის მკვლელში აღწერს, თუ როგორ აიძულებებდნენ მოხევეებს წასულიყვენენ ქისტებზე სალაშქროდ...

— „თუ კი საძსახური შეგვიძლიან, ხემწიფის ჭირის ნაცვალი იყოს ჩვენი თავი.... მაგრამ ჩეჩნებთან საომრად ნუ გაგგზავნით, ჩვენ მეზობლები ვართ ქისტების სოფლებთან, ერთმანეთში მოყვრობა გვაქვს, მტრებად ნუ გადაგვკიდებთ... მტრისა არ გვეშინია, არც სიკვდილს გავექცევით, მაგრამ ისინი არ არიან ჩვენი მტრები“.

მეგობრობის ხე რომ აყვავდება და გაღონიერდება, ძალზე მნიშვნელოვანია პატივს სცემდე სხვა ხალხს, განსაკუთრებით მეზობლებს, მათ ისტორიას, მათ ჭირსა და ლხინს. რეალური მოვლენები ობიექტურად უნდა განვჭვრიტოთ და შევაფასოთ.

ქართველებსა და ქისტებში ყოფილან და დღესაც არიან ერთმანეთისათვის ძვირფასი ადამიანები. ქართველთა ეროვნული გმირი ქაქუცა ჩოლოყაშვილი ემიგრაციაში წასვლის წინ პანკისს ეწვია. თავის ძმადნაფიცებს შორის მცირეოდენი დრო დაპყო, ქისტურ ქორწილშიც მოილხინა დუისში. ბერიკაცების გადმოცემით, იგი ძალზე მოხდენილად ცეკვავდა ქორწილში. პანკისიდან ქაქუცამ ქისტი შეფიცულების შემწეობით კავკასიონის ქედი გადაიარა. ბოლოს, იქაურებმა იგი თურქეთის საზღვრამდე გააცილეს.

1990 წლის ნოემბერში თბილისიდან კახეთს ჩამოასვენენეს და აწყურის თეთრი გიორგის ეკლესიის ეზოში დაკრძალეს 66 წლის განშორების შემდეგ

მშობლიურ მიწაზე დაბრუნებული 95 წლის ალექსანდრე სულხანიშვილი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლი, ერთადერთი ცოცხალი შეუიცული უკანასკნელი მოჰიკანი, რომელმაც მოწიწებით შეინახა, გადაარჩინა და ცოტა ადრე, თბილისის მუზეუმში შესანახად გამოავზავნა ქაქუცას იარაღი. „ოჰ, ერთი კიდევ დაშადგმევინა სამშობლოს მიწაზე ფეხი, ერთი კიდევ ჩამასუნთქა ჩვენი კახეთის ჰაერი და მერე რაც იქნება, აღარ ვიდარდებ...“— უთქვამს ბატონ საშას. სულ ორიოდე კვირა გაატარა მშობლიურ ქართულ მიწაზე.

... და, აი, სწორად უთქვამთ, „ეძიებდე და ჰპოვებდე“. ჩემს წინ არის 1984წელს ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ სან-ფრანცისკოში გადაღებული ფოტოსურათი, რომელზედაც აღბეჭდილნი არიან ქართველები: ბატონი ალექსანდრე სულხანიშვილი, სანდრო მანველიშვილი და ვანო მაჩაბელი, ქისტი დათიკო დუიშვილი. აქვეა დათიკო დუიშვილის მიერ საფრანგეთიდან გამოგზავნილი წერილები თავისი ძმობილისადმი, ჯოყოლოელი ვისერგი მუთოშვილისადმი; დათიკო დუიშვილის ემიგრაციაში შეძენილი მეგობრის, ელიზბარ მაყაშვილის მიერ პანკისის ხეობის მოსახლეობისადმი და თავის „ძმა და მეგობარ დათიკო დუიშვილისადმი“ მიძღვნილი ლექსები.

დათიკო დუიშვილი: ახლად დაქორწინებული ახალგაზრდა კაცი, ქალიშვილის მამა, დუისის კოლმეურნეობის თავმჯდომარე; ფაშისტურ გერმანიასთან ომის პირველივე ხანებში გაიწვიეს მოქმედ არმიაში, სადაც იგი ტყვედ ჩავარდა. შემდგომ იგი გერმანელებ გაექცა, დიდი გაჭირვებით უნგრეთიდან არალეგალურად იტალიაში ფეხით ჩავიდა, ხოლო იქიდან საფრანგეთში, სადაც ძველი ქართველი ემიგრანტების დახმარებით დიდ საავტომობილო ქარხანაში მოეწყო

სამუშაოდ; იქვე დაცოლშვილდა. პყავს ვაჟი, გოგი დუიშვილი, რომელიც დაოჯახებულია. დათიკო დუიშვილი და მისი პირველი მეუღლე ხადიშათ მარგოშვილი ერთ წელს, 1987 წელს გარდაიცვალნენ., ხადიშათი — დუისში, დათიკო —საფრანგეთში. და ის, პირველი გაუხარელი სიყვარული ცივ საშარეში ჩაიტანეს ერთმანეთისგან ასე შორს მყოფებმა.

დათიკო დუიშვილის ახალგაზრდობის წლებში მის გაშბედაობაზე. უშიშრობასა და ვაჟკაცობაზე, მეგობრების გამტანიანობაზე და სხვადასხვა თავგადასავლებზე საარაკო ამბებს ყვებიან პანკისში.

ვისერგი მუთოშვილს „ულვაშას“ ეძახდნენ პანკისელები მისი ლამაზად დაყენებული ულვაშის გამო. ვაჟკაცი, ჭკვიანი, სტუმართმოყვარე, პურმარილიანი კაცი იყო, პყავდა მეგობრების დიდი წრე კახეთში, მთაში, თბილისში და სხვაგან. მუშაობდა ჯოყოლოს საუბნო საავადმყოფოს სამეურნეო ნაწილის გამგედ. იყო სოფლის და ხალხის დიდი გულშემატკივარი, ქართველებთან ძმობის და მეგობრობის მქადაგებელი და თავისი პირადი საქმიანობით მაგალითის მიმცემი და სწორი გზის მაჩვენებელი.

ელიზბარ მაყაშვილი დაბადებულია იყალთოში; ბავშვობა გაატარა ახმეტაში, სახლში სადაც დღესდღეობით მე-2 საშუალო სკოლაა განთავსებული. „ელიზბარი არის ახმეტელი მცხოვრები, ნეტავი ქისტებს მისცა ბევრი ელიზბარისთანა მეგობარი... მან როგორც წინა წერილში მოგწერე, დაწერა ერთი რომანი პანკისის ხეობაში მცხოვრები ქისტების ცხოვრებაზე, და ამ რომანის მთავარ გმირს დაარქვა ვისერგი. ის ახლა მუშაობს სხვა ისტორიულ რომანზე. ესეც, რასაკვირველია, პანკისის ხეობასა და მის ისტორიაზეა აგებული. ელიზბარის იმ პირველმა რომანმა დიდი

გამოხმაურება და მოწონება მიიღო ამ ქართველ ემიგრაციაში. ელიზბარი ამაში ყოჩაღია და წერაც შეუძლია. მე და ის, როგორც ალალი ძმები, ისე ვართ, შარშან ჩამოვიდა და ორი თვე გაატარა ჩემთან!" — წერს დათიკო ვისერგის.

ელიზბარ მაყაშვილი პირადად ვისერგის არ იცნობდა. დათიკო დუიშვილის მხრიდან დაუსწრებლად გაიცნო იგი ამ ორს შორის წერილობით ურთიერთობის მეშვეობით.

მაინც რა არის მთავარი, ხელჩასავლები რამ დათიკო დუიშვილის წერილებში ვისერგი მუთოშვილისადმი და ელიზბარ მაყაშვილის მიძღვნილ ფშაურ ლექსებში ქისტებისადმი? ესაა, პირველ რიგში,წუხილი, სევდა სამშობლოზე, მშობელი მიწის სიყვარული, ძმობის, მეგობრობის, სიყვარულის, ურთიერთ თანადგომის მოტივები. აი, ყფურცლავ ამ წერილებს და რვეულის ფურცლებზე გადმომაქვს მხოლოდ ის, რაც გულს ხვდება, რაც აფორიაქებს ადამიანის სულს და გონებას.

1980 წელს დათიკო დუიშვილმა წერილი და ფოტოსურათი გამოუგზავნა ვისერგი მუთოშვილს. „ეს სურათი გადაღებულია იტალიაში, რომში, — წერს დათიკო, — ჩემი ძმისწულის თენგიზის ოჯახში. მის შესახებ ალბათ შენ იცი, თენგიზმა დატოვა საბჭოთა კავშირი და ამჟამად იმყოფება ქალაქ რომში, აქედან მიდის ამერიკაში, ლოს-ანჟელესში. მისგან წერილი მივიღე, უნდოდა მენახა, სანამ ამერიკაში წავიდოდა. მიუხედავად სიშორისა, 2500 კილომეტრის, ჩემი მაშინით ერთ დღეს ჩავედი და სწორედ იმის სუფრაზეა ეს სურათი გადაღებული. თენგიზმა მკითხა, ბიძაჩემო, როგორ აფასებ ჩემს მიერ არჩეულ გზას? აბა, ვისერგი, რა უნდა ვუთხრა, ეს კითხვა უკვე გვიანია. წინათ რომ ეკითხა, მე მას არ ვურჩევდი ამ გზას, და არავის ვურჩევ სამშობლოს დაკარგვას. მე ჩემი თავი მეყოფა უბედური ამ უცხოეთში! თუ გინდა ვინმე დაწყევლო, უნდა უთხრა,

სამშობლო დაგაკარგვინოსო, მე მგონია, ამაზე დიდი წყევლა არ არსებობს. როცა ახალგაზრდაა, კიდევ ჰო, მაგრამ, რომ დაბერდება ჩემსავით, სულ ძილშიაც სამშობლო ედგმევა თვალწინ. რაც არის არის. ახლა გვიანაა, ღმერთმა კარგად ამყოფოს! მე კი ვისერგი, როგორც დიდმა ვაჟამ თქვა „ნაიალაღარ ხარს ვგავარ, რქებით მიწას ვფხოჭამ, ვბუბუნებ, ვდუდუნებ“, მეც ასე ვიძახი ძილშიც და ფხიზელიც“...

...„ელიზბარი იყო ავად, — წერდა დათიკო ვისერგის 1981 წელს, იწვა გოსპიტალში, ფეხების ოპერაცია გაუკეთეს, ფეხები სტკიოდა, ვენებში სისხლი არ გადიოდა და ძალიან მაგარი ტკივილები ჰქონდა. ახლა კარგად არის. ხანდახან დამირეკამს და ყოველთვის მეტყვის, ვისერგის მოკითხვა გადეციო და მეც შენგან ყოველთვის მოკითხვას ვაძლევ. ოთხი კახელი ვართ აქ: ელიზბარი, მე, საშა ბადურაშვილი წინანდლელი და ერთიც ქიზიყელი დარჩიაშვილი. ძალიან კარგი მეგობრობა გვაქვს ერთმანეთში. აბა სხვანაირად არც შეიძლება, მეტი ჩვენ აქ არავინა გვყავს თუ ერთმანეთს არ მივხედავთ ... ოხ, ვისერგი ცოტა ხანს მაინც იყვე ჩემთან, რომ დავტკბეთ ლაპარაკით. მოკითხვა შენს ოჯახს და ყველა იქაურ მცხოვრებლებს. შეიძლება კიდევ მეღირსოს პანკისის ნახვა, იყავი სულ კარგათ და ჯანმრთელათ, კოცნა ყველა ჩვენიანებს, გკოცნით ყველას მრავალჯერ, თქვენი კეთილის მსურველი დ. დუიშვილი“.

1982 წელი: — „გამარჯობა, ძმაო ვისერგი! (ჩვეულებრივ ასე იწყებს თავის წერილს დათიკო დუიშვილი) მივიღე შენი წერილი, რომელმაც, როგორც ყოველთვის, ახალაც ძალიან გამახარა, როგორც მე და ჩემზე მეტათ ელიზბარი. შენი წერილი, როგორც მივიღე, ისევე გადავეცი ელიზბარს და უნდა გითხრა სიმართლე, ძალიან შემეცოდა, ბევრი იტირა საწყალმა, არ ვიცოდიო, მართლა თუ ასე ვუყვარდიო ქისტებს და, ჩემო ვისერგი, ამაყად შემიძლია ვთქვა, თვით იქ

მცხოვრები ქისტიც არ მგონია იყოს მოყვარული ქისტე-
ბის ისე, როგორც არის ჩვენი საყვარელი ელიზბარი.
მას სულ პირზე აკერია პანკისის ხეობა და იქ მცხოვ-
რები ქისტები. შენ წარმოიდგინე ამოდენა ხნის განმავ-
ლობაში სახელებიც კი არ დავიწყებია. დღეს, ამ
უცხოეთში, მას ჩემზე ამოსდის მზე, მე ვარ მისთვის
უმცროსი ძმაც და მეგობარიც და ჩემთვის ელიზბარი
არის უსაყვარლესი უფროსი ძმა, შემცვლელი ჩემი
გარდაცვლილი უფროსი ძმისა".

დათიკოს უფროსი ძმა, ინჟინერი შალიკო დუიშვი-
ლი იყო საქართველოში საფეიქრო მრეწველობის ერთ
ერთი ფუძემდებელი. იგი თბილისში ცხოვრობდა.

..."ჩემი ცოლი, ისიც იყო ტყვედ, როგორც მე, —
წერს დათიკო ვისერგის, — როსტოვის სამედიცინო
ინსტიტუტეს სტუდენტი, მობილიზებული ომში და ტყვედ
ჩაყარდნილი. ნელ-ნელა ავაწყეთ ჩვენი ცხოვრება, დღეს
კარგად ვცხოვრობთ, ერთი შვილი მყავს გოგია,
რომელიც შენ ნახე დუისში, ცოლი ჰყავს და შვილი
კოლია, ცხოვრობს ჩემიდან ორ კილომეტრზე. ჩემო
საყვარელო ვისერგი, მე აქ არაფერი მაკლია, ყოველ
ცხრა თვეში ვიცვლი ავტომობილს. ნეტავი შეგეძლოს
მნახო, მაგრამ უსამშობლო კაცი არაფერი არ არის,
სამშობლოს დაკარგვას ჯობია სიცოცხლე დაკარგო.
ეგ რომ მცოდნოდა ამდენს არ ვიწვალებდი სიცოცხ-
ლის გადასარჩენად, ახლა გვიანაა, თავს არ მოვიკლამ.
აქ ჩემს პადვალში, გარდა ღვინოებისა არანაკლებ ასი
ბოთლი შამპანურია, მაგრამ მე მერჩივნა ისევ თქვენთან
მჭადით ჟიპიტაური არაყი მესვა, მე თქვენ მაკლიხართ,
მე თქვენ ყველანი მესიზმრებით სულ, მინდა რომ
თქვენთან იქ სამშობლოში დავიმარხო თუ შევძელი,
არ მინდა საფრანგეთის მიწაზე დავიმარხო, ასე, ჩემო
საყვარელო ვისერგი, მე ყოველთვის თქვენს სადღეგრ-

ძელოს ვსჯამ და თქვენც ნუ დამივიწყებთ, მოძიგონეთ ხანდახან...“

როგორც იტყვიან, ასეთი სტრიქონების შემდეგ, კომენტარები ზედმეტია. სამწუხაროდ, ვერ ეღირსა დათიკო დუიშვილს სამშობლოს მიწაში დამარხვა...

ახლა ნახეთ, რა ლექსები გამოგზავნა საფრანგეთიდან ელიზბარ მაყაშვილმა:

ლ ე ქ ს ე ბ ი

(საფრანგეთიდან გამოგზავნილი ელიზბარ მაყაშვილის მიერ)

შორის ქვეყნიდან
პანკისის ხეობის მოსახლეობას

მეც ხომ ვიყავი ჯეილი,
მქონდა ძალა და მხნეობა,
მიყვარდა ლაღი ცხოვრება
პანკისის ხევის ღრეობა.

მიყვარდა კოხტა პანკისი,
ლამაზ ბუნებით შემკულნი,
მიყვარდა მათი მცხოვრებნი
ქისტნი, ფშაველნი, გინ თუშნი.

ქისტების ლაღი ცხოვრება
და პურ-მარილში განთქმულნი,
მათ ვაჟკაცობა მხნეობა
პირში თქმა, ძმებათ ერთგულნი.

უშიშარ იყვნენ და ბევრმა
სამშობლოს თავი შესწირა,
თვალწინ მიდგანან ეხლაც კი
იდა, მიხაკო, ბათირა.

ჯოყოლოს ჭალის შიშინი,
ალაზნის ტკბილი დენანი,
ომალოს ვაჟი გმირები —
ქოსა, ღანიში, ლევანი.

მიტო, ზაქრო და მამუდა
და ბევრიც სხვა და სხვანია,
მეც მათთან ვიყავ ძმურადა,
მიყვარდნენ, როგორც ძმანია.

მიწა მიმაჩნდა ქალამნად
მაღლა ზეცა კი ქუდათა
ვსუნთქავდი წმინდა პაერით,
თავს ვგრძნობდი თავისუფლათა.

ცხოვრებამ სხვა მხრივ ინება,
უცხოეთს გამოვიხვეწე,
დავბერდი, ვერ შევითვისე
უცხო ბუნება, უცხო ზნე.

ალბათ დღეს აღარ არიან
ჩემ მეგობარნი ძველნია,
მაგრამ თქვენ დარჩით ქისტებათ,
ვით მამა, პაპა თქვენია.

არ დაივიწყოთ ამაგი,
მხნეობა მამაპაპური,
რადგანაც თქვენში ტრიალებს
ქისტური სული და გული

ხანდახან სიზმრად მეჩვენის
კოხტა პანკისის ხეობა,

მთაში მცხოვრები ქისტები,
მათი შნო, მათი მხნეობა.

შორით მოგიძღვნით თქვენ სალამს
თქვენთან შეზრდილი შვილია,
ღმერთსა ვსთხოვ, ბევრი გავზარდოთ
კვლავ სასახელო გმირია.

მშვიდობით, დუისოფელო,
ომალოვ, ჩემო ჯოყოლო
და თქვენსა გამრავლებასა
არ დროს არ პქონდეს მას ბოლო.

ამას გწერთ შორის ქვეყნიდგან
ალაზნის ველის შვილია,
ხანდახან მოიხსენიეთ
ელიზბარ მაყაშვილია.

ძმაო ვისერგი, გითვლით ყველას ძმურ სალამს,
ყისაც კი ვახსოვარ და ვისაც ჩემზე გაუგონია.

ელ. მაყაშვილი, საფრანგეთი,
14 თებერვალი, 1982წ.

სიზმარი

ვუძღვნი ჩემს უნცროსს ძმა და მეგობარს
დათიკო დუიშვილს (ფშაური)

სიზმარი ვნახე წუხელის,
სიზმარი მშვენიერია,
ჩემი სამშობლო ლამაზი,
მის ხალხი, მისი ერია.
ლურჯა ცხენს ვიჯექ ამაყი,
მთლად იარაღში მჯდარია,
ქორთა ბუდედან დავეშვი,
ხუოდა ალაზანია.
ქილაის სასლსა მივადექ
შევაღე ჭიშკრის კარია
შემომეგება ქილაი,
არ დაახანა ხანია.
გადამეხვია ძმურადა,
შემიპატიჟა სახლშია,
მომართო ხაჭაპურები
არაყიც ჯიხვის რქაშია.
ომალოსაკენ წამოველ,
ცხენ ვაგდე ალაზანშია,
შემოშეგებნენ ძმობილნი,
ჩამსხდარნი იარაღშია.
წინ მოუძღოდა ქოსაი
ღიმილი ეკრა პირზედა,
გვერდს უმშვენებდა დათიკო
პაჭიჭიც შვენდა წვიეზედა.
ზაქროც თან ახლდა ვაუკაცი,
სატევარ ეკრა წელზედა,
უკან ლევანიც მოსდევდა
უფროს უნცროსის წესზედა.

ჩიღაც თან ახლდათ ბიჭებსა
პირმცინარ, მომღიმარია,
მაგარი როგორც სალი კლდე,
ვეფხვს და ლომს შესადარია.
აგერ არსენაც გამოჩნდა,
დამშვენებოდა ტანია,
ქიტოც მოსჩანდა ვაჟკაცი,
ბევრ რამის გადამტანია.
შემომხვდნენ, გადამეხვივნენ,
როგორც რომ ღვიძლი ძმანია,
გაისმა სოფლის ყიჟინა —
დაბრუნდა ელიზბარია.
ქოსაის სახლში შევედით,
დაგვიხვდა სუფრა გრძელია,
ხონჩას დაყრილი ხინკალი,
ღვინით ხელადა სველია.
დავლოცე მასპინძლის სახლი,
დავლოცე ჩვენი ერია,
ღმერთო, პანკისის ხეობას
შენ მოუმართე ხელია.
იმ ღამეს იქავე დავრჩი
გაშლილ სუფრასთან მჯდარია,
თასით ვადიდეთ ლომისი,
ვადიდეთ ლაშვრის ჯვარია.
ზედ დაგვათენდა მეჯლისში,
სწრაფად გავიდა ხანია,
გარიჟრაჟს ცხენსა მოვახტი,
კიდევ ხომ მქონდა გზანია.
თანაც გამომყვნენ ძმობილნი
ჩიღა, ქოსა და ლევანი,
ისმოდა ჩემ გზის დალოცვა,
ჩემკენ მოძღვნილი ქებანი.

მზეც ამოვიდა, თვის შუქით
მოპფინა მთა და ბარია,
ჯოყოლოს კანცელარიას
მივაგდე ცხენი ჩქარია.
კარზე დამიხვდა ლეგაი
მომღიმარ, მოცინარია,
ერთი შეხედვით ვერ მიცნო
და მომაშტერა თვალია.
უცებ გაშალა ხელები
სახეს ავარდა ალია,
ღმერთისმა ვეღარ გიცანი,
ყოფილხარ ელიზბარია.
შიო და თიჩიც გამოჩნდნენ.
გადამეხვივნენ ძმურადა,
„როგორ ხარ, ჩვენო ელიზბარ,
გული ხომ გიდევს გულადა.“
იდაცა ვნახე, მიხაკოც,
მოხუცი ჩვენი ბათირი,
მთელი ხეობის მრჩეველი,
უყვარდა ტკბილი თათბირი.
არც იქ გაშიშვეს უქმელად,
სუფრა გაშლილი, ლხინია,
ყველამ მიმიღო ძმურადა
დაბრუნებული შვილია.
მელექსე მოსე სუყველგან
აქომჯდომია გვერდშია,
მეფანდურეა მოსეი,
განთქმული მთელსა ხევშია.
მიმღერის შამილის ვარამს
ჩავარდნილ რუსთა ხელშია,
უკანონობის მებრძოლსა,
განთქმულ გმირს მთა და ველშია.

შემდეგში ფშაყლებს ვესტუმრე,
იმედაც ვნახე, ღვთისოცა,
ლუდი, სულადის არაყიც
იქაც გადავკარ თითოცა.
მივადექ დუისოფელსა,
იქაც ხომ მყავდნენ ძმანია,
ძმები ლაზარი და სიკო
დევებსაც შესადარია.
აბდულა, ლაღი ჩონქარაც,
წოვენარგ, აბესალია,
შემოვიარე მთლიანად
დუიშვილების გვარია.
ლაღ სამოთხეში მეგონა,
სიხმარში ჩემი თავია,
გათავდა ტკბილი სიხმარი,
როს გაყახილე თვალია.
ლოგინს წამოვჯექ, მდიოდა
თავ-ტანზე ოფლის ღვარია,
თვალებს ვიფშვნეტდი, სად გაქრა
სიხმარი სანეტარია.

ელიზბარ მაყაშვილი,
საფრანგეთი, 1982წ.

* * *

1989 წელს საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა დაიწყო. მრავალი ათეული წლის მანძილზე კომუნისტური რეჟიმის მიერ დადუმებული ხალხის გამოსვლას თავისუფლების მოსაპოვებლად ეროვნული მოძრაობა ეწოდა. მოძრაობის ავანგარდში ახალგაზრდები იყვნენ. მათ ე.წ. დისიდენტები ხელმძღვანელობდნენ. იმართებოდა ხალხმრავალი მიტინგები.

ქართველმა ხალხმა ერთმანეთს მხარი მისცა. მიტინგებზე გაისმოდა „გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს." ეროვნულ მოძრაობას სათავეში ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა ედგნენ.

9 აპრილს მთავრობის სასახლის წინ უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. უმრავლესობა ახალგაზრდობა იყო. საქართველოს ყველა კუთხიდან იყვნენ ადამიანები ჩამოსული... საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ სთხოვა ხალხს, დაშლილიყო, მაგრამ ფეხი არავის მოუცვლია, პირიქით, მომიტინგეთა რაოდენობა იზრდებოდა. ზოგი ჯგუფი მღეროდა, ზოგი ცეკვავდა, ზოგიც იქვე ქაშვეთის ტაძარში სანთლებს ანთებდა და ღმერთს საქართველოს ავედრებდა, შშვიდობა მოუვლინეო.

გამთენიისას გაისმა ტანკების გრუხუნი და სამხედროების შეწყობილი ძლერი ნაბიჯების ხმა. ხალხი დაიძაბა. ჯარისკაცებმა ალყაში მოაქციეს მომიტინგეები და ბასრი სასანგრე ნიჩბებით ჩეხავდნენ. გაუშვეს მომწამვლელი გაზი. თბილისის საავადმყოფოები დაჭრილებით და მოწამლულებით გაივსო. ბევრი ახალგაზრდა იმსხვერპლა ცხრა აპრილის ამბებმა. ბევრი ოჯახი გაუბედურდა. ზვიად გამსახურდიას და მის მომხრეებს ფარ-ხმალი არ დაუყრიათ. ჩატარდა საყო-

ველთაო სახალხო რეფერენდუმი და პრეზიდენტის არჩევნები. ჭეშმარიტად დემოკრატიულ არჩევნებში პარტია „მრგვალი მაგიდა თავისუფალი საქართველოს“ წარმომადგენელმა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერმა ზვიად გამსახურდიამ დამაჯერებლად გაიმარჯვა და დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი გახდა.

1990წლის 26 მაისს გამოცხადდა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა, 90-იან წლებში სსრკ ხუსულასავით დაიშალა. ყოფილმა მოკავშირე რესპუბლიკებმა დამოუკიდებლობა იზეიმეს.

საქართველოში დიდხანს არ გაგრძელებულა დამოუკიდებლობით და თავისუფლების მოპოვებით დამყარებული მშვიდობა და სიხარული. ეროვნული მოძრაობის წლებში საქართველოში შეიქმნა უამრავი პარტია. რუსეთის აშკარა თუ ფარული მხარდამჭერით პარტიებს შორის ქიშპობა დაიწყო. ქართველი ქართველს მტრად გაუხდა. შიდა ღალატით, პირადი ანგარიშსწორების და განდიდების მიზნით მოეწყო სამხედრო შეიარაღებული გადატრიალება, რომელსაც ზურგს უმაგრებდა რუსეთი. დედაქალაქში მოხდა სისხლიანი შეტაკებები. გაჩაღდა ნამდვილი სამოქალაქო ომი, რასაც მოპყვა ეროვნული ძალების მმართველობის დასასრული და დეკნილობა. საქართველოში გამეფდა ქაოსი, შიმშილი, ავაზაკობა, კაცის კვლა, კრიმინალთა თარეში. ცხოვრება გაჭირდა. ფული გაუფასურდა.

მშრომელი ხალხი შეუბრალებლად გაძარცვეს. ხალხის შრომით შექმნილი დოვლათი მიიტაცეს, მითვისეს მათ, ვინც მაღალ პოსტებზე მოკალათდა. შემნახველ სალაროებში შეტანილი ანაბრები ხალხს არ დაუბრუნეს და მშრალზე დასვეს.

ედუარდ შევარდნაძე ხალხს შეპირდა ორ წელი-

წადში საქართველოს ავაყვავებო, მაგრამ ათეული წელი გავიდა და აყვავების ნაცვლად ვალებში ჩაეფლო ქვეყანა. საქართველოს უცხოეთის ქვეყნებმა დახმარების ხელი გამოუწოდეს. მერედა სად წავიდა ეს დახმარება? როგორ აყვავდებოდა ქვეყანა, მაშინ, როცა ხელისუფლების სათავეებში კორუმპირებული, უსინდისო პირები ისხდნენ და უმოწყალოდ ძარცვავდნენ ხალხს და ქვეყანას? ქართველები ისეთ გაჭირვებაში აღმოჩნდნენ, ისტორიულად დაკანონებული ეროვნული წესჩვეულებები დაივიწყეს. იმის საშუალებაც არ ჰქონდათ, გარდაცვლილი დროულად დროულად დაემარხათ, ან ცოტა შორს გარდაცვლილი ნათესავის სამძიმარზე წასულიყვნენ. გაზი, წყალი, ელექტროდენი, კომუნალური მომსახურება უბრალო ადამიანებისთვის არ არსებობდა. ზოგიერთებმა სახელმწიფოსა და ხალხის მიერ აშენებული კაპიტალური ნაგებობები კაპიკებად მიითვისეს. საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, მეცხოველეობის ფერმების ნაგებობა-სადგომები განადგურდა და გაპარტახდა, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები და შირაქის საძოვრები მეტწილად მეურნეობათა ყოფილმა მესვეურებმა ჩაიგდეს ხელში. განსაკუთრებით აღმაშფოთებელი იყო ის, რომ ადამიანებს დაენიშნათ მათხოვრული პენსია — 14 ლარი, რომლითაც ერთ კვირას ვერ იარსებებს კაცი, არამცთუ ერთ თვეს. რით ეარსება ადამიანს? ველაფერი დაანგრიეს და გაიტაც-გამოიტაცეს. ახალგაზრდები ქურდობის და ნარკომანიის გზაზე დააყენეს. ქვეყანას ოჯახური კლანები, მათთან დაახლოებული ბიზნესმენები და კორუმპირებული ჩინოვნიკები მართავდნენ. ისინი თავის კერძო ინტერესებს უქვემდებარებდნენ ყველაფერს. მაგრამ, ღვთისა და ერის უკეთესი მომავლისთვის მებრძოლთა წყალობით მოხდა უპრეცედენტო, მშვიდო-

ბიანი რევოლუცია, ე.წ. ვარდების რევოლუცია. მაშასადამე, ქართველი ხალხი გამოფხიზლდა და უკეთესი ცხოვრებისთვის დაირაზმა.

* * *

მუხმად ალდამოვი და ლამარა ბორჩაშვილი ადრე, საბჭოთა კავშირის დაშლამდე, საკმაოდ დიდ ხელფასს იღებდნენ. დუისში კეთილმოწყობილი ორსართულიანი სახლი პქონდათ საკარმიდამო ნაკვეთით, ახმეტაში ბინა, ესუბუქი ავტომობილი, ფუფუნებით თუ არა ნორმალურად ცხოვრობდნენ არაფერი უჭირდათ.

მუხმადი 80-იანი წლებიდან ხშირად ავადმყოფობდა და გაზეთ „ბახტრიონის“ გამოცემის შეჩერების შემდეგ უმუშევარი დარჩა. ლამარა იძულებული გახდა, 1993წლის მაისში დროებით გროზნოში წასულიყო სამუშაოდ. იქ წასვლა უმეტესწილად იმანაც განაპირობა, რომ ლამარას 6 წლის შვილიშვილი ასლანი, მალხაზის ვაჟი ლეიკოზით იყო დაავადებული და ძვირადღირებული მკურნალობის სახსრები არ გააჩნდათ.

ლამარამ ქ. გროზნოში მე-6 პოლიკლინიკაში დაიწყო მუშაობა. პანკისის ხეობიდან გროზნოში და საერთოდ ჩეჩნეთში გადასახლებული ქისტი ოჯახების ქალებმა ეს რომ გაიგეს, მას აკითხავდნენ სამკურნალოდ. ლამარას ცოდნა და გამოცდილებ არც იქაურ ჩეჩნის ქალებს დარჩენიათ შეუმჩნეველი და მისი კაბინეტის კართან ყოველთვის რიგი იდგა.

ნახევარ წელიწადში ლამარამ გროზნოში ბინა შეიძინა. 1993 წლის გვიან შემოდგომაზე მუხმად ალდამოვიც ჩავიდა მეუღლესთან გროზნოში. აქვე იყო მათი ვაჟი მალხაზიც.

გროზნოში მშვიდობიანი ცხოვრება დიდხანს არ გაგრძელებულა. რუსეთის შეიარაღებული ძალები

შეუდგნენ გროზნოსა და ჩეჩნეთის სხვა ქალაქების და დასახლებული პუნქტების ინტენსიურ დაბომბვას. 1993 წელს დაიწყო რუსეთ-ჩეჩნეთის პირველი ომი. იულიტებოდა მშვიდობიანი მოსახლეობა, ინგრეოდა ქალაქები და სოფლები. ჩეჩენი პატრიოტები არნახულ გმირობას იჩენდნენ.

რუსეთის მიზანი იყო ჯოხარ დუდაევის ხელისუფლების დამხობა და ჩეჩნეთის რესპუბლიკას იჩქერიის დამოუკიდებლობის ჩანასახის მოსპობა. დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ჩეჩენ პატრიოტთა მიზანი კი იყო საბოლოოდ გათავისუფლებულიყვნენ რუსთა მრავალსაუკუნოვანი ბატონობისგან, თავიანთი ქვეყნის ბატონ-პატრონები ისევ თვითონ გამხდარიყვნენ.

დღე და ღამე იბომბებოდა ქ. გროზნო. ლამარა და მუხმადი მე-ს პოლიკინიკასთან, ლამარას სამუშაო ადგილთან ახლოს ცხოვრობდნენ. აქ, კატაიამის რაიონში, სადაც გზატკეცილი ჩრდილოეთისაკენ მიემართება, მდებარეობდა პრეზიდენტ ჯოხარ დუდაევის სახლი, რის გამოც უფრო ხშირად ბომბავდნენ რუსები. მესამე სართულის ფანჯრებიდან მუხმადი და ლამარა ხედავდნენ, როგორ ტრიალებდნენ გროზნოს თავზე რუსთა მოიერიშე ბომბდამშენები და როგორ უმოწყალოდ ბომბავდნენ ქალაქს.

ერთ დღეს სამსახურში მიმავალ ლამარას საპაერო თავდასხმამ მოუსწრო. იძულებული გახდა, სხვებთან ერთად მიწისქვეშა თავშესაფარში ჩასულიყო. ლამარას შინ დაბრუნება ძალიან დააგვიანდა. ცოლის მომლოდინე ავადმყოფი მუხმადი ნერვიულობდა, მალხაზიც ქალაქგარეთ დეიდაშვილებთან იყო წასული. მეორე დღეს მუხმადს და ლამარას მანქანით მოაკითხა მუხმადის ძმისშვილმა ალბერტმა, რომელიც ცოლშვილით გროზნოში ცხოვრობდა. იმავე დღეს მუხმადი

და ლამარა გროზნოდან 15 კმ-ზე მდებარე სოფელ დიდ ათაგში მუხმადის ბიძაშვილის იდრიზ ალდამოვის სახლში გადაიყვანა. იქ გროვდებოდნენ გროზნოდან და ჩეჩნეთის სხვა ადგილებიდან ლტოლვილი ქისტები და რჩებოდნენ მანამ, სანამ საქართველოში წამსვლელ ტრანსპორტს იშოვიდნენ. ზოგჯერ იდრიზ ალდამოვის სახლში ორმოცამდე ლტოლვილი იყრიდა თავს.

დიდი ათაგი მართლაც დიდი სოფელია. სამსართულიანი საავადმყოფო იმ დღეებში მუდამ სავსე იყო დაჭრილებით, ქალს, კაცს, ბავშვს მოხუცს, ყველა ასაკის დაჭრილს ნახავდით აქ. ლამარა შეუსვენებლივ მუშაობდა საავადმყოფოში, სადაც მოჰყავდათ აფეთქებათა შედეგად ტრავმირებული ნაადრევად მშობიარე ქალები. ლამარას მოსვენება აღარ ჰქონდა, ხან შუაღამისას მოაკითხავდნენ, ხან გამთენიისას მიჰყავდათ მშობიარესთან. მალე მალხაზიც ჩამოვიდა ათაგში და რამდენიმე დღეში ჩეჩნეთიდან საქართველოში გამოემგზავრა.

რამდენიმე კვირა დარჩნენ ლამარა და მუხმადი დიდ ათაგში იდრიზ ალდამოვთან, სადაც თავს იყრიდნენ უცხოელი ჟურნალისტები, საქართველოში გასამგზავრებლად გამზადებული ყველა ქისტი და ქართველი. იქ მოვიდნენ და იქიდან საქართველოში გამოემგზავრნენ იდრიზის ძმა ხიზრი ალდამოვი, ჯაბრაილ ხანგოშვილი, ზურაბ ალხანაშვილი, ალიკო ბორჩაშვილი, დათო ჯუგაშვილი და მრავალი სხვა. ქ.არგუნის დაბომბვის შემდეგ იდრიზთან მოვიდა და რამდენიმე კვირით იქ ცხოვრობდა ჯოყოლოელი ალექსი მუზიკაშვილი, დაღუპვას სასწაულით გადარჩენილი, ალალმართალი, ჭკვიანი და პატიოსანი კაცი.

განუწყვეტელი დაბომბვის შედეგად გროზნო მი-

წასთან სწორდებოდა. მუხმადის ძმისშვილი ალბერტი იძულებული გახდა ათაგში ჩასულიყო. იქ იმყოფებოდა მისი ვაჟი ზურაბიც. ალბერტის მეუღლე, ჩეჩნის ქალი ქიისა სოფელ გიხტში მშობლების სახლში გადავიდა. იმჟამად იმ ბინაში არავინ ცხოვრობდა. ქიისას ძმები რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში ცხოვრობდნენ.

1994 წლის იანვარში რუსებმა ათაგის გზატკეცილის დაბომბვა დაიწყეს. ითომხალისაკენ მიმავალი გზატკეცილის დაბომბვის შედეგად, მდინარე ათაგის ნაპირზე რამდენიმე ადამიანი დაიღუპა. მათ შორის დუისელი ახმად სადულის ძე მარგოშვილის ვაჟი, შოთა. ათაგში ყოფნაც სარისკო იყო. მუხმადმა, ლამარამ და ალბერტმა გადაწყვიტეს, სოფელ გიხტში გადასულიყვნენ, ვიდრე საქართველოში გამგზავრებას მოახერხებდნენ.

იმ დღეებში ჩეჩენმა მებრძოლებმა რუსთა ბომბდამშენი ჩამოაგდეს, რომელშიც რუსი გენერალი ყოფილიყო. გენერალი ჩეჩნებმა ტყვედ ჩაიგდეს.

ერთ დღეს ლამარა ათაგის საავადმყოფოში გადავიდა, რათა თავისი სამედიცინო იარაღები წამოეღო. ლამარას იქ ყოფნის დროს მოიყვანეს ჩეჩნეთის ვიცეპრეზიდენტის ზელიმხან იანდარბიევის ძმის ცოლი (ზელიმხანის ძმა რამდენიმე დღის შემდეგ რუსებთან შეტაკებაში დაიღუპა), ხუთი თვის ფეხმძიმე ქალი. მას ძლიერი სისხლდენა ჰქონდა. უგონო მდგომარეობაში იყო. ლამარამ სასწრაფოდ ორივე იდაყვის ვენის მობილიზაცია გაუკეთა, სისხლი და სისხლის შემცვლელი ხსნარები გადაუსხა, ოპერაცია გაუკეთა და აშკარა სიკვდილისგან იხსნა. ასეთი ქალი დეკემბერ-იანვარში სხვაც ბევრი გადაურჩენია ლამარას.

მეორე დღეს ღამისთევით დაღლილ-დაქანცული ლამარა, მუხმადი და ალბერტი გიხტში წავიდნენ, სა-

დაც ალბერტის მეუღლე ქეისა და მისი უფროსი და დახვდათ.

ერთ დღეს ხმა გავარდა რუს ჯარისკაცებს ერთმანეთი ამოუწყვეტიათო. თურმე ათაგიდან გიხტის მიმართულებით ერთ გაშლილ მინდორზე ბნელ ღამეში რუსთა ჯარის ორი ნაწილი დაბანაკდა. მათ ერთმანეთის ადგილსამყოფელი არ იცოდნენ. არც ის იცოდნენ, რომ იქვე მ,ახლობელ ტყეში ჩეჩენი მებრძოლები იყვნენ თავშეფარებულნი.

რუსთა ნაწილები ერთმანეთისგან ერთი-ორი კილომეტრიც დაშორებით იდგნენ. ჩეჩენმა მებრძოლებმა დაზვერეს ორივე ნაწილი და მეტად საზრიანი ბეგმა შეადგინეს. ერთ-ერთი სოფლიდან მოიყვანეს ორი სახედარი, მათ კისერზე მიამაგრეს მაგნიტოფონები, რომლებშიც იდო კასეტები „აალააჰუ აქბარის“ ჩანაწერით. ამ შეძახილით იწყებდნენ საერთოდ ჩეჩნები შეტევას. ეს ორი სახედარი რუსთა ნაწილებს შუა შეუშვეს, მაგნიტოფონები ჩართეს და თვითონ იქაურობას გაეცალნენ. დაიწყო „ალააჰუ აქბარის“ ძახილი და საომარი ყიჟინა. რუსებმა იფიქრეს, ჩეჩენმა მებრძოლებმა შემოგვიტიესო და ორმხრივი ცეცხლი გახსნეს. ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარებს უშენდნენ ერთმანეთს. სასწრაფოდ ბომბდამშენებიც გამოიძახეს და მათაც დაბომბეს იქაურობა. გარიჟრაჟზე ბრძოლის ველზე სამარისებური სიჩუმე სუფევდა. მხოლოდ დაღუპულთა გროვიდან ისმოდა დაჭრილთა სუსტი კვნესა. ორივე ნაწილიდან ბედის წყალობით რამდენიმე მებრძოლი გადარჩენილიყო.

მეორე დღეს ბრძოლის ველის შემოწმებისას რუსებმა ნახეს ყუმბარებით დაფლეთილი, კისერზე მაგნიტოფონშებმული ორი სახედარი. მეთაურებმა თავში ხელი

შეშოირტყეს. მაგრამ წამსდარ საქმეს რაღას უშველიდნენ.

ერთხელ, ზამთრის სუსხიან დღეს ტელევიზიით გამოაცხადეს, ყოველგვარი სროლა შეწყდება გრიზნოში, რადგან ქუჩები ჩახერგილია დახოცილთა გვამებით და მათი მიწისთვის მიბარებაა საჭირო. სროლა იმ დღეს მართლაც შეწყდა. რუსები თავიანთ მკვდრებს აგროვებდნენ, ჩეჩნები თავიანთსას. სროლა არ იყო, მაგრამ ისმოდა ჭირისუფალთა საზარელი კივილი. რუსების დახოცილ ჯარისკაცებს თვლა არ ჰქონდა, ჩეჩნებისა კი ადგილ-ადგილ თითო-ოროლა მკვდარი მოიძებნებოდა.

რუსი და უცხოელი ჟურნალისტები დადიოდნენ და ფირზე იღებდნენ ყველაფერს. მინუტკაზე რომ გაიარეს, თურმე ასეთ სურათს წააწყდნენ შიშშილისგან გაძვალტყვაბეული ძაღლი რუსი ჯარისკაცის გვამს ფლეთდა და ჭამდა. თავიდან დაეწყო და სხეულზე გადასულიყო. ჟურნალისტები რომ მიუახლოვდნენ, მათ ყურადღება არ მიაქცია და თავისი საქმე განაგრძო. ერთმა უცხოელმა ჟურნალისტმა ჩანთიდან პურის ნატეხი ამოიღო და გვამის მოშორებით დააგდო. ძაღლმა გახედა, წალასლასდა, დაყნოსა პური, მაგრამ პირი არ დააკარა, ისევ მიუბრუნდა გვამს და ჭამა განაგრძო. ესეც ფირზე იქნა აღბეჭდილი. ამბობენ, მეორე დღეს მოსკოვის ტელევიზიით გადასცესო ეს საზარელი სურათი. ნეტავ რა გულით შეხედავდნენ ამ სურათს რუსი ჯარისკაცების დედები, რომელნიც შვილებს ვალმოხდილებს და დავაუკაცებულებს ელოდებოდნენ?

უპატრონო მშიერ ძაღლებს გვამების ჭამაში არც კატები ჩამორჩებოდნენ.

მუხმადი და ლამარა ოთხი დღე-ღამე იყვნენ გიხტში. მეხუთე დღეს მათ ალბერტიმ მანქანით მიაკითხა და

ისევ ათაგაში გადაიყვანა. თურმე ადრიეხის ხიმაძრს ბისანას ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა და ადრიეხმა გადაწყვიტა, თავისი ავტომანქანით პანკისში, ლუისში წამოეყვანა.

იმ ღამეს მაძლის პირველი ყიყილის დრო იქნებოდა, გრეოხნოდან აფეოქებებისა და გრგვინვა-ქუხილის ხმა ისმოდა. ადრიეხის ქალიშვილი ზაირა, ლამარა და მუხმადი ათაგიდან გამოვიდნენ. მთავარ გზას გვერდი აუარეს და შემოვლითი გზებით დაღესტანში გადავიდნენ. იქ დერბენტის კარიბჭესთან რუსების გამშვებ პოსტთან კარგა ხანი შეანერეს ავადმყოფიანი მანქანა. ისედაც მგზავრობითა და უარყოფითი ემოციებით დაქანცული მგზავრები ისლა დამატებითმა ლოდინმა დაქანცა. როგორც იქნა, გამგზავრების უფლება მისცეს. მეორე ღამის გამთენიისას მათ ახმეტის რაიონს და სოფელ ლუისს მიაღწიეს.

გრეოხნოდან ნამოსვლის რამდენიმე დღის შემდეგ ლამარამ ისევ თავის სამუშაო ადგილზე დაიწყო მუშაობა. ცხოვრება ასე თუ ისე ჩვეულ კალაპოტში ჩადგა.

* * *

ლამარას ახმეტის რაიონაავადმყოფოს სამეანო-გინეკოლოგიურ განყოფილებაში მუშაობის პერიოდში ძრავალი ქალის საცოცხლე უსნია უეჭველი სიკვდილისაგან. ძრავალისთვის შვილი უჩუქნია ძრავალი მადლობაც დაუმსახურებია რაიონულ გაზეთ „ბასტრიონის“ ფურცლებზე არაერთგზის დაწერილია ლამარა ექიმის ქება-დიდება, როგორც კარგი და ყურადღებიანი სპეციალისტისა. ყველა მადლობის წერილის შოხსენიება შორს წაგვიყვანდა. ამიტომ მოვიყვანთ რამდენიმე მათგანს:

გადარჩენილი სიცოცხლე

ამ ერთი თვის წინ ოჟიოში მოულოდნელად ავად გახდა 7 თვის ფეხმძიმე ახალგაზრდა ქალი, ნათელა ბერიკაშვილი. მდგომარეობა მძიმე იყო. სასწრაფოდ გამოვიძახეთ ექიმი ლ. კრუგლიკოვა. მალე რაიონიდან სასწრაფო მანქანით მოვიდნენ განყოფილების გამგე გიგიაშვილი და ექიმი ლ. ბორჩაშვილი. ხელმადლიანმა ექიმებმა დროული დახმარება აღმოუჩინეს მშობიარეს და დედაც და ბავშვიც უეჭველი სიკვდილისგან იხსნეს. ამის შემდეგ ექიმები მთელი ორი კვირის განმავლობაში მზრუნველობას არ აკლებდნენ ავადმყოფს, სწირად მოდიოდნენ ბინაზე, რომ საჭირო დახმარება გაეწიათ.

დღეს ნ. ბერიკაშვილიც და ახალშობილიც თავს კარგად გრძნობენ, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვით ექიმებს თ. გიგიაშვილს და ლ. ბორჩაშვილს.

ქ. ბერიკაშვილი, შ. ბერიკაშვილი

სოფ. ოჟიო

7 დეკემბერი, 1971წ.

ყურადღებით და მზრუნველობით

ეს სტრიქონები მადლობის გრძნობამ დამაწერინა. მადლობა მინდა გადავუხადო რაიონული საავადმყოფოს გინეკოლოგებს ლ. ბორჩაშვილს და თ. გიგიაშვილს, რომელთაც მზრუნველობა და ყურადღება არ დაიშურეს ჩემთვის. ისინი ყველას მიმართ ყურადღებიანები არიან. თუ საჭირო იქნება ავადმყოფს ღამეებს უთენებენ. ყოველნაირად ეხმარებიან.

ამ ექიმების მუშაობა, მართლაც რომ მადლობის ღირსია.

ნ. მარღიშვილი,

დიასახლისი.

17 აპრილი, 1973წ.

მადლობა ხელმადლიან მკურნალს

ახმეტის რაისაავადმყოფოს გინეკოლოგიურ განყოფილებასი ბევრი კარგი ექიმი მუშაობს. ეს მადლობის სტრიქონები სწორედ მათმა თ. გიგიაშვილის, თ გოლეთიანის, ნათელა ქადაგიძის, ეთერ ჭუაძის და სხვათა იმ კარგმა, გულისხმიერმა დამოკიდებულებამ დამაწყვინა, რაც ჩემს მიმართ გამოიჩინეს. მაგრამ, მათ შორის მაინც მინდა გამოვარჩიო ექიმი-გინეკოლოგი ლამარა ბორჩაშვილი, რომელმაც სიცოცხლე შემინარჩუნა. ამ ხელმადლიანმა ადამიანმა არ დაიშურა ჩემთვის არც ძალა და ცოდნა, არც გამოცდილება და არც ის თეთრად გაცრეცილი ღამეები და ძნელად საშოვნელი მედიკამენტები, რომლებმაც მე ფეხზე დამაყენეს და ოჯახს დამაბრუნეს. ლამარა ექიმის გულისხმიერებაზე მარტო მე როდი ვლაპარაკობდი პალატაში, მრავალი კარგი სიტყვა გამიგია მასზე, როგორც ზემოთ ხსენებულ განყოფილებაში, ისე მის კედლებს გარეთაც...

დაე, დიდხანს იცოცხლონ ლამარა ექიმისთანა გულისხმიერმა ექიმებმა, რათა მათი სიკეთე არ მოჰკლებოდეთ განსაცდელში ჩავარდნილ ადამიანებს.

ნ. ნანიშვილი

სოფ. ახალშენი

17 ნოემბერი 1981წ.

* * *

მრავალი ათეული წლის განმავლობაში დაძაბულმა და დაუღალავმა შრომამ, რომელიც ხშირად დაკავშირებული იყო თავდაუზოგავ ბრძოლასთან მშობიარე ქალების გადარჩენასთან, სამსახურში და საერთოდ ცხოვრებაში მრავალჯერ თავს გადახდილმა ნერვულმა სტრესებმა საფუძვლიანად შეარყიეს ლამარას ჯან-

მრთელობა, მათ ორგანიზმის ნივთიერებათა ცვლის დარღვევა გამოიწვიეს. 25 წელზე მეტია რაც ფსორიაზი აქვს. შემდეგ ამას შაქრიანი დიაბეტი მოჰყვა.

2002 წელს ლამარას ჯანმრთელობა საგრძნობლად გაუარესდა. მაღალი წნევა და გულის ტკივილი გაუხშირდა. ამას ზედ დაერთო ის, რომ საამსახურში მიმავალს მარცხენა ტერფში, ფეხსაცმლის ლანჩის გაყლით ლურსმნის მაგვარი მეტალის ნაწილაკი შეერჭო და ფეხი დაუზიანა. შაქრიანი დიაბეტის ფონზე ეს არასასურველი შემთხვევა იყო. ბინაზე ჩაუტარდა მკურნალობა, მაგრამ ფეხის მდგომარეობა თანდათან გაურთულდა.

შვილებმა (ექიმებმა) მარინამ, ნონამ და მალხაზმა ლამარა თბილისში გადაიყვანეს. ქალაქის პირველ საავადმყოფოში გაუკეთდა გამოკვლევა და ჩაუტარდა მრავალმხრივი მკურნალობა. დაუნიშნეს ძვირად ღირებული პრეპარატები, ჩაუტარეს ლაზერით მკურნალობა, მაგრამ ფეხი მაინც ულურჯდებოდა და განგრენის განვითარების საშიშროება შეიქმნა. ვინაიდან სისხლში შაქრის შემცველობა მაღალი იყო და იგი დიეტით და ტაბლეტებით აღარ რეგულირდებოდა, საჭირო გახდა ინსულინის ინექციების დანიშვნა. არც ამან გამოიღო მაშინვე სასურველი შედეგი. ექიმების აზრით, ლამარას მხოლოდ ფეხის ამპუტაცია შეუნარჩუნებდა სიცოცხლეს.

ექიმებმა თავიანთი გადაწყვეტილება ლამარას შვილებს გაუმხილეს. შვილებმა უპასუხეს, თუ მაინც და მაინც სხვა გამოსავალი არ არსებობს, სჯობია ფეხი დაკარგოს, ვიდრე სიცოცხლეო.

ექიმებმა შვილების თანდასწრებით თავიანთი მოსაზრება ლამარასაც გააცნეს. მან სასტიკი უარი განაცხადა.

— მე ფეხის მოკვეთის კი არ შეშინია, მშიშარა არ გავუჩენივარ ღმერთს, მაგრამ არ მინდა ცალფეხა ვიყო. ცალი ფეხით სიცოცხლეს ორი ფეხით სიკვდილი მირჩევნია. სადაც ჩემი თავია, იქ ჩემი სხეულის ყველა ნაწილი თან უნდა მახლდეს სამარეში. ორი ფეხით ვიარე ცხოვრების გზაზე და მინდა საიქიოსაც ორი ფეხით გავემგზავრო, როგორც ჩემი ბიძაშვილი ჯარაფ ბორჩაშვილი გაემგზავრა.

— კარგი რა, დედა, ჩვენ ყველას ერთი აზრი გვაქვს, სხვა აზრი არ არსებობს, დაგვთანხმდი, შენ შვილებს გვირჩევნია, იყო ცალფეხა და ცოცხალს გხედავდეთ, — უთხრა მალხაზმა.

— შენც რა, არმიის სარდალი გენერალი პეტრე ბაგრატიონი ხომ არა ხარ, ცალი ფეხით ცხენზე ვერ აძხედრდე ბრძოლაში გასასვლელად? — უთხრა ნონამ.

— მე არც პეტრე ბაგრატიონს ვადარებ თავს და არც ამპუტაციაზე გთანხმდებით. თქვენი თხოვნა და აზრი ამ შემთხვევაში უშედეგოა, — უთხრა შვილებს ლამარამ.

მის შემდეგ ლამარა ინფექციურ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მისი მკურნალი ექიმის, ბატონი-სულიკო კოსიაშვილის მაღალკვალიფიციური და ენერგიული მკუნალობისა და თავდაუზოგავი ძალისხმევის შედეგად, ლამარას ფეხი შეუნარჩუნდა.

ამავე პერიოდში ლამარას დაუდასტურდა მარჯვენა სარძეკვე ჯირკვლის სიმსივნე, რომელიც ფეხის გამო ჩატარებული ინტენსიური მკურნალობის ფონზე პროგრესირებდა. საჭირო გახდა ძუძუს მოკვეთა.

ლამარამ იმკურნალა, ენერგია აღიდგინა. მართალია, ხშირად მაღალი წნევა აქვს და ინსულინის ინექციებზეა სტაბილურად, მაგრამ ფარ-ხმალი არ დაუყრია, ისევ აგრძელებს აკადმყოფთა სამედიცინო დახმარებას.

* * *

ჯოყოლოში ცხოვრობდა პირიქითიდან გადმოსახლებული ვაუკაცი კაცი, ხანდაზმული ლომუ ბორჩაშვილი. ლომუ ძალიან აფასებდა ლამარას, განსაკუთრებით მაშის ტრაგიკული სიკვდილის შემდეგ, ამაყობდა მისით, ანუგეშებდა და ეუბნებოდა:

— ბევრ ვაუკაცს სჯობიხარ, დაჯდები, ქალი ხარ, ადგები — ვაუკაცი. მაშაშენის მოვალეობა შენ გეკისრება. შენს და-ძმებს შენ უნდა გაუძღვე და თანადგომა გაუწიო. ერთს თუ ფეხი დაუცდა და წაიქცა, ყველას წაქცევას ნიშნავს. სხვისი იმედით გული და გონება არ მოადუნო. ყოველთვის სავსე იყავი მომავლის იმედით. იმედის დაკარგვა იგივე სიკვდილს ნიშნავს. უფროსის მოვალეობაა უმცროსის აღზრდა და მასზე ზრუნვა, სწორ გზაზე დაყენება. იცოდე, როგორც უფროსმა, შენი და-ძმების ტვირთი უნდა ზიდო მანამდე, სანამ ისინი დამოუკიდებლები არ გახდებიან.

ლომუ ჭკვიანი კაცი იყო. ლამარამაც შეისმინა მისი დარიგება და ბოლომდე გაიტანა ცხოვრების ლელო. და-ძმებს თავ-თავისი ცხოვრების გზა მიუჩინა. ახლა, ყალმოხდილი შეპხარის შვილებს, შვილიშვილებს, და-ძმების შვილებსა და შვილიშვილებს.

* * *

1963 წელს ლამარას ერთ-ერთ უმცროს ძმას შემთხვევით ახლობელი შეოაკვდა. როგორც ღვიძლი ძმა, ისე უყვარდა იგი, მაგრამ ალბათ ბედისწერა იყო. ქისტური ადათით ორი გვარი მოსისხლე გახდა. მოკლულის ნათესავებს სისხლი უნდა აეღოთ. მკვლელი, 14 წლის მოზარდი ციხეში იჯდა. მოსისხლეებს მისი ერთ-ერთი ძმა უნდა მოეკლათ.

მიუხედავად იმისა, რომ ლამარას ძმა მოზარდი იყო,

12 წელი მიუსაჯეს. ქისტური წესით ლამარას ძმებს სოფელში ცხოვრების უფლება არ ჰქონდათ. მოკლულის ნათესავებს, მოგვარეებსაც კი არ უნდა დანახვებოდნენ.

ლამარას ძმები ელდარი და ალბერტი მოსალოდნელი სიფათისგან რომ დაეცვა, პარტიის ცენტრალურ კომიტეტს მიმართა თხოვნით, რომ თბილისში მათთვის ბინა გამოეყოთ, რადგანაც იმ დროისთვის ორივენი სტუდენტები იყვნენ. მთავრობამ გაითვალისწინა გამოუვალი მდგომარეობა და სტუდენტთა ქალაქში სამივე და-ძმას ერთოთახიანი ბინა მისცეს, ხოლო მომდევნო წლებში საბურთალოზე გამოუყვეს ოროთახიანი ბინა. ლამარამ ასე გამოარიდა ძმები მოსისხლე მტრებს.

ახლა მოსისხლეებმა სისხლის ასაღებად ლამარას დაუწყეს დევნა. მართალია, ქისტები ქალებზე შურს არ იძიებდნენ კაცის მაგივრად, მაგრამ რადგან იგი ვაჟკაცური შემართებისა იყო და ხალხშიც კარგი სახელით სარგებლობდა, ვაჟკაცთან გაათანაბრეს. ლამარასაც პრეპარატებით გატენილ ჩანთაში ნაგანი ედო, რათა საჭიროების დროს თავი დაეცვა.

მუხმად ალდამოვმა და მისმა ბიძაშვილმა ისრაილ ალდამოვმა ქისტური ადათით კაცი მიუგზავნეს ბორჩაშვილების მოსისხლეებს და შეუთვალეს— თქვენ თუ ბორჩაშვილებთან მტრობა გაქვთ, ალდამოვები რა შუაში არიან. დღეს ქალი ჩვენია, ჩვენი ოჯახის წევრია და, თუ მას თქვენი მიზეზით ბეწვიც კი ჩამოუვარდება, ჩვენს წინაშე იქნები პასუხისმგებლები, გაანებეთ თავი ლამარასო.

მუსულმანთა მარხვა, რამაზანის თვე იდგა. მარხვის დამთავრებას რამდენიმე დღე აკლდა. მარხვის დამთავრების დღესასწაული ქისტებისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანი და პატივსაცემი დღეა. ამ დღეს მთხოვნელ-

თათვის უარის თქმა დიდ სირცხვილად მიაჩნდათ. ადრეც, სხვა დროს, ლამარას პანკისის ხეობის უხუცესები რამდენჯერმე ჰყავდა მიგზავნილი მოსისხლე ოჯახის კარზე სისხლის პატიების სათხოვნელად, მაგრამ ყოველთვის უარით ისტუმრებდნენ.

ამჯერად, ლამარამ მარხვა-რამაზანის დამთავრების დღესასწაულის დღისთვის თავისი ხარჯებით ჩეჩნეთ-ინგუშეთში კაცები გაგზავნა და იქაური ცნობილი მშვიდობის უხუცესებიც შეკრიბეს და ერთობლივად მივიდნენ დაზარალებულთა ოჯახში. მათ მუხლმოყრილებმა და ქუდმოხდილებმა სთხოვეს მკვლელის პატიება ოჯახს და ასევე ბორჩაშვილებისგან ქისტური ადათით დადგენილი გამისაღების მიღება და შერიგება. თურმე ძველად მათაც შემოკვდომოდათ სხვა გვარის ბიჭი და მათთვის ასევე ეპატიებინათ შემთხვევითი მკვლელობა. იმ დღეს ბორჩაშვილებსაც აპატიეს სისხლი. ეს ყველაფერი ლამარას დამსახურება იყო. კიდევაც ეთქვა იმ დღეს მოკლულის მამას: ის ქალი სირცხვილში მაგდებს; თუ დღეს შვილის სისხლის აღებაზე უარი ვთქვი, იცოდეთ, იმ ქალის პატივისცემის გამოო.

ერთხელ, მალხაზის დაბადების დღეს, ლამარას სადღეგრძელოს დროს, მისი ძმისშვილი ასლანი ფეხზე წამოდგა და თქვა:

— ჩემნაირი მამიდა პანკისის ხეობის ქისტებში არავის პყოლია. მამიდაჩემს ყველა ვაუკაცად იცნობს. იგი სადაც საჭიროა, ქალიც არის და სადაც საჭიროა, ვაჟკაციც. მოსისხლეები მოსაკლავად დასდევდნენ როგორც ვაჟკაცს. ჩვენს ისტორიას არ ახსოვს ქისტებში კაცის სისხლის ასაღებად ქალი მოეკლათ, მაგრამ მამიდას კლავდნენ, თუკი სააბისო საამისო ხელსაყრელი ჟამი დაუდგებოდათ. გაუმარჯოს ჩემს ძვირფას მამიდას!

* * *

ლამარა წარსული დროის მრავალ მტკივნეულ ამბავთან ერთად იგონებს 1956 წლის 9 მარტს, რომელმაც გულს დიდი დაღი დაასვა. ეს იყო კომპარტიის და საბჭოთა სახელმწიფოს სათავეში ნიკიტა ხრუშჩოვის ყოფნის დროს. საბჭოთა შეიარაღებული ძალების, მე-8 პოლკის ჯარისკაცებმა დაარბიეს მშვიდობიანი მიტინგი. ამ მიტინგის მონაწილეთა უმრავლესობა სტუდენტები და ახალგაზრდები იყვნენ.

ლამარა ამ დროს ვეტერინარულ ინსტიტუტში სწავლობდა. სანაპიროზე სტალინის ძეგლთან, სადაც ტრიბუნა იყო გამართული, ახალგაზრდების ტევა არ იყო. თბილისში იმყოფებოდა ჩინეთის გენერალი ჯუ დე. სტუდენტები სტუდენტთა ქალაქიდან ჯუ დეს ძახილით სანაპიროსკენ მიეშართებოდნენ. ჯუ დემ ვერ-ავის უშველა, რუსის ჯარმა უამრავი სტუდენტი გამოასალმა სიცოცხლეს. დახოცილებს მტკვარში ყრიდნენ. ლამარა იმ დღეს ღვთის წყალობით ცოცხალი გადარჩა.

ასეთივე სცენარით 1989 წლის 9 აპრილსაც დახოცეს რუსებმა მშვიდობიანი მიტინგის მონაწილეები.

იმ ამაზრზენ დღეებს რომ იგონებს, ლამარას სძულს რუსეთის იმპერიული, სამხედრო თვითმპყრობელური ძალების ბატონობა კავკასიაში. მძიმედ განიცდის უდანაშაულო ხალახის ხოცვა-ჟლეტას. ქართველი და ჩეჩენი ხალხის დამოუკიდებლობის მომხრე და ამ ორი მოძმე, მისი მშობლიური ერის პატრიოტი იქნება სიცოცხლის ბოლო წუთებამდე.

...როცა კი ესტუმრება ხოლმე ლამარა თავის მშობლიურ პანკისის ხეობას, ნაღვლიანად იგონებს თავისი პაპის, ფილიპე ბორჩაშვილის, ტყის მცველად

შუშაობის დროს, მაღალი ბუმბერაზი ხეებით დაფარულ და ახლა უკვე გაჩანაგებულ, გატიტვლებულ მთებს და მთაგრეხილებს, რომლებიც თავიანთი ჯიბის გასქელების მიზნით არ დაინდეს მავანთ. თუ ასე გაგრძელდა, პანკისის მთების კალთებზე და საერთოდ, პანკისში შეშაც კი სანთლით საძებნი გახდება. ხე-ტყით მოვაჭრენი, მოსულნი თურქეთიდან, თუ თბილისიდან, პანკისის ტყეებს შეესივნენ. გამდიდრების ყველა მსურველი ა'შენებს გადამამუშავებელ საამქროებს, უღმერთოდ ნადგურდება ტყე, საზღვარგარეთ გადის ხე-ტყის მასალა. რაიონის და პანკისის ხელმძღვანელები არ ფიქრობენ, როგორ უპატრონოდ მიატოვეს საქართველოს მტრების ხელში თავისი ლამაზი ტყეები, ბუნება. საქართველოს მტერია ყველა, ვინც ასე უღმერთოდ ანადგურებს მის ულამაზეს ბუნებას.

* * *

ლამარას უსაქმოს საერთოდ ვერ ნახავთ. გრძელ ღამეებში, ზოგჯერ, როცა ავადმყოფობაც შედარებით ნაკლებად აწუხებს და არც ძილი ეკიდება, გონების თვალს გადაავლებს თავის განვლილ გზას, თვალწინ წარმოუდგებიან ადამიანები, უპირატესად ქალები, რომელთაც დიდი ამაგი დასდო, რომელთა ბედზეც არაერთხელ შეწუხებულა.

გინეკოლოგიურ განყოფილებაში აბორტის გასაკეთებლად მოსული ბევრი ფეხმძიმე ქალი უკან გაუბრუნებია. შენი ოპერაცია არ შეიძლება ამა და ამ მიზეზის გამოო, დაურწმუნებია, აუცილებლად უნდა იმშობიაროო. ასეთ შემთხვევებს ლამარა ბევრს იხსენებს. ერთხელ, მოსულა ერთი ფეხმძიმე ქალი და უთქვამს, ერთი ვაჟი მყავს, მეტი შვილი არ მინდა, გაზრდის საშუალება არ მაქვსო. ლამარა არ დათანხმებია, დაიღუპე-

ბი თუ ოპერაციას გაიკეთებ და არ იმშობიარებო. ამ ქალს ისევ ვაჟი შესძენია. სამწუხაროდ, პირველი ბიჭი გარდაეცვალა და ფუძის გამგრძელებელი რომ დარჩა, ლამარას დიდი შადლობელი იყო.

ლაგოდეხელი ახალგაზრდა ქალი მივიდა ლამარასთან უშვილობის გამო. ლამარამ ჩაუტარა მკურნალობა, აღუდგინა ჯანმრთელობა და გაწერა საავადმყოფოდან. მის შემდეგ, გავიდა ერთი წელიწადი და ლამარამ შეუჩენკოდან ამანათი მიიღო. მასში საჩუქრებთან ერთად წერილი იდო, რომელშიც ეწერა:

...„ძვირფასო ლამარა ექიმო, მე ლაგოდეხში მირჩიეს თქვენთან მოვსულვიყავი, თუ შვილი მინდოდა. მოვედი, ვიმკურნალე და დავბრუნდი ქმართან შევჩენკოში. გავხდი ფეხმძიმედ. ახლა ვაჟი შემეძინა. თქვენ გაგვახარეთ მე და ჩემი ოჯახი. განა მარტო ჩვენ?. მრავალი ჩვენნაირი გაგიხარებიათ,. თქვენ მიბოძეთ ეს ბედნიერება, შემინარჩუნეთ ტკბილი ოჯახი. ღმერთმა გაგახაროთ თქვენს ოჯახთან ერთად!“

ქ. ახმეტიდან ნინო მასწავლებელმა მიაკითხა. ლამარამ ჰკითხა: — რამდენი შვილი გყავს?— სამი გოგონა მყავს, — იყო პასუხი. ბიჭი ხომ გინდა? — ჰკითხა ლამარამ.

— მინდა მაგრამ ღმერთ არ მაძლევს, ჩემი მეუღლე ძალიან ნერვიულობს.

— ამჯერად ბიჭი უნდა გააჩინო; სამ დას ძმა სჭირდება უთხრა ლამარამ. ნინოს სასტიკი წინააღმდეგობის მიუხედავად, შვილს არ გავაჩენ, ოპერაცია გამიკეთეო, ლამარამ ოპერაცია არ გაუკეთა. იმდენი ელაპარაკა, დაარწმუნა, რომ აუცილებლად უნდა ემშობიარა.

სწორედ ლამარას მორიგეობის დროს იმშობიარა ნინომ და ვაჟი შეეძინა, რამაც ნინოს, მის მეუღლეს და მთელ ოჯახს დიდი სიხარული მოუტანა.

ახმეტელმა მარო აბულაშვილმა მეორე შვილი საკეისრო კვეთით გააჩინა. ექიმებმა უთხრეს, თუ სიცოცხლე გინდა, აღარ უნდა იმშობიაროო. წელიწადნახევარიც არ იყო გასული, რომ დაფეხმძიმდა. გინეკოლოგიურ განყოფილებას მიაკითხა ორსულობის შესაწყვეტად, არ მინდა შვილები დავაობლოო. საოპერაციოდ მისულს ლამარა დახვდა მორიგედ. ლამარამ გასინჯა და ჰკითხა, რამდენი შვილი გყავსო.

— ორი გოგო მყავს, — უპასუხა მარომ.

— ამჯერად ბიჭი უნდა გააჩინო, დებს ძმა სჭირდებათ, ოჯახს გვარის გამგრძელებელი, სამშობლოს დამცველი, — უთხრა ლამარამ.

— მეშინია, ლამარა ექიმო, მეორე გოგონა საკეისროთი გავაჩინე, ექიმებმა გამაფრთხილეს, თუ სიცოცხლე გინდა, მშობიარობაზე აღარ იფიქროო.

— საშიში არაფერია, ამოიგდე თავიდან ეგ შიში და გააჩინე ეს ბავშვი მიუგო ლამარამ და დამშვიდებული და დაიმედებული გაუშვა სახლში.

მაროს დროდადრო შიში მაინც შეეპარებოდა ხოლმე, მაგრამ ლამარას სიტყვებს გაიხსენებდა და წყნარდებოდა. საშიში რომ ყოფილიყო, ასე დაჟინებით არ მეტყოდა ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნებაო, გაივლებდა გულში. მარომ თავის დროზე გააჩინა ბავშვი, ბიჭი შეეძინა. მარო და მისი შეუღლე, ივანე, თავს ბედნიერდ გრძნობენ და ამ ბედნიერებას ლამარას უმადლიან. მათი ვაჟი გიორგი მეოთხე კლასის მოსწავლეა.

ახმეტის მე-3 საშუალო სკოლის დირექტორი, აწ განსვენებული ეთერი დავიდოვა, რამდენიმე წელი უშვილო იყო. რა საშუალებას არ მიმართა, სად არ იმკურნალა, მაგრამ უშედეგოდ. ერთხელ, სკოლიდან მომავალ ეთერს გზაზე ლამარა ექიმი შეხვდა. შე-

ჩერდნენ, ერთმანეთი მოიკითხეს. ლამარას ეთერი ძალიან უყვარდა, როგორც ნიჭიერი პედაგოგი და კარგი ადამიანი. ეთერიც კეთილად იყო განწყობილი ლამარას მიმართ; პატივს სცემდა და აფასებდა, როგორც კარგ და გულისხმიერ ექიმს.

საუბრის დროს ეთერიმ თავის გასაჭირზე ჩამოუგდო ლამარაკი, უამბო თავისი უსაშველო მდგომარეობის შესახებ. ლამარამ უთხრა, ხვალ მორიგე ვარ და აუცილებლად შემოიარეო. ეთერიმაც მიაკითხა. ლამარამ გასინჯა და მკურნალობა დაუწყო. მკურნალობის კურსის დამთავრების შემდეგ ეთერი დაფეხმძიმდა. მის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. მაგრამ 3-4 თვის შემდეგ ეთერის მუცლის მოშლის საშიშროება შეექმნა. ლამარამ იგი განყოფილებაში, თავის პალატაში დააწვინა და მზრუნველობას არ აკლებდა. ერთხელ ლამარას ქ. თბილისში სტუდენტ შვილებთან ჩასვლა მოუხდა. მან განყოფილების გამგეს, ალექსანდრე ბოროვკოვს სთხოვა, მის დაბრუნებამდე ყურადღება მიექცია ეთერისათვის. ალექსანდრემ პალატებში შემოვლის დროს მედპერსონალი გააფრთხილა, განსაკუთრებული ყურადღებით მოპყრობოდნენ ეთერ დავიდოვას. თბილისიდან ლამარა მალე დაბრუნდა და ჩვეული ყურადღებით განაგრძო მკურნალობა. როცა ეთერის საიმედოობა დაატყო, სახლში გაწერა, მაგრამ მეთვალყურეობას მაინც უწევდა.

ეთერიმ ნორმალურად იმშობიარა და ვაჟიშვილი გააჩინა. მომდევნო წლებში გოგო და ბიჭი კიდევ შეეძინა. ლამარას წყალობით ასე გახდა ერთ შვილს მონატრებული ოჯახი მრავალშვილიანი.

ახმეტაში მცხოვრებმა მერი ახალაურმა გათხოვების შემდეგ დაორსულება რომ დაუგვიანდა, ლა-

მარას მიაკითხა. მან მკურნალობის კურსი ჩაუტარა და იგიც დაფეხმძიმდა, ვაჟიშვილი შეეძინა. ახლა ლამარა ექიმს დიდი სიყვარულითა და მადლიერებით ხვდება.

ერთხელ ლამარას აბორტის გასაკეთებლად მიაკითხა ბირკიანელმა მარიამ კუშტანაშვილმა. ლამარამ გასინჯა და ჰკითხა, რამდენი შვილი გყავსო.

— შვიდი გოგო მყავს, ლამარა ექიმო, ესეც გოგო იქნება, უნდა მოვიცილოო, — მიუგო მარიამმა.

— ამჯერად ბიჭი გყავს ჩასახული, ამაში ეჭვი არ შეგეპაროს. თქვენი ოჯახის გამხარებელი ცოცხალი უნდა დარჩეს. ამისი მოცილება არ შეიძლება. შვიდ დას ერთი ძმა აუცილებლად სჭირდება. აბა, ახლა სახლისკენ მოუსვი, — უთხრა ლამარამ სიცილით და შინ გაგზავნა მარიამი.

მარიამი სახლში წავიდა, მაგრამ ერთი კვირის შემდეგ კვლავ მიაკითხა ლამარას. ლამარამ უარი უთხრა ბავშვის მოცილებაზე, დამატებით კიდევ ესაუბრა, რომ ბიჭი ეყოლებოდა. უთხრა, ქმარმა რომ გაგიგოს, იცოდე, არ გაპატიებსო, და უკან გაისტუმრა.

მართლაც, მარიამმა, ლამარას დაყინებული რჩევით, თავის დროზე იმშობიარა და ბიჭი გააჩინა. მარიამის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. დღეს მარიამი და მისი შვიდი ქალიშვილი ამაყობენ ზრდილობიანი და შრომისმოყვარე ადამ ბორჩაშვილით, რომელიც 16 წლისაა და ყველა თანასოფლელს საკუთარი შვილივით უყვარს.

მსგავსად კუშტანაშვილისა, ომალოში ნანული ტოხოსაშვილმაც ბიჭის გაჩენის სურვილით ზედიზედ 5 გოგო გააჩინა. კიდევ როცა დაორსულდა, იმის შიშით, რომ ისევ გოგო არ გასჩენოდა, მოსაცილებლად გინეკოლოგიურ განყოფილებაში მივიდა. მორიგე ექიმი

ლამარა იყო. მან გასინჯა ნანული და უთხრა:

— ნატვრა შეგსრულებია, ახლა ბიჭზე ხარ ფეხმძიმედ. ნუ მოიშორებ, გვარის გამგრძელებელი გეყოლებათ. ნანულის სხვებისგანაც პქონდა გაგონილი, რომ ექიმი ფეხმძიმეს ზუსტად ეუბნება, გოგო ეყოლებოდა თუ ბიჭი. ამიტომ გახარებული დაბრუნდა შინ. თავის დრო'ზე ნანულიმ მართლაც ბიჭი შობა და ტოხოსა'შვილებისა და თავისი ოჯახის ახლობლები გააახარა.

ლამარა ექიმი ერთ'შვილიან დედას არასოდეს მოაცილებდა ბავშვს. მის მიერ გადარჩენილი ბავშვების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ამგვარი შემთხვევები უამრავია. იგი ისეთი პიროვნებაა, რომელსაც სხვისი ბედი თუ უბედობა გულთან ახლოს მიაქვს, სხვისი ბედნიერებით ხარობს, უბედურებით წუხს. თავის ცხოვრების გზა'ზე ბევრი მძიმე და მწარე ტვირთი უტარებია, ამიტომ ცდილობს, სხვას ტვირთი შეუმსუბუქოს. ამით თავის გულსაც სიამოვნებას ანიჭებს.

ლამარა და მუხმადი ამითაც არიან ბედნიერნი, რომ მათი შვილები ნიჭიერნი და შრომისმოყვარენი გამოდგნენ. მარინა, ნონა და მალხაზი დედის გზის გამგრძელებლები არიან, სხვისი სიხარულით ხარობენ და სხვისი უბედურებით წუხდებიან. ავადმყოფებისადმი გულისხმიერნი და ყურადღებიანნი არიან.

გრ. რობაქიძის ცნობილი პიესის „ლამარას“ გმირმა, ქისტის ქალმა ლამარამ თავისი ჭკუა-გონებითა და ვაუკაცური შემართებით, საკუთარი უბედურების სანაცვლოდ, მოსისხლე მტრები შეარიგა. პანკისელმა ქისტმა ექიმმა ლამარამ კი მოსისხლე გვარი შემოირიგა და მრავალს სიცოცხლე შეუნარჩუნა. თავისი ჯანმრთელობის ნაწილ-ნაწილ დაკარგვით მომავალი თაობა გააბრავლა.

მარინა მუხმადის ასული ალდამოვი

პირველი სიყრმის შვილის, ათი თვის ვაჟიშვილის გარდაცვალების შემდეგ ლამარას და მუხმადს მარინას ამ ქვეყნად მოვლინებამ დიდი სიხარული მოუტანა და მომავლის იმედით აღავსო პირველი შვილის დაღუპვით გულმოკლული მშობლები.

მარინას ბავშვობიდანვე უყვარდა სწავლა და შრომა. ცოდნის შეძენის დიდი სურვილი ჰქონდა. დაწყებით კლასებში დუისში სწავლობდა. მუხმადი და ლამარა სამსახურში იყვნენ. გაკვეთილების დამთავრების შემდეგ მარინას საშინაო დავალებაც უნდა მოემზადებინა, ოჯახში სისუფთავეც დაეცვა და საჭმელიც გაეკეთებინა.

ასე გაგრძელდა ყველაფერი საცხოვრებლად ახმეტაში გადასვლის შემდეგაც. მარინა ახმეტის პირველ საშუალო სკოლაში სწავლობდა. ლამარა და მუხმადი კვლავინდებურად მსახურობდნენ და ოჯახისათვის დიდი დრო არა რჩებოდათ. ამიტომ ოჯახის საქმე სანახევროდ მაინც მარინას ზურგზე გადადიოდა. ამასთან, უმცროსი და-ძმის, ნონას და მალხაზის მოვლა, მათი სასკოლოდ მომზადებაც მარინას ჰქონდა დაკისრებული. მიუხედავად ამისა, ფრიადებზე სწავლობდა. თავისუფალ დროს, ძირითადად ღამის საათებში, კლასგარეშე და მხატვრულ ლიტერატურას კითხულობდა.

მარინამ საშუალო სკოლა ოქროს მედალზე დააამთავრა. დაწყებითი კლასებიდანვე ისწრაფოდა მიებაძა დედისათვის, გამხდარიყო საზოგადოებისათვის საყვარელი ექიმი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლამარამ ჯოყოლოს საუბნო საავადმყოფოდან რაიასაავადმყოფოს სამეანო გინეკოლოგიურ განყოფილებაში გადმოსყლის შემდეგ

თბილისში კვალიფიკაცია გაიარა, მაგრამ კმაყოფილი არ იყო მიღებული ცოდნით. ამიტომ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიმართა, რომ გაეგზავნათ ქ. ლენინგრადში ოტტის სახელობის სამედიცინო აკადემიის მეან-გინეკოლოგიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში ცოდნის გასაღრმავებლად. მას თანხმობა მისცეს და 1970 წლის მაისში ქალიშვილ მარინასთან ერთად ჩავიდა ლენინგრადში. მაშინ მარინა მესამე კლასის მოსწავლე იყო. ლამარამ იგი რუსული ენის ათვისების მიზნით ლენინგრადში ჩაიყვანა.

რუსეთის მეან-გინეკოლოგიის ამ საყოველთაოდ ცნობილ ინსტიტუტში ლამარა ექვსი თვე იღრმავებდა ცოდნას. მას ხელმძღვანელობდნენ ისეთი ცნობილი მედიკოსი მეცნიერები, როგორიც იყვნენ ს. ბეკერი, მაიზელი, გრანტი, ნატალია ბესკოვნაია, სოფიო ბაზუშკინა და სხვანი.

ზაფხულში მუხმადმა შვებულება აიღო და ლამარასთან და მარინასთან ჩავიდა. ისინი რუსეთის ამ მეორე დედაქალაქში გაეცნენ რუსული კულტურის ღირსშესანიშნაობებს. ერთ დღეს დილით თვითმფრინავით რიგაში გადავიდნენ. იქაც დაათვალიერეს რიგის ღირსშესანიშნოებები და საღამოს ისევ ლენინგრადში დაბრუნდნენ.

ქ. ლენინგრადში შეძენილი მდიდარი თეორიული და პრაქტიკული ცოდნით შეიარაღებული ლამარა ოქტომბერში დაბრუნდა ახმეტაში და ახალი, მოზღვავებული ენერგიით შეუდგა ხალხის სამედიცინო მომსახურებას.

მარინა საკმაოდ დაეუფლა რუსულ ენას და რუსული ენის გაკვეთილების სწავლა უფრო გაუადვილდა ისედაც ნიჭიერ მოსწავლეს. თანატოლები გულში შენატროდნენ მარინას, რომ ასე პატარამ დააითვალიერა ზღაპრული ლენინგრადი და მისი ისტორიული ძეგლები.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში გამოცდების ჩაბარებისას აბიტურიენტებს ფიზიკური შრომისა თუ რომელიმე დაწესებულებაში მუშაობის სტაჟი უნდა ჰქონოდათ. ამიტომ, მარინამ საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ განცხადება შეიტანა პანკისის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექციაში, რომ მეურნეობაში მუშაობის უფლება მიეცათ, მუშად მიეღოთ. მისი თხოვნა დააკმაყოფილეს.

პანკისის საბჭოთა მეურნეობა შედარებით მცირემიწიანი იყო. რაიონის ხელმძღვანელებმა ოჟიოს ვენახების განსაზღვრული ფართობი პანკისელებს გადასცეს, ვინაიდან ოჟიოელებს ვენახების დიდი ფართობები ჰქონდათ და ვერ უჭლიდნენ.

იმ დროისათვის მუხმადს ავტომანქანა ჰყავდა და მარინა ხან პანკისის მინდვრებში მიჰყავდა სამუშაოდ, ხან ოჟიოს ვენახებში.

პარტიის რაიკომის დავალებით ხშირად ამოწმებდნენ, მუშაობდნენ თუ არა ახალგაზრდები, რომლებსაც უმაღლესში გამოცდების ჩასაბარებლად სჭირდებოდათ შრომითი სტაჟი. მუხმადს და მარინას ბრიგადის ძებნისას ხშირად შეხვედრია ვენახებში მეურნეობის დირექტორი ი. ძოძიშვილი და რაიკომის პირველი მდივანი ვ. ბატიაშვილი, რომლებიც ამოწმებდნენ და მეთვალყურეობდნენ ბრიგადებს და მათ შორის, ახალგაზრდების მუშაობას.

ფიზიკურ შრომასთან ერთად მარინა უმაღლესში ჩასაბარებელ საგნებში მეცადინეობდა. გარკვეულ დღეებში დადიოდა თელავში რეპეტიტორებთან. იმ წლებში ყველაზე ძნელი იყო სამედიცინო ინსტიტუტში ჩარიცხვა. ამბობდნენ, ინსტიტუტში მოხვედრა ცოდნასთან ერთად 100 000 მანეთი სჭირდებაო. ამასთან, ძალიან იყო ფეხმოკიდებული პროტექცია. ზემდგომი

პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელების ჩარევითა და პროტექციით, მამიდაშვილობითა და მეექთამეობით მხოლოდ ძალზე შეძლებული ოჯახის შვილები ირიცხებოდნენ უმაღლეს სასწავლებელში. იმ ხანებში პროვინციებიდან ჩასული აბიტურიენტების მიერ გამოცდების ჩაბარება და, მით უმეტეს, სამედიცინო ინსტიტუტში ჩარიცხვა მიუღწეველ ოცნებად მიაჩნდა ხალხს. მარინას, ხოლო მომდევნო წლებში, ნონას და მალხაზის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ეს ძნელად გადასაწყვეტი ამოცანა ფრიადზე შეასრულეს. სამივენი სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე ჩაირიცხნენ.

მარინამ 1987 წელს წარმატებით დაამთავრა სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი. დღეისათვის იგი ახმეტის ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის სამეანო-გინეკოლოგიური განყოფილების მეან-გინეკოლოგია. პარალელურად, დუისში ქალთა კონსულტაციის მეან-გინეკოლოგად მუშაობს.

1986 წელს მარინა ალდამოვი ცოლად გაჰყვა ახმეტაში ცნობილ მექანიზატორ-ინჟინრის „საქსოფლტექნიკის“ ახმეტის რაიგანყოფილების უფროსის, აწ განსვენებული, ახმად მარგოშვილის ვაჟიშვილს, თემურ მარგოშვილს.

თემურმა წარჩინებით დაამთავრა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და ასპირანტურა. იქვე დაიცვა დისერტაცია და ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი გახდა. ფლობს ქისტურ, ქართულ, რუსულ, ინგლისურ ენებს. მამის გარდაცვალების შემდეგ, ახმეტის სოფლტექსერვისისსააქციო საზოგადოების გენერალური დირექტორია. არჩეულია რაიონის გამგეობის წევრად. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

მარინას და თემურს ვაჟიშვილი და ორი ქალიშვილი ჰყავთ.

ნონა მუხმადის ასული ალდამოვი

დაიბადა 1965 წლის სექტემბერში. დაწყებით კლასებში ახმეტის 1 საშუალო სკოლაში სწავლობდა. შემდეგ სწავლა განაგრძო ახმეტის მე-2 საშუალო სკოლაში, რომელიც წარმატებით დააამთავრა. თავიდანვე ნონა ყველა საგანში განსაკუთრებულ ნიჭიერებას აკლენდა. თანატოლებში ლიდერი იყო. ყველაფერში პირველობდა: სწავლაში, საშეცნიერო ოლიმპიადებში, კონკურსებში, რამდენჯერმე გაუმარჯვია რესპუბლიკურ კონკურსებში.

ნონა და მალხაზი საკავშირო პიონერთა ბანაკ „არტეკში“ საგზურებით გაგზავნეს, როგორც მოწინავე მოსწავლეები.

ნონამ წარჩინებით დაამთავრა ახმეტის მე-2 საშუალო სკოლა. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში სამკურნალო ფაკულტეტზე ჩაერიცხა.

ნონა ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ახმეტაში დაბრუნდა. ცოტა ხანს რაისავადმყოფოში იმუშავა, მაგრამ მალე თბილისში დაბრუნდა.

ნონას მეუღლე, ირაკლი მამიას ძე ჯაფარიძე მოხალისედ წავიდა აფხაზეთის ომში. თავი გამოიჩინა მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. ააფეთქა რუსული საბრძოლო ტექნიკა „ბე-ემ-პე“. სამხედრო საბრძოლო დამსახურებისთვის დაჯილდოებულია მედლით. აქვს ვიცეპოლკოვნიკის წოდება.

ნონას პყავს სამი ვაჟიშვილი. საინიციატივო ჯგუფმა ნონა ახმეტის რაიონში ორჯერ წარადგინა პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატად 1999 და 2003 წლებში.

1999 წლის 12-18 ოქტომბრის „ახალ საქართველოში“ დაიბეჭდა დეპუტატობის კანდიდატ ნონა ჯაფარიძე-ალდამოვთან ინტერვიუ. იგი თავის პასუხებში

საქმის საფუძვლიანი ცოდნით დეტალურად იხილავდა ახმეტის რაიონში და კერძოდ პანკისის ხეობაში იმ დროისათვის არსებულ მდგომარეობას, ლაპარაკობდა ისეთ პრობლემებ'ზე, როგორებიცაა კრიმინალური სიტუაცია, ვაჰაბი'ზმი, ჩეჩნეთში ომისა და იქიდან ჩეჩნების საქართველო'ში გადმოსვლის შესაძლებლობანი, რაიონში არსებული მძიმე სოციალური საკითხები.

ნონა, თავისი პროფესიის შესაბამისად, როგორც დეპუტატობის კანდიდატი, მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესების ამოცანებ'ზე და პროგრამა'ზე ჯანსაღად მსჯელობდა. იგი ამბობდა: „მე ჩემს ადგილს მოვიაზრებ როგორც კიდევ ერთ ხიდს ქართველ და ქისტ მოსახლეობას შორის გადებულს. ჩვენ ვერ ჩამოვაყალიბებთ ჭეშმარიტ სამოქალაქო საზოგადოებას, თუკი გავაგრძელებთ საქართველოს მოქალაქეების ეთნიკური უმცირესობის მიჩედვით დიფერენციაციას.

ქვეყანაში კანონის უზენაესობა უნდა იყოს და მის წინაშე ქისტი, ოსი, სომეხი, აზერბაიჯანელი უნდა მოიაზრებოდეს, როგორც ქართველი. არც ეთნიკური უმცირესობისადმი რაიმე განსაკუთრებული პრივილეგიების მომხრე ვარ. მთელი საქართველოს მოსახლეობის პირობების გაუმჯობესება უნდა იყოს ყველა დეპუტატის მიზანი და არა რომელიმე რაიონის მოსახლეობის დაპირებებით გამოკვება. ეს კი სწორ კანონშემოქმედებითი საქმიანობითა და აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლით არის შესაძლებელი, რაც პარლამენტის უპირველესი ამოცანაა“.

წინასაარჩევნო კრებებზე გამოსვლებსა და ინტერვიუში ნონას მიერ გამოთქულმა მოსაზრებებმა, აგრეთვე 2003 წლის პარლამენტის არჩევნების შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა ცხადაყვეს, რომ ნონა მართალი იყო. ის თითქოს წინასწარ ჭვრეტდა, როგორ განვითარდებოდა მოვლენები საქართველო-

ში, კერძოდ ახმეტასა და პანკისშიც.

2003 წლის ნოემბრის ხავერდოვანი რევოლუციის კულმინაციის დღეს, როცა ნაციონალური მოძრაობის, ბურჯანაძისა და გაერთიანებული დემოკრატების ლიდერი, მიხეილ სააკაშვილი თავისი ჯგუფით პარლამენტის შენობაში შევიდა და შევარდნაძეს უბრძანა, დაუყოვნებლივ გადადექიო, შევარდნაძე ამ დროს ტრიბუნაზე იდგა და სიტყვას ამბობდა. მას უნდოდა ახალი პარლამენტის სხდომა გახსნილად გამოეცხადებინა. გარეთ კი, იმ აუარებელი ხალხის მიტინგზე თბილისში მყოფი პანკისელი ქისტების სახელით ნონა ალდამოვი-ჯაფარიძე სიტყვას ამბობდა:

რას ამბობს დღეს პანკისი? პანკისი არ ამბობს: გადადგება? პანკისი ამბობს: — დიახ, გადადგება! მასთან ერთად გადადგება კორუფცია! გადადგება ეთნიკური უმცირესობებით მანიპულირება!"

ნონას სიტყვებმა მომიტინგეების ოვაცია და ტაში დაიმსახურა.

მალხაზ მუხმადის ძე ალდამოვი

1966 წელს ქ. ახმეტაში დაიბადა. ახმეტის პირველ და მეორე სკოლებში სწავლობდა. როგორც მარინა და ნონა, მალხაზიც დაწყებით კლასებიდან დაწყებული მეთერთმეტე კლასის ჩათვლით ფრიადებზე სწავლობდა. აქტიურობდა კლასგარეშე და სკოლის გარეშე მუშაობაში. მასწავლებლებისა და მოსწავლეების სიყვარულით სარგებლობდა. იყო თავმდაბალი და თავაზიანი. მასწავლებლებისა და უფროსების დავალებებს დაუზარებლად და პირნათლად ასრულებდა. უყვარდა ფიზკულტურა და სპორტი, განსაკუთრებით ფეხბურთი. ყოველთვის ლიდერობდა სკოლების ნორჩ ფეხბურთელთა გუნდებში.

ყოველივე ამაზე ნათლად მეტყველებს ახმეტის პირველი და მეორე საშუალო სკოლების დირექტორების, პედაგოგიური კოლექტივებისა და მშობელთა კომიტეტების მიერ ქალთა დღის 8 მარტის მისალოცი ბარათები ნონა და მალხაზ ალდამოვების დედის ლამარა ბორჩაშვილისადმი. ამ ბარათებში ლამარას მადლობას უხდიან კარგი შვილების აღზრდისათვის. ლამარა ამ ბარათებს სათუთად ინახავს.

ამდენი დროის გასვლის შემდეგ ლამარა ათვალიერებდა და კითხულობდა ამ ბარათებს. ერთ-ერთ მისალოც ბარათზე ახმეტის მეორე საშუალო სკოლის ყოფილი დირექტორის, აწ განსვენებული ეთერ გიორგაძის ხელმოწერა და სკოლის ბეჭედი რომ შენიშნა, ცრემლები გადმოსცვივდა თვალთაგან. ქალბატონი ეთერი იყო რაიონში ცნობილი პედაგოგი და ყველასათვის ძვირფასი და საყვარელი მანდილოსანი, რაიონის აქტივისა და პედაგოგიური კოლექტივებისათვის დიდად პატივცემული პიროვნება. ყველას გული დაწყვიტა მისმა უდროოდ გარდაცვალებამ. სწორედ ამიტომ აცრემლდა ლამარა ახლა ძვირფასი ქალბატონის გახსენებაზე.

მალხაზ ალდამოვმა 1983 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა. ორი წელიწადი შრომითი სტაჟისათვის მუშაობდა პანკისის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში. 1985 წელს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე ჩაირიცხა. ამავე წელს სამხედრო ვალდებულების მოსახდელად გაიწვიეს საბჭოთა არმიაში, სადაც ორი წელიწადი მსახურობდა. არმიიდან დაბრუნების შემდეგ ისევ სამედიცინო ინსტიტუტში აგრძელებს სწავლას.

1989 წელს ნონამ და მალხაზმა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში იმოგზაურეს, საიდანაც მდიდარი

შოაბეჭდილებებით დაბრუნდნენ.

1993 წელს მალხაზმა ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი დააამთავრა.

რესპუბლიკური საავადმყოფოს ჩირქოვანი ქირურგიის განყოფილებაში ინტერნატურა გაიარა და ახმეტის რაიონაავადმყოფოს ქირურგიის განყოფილებაში ექიმ-ქირურგად დაიწყო მუშაობა. აქედან სამუშაოდ ჩეჩნეთში გადავიდა.

1994-96 წლებში მალხაზი გროზნოში ქალაქის მეექვსე პოლიკლინიკაში მუშაობდა და ომში დაჭრილებს დახმარებას უწევდა. 1996 წელს ახმეტაში დაბრუნდა. ცოტა ხანი დუისში დაჰყო. ცოლად შეიროო ირკუტსკში მცხოვრები სამხედრო ოფიცრის დუისელი ელიზბარ ახმადის ძე მარგოშვილის ქალიშვილი ლელა ელიზბარის ასული მარგოშვილი, ყელ-ყურ-ცხვირის ექიმი, რომელმაც ორდინატურა ირკუტსკის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ყელ-ყურ-ცხვირის დაავადებათა კათედრაზე გაიარა.

დაქორწინებიდან რამდენიმე თვის შემდეგ მალხაზი და ლელა ირკუტსკში გაემგზავრნენ. იქ მალხაზმა ორდინატურა გაიარა რუსეთის ფედერაციის ჯანმრთელობის სამინისტროს და სამედიცინო მრეწველობის ირკუტსკის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ქირურგიის ინსტიტუტის აღმოსავლეთ ციმბირის სამეცნიერო ცენტრის, რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების ზოგადი ქირურგიის კათედრაზე, აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ევგენი გეორგის ძე გრიგორიევის ხელმძღვანელობით.

თქმა არ უნდა, ასეთ სამედიცინო დაწესებულებაში გამოცდილი პროფესორების ხელმძღვანელობით ორდინატურაგავლილი, სათანადო თეორიული და პრაქტიკული ცოდნით შეიარაღებული მალხაზი ქირურგიული დაავადებების დიაგნოსტიკასა და ოპერაციებში

დახელოვნებულ კვალიფიცირებულ ქირურგად ჩამოყალიბდა.

2000 წელს მალხაზი, ლელა და მათი შვილი ირინა, რომელიც ირკუტსკში დაიბადა, საქართველოში დაბრუნდნენ. მას შემდეგ მალხაზი ახმეტის რაისაავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში ქირურგად მუშაობს. მედპერსონალსა და რაიონის მოსახლეობაში მაღალი ავტორიტეტით სარგებლობს. ჰყავს სამი ქალიშვილი და ერთი ვაჟიშვილი. ბოლო ხანს ქირურგიული სამსახურის უფროსად დააწინაურეს.

მალხაზი დაუფიქრებლად ნაბიჯს არ გადადგამს და არც ხელს მოჰკიდებს ნებისმიერ საქმეს, ასჯერ გაზომავს და ერთხელ გადაჭრის. ამიტომაც მისი პატიოსანი გულით და ნათელი გონებით მოფიქრებული, სუფთა ხელებით გაკეთებული საქმე ხარისხიანია. ღრმად ჩაფიქრდება და შეუცდომელ ანალიზს აკეთებს, რის შემდეგაც საქმეს მოჰკიდებს ხელს. ეს მისი თანდაყოლილი თვისებაა.

დაუფიქრებელ და მოუაზრებელ გზაზე სიარულით მალხაზს არც მშობლები და არც დები შეურცხვენია. არც საავადმყოფოს მედპერსონალი და არც საკუთარი თავი ჩაუგდია უხერხულ მდგომარეობაში. ამ დადებით თვისებებთან ერთად შრომაც უყვარს, ფიზიკური მუშაობა. თავისუფალ დროსაც გამონახავს ხოლმე ინგლისური ენის შესასწავლად. მეზობლების, მეგობრების, საერთოდ ყველას მიმართ გულისხმიერი და ყურადღებიანია. თუ დაინახა, რომ მეზობელს რაღაცაში დახმარება სჭირდება, უმალ მასთან გაჩნდება და ხელს შეაშველებს. იტყვის ხოლმე, იქნებ ერიდება ადამიანს თხოვნა, ამიტომ შენ თვითონ უნდა მიხვდე, უნდა გრძნობდე, ვის რა დახმარება სჭირდებაო.

* * *

ლამარა და მუხმადი, მათი სამივე შვილი სამშობლოსა და ხალხისათვის თავდადებული გულშემატკივრები არიან. გულთან ახლოს მიაქვთ ხალხისა და ქვეყნის გასაჭირი. მათი ოცნება და მიზანია ხალხის ერთიანობა, ეროვნული შერიგება, ორივე სამშობლოს საქართველოს და ჩეჩნეთის ბედნიერება, მათ შორის ძმობა, მეგობრობა, თანადგომა.

ქალბატონ ლამარა ბორჩაშვილის რჩევა-დარიგება გაჭირვებული ადამიანებისადმი მხოლოდ მათთვის სიხარულისა და ბედნიერების მომტან კანონს ემორჩილება. ლამარას დამატებით მძიმე ტვირთად დააწვა ისიც, რომ ცეცხლის ალში გახვეული ჩეჩნეთიდან ათასობით ლტოლვილი გადმოვიდა საქართველოში, კერძოდ პანკისის ხეობაში, სადაც მათ საიმედო თავშესაფარი მიეცათ. ლამარამ ლტოლვილ, დატანჯულ ქალებს სიტყვით და საქმით ცრემლიანი თვალები შეუმშრალა. პანკისში თუ საავადმყოფოში თანაგრძნობას და თანადგომას არ აკლებდა, ცდილობდა, მოეშუშებინა მათთვის ის ტკივილი, რაც ჩეჩნეთში და იქიდან პანკისამდე გზადაგზა განიცადეს. მრავალ ახალშობილს მიულოცა პირველი ახმეტური მზე.

ლამარას ბევრი ქალისთვის უთქვამს, იმშობიარე, იცოდე, დრო გავა და მომიგონებო. ეს სიტყვები მრავალს გამართლებია, უთქვამთ, ლამარა ექიმო, შენ ხარ ჩვენი ოჯახის მფარველი ანგელოზი, ჩემმა მეუღლემ უძეობას შენი წყალობით დააღწია თავიო.

ბევრჯერ უფიქრია ლამარას, ტყეც ხომ ადამიანივით თესლით მრავლდება, თესლიდან იბადება ხე და იზრდება. მას უნდა ჰქონდეს საშუალება სრულ ზრდამდე მიაღწიოს. ტყის მცველიც ხომ იგივე ექიმია, ტყის მცველი რატომ არ ზღუდავს იმას, ვინც უკანონოდ ჭრის ხეს? წარსულ'ში მეტყევეები მხოლოდ ზრდადამთავრე-

ბულ, ბებერ, დაავადებულ ხეებს ნომრავდნენ მოსაჭ-
რელად, ახლა კი ტყეებს ზოგიერთები საკუთარი გამ-
დიდრების მიზნით შეესიენენ და უმოწყალოდ ჩეხავენ.
როგორც ზევითაც ვთქვით, სად არ იგზავნება საქართველ-
ოს ხე-ტყე, რა ეშველება საქართველოს ამ ვაიმამ-
ულიშვილების ხელში? მომავალ თაობას არც ხე ექნება
და არც სუფთა ჰაერი.

ბუნებას, როგორც ახალშობილს, სათუთი მოვლა
და პატრონობა სჭირდება, რომ დედასამშობლო, საქარ-
თველო, მშვენიერი ბუნების გარეშე არ დარჩეს. ღმერთ-
მა ნუ ქნას, ქვეყანა ჯაგნარ-ძეძვნარად იქცეს და მისი
ცადაწვდილი ომააქოსრილი ტყეები მოისპოს. მაშინ
მომავალი თაობები ცუდად მოგვიგონებენ, იტყვიან ქარ-
თველები კი არა, წარმართები ყოფილან, არც საქართვე-
ლო პყვარებიათ და არც ქართველებისა რაიმე სცხები-
ათ, ქვეყნის გამყიდველები ყოფილანო.

აფსუს, პანკისის ხეობის პირველო ექიმო ქისტის
ქალო ლამარა, რატომ შენს ხელთ არაა ბუნების გა-
დარჩენის მართვის საჭე, ამშობიარებდი, გაზრდიდი,
გადაარჩენდი, როგორც გადაგირჩენია მრავალი ქალი
და ჩვილი.

მიუხედავად ჯანმრთელობის სერიოზულად შერყე-
ვისა, ლამარა ჯერ კიდევ საიმედოდ მართავს საყვარე-
ლი პროფესიის საჭეს, სწორი გზიდან არ გადაუხვევია,
არც აპირებს გადახვევას, ამასვე მოუწოდებს შვილებს.

პანკისის ხეობაზე გული შესტკივათ მუხმადს და
ლამარას. ცდილობენ, გამოიყენონ მთელი თავიანთი
შესაძლებლობები, ესაუბრებიან მხცოვან პანკისელებს,
ახალგაზრდებს, არ აჰყვნენ, არ გაპყვნენ ამა თუ იმ
საეჭვო პიროვნების შემოთავაზებულ მავნე გზას. გაიხ-
სენონ პანკისელი ქისტების წინაპართა სინდის-ნამუსი.
კაცს კი არა თვით სოფელსაც თავისი ნამუსის ქუდი

უნდა ეხუროს. პატივი უნდა სცენ წინაპართა სულებს. ორივე ცდილობს ხეობის დაავადებული სულის და სხეულის გაჯანსაღებას. ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ მომავალ თაობაზე, სჯერათ, რომ ბოლო მოეღება გზაკვალარეულთა თარეშს. ბინძური დინება გაიფილტრება და პანკისი ნორმალურ კალაპოტს დაუბრუნდება.

ლამარას კარგად ახსოვს ხეობის იერსახე, ამიტომ დღევანდელ უზნეობას მედგრად ებრძვის. ახსოვს მრავალი მაგალითი ხეობის წარსულიდან, იცის, ვინ იყვნენ წინაპრები და ვინ არიან ახლანდელები. ძველად მრავალი ჯოყოლა, მრავალი აღაზა და ხადიშათი პყავდათ ქისტებს. კაცი და ქალი თავთავისი საქმით იყო გართული და დასაქმებული. კარგი თაობების აღზრდის საშუალება ჰქონდა სალხს. სადაც საჭიროება მოითხოვდა, მთიელთა სიაშაყეს იჩენდნენ, სადაც დასჭირდებოდათ, თავმდაბლებიც იყვნენ, რაც მათ ვაუკაცურ ბუნებას ჩირქს არა სცხებდა.

განთქმული იყო ქისტების სტუმართმოყვარეობა, ძმობა, ერთმანეთის გატანა, ნდობა, ზრდილობა. არ ურიგდებოდნენ უსამართლობას. როცა დაინახავდნენ, ვიღაცა უსამართლოდ ჩაგრავდა ადამიანს, დაჩაგრულს იმავე წუთს გამოექომაგებოდნენ და მჩაგვრელს იძულებულს ხდიდნენ, იქაურობა დაეტოვებინა. ზრუნავდნენ ხეობის სახელზე, პირადული განდიდება სამარცხვინოდ მიაჩნდათ. ის წინაპრები ახლა, რომ საფლავიდან წამოაყენო, დაანახო და მოასმენინო, რაც ამჟამად ხდება, სირცხვილით ქისტობას და პანკისელობას უარყოფდნენ, საიდანაც წამოაყენეს, იქვე მოისურვებდნენ დაბრუნებას.

თუმცა, დღეისათვის ჯერ კიდევ არიან მუხმადისა და ლამარასნაირი მხცოვანნი, რომელნიც ყველაფერს

თვალს ადევნებენ და ისევ იმ საამაყო გზისაკენ აძლევენ მიმართულებას, მაგრამ ცოტანი მიპყვებიან მათ მიერ მითითებულ ბილიკს. გადასხვაფერდა მოზარდი თაობა. შური, ქიშპობა, ერთმანეთის გაუტანლობა, ღალატი, ქურდობა, ნარკოტიკების ყიდვა-გაყიდვა, ლოთობა, ნარკოტიკების მოხმარება, ერთურთის ცემა-ტყეპა, მკვლელობა და სხვა გახშირდა.

ვინაა დამნაშავე? ვინ არიან მათი მამოძრავებელი ძალები? ვინ კვებავს მათ არაჯანსაღი საკენკით?

ისინი, ვინც მოუსპო მუშას და გლეხს მუშაობის საშუალება, ვინც მშრომელი ხალხი ულუკმაპუროდ დატოვა, ვინც შეჭამა საწყალი ხალხის სალაროებში შეტანილი ფული, გაჭირვების დღისათვის შენახული. კანონის უზენაესობა არ არის. უდანაშაულო ადამიანები, რომ დახოცო, ბევრი ფული თუ გაქვს, ციხეში არ ჩაგსვამენ, შენს დანაშაულს ვიღაც უფულოს გადააბრალებენ და, თუ იუარა, დამნაშავე არა ვარ, რას მერჩითო, დაკითხვის კაბინეტშივე საიქიოს გაისტუმრებენ, დანაშაულსაც იმას დააბრალებენ. ნამდვილი დამნაშავე კი ფულის წყალობით თავისუფლად ივლის.

უმცროსი უფროსს ბაძავს, მისგან სწავლობს ყველაფერს. მაღალი რანგის ჩინოსნები ყაჩაღობდნენ, მძარცველობდნენ, დაბალნიც მათი მიბაძვით იქცეოდნენ. პატიოსნებამ კალაპოტი დაკარგა, მაგრამ ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომელთაც პატიოსნება სწამთ და სჯერათ, რომ იგი უძვირფასესი განძია.

* * *

რატომ ეწოდა პანკისს „ცხელი წერტილი“? საიდან წამოვიდა ეს ყველაფერი, ვინ იყო ამის ფუძემდებელი? დიახ, ამ ყველაფერში საქართველოს ზოგიერთი მაღალი რანგის ჩინოსანი მონაწილეობდაო, ამბობენ. ესენი

ალბათ ის ხალხი იყო, ვისაც ხელეწიფებოდა მოემოქმედებინა, რაც კი მოესურვებოდა. გულთბილი და სტუმართმოყვარე ხეობა მათი წყალობით „ცხელ წერტილად“ გამოცხადდა. ამით ზოგიერთებმა ხელები კარგად მოითბეს, ანკესს წამოგებული უგუნურნი ზოგი საიქიოს გაამგზავრეს, ზოგი დააპატირეს...

საბჭოთა წყობილების დროს თვით კახეთის მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა არ იცოდა, სად მდებარეობდა პანკისი, ვინ იყვნენ ქისტები. ახლა მსოფლიომ გაიგო ეს. ჩეჩენ ლტოლვილებთან ერთად პანკისში ყველა ჯურის ხალხი შემოუშვეს: არაბები, ყარაჩაელები, ავღანელები, ალქაიდას ხალხი და ვინ მოთვლის. ამით ალბათ ზოგიერთებმა დიდი ფული გააკეთეს, ხეობის მოსახლეობაზე არ იფიქრეს, ამ პატარა პანკისში ამდენი ხალხი როგორ დაეტევაო, ან ერთმანეთს როგორ შეუთავსდებიანო.

რუსეთ-ჩეჩნეთის მეორე ომი ჯერ დაწყებული არ იყო. 1998 წლის მარტის თვეში გაზეთ „ალიას“ ფურცლებზე დაიბეჭდა რუსულ გაზეთ „ნეზავისიმაია გაზეტადან“ თარგმნილი მასალა პანკისის ხეობისა და ქისტების შესახებ. ამ მასალაში ლაპარაკი იყო, თითქოს რუსებმა ინტერვიუ აიღეს შამილ ბასაევთან დაახლოებული ვინმე დუისელი ალექსი ქავთარაშვილისაგან. თითქოს არსებობს გეგმა ჩეჩენ-დაღესტნის გაერთიანებისა და მათთან პანკისის, თიანეთისა და დუშეთის რაიონების მიერთებისა. ეს რამდენად შეესაბამება სინამდვილეს, დანამდვილებით არ ვიცით, მაგრამ თვითონ ხალხი, მათ შორის ჩეჩენი ლტოლვილებიც აღნიშნავენ, რომ შამილ ბასაევი დიდი ფულით რუსეთის ფეესკას მიერ მოსყიდული აგენტია. რუსებმა შეაგზავნეს იგი აფხაზეთში და დაღესტანშიც. ეს რამდენად შეეფერება სინამდვილეს, ვერ ვიტყვით, ასე გვაქვს

გაგონილი. ამჯერად ჩვენ უფრო სხვა რამ გვაინტერესებს. „ალიას“ ფურცლებზე შავით თეთრზე წაიკითხეთ, რომ პანკისში 80 ათასი ქისტი ცხოვრობს, მაშინ, როცა ქისტების რაოდენობა 8-9 ათასზე მეტი არ იქნება, აქვე ეწერა, რომ პანკისში 500 ვაჰაბიტი მებრძოლია, არის იარაღის საწყობები, ქარხნები, მიმდინარეობს ბოევიკების წვრთნა და ა.შ. იმ დროისათვის 500 კი არა 50 ვაჰაბიტიც არ იქნებოდა და მათ შორის მებრძოლი არავინ იყო.

საკვირველია, 80 ათასი ქისტი ცხოვრობსო. ამდენი მოსახლეობა ორივე რაიონში — თელავისა და ახმეტის რაიონებში ძლივს იქნება. ახლა გაზეთ „ალიას“ რომ წაიკითხავდა დასავლეთ საქართველოში მცხოვრები კაცი, გნებავთ სამხრეთ საქართველოში, თუნდაც თბილისში მცხოვრები, ვინც არ ყოფილა პანკისში კი არა, კახეთშიც კი, ხომ სინამდვილედ მიიჩნევდა ამ ყველაფერს? არიქა, ქისტების რაოდენობა ამდენი და ამდენი ყოფილა, ბოევიკების რაოდენობა — ამდენი. იქ იარაღის საწყობები აქვთ, ქარხნებიც, მიმდინარეობს მებრძოლთა წვრთნა, საომარი მზადება და ჩვენი საქმეც ცუდად იქნებაო.

ეს იყო აშკარა ცილისწამებლური დეზინფორმაცია ქისტებზე რუსების მხრიდან და გაზეთ „ალიას“ მუშაკთა მხრიდანაც. შეიძლება მათ თქვან, ჩვენ რა, ავიღეთ რუსული გაზეთი, გადმოვთარგმნეთ და დავბეჭდეთო. შე დალოცვილო, რაც არ არსებულა იმას რაღას აქვეყნებ, ხალხი შეცდომაში რატომ შეგყავს, უბრალო ხალხზე ცუდ წარმოდგენას რატომ ქმნი?

მსგავსი მასალები იმ წლებში სხვა რესპუბლიკურ გაზეთებშიც იბეჭდებოდა. განსაკუთრებით თავი გამოიჩინა ვინმე „მაღრანელმა“. მასზე ამბობდნენ, კონტრდაზვერვის ოფიცერიაო. ამ ყალბი და ცილისმწამე-

ბლური პუბლიკაციების წინააღმდეგ იმ პერიოდში დუისში მცხოვრებმა მასმად მარგოშვილმა (ბიბინოვიჩმა) გამოაქვეყნა კიდეც საპასუხო წერილები.

ამრიგად, ე.წ. პანკისის პრობლემა მზადდებოდა წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით, რომლის შექმნაში მონაწილეობდნენ რუსეთის უშიშროებისა და მათთან დაკავშირებული საქართველოს ძალოვან სტრუქტურებში მოკალათებული „კგბს“ ყოფილი მუშაკები. მათი მეცადინეობით გახდა პანკისი ნარკობიზნესის ბუდე, მათი მეშვეობით მოვიდნენ პანკისში არაბები, ყარაჩაელნი და ჩეჩენი „ბოევიკებიც“. მათვე გადაიყვანეს ისინი აფხაზეთშიც. შედეგად რა მიიღეს ქისტებმა? ქისტი დაღუპული ახალგაზრდების და ჩეჩნების ცხედრები ჩამოასვენეს და პანკისის სასაფლაოებზე დამარხეს. და, კიდევ, ქისტებმა აქამდე პანკისში ადამიანთა მოტაცება ფულის გამოძალვისათვის არ იცოდნენ. პანკისელმა ქისტებმა რა იცოდნენ, ვინ იყვნენ ესპანელი ბიზნესმენები, ან როდის ჩამოდიოდნენ ისინი თბილისში, ანდა ვინ იყო პიტერ შოუ? ძალოვანებს თვითონვე მოპყავდათ აქ, პატარა ფულის სანაცვლოდ თავიანთსავე აგენტებს აბარებდნენ, ფულის გამოძალვამდე რომ შეენახათ და დაეცვათ.

ამ ყველაფერმა გარყვნა ქისტი ახალგაზრდობის ერთი ნაწილი. გახშირდა გზებზე დახვედრები, ავაზაკობა, ქურდობა, ძარცვა-გლეჯა, ნარკოტიკებით ვაჭრობა. ათეული ახალგაზრდა ნარკოტიკით გაბრუებული დაიღუპა. ხეობაში არეულობა დაიწყო. თანამოძმეები ერთმანეთს არ ინდობდნენ და იარაღის ენით ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. დამნაშავე უდანაშაულოს კლავდა.

სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო — არის ნათქვამი. ხელისუფლებამ ჯარის ნაწილები შემოიყვანა და

დააბანაკა. ამით ცოტა რაღაცა მაინც ეშველა ხეობას. მაგრამ უფრო ადრე თუითონ პოლიციის ძალებითაც შეიძლებოდა აქ მდგომარეობის მოწესრიგება. იმდენი შეიარაღების მქონე მხედრიონელები შევარდნაძემ სულ რაღაც ორ-სამ დღეში ალაგმა მთელს საქართველოში. ამ პატარა „წერტილში“ კრიმინალური ელემენტების აყვანას რა უნდოდა? მით უმეტეს, როცა მშვიდობიანი მცხოვრებლები პანკისისა თავს იყრიდნენ, კრებებს მართაულნენ და თხოულობდნენ მთავრობისაგან გადამჭრელი ზომების მიღებას.

წარსულში ერთმანეთზე ხმლებამოღებულ ქისტებში ქალი მანდილს გაშლიდა და მებრძოლები მაშინვე ხმლებს ჩააგდებდნენ ქარქაშში. ქალს პატივს სცემდნენ. ახლა ქალმა მანდილი გაშალოს კი არა, კაბაც რომ გაიძროს მოჩხუბრები მაინც არ გაშველდებიან. იარაღით დაჭრა და მკვლელობაც არაფრად მიაჩნიათ.

კაცს რომ ქალი მოეკლას, ვაინახების ისტორიას არ ახსოვს. იშვიათად კლავდნენ მხოლოდ ისეთ ქალს, ვინც მემთვრალეობდა და გარყვნილ ცხოვრებას ეწეოდა. ასეთნი ძალიან ცოტანი იყვნენ. ახლა კი უდანაშაულო ცოლის მოკვლის შემთხვევაც იყო და ქალთა მკვლელობები ოქროულისა თუ ძვირადღირებული სამკაულების წართმევის მიზნით. მოკვლას არ კმარობენ, ცხედრებს წვავენ, ახლანდელ თაობაში დაიკარგა სინდის-ნამუსი, ნათესაობა, ძმობა და თანადგომა არ არსებობს, მოდაშია უდანაშაულო ადამიანების სისხლისღვრა.

გასული საუკუნის 90-იან წლებში, საბჭოთა კავშირში გორბაჩოვის დროინდელი საჯაროობის, დემოკრატიისა და ე.წ. „პერესტროიკის“ დროს პანკისს და სახელდობრ დუისსაც შეეხო ისტორიის ყველა პროცესი, მაგრამ გარდაქმნამ გვერდი აუარა. ძველე-

ბურად ბატონობდა ადმინისტრაციულ-მბრძანებლობითი აპარატი, მშრომელი ხალხი კვლავ უუფლებო იყო, საკარმიდამო ნაკვეთებს ჰყიდნენ, სასოფლო და შიდასაუბნო გზები სავალალო მდგომარეობაში იყო. სოფელში დაგროვდა უამრავი პრობლემა, რომელთა გადასაჭრელად საბჭოთა მეურნეობის მესვეურები, სასოფლო საბჭოს ხელმძღვანელები და ტერიტორიული პარტიული ორგანიზაციის კომუნისტები თავს არ იწუხებდნენ.

მშრომელი ადამიანების შეკავშირების, ერთიანობისა და სამართლიანობის აღდგენის მისია იკისრა რაიონში მცხოვრები მოსამსახურე ქისტების წარმომადგენლებმა. შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი, რომელმაც თავს იდო ემხილა სოფელ დუისში არსებული ნაკლოვანი მხარეები და მოსახლეობასთან ერთად ებრძოლა მათ აღმოსაფხვრელად. ჯგუფმა გადაწყვიტა, შეექმნა სოფლის თვითმმართველობის დამხმარე საზოგადოება „ვეინახი“. საზოგადოების სამოქმედო პროგრამა და წესდება შეადგინა მუხმად ალდამოვმა. პროგრამა და წესდება გააცნეს სოფლის ყველა გვარის წარმომადგენლებს. დუისის კლუბის დარბაზში საზოგადოება „ვეინახის“ დამფუძნებელ კრებას ზღვა ხალხი დაესწრო. თვითმმართველობითი საზოგადოება „ვეინახის“ მიზნებზე და ამოცანებზე მოხსენებით გამოვიდა მუხმად ალდამოვი. მოხსენებაში, კრებაზე გამოსასვლელი საინიციატივო ჯგუფის წევრების ხ. ხანგოშვილის, ჟ. მაჩალიკაშვილის, მ. მარგოშვილის სიტყვებში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ „საზოგადოება გააერთიანებს“ და შეაკავშირებს სოფლის გაჯანსაღებისათვის მებრძოლ მთელ ძალებს — კომუნისტებს, ახალგაზრდებს, უპარტიოებს, პროფესიულ კავშირებს, ქალებს, ომისა და შრომის ვეტერანებს, მორწმუნეებს იმ რწმენით და

გაგებით, რომ მეზობელ სოფლებთან, რაიონში და რეს-პუბლიკაში მცხოვრებ ქართველებთან და სხვადასხვა ერის წარმომადგენლებთან ურთიერთობებში დუისის საზოგადოების ამოსავალი დევიზი იქნება საქართველოს ეროვნული განვითარების კონცეფციაში ჩამოყალიბებული პრინციპები და დებულებები“.

ე.წ. სოფლის აქტივები, საბჭოთა მეურნეობის მესვეურნი, სასოფლო საბჭოსა და ტერიტორიული პარტორგანიზაციის წარმომადგენლები ცდილობდნენ, სახელი გაეტეხათ საინიციატივო ჯგუფისათვის, ებრძოდნენ ფარულად, ავრცელებდნენ ჭორებს, თითქოს ჯგუფის წევრებს პირადი ინტერესები ამოძრავებდათ და სხვა. მოიწვიეს ტერიტორიული პარტორგანიზაციის კრება, შეაკოწიწას ოქმი. მეურნეობისა და საბჭოს ხელმძღვანელები აშკარა ტყუილს არ მოერიდნენ. უნდოდათ, ისევ დარჩენილიყვნენ სოფლის ხელმძღვანელებად. დუისის საშუალო სკოლის ორგანიზატორი ლ. მარგოშვილი ყრილობაზე სიტყვით გამოვიდა და სკოლის ინტერესები დაიცვა. საზოგადოება „ვეინახის“ დაარსების წინააღმდეგ ხმა არ ამოუღია, ხოლო „აქტივის“ კრებაზე დაგმო ის. სად არის აქ საღი აზრი?

„აქტივის“ კრების ოქმს ხელმძღვანელებმა“ თან დაურთეს რაისაბჭოს აღმასკომის სახელზე შედგენილი წერილი, სადაც მოითხოვეს, რეგისტრაციაში არ გაეტარებინათ ჯგუფი „ვეინახი“.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან ცხადია, რომ დუისში ჯერ კიდევ იმ დროიდან სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ სოფლის მესვეურები ახალი ცხოვრების მშენებლობას. არადა, სწორედ მაშინ დაიწყო პანკისში ნარკოტიკებით ვაჭრობა და მოხმარება, გახშირდა ქურდობა და სხვა. შემდგომ წლებში, როდესაც საქართველოში ეროვნულ ძალთა მოძრაობის შედეგად ცვ-

ლილებები მოხდა და ხელოვნურად შექმნეს ე.წ. პანკისის პრობლემა, უბრალო, მშვიდობიანი მოსახლეობა გულხელდაკრეფილი არ შეხვედრია ამას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხალხი კრებებს მართავდა გამგეობის შენობასთან, ალაზნისპირზე, დუისის საშუალო სკოლაში და სხვაგან. ცდილობდნენ, წესრიგი დაემყარებინათ სოფლებში, აღეკვეთათ ქურდობა, ძარცვა-გლეჯა, ცემა-ტყეპა, იარაღით ანგარიშსწორება. გვარის უხუცესები გვარის ახალგაზრდების სადღეღამისო მორიგეობას აწესებდნენ და პირველ ხანებში ამან სასიკეთო შედეგები გამოიღო. ამ საქმეში და საერთოდ გვარებს შორის მშვიდობის შენარჩუნების საქმეში მთელი პანკისის ხეობის ქისტების წინაშე დიდი დამსახურება მიუძღვის დუისის სოფლის საპატიო მამასახლისს მახმად თათარის ძე მარგოშვილს.

პანკისელი ქისტების სოფლების წარმომადგენელთა კრებაზე მუხმად ალდამოვი შეეცადა შეექმნა პანკისელი ქისტების სათემო საბჭო. მან შეიმუშავა სათემო საბჭოს სტრუქტურა. სოფლებში უნდა შექმნილიყო კომისიები — დუისსა და წინუბანში ერთობლივი, ჯოყოლოში, ბირკიანსა და ძიბახევში ერთობლივი, ომალოში, შუა ხალაწანსა და ზემო ხალაწანში ერთობლივი კომისიები. მაგალითად, შეიქმნებოდა:

1) ქურდობის, ხულიგნობის, ნარკოტიკების შემოტანა-გასაღება-მოხმარების, გზებზე დახვედრების, ძარცვა-გლეჯისა და იარაღის ტარების წინააღმდეგ მებრძოლი კომისიები, რომლებშიც შევიდოდა თითოეული გვარის წარმომადგელები ამ გვარის წევრთა რაოდენობის შესაბამისად. კომისიებს სათემო საბჭოს წევრებისა და რაიონის ძალოვანი სტრუქტურების აქტიური მხარდაჭერით, მათივე გვერდში დგომითა და მონაწილეობით უნდა შეედგინათ ზემოთ დასახელებულ დან-

აშაულებებში შემჩნეულ პიროვნებათა სიები და მიეღ-
ოთ გადამჭრელი ზომები.

2) საკარმიდამო მიწის ნაკვეთების შევსებისა და
გაცემული სამოსახლო ნაკვეთების კონტროლისა და
მოწესრიგების კომისიები, რომლებიც ამ საკითხებს
შეამოწმებდნენ მიწის პრივატიზაციისა და საქარ-
თველოში მოქმედი კანონების მოთხოვნათა შესაბამისად.
მიწის კომისიებს უნდა მოეძიათ ხეობაში კოლმეურ-
ნეობათა დროინდელი რუკები და გადაეწყვიტათ დავა
მიწაზე მეზობელ სოფლებს შორის. აგრეთვე ყურად-
ღება მიექციათ სოფლის ნახირის საძოვარ-გასადევარზე
გასაყვანი გზებისათვის. უკანონო შემოფარგვლისაგან
ვაეთავისუფლებინათ მდინარე ალაზნის სანაპიროზე
გამავალი ცხვრის გადასარეკი ტრასა და ეს ფართობე-
ბი შესარჩუნებოდა სოფლებს საქონლის საძოვარ-გა-
დასარეკად. კატეგორიულად აეკრძალათ ბალთაგო-
რის მიდამოებში სამოსახლო ნაკვეთების გაცემა.

3) სოფლების კეთილმოწყობის, საუბნო გზების
გაფართოების, ცალკეულ მეკომურთა მიერ გადაკეტი-
ლი გზების გახსნის, სარწყავი არხებისა და სასმელი
წყლის ქსელის ზედამხედველობისა და გზების შეკეთე-
ბის კომისიები.

4) კულტურულ-საგანმანათლებლო და ფიზკულ-
ტურულ-სპორტული ღონისძიებათა ხელმძღვანელო-
ბის კომისიები. სოფლების ახალგაზრდებში ყველა
ღონისძიებით უნდა აღმოეფხვრათ უსაქმურობა, ვინაიდ-
ან ეს იყო ძირითადი მიზეზი მათ მიერ დანაშაულებათა
ჩადენისა. უნდა ეთხოვათ რაიონისა და ქვეყნის სამთა-
ვრობო სტრუქტურებისათვის, რათა ისინი დახმარე-
ბოდნენ სამუშაო ადგილების მოძიებაში. ეს შესაძლე-
ბელი იქნებოდა ელექტროსადგურისა თუ ტურისტუ-
ლი ბაზის მშენებლობის დაჩქარების, პანკისში ხიღისა

და ხილის წვენების საწარმოს ამუშავების, ხალხური ეროვნული რეწვის გაცხოველების და სხვათა შედეგად. ბაწარის უნიკალური ნაკრძალი აქვე იყო. ხადორისა და ქოჩადალის ხევების, ტბათანის, მუწუხევის, ხორაჯოს, ჩხათანა-ჭიქაურის მიდამოებიც ტურისტული ბაზისათვის მშვენიერი სანახები იქნებოდა. უნდა აღდგენილიყო და აღორძინებულიყო სპორტული სახეობები. ქართული ჭიდაობა, თავისუფალი ჭიდაობა, ძიუდო, ფეხბურთი, ფრენბურთი, მძლეოსნობა, ა.შ.

5) ეროვნული, მამაპაპური, რელიგიური ზნე-ჩვეულებების, ადათებისა და ღირსეული ტრადიციების დაცვა-განვითარებისა და ზედამხედველობის კომისიები. მათ, და მთლიანად სათემო საბჭოს, უნდა ემუშავათ უფროს და უმცროს თაობებს შორის დაწყებული ბზარისა და განსეთქილების აღმოსაფხვრელად, ჩატეხილი ხიდის გასამრთელებლად. ერთობლივი მეცადინეობით, შეხმატკბილებული მუშაობით უნდა გადაეჭრათ ქისტების წინაშე მდგომი სერიოზული, გადაუდებელი ამოცანები. უნდა აღედგინათ მამაპაპური, შესანიშნავი ტრადიციები სტუმარ-მასპინძლობა, უმცროსთა მიერ ხანდაზმულთა დაფასება და პატივისცემა, ასევე უფროსთა მიერ უმცროსთა დაფასება მეზობლებსა და თანასოფლელებს შორის, მეზობელი სოფლების მცხოვრებთა შორის კეთილი ურთიერთდამოკიდებულების განმტკიცება ხეობაში და ხეობის გარეთ მთელ საქართველოში მაცხოვრებლებთან, უწინარესად ქართველებთან-ფშავლებთან, ხევსურებთან, თუშებთან — და ოსებთან კეთილმეზობლური, ძმური, მეგობრული, ერთობლივი ცხოვრების პირობების გაუმჯობესება.

პანკისელ ქისტებს მართლაც კარგი ტრადიციები ჰქონდათ. ეს იყო: ერთმანეთის მოხმარება მოსავლის აღების დროს, ყანების გათოხნა-მარგვლისას, საცხ-

ოვრებელი ბინებისა თუ ბოსლების მშენებლობისას; ნათესავთან მოსული საპატიო სტუმრის გადაპატიჟება; მიცვალებულის ხსოვნის პატივისცემა. მიცვალებული ვაუკაცის სახლს ვიდრე მიუახლოვდებოდა, მხედარი ცხენიდან გადმოდიოდა და საკმაო მანძილით გასცდებოდა იმ სახლს. კარგად აღზრდილი ახალგაზრდები დღესაც ასე იქცევიან. ამ ადათ-წესებს დღესაც იცავენ მეცხვარეები, მესაქონლეები, ერთი სიტყვით, ალალმართალი პატიოსანი მშრომელები, მაგრამ, რას შვრებიან ზოგიერთები? ხალხის შეკრების ადგილას, ან გზად მიმავალ უფროსს რომ მიუახლოვდებიან, უფრო გააქანებენ ავტომანქანებს და ტალახს შეაშხეფებენ, რის უფროსი, რა ზნეობა?

მიცვალებულის გაპატიოსნების, ქელეხის, წლისთავის აღნიშვნის, რელიგიურ-ნაციონალური და სხვა ჩვეულებები უნდა გადაისედოს, უნდა გამარტივდეს. საძძიმარზე ოჯახის ყველა წევრის მისვლა საჭირო არაა, მით უმეტეს, როცა გარდაცვლილს ან მისი ოჯახის წევრებს არ იცნობ. ხალხს გაუჭირდა, ქელეხებში სამი და ოთხი ძროხა არ უნდა იკვლებოდეს.

6) მომრიგებელ მოსამართლეთა და ნაფიც მსაჯულთა კომისიები საზოგადოებრივ საწყისებზე საოემო საბჭოსთან მთელი ხეობისათვის და ცალკეულ სოფლებშიც. ამ მოსამართლებმა უნდა დაიფიცონ წმინდა ყურანზე და ნამუსის წინაშე, გადაჭრიან საკითხებსა და დავებს ურთიერთ გადაკიდებულ მხარეებსა და მოდავეებს შორის.

7) კომისიები სოფლებში სავალდებულო სამხედრო სამსახურში წვევამდელთა გაწვევის უზრუნველსაყოფად. ამ კომისიებმა მოსახლეობაში, წვევამდელებს შორის ახსნა-განმარტებითი მუშაობა უნდა გასწიონ, რომ უკეთუ ქისტები საქართველოში ცხოვრობენ და საქართველოს მოქალაქეები არიან, კეთილი უნდა ინ-

ებონ და შეასრულონ სახელმწიფო ვალდებულებანი. ბანკისში ქართული სახელმწიფოს იურისდიქცია მთლიანად უნდა ამოქმედდეს. ხოლო რაიონის, სამხარეო და მთლიანად ქვეყნის ხელმძღვანელობამ ქმედითიზომები უნდა გაატაროს, რომ პრესამ, რადიო-ტელევიზიამ თავი გაანებოს ქისტების დაუმსახურებელ და გადაჭარბებულ ლანძღვა-გინებას.

როგორც დაინახეთ, მუხმადის მიერ მოფიქრებული კომისიების მუშაობის გეგმა-მონახაზი ქისტთა სოფლების ცხოვრების თითქმის ყველა უმნიშვნელოვანეს საკითხს მოიცავდა. სათემო საბჭო ვერ შეიქმნა ჯერ ერთი იმიტომ, რომ სხვადასხვა სოფლის წარმომადგენლებმა საერთო ენა ვერ გამონახეს. ამასობაში ბანკისში კრიმინოგენული მდგომარეობა გამწვავდა. მეორეც, სათემო საბჭოს უნდა ჰქონოდა თავისი ბეჭედი და შტამპი, ანგარიში ბანკში და სხვა. საინიციატივო ჯგუფის ზოგიერთი წარმომადგენელი, რომელიც სათემო საბჭოს ხელმძღვანელობაში მოიაზრებოდა, შეეცადა პირადი ინტერესებისათვის გამოეყენებინა სათემო საბჭო. ეს ცნობილი გახდა და ხალხმა ხელი ჩაიქნია, აქედან არაფერი არ გამოვაო. მომდევნო წლებში მუხმად ალდამოვის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა და ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელება ვერ შეძლო.

* * *

ქალაქ ახმეტაში, ლეონიძის ქუჩაზე, № 4 ბინაში მუხმად ალდამოვისა და ლამარა ბორჩაშვილის მეზობლად ცხოვრობდა ყველასათვის ძვირფასი და საყვარელი ცოლ-ქმარი ციალა თენოშვილი და რევაზ (რეზო) მამუჩარაშვილი, ორი ვაჟიშვილსა და ერთ ქალიშვილთან ერთად. რეზო მამუჩარაშვილი ქ.ახმეტის თეატრის დირექტორი იყო, ციალაც იმავე თეატრში მუშაობდა. ისინი დგამდნენ მშვენიერ სპექტაკლებს, ორივეს

დიდი საშსახიობო ნიჭი ჰქონდა, მაყურებელს მოსწონდა მათი თამაში. გარდა ამისა, ორივე კარგად მღეროდა. რეზო მამუჩარაშვილი ხელმძღვანელობდა აგრეთვე რაიონის ქართული ხალხური სიმღერების ანსამბლს. იგი იყო ნიჭიერი, განათლებული, მჭერმეტყველი, მოლექსე, ორატორი და იუმორით აღსავსე პიროვნება. ყველას უყვარდა შეხმატკბილებული ცოლ-ქმარი და განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ მათ.

ლამარას და მუხმადს ბოლომდე კარგი ურთიერთობა ჰქონდა ბატონ რეზოს ოჯახთან. რეზო ხშირად ავადმყოფობდა, გულს და კუჭს უჩიოდა. ლამარა ხშირად აკითხავდა, გასინჯავდა, წნევას გაუზომავდა, საჭირო წამლებს გამოუწერდა და სათანადო რჩევა-დარიგებას მისცემდა.

რევაზ მამუჩარაშვილის უფროსი ვაჟიშვილი, ბადრი პარტია „მრგვალი მაგიდა, თავისუფალი საქართველოს“, წევრი იყო. მსახურობდა ზვიად გამსახურდიას მომხრე გვარდიელთა რიგებში. მისი მშობლებიც, რა თქმა უნდა, თანაუგრძნობდნენ მრგვალ მაგიდას და ზვიად გამსახურდიას მოავრობის პოლიტიკას. არც ლამარა და მუხმადი ეკიდებოდნენ გულგრილად საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას ბრძოლას ქვეყნის სრული დამოუკიდებლობისათვის. ამ საკითხებში მეზობლების თვალსაზრისი და შეხედულებანი ერთმანეთს ემთხვეოდა და ერთმანეთისადმი კეთილად იყვნენ განწყობილნი.

მეზობლებმა ერთნაირად განიცადეს სამოქალაქო ომი საქართველოში, სამხედრო კონტრრევოლუციური გადატრიალება, ზვიად გამსახურდიას ძალაუფლების დამხობა და მისი გაძევება ქვეყნიდან.

დიდად აღაშფოთა და დაამწუხრა დასავლეთ საქართველოში ზვიად გამსახურდიას, ხოლო ჩეჩნეთში ჯოხარ დუდაევის მკვლელობამ, მკვლელობამ ძმად-

ნაფიცი პრეზიდენტებისა, რომელთაც მეზობელი მონათესავე ქვეყნების თავისუფლებასა და დამოუკიდებლობა შესწირეს თავი. სამარადჟამო ნეტარხსენება მათ! ისინი ქართველი და ჩეჩენი ხალხების ნაციონალური გმირები არიან.

სამხედრო შეიარაღებული გადატრიალებისა და ზვიად გამსახურდიას დამხობის შემდეგ ბადრი მამუჩარაშვილი, როგორც გამსახურდიას მრავალი მომხრე, დევნას და რეპრესიებს გაერიდა და საზღვარგარეთ ემიგრაციაში წავიდა. მან გერმანიაში იშოვა თავშესაფარი. ბადრის ავადმყოფი მამა რევაზ მამუჩაშვილი რამდენჯერმე ჰყავდათ თბილისში დაკითხვებზე. ავადმყოფობას ნერვიულობაც ემატებოდა და ბატონ რევაზის ჯანმრთელობა თანდათან გაუარესდა.

ბადრი გერმანიაში თავისთან იწვევდა მშობლებს. ვიზის საქმე მოაგვარა და მამა თავისთან გერმანიაში ჩაიყვანა. მალე ციალაც იქ ჩავიდა. უმცროსი შვილები, დავითი და ნონა, რომლებიც უკვე დაქორწინებულნი იყვნენ, ოჯახებით თბილისში ცხოვრობდნენ.

რეზოს ჯანმრთელობის მდგომარეობა გერმანიაში კიდევ უფრო გაუარესდა. იქაურმა ექიმებმა რამდენჯერმე ოპერაცია გაუკეთეს, რის შემდეგ, თითქოს გამოკეთდა და ციალა საქართველოში გამოემგზავრა.

როდესაც საქართველო-რუსეთის ურთიერთობა გამწვავდა და პანკისის პრობლემამ თითქმის მთელი მსოფლიო მოიცვა, გულდაწყვეტილმა რევაზ მამუჩარაშვილმა თავის ძვირფას და უსაყვარლეს მეზობელს მუხმადს საკუთარი ლექსები გამოუგზავნა.

გთავაზობთ რევაზ მამუჩარაშვილის ლექსს და მინაწერს:

გადმოძახილი გერმანიიდან

ჩემს უსაყვარლეს ძეირფას მეგობარს და მეზობელს, ბატონ მუხმად ალდამოვს, ემიგრანტ რ. მამუჩარაშვილისაგან, გერმანიიდან

ფრიცთა მიწაზე გერმანულ გაზეთს
ვკითხულობ გულღრძოდ ელდანაცემი,
პანკისი ცხელი წერტილიაო,
ქართული მიწის ღვიძლი ნაჭერი.
საუკუნეთა მანძილზე ვცხოვრობთ
ერთ მიწა-წყალზე ჩვენ და ქისტები,
არც ჩვენს წიაღში, არც თქვენს წიაღში
არა გვყოლია ტერორისტები.
არც ადათ-წესებს ვგმობდით ერთურთის,
არც რწმენის გამო მტრობა გვქონია,
ქართველების და ქისტების შუღლი
ვიღაცას აწყობს ასე მგონია.
და ეს ვიღაცა უცხო არ გახლავთ,
„უფროსი“ ძმაა ჩვენი ყოფილი,
გმირი ჩეჩენი ხალხის გამო ვართ
მუხანათურად ასე გმობილი.
ბატონო მუხმად, გეტყვით გულწრფელად,
დიდად ვაფასებ თქვენს დიდ ინტელექტს
და ისიც მწამს, რომ თქვენი დუმილი
მეგობრულ გრძნობის იწვევს ინტერესს.
და ეს დუმილი უფრო სანდოა,
ვიდრე ზოგ-ზოგთა ხმამაღლა როყვა,
დიდ ქლესაობას და ლიციმ-ციციმს
ახლა კი ვხედავთ, რა საქმეც მოყვა.
მწამს არ შედრკება ძირძველი ხალხის,
ქართველების და ქისტების ძმობა,
პანკისს ვერავინ მოგვჭრის ღვიძლიდან,
ქვეყნის როგორც გინდ იყოს წყობა!

რა დამავიწყებს

რა დამავიწყებს ალაზნის
ველზე თეთრ ნისლებს გაწოლილს,
დიდგვერდის შთათა მწვერვალებს
ქათქათა თოვლით დათოვლილს.
ნაქერალას და სპეროზას
ნისლის ლეჩაქით დახურულს,
ბაწარის ნაკრძალ ხეობას,
წაბლის ხეებით დაბურულს.
რა დამავიწყებს პანკისელ
მოძმე ქისტების დიდ სითბოს,
ვისაც არა სწამს ნათქვამის,
ბატონ მუხმადთან იკითხოს.

* * *

2004 წლის თებერვლის მესამე დეკადის დღეები იდგა. მუხმად ალდამოვი დუისში თავის სამუშაო მაგიდას უჯდა ხოლმე და ეკატერინე ბორჩაშვილისა და თავის ნაწერებს ასწორებდა, აღადგენდა, თანმიმდევრულად ცალკე რვეულებში გადაპქონდა. წინა დღეს ახმეტიდან ლამარა ამოვიდა, შაბათი დღე იყო. ისაუბრეს თავიანთ ჯანმრთელობაზე, ოჯახში მოსაგვარებელ საკითხებზე. ლამარამ ნათესავები, მეზობლები მოიკითხა, პანკისის ახალი ამბებით დაინტერესდა. მუხმადმა ჰკითხა:

— მალხაზი რას შვრება, რთული ოპერაციები ხომ არა ჰქონდა ამ დღეებში?

— მალხაზს ამ დღეებში თითქმის ყოველდღიურად ჰქონდა ოპერაციები, მათ შორის საკმაოდ რთულიც. ახმეტისა და რაიონის მოსახლეობა ემადლიერება და აქებს ჩვენს შვილს.

მუსმადი ძალზე გაახარა ლამარას სიტყვებმა და მიუგო:

— დიახ, ლამარა, ჩვენს შვილებზე და რძალზე აქ პანკისის მოსახლეობაში და ჩეჩენ ლტოლვილებშიც გაიგონებ მრავალ მადლობისა და ქების სიტყვას. აქ, ჩვენს ოჯახში ბევრნი აკითხავენ ლელას, მოპყავთ ავადმყოფი ბავშვები, მიხარია, რომ მალხაზის ცოლიც შენი და შენი შვილების მსგავსად უანგაროდ ეხმარება მათ. ყურებს უსინჯავს, ურეცხავს, დანიშნულებას აძლევს ავადმყოფებს. ასევე, ხშირად, ზოგჯერ უდროო დროს, ღამითაც ეძახიან მალხაზს, მისი დახმარება გვჭირდებათ. საზოგადოებრივი თავმოყრის ადგილებში კერძო საუბრებშიც აქებენ ჩვენს ბიჭს ეუბნებიან: ყოჩაღ, შენ და ლამარა, ასეთი კარგი შვილები რომ გაზარდეთო. მალხაზმა ესა და ეს დახმარება გაგვიწიაო, მავანს და მავანს რთული ოპერაცია გაუკეთაო, ჩემს ცოლს კენჭოვანი ნაღველი ამოაჭრა, წნევა მოუწესრიგდაო. სიკვდილისგან იხსნა, არასოდეს დამავიწყდება მისი სიკეთე, უტყუარ დიაგნოზს სვამს, ხელმადლიანი დასტაქარიო.

— მუსმად, მე ძალიან კმაყოფილი ვარ ჩვენი რძლით, — უთხრა ქმარს ლამარამ, — შენც ხომ კარგად იცი, ჩვენს შორის, როგორც სხვა ოჯახებში, რძალ-დედამთილის პრობლემა საერთოდ არ არსებობს. ლელას მშობლები ელიზბარი და თინა გაგებული ხალხია, პაპამისი ახმადი ჭკვიანი კაცია, ბეხოანთ ოჯახის შთამომავალი, ღმერთმა ბედად შეგვახვედრა რძლად. ბოლოს, პატარა თემურიც გვაჩუქა. ღმერთის მადლობელი ვარ, მან კიდევ უნდა გაამრავლოს მალხაზის ოჯახი ვაუკაცებით. თემურს ძმებიც უნდა!

— ძალიან ემადლიერებიან პანკისის ხეობის ქისტები და ჩეჩენი ლტოლვილები ჩვენს უფროს ქალიშვილს მარინას.

— ასეც არის. ახმეტის რაისაავადმყოფოს გინეკოლოგიურ განყოფილებაში და საერთოდ საავადმყოფოს მთელ მედპერსონალში მარინამ კარგი სახელი მოიხვეჭა. შემომნატრიან: ლამარა ექიმო, ეს რა შვილი გყოლია, რა ჭკვიანი და მცოდნე, ზოგიერთივით აბპარტავანი როდია, თავმდაბალი და თავაზიანიაო. მეორე ქალიშვილმა ნონამ, ვარდების რევოლუციის დღეებში პანკისელი ქისტების სახელით მიტინგზე რომ გამოვიდა, ყველანი განაცვიფრა. თელავიდან მომავალ ავტობუსში და ახმეტაშიც თვითმხილველებს ულაპარაკიათ, მიტინგზე ერთი ქისტის ქალი გამოვიდა და რა გამოვიდა, მთელი ხალხი აღაფრთოვანაო, — დასძინა ლამარამ.

— ეს ვიცი, დუისშიც მითხრეს ეს ამბავი. ლამარა, რატომ შენთან ერთად არ ამოვიდა მალხაზი თავის ცოლშვილში, მორიგე ხომ არაა? — ჰკითხა მუხმადმა.

— მორიგე არაა, მე რომ მივდიოდი, სამსახურში იყო, ალბათ ხვალ ამოვა.

კვირადღეს დილით მალხაზი მართლაც ამოვიდა ახმეტიდან. მშობლების ჯანმრთელობა მოიკითხა, ცოლშვილს მოესიყვარულა, თემურისა და ირინას გაეთამაშა. საუზმის შემდეგ მუხმადი სამუშაო მაგიდას მიუჯდა და გერმანიიდან რეზო მამუჩარაშვილის მიერ გამოგზავნილი ლექსის გადათარგმნას შეუდგა.

მალხაზმა მშობლებს მოუთხრო:

— გუშინ საღამოს ახმეტაში მცხოვრებ კაკო შაშიაშვილის დაბადების 80 წლისთავის ვახშამზე ვიყავით მიწვეულნი — მე, ქირურგი ანზორ ალხანაშვილი და უროლოგი ქირურგი მაგამედ გაურგაშვილი. კაკო შაშიაშვილს ამას წინათ გივი იმედაშვილმა ოპერაცია გაუკეთა, ჩვენ ვეხმარებოდით. გივიმ თბილისიდან ალბათ, დაბადების დღეზე შაშიაშვილებთან ჩამოსვლა ვერ

მოახერხა. კაკოს ვაჟიშვილი თემური ახმეტის ძალოვნებში მუშაობს. ვახშამზე მოწვეულნი იყვნენ ახმეტის რაიონის გამგეობიდან გამგებელი სოსო ონიაშვილი და სხვები. საპატიო სტუმრად პყავდათ კახეთის გუბერნატორი თამაზ ხიდეშელი — თელავის რაიონში არჩევნებში გამარჯვებული მაჟორიტარი დეპუტატი. სუფრას თამადობდა შაშიაშვილების სიძე ბადრი, განათლებული პიროვნება. კარგი დრო გავატარეთ. თქვენც ხომ იცით, ქართული სუფრა, ნახევრად მაინც, საწარმოო თათბირს ჰგავს. აქაც, ჩვეულებრივ, იყო ლაპარაკი სამხარეო და რაიონის გამგებლობათა წინაშე მდგომ საპასუხისმგებლო ამოცანებზე, პოლიტიკაზე, ხავერდოვანი რევოლუციის გამარჯვების უდიდეს ისტორიულ მნიშვნელობაზე. საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულმა კახეთში, ბატონმა თამაზ ხიდეშელმა სადღეგრძელოს თქმის უფლება სთხოვა თამადას და ფეხზე წამოდგა. ხიდეშელმა პანკისისა და იქ მცხოვრები ქისტების სადღეგრძელო შესთავაზა თანამეინახეებს. ჩვენ, ქისტები ანზორი, მე და მაგამედი — ქისტური ტრადიციისამებრ ქისტების სადღეგრძელოს თქმისას ფეხზე ვიდექით. თამაზ ხიდეშელმა აღნიშნა, რომ იუბილარს კაკო შაშიაშვილს ოპერაცია ქისტებმა გაუკეთეს. ოპერატორი ბატონი გივი იმედაშვილი, ომალოელი ქისტი, საქართველოში ცნობილი უროლოგი, თავისი საქმის დიდი სპეციალისტი, ჰუმანური და პატიოსანი ადამიანია. მე პანკისელ ქისტებში მყავს კარგი მეგობრები, მაგალითად, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი ელდარ ბორჩაშვილი, ბიზნესმენი ჯაბრაილ ხანგოშვილი, ჩვენთან მომუშავე ზაურ გუმაშვილი და სხვები. ვაფასებ მათ ტალანტს და ერუდიციას. ისინი პანკისის კი არა, მთელი საქართველოს საამაყო შვილები არიან, — დასძინა ხიდეშელმა. —

თავის დროზე მეც თქვენსავით დიდად განვიცადე ეგრეთ წოდებული პანკისის პრობლემა, — განაგრძო თამაზ ხიდეშელმა, — ახლა ყველამ ვიცით, რომ მთლად ისე არ იყო საქმე, როგორც გვაუწყებდა მასმედია — „პანკისი ცხელი წერტილიაო“. ეს იყო წინასწარ დაგეგმილი, ხელოვნურად შექმნილი, გაზვიადებულად წარმოდგენილი პრობლემა, რომლითაც მანიპულირებდნენ ქვეყნის ყოფილი ხელმძღვანელობის წარმომადგენლები, რათა ამით დიდი ფული ეკეთებინათ...

ანზორმა და მაგამედმა ჩუმად მითხრეს, სამადლობელო სიტყვა შენ თქვიო, სხვა რა გზა მქონდა. მადლობა მოვახსენე თამადას. მოკლედ მიმოვიხილე პანკისში ამჟამინდელი ვითარება. შევეხე ისტორიულ ასპექტებს, პანკისში ქისტების დასახლების მიზეზებს, იმასაც, რომ ქართველები და ქისტები გენეტიკურად ერთი ძირის, ერთი ფესვის ნათესავები არიან და მათ შორის ძმობა, მეგობრობა, მეზობლობა და თანადგომა ყოველთვის სძლევდა ბოროტს, შურღლს, მტრობას და ასე შემდეგ. არა უშავდა, მგონი, კარგი სიტყვა გამომივიდა, — დაამთავრა თხრობა მალხაზმა.

ლამარამ და მუხმადმა კმაყოფილებით მოისმინეს ვაჟიშვილის საუბარი. მუხმადმა უთხრა ვაჟიშვილს:

— მალხაზ, ლამარა, შენც მომისმინე. თქვენ იცით, რომ ახლა ლამარასა და ჩვენს შესახებ დაწერილ მასალებს ვაწესრიგებ, ვასწორებ და ვათეთრებ. მალხაზ, შენც თქვი, გუბერნატორმა განაცხდა, პანკისი რომ ცხელი წერტილია, გაზვიადებული, ხელოვნურად შექმნილი პრობლემაა. ახლა ზუსტად ჩვენი მეზობლის, ბატონ რევაზ მამუჩარაშვილის მიერ გერმანიიდან გამოგზავნილ ჩემდამი მოძღვნილ ლექსს ვათეთრებდი. თქვენ არაერთხელ მოგისმენიათ და წაგიკითხავთ ეს ლექსები „გადმოძახილი გერმანიიდან“ და მინაწერი რა დამავიწყებს“, აბა, ახლა ერთხელ კიდევ მოვისმინოთ!

— თქვა მუსმადმა და გამოთქმით წაიკითხა რევაზის ლექსები. ბოლოს დასძინა:

— რა კარგად წერს ჩვენი რეზო, გეგონება აქ, ამ მოკლენების შუაგულში იყო, თვითონ კი ასე შორს, გერმანიაში იმყოფება.

— სწორედ გერმანიის მიწაში განისვენებს... — მწუხარედ თქვა ლამარამ, თვალებზე ცრემლი მოადგა.

— რას ამბობ? — ელდანაცემი მუსმადი ფეხზე წამოიჭრა, თვალები ცრემლებით აეკსო, ოთახში წინ და უკან სიარულს მოჰყვა. — როდის, ვინა თქვა, როდის გარდაცვლილა, აკი ციალამ თქვა, ოპერაციების შემდეგ უკეთესად არისო.

— რას ლაპარაკობთ, უჰ, როგორ მეწყინა, — შეიცხადა მალხაზმა. — რა კარგი პიროვნება იყო, როგორ უყვარდა ბავშვები, დასანანია.

ლეონიძის №4 საცხოვრებელი კორპუსის ეზოში გაზრდილ მალხაზს პატარაობიდანვე ახსოვდა ბავშვთა მოსიყვარულე და გულკეთილი რეზო ძია.

— სულ რამდენიმე დღეა, რაც გავიგე, რომ ამ თებერვლის თვეში გარდაცვლილა მოულოდნელად. კონტრაქტის ვადა უმთავრდებოდა, მალე უნდა ჩამოსულიყო მშობლიურ ქვეყანაში, მაგრამ ცრუ და მუხთალ წუთისოფელს რა ვუოხრა, სადაურსა სად წაიყვანს და სად აღუფსვრის ძირს. რა მოელით, ადამიანებმა თვითონ არ იციან, — თქვა ლამარამ.

— ციალა სად არის? ალბათ გერმანიაშია. ხომ ამბობდა ვიზის საკითხი თუ მოვაგვარე, მალე უნდა დავბრუნდე გერმანიაში და მერე ერთად ჩამოვალთო, — თქვა მუსმადმა.

— ციალა თბილისშია შვილებთან და შვილიშვილებთან. ალბათ, ვერ მოახერხა ვიზის აღება, ხომ იცი ფინანსურად როგორ უჭირთ, რით წავიდოდა გერმანიაში ? — უპასუხა ლამარამ.

— დასანანია, დასანანი, როგორ მიყვარდა ეგ კაცი, — თქვა მუხმადმა.

— მართლაც, გულდასაწყვეტია, — დაასკვნა დედაშვილმა.

— მალხაზ, შენს კოლეგა გივი იმედაშვილზე იყო ლაპარაკიო თქვი, — მიუბრუნდა მუხმადი შვილს, — მე კარგად ვიცნობ გივის, ხნოვანებით ჩემზე ერთობ პატარაა. გივიზე დიდი პატრიოტი, თავისი ერისა და ხალხის მოსიყვარულე ქისტი მეორე არ მეგულება საქართველოს ქისტებში. მარტო პანკისში და ახმეტის რაიონში რამდენი ემადლიერება, ჩვენ ხომ ვიცით, და რამდენი იქნება თბილისსა და მთელ საქართველოში? ამას წინათ, თქვენს განყოფილებაში მამიდაშენის ქმარს, შირვანის მამას ახიადსაც ხომ მან გაუკეთა პროსტატის ოპერაცია, მაგამედი და შენ ეხმარებოდით. თბილისის პირველ საავადმყოფოში ურროლოგიური ავადმყოფები მას აკითხავენ და ისიც უანგაროდ ეხმარება ავადმყოფებს. თავისი ერის პატრიოტი რომაა, იქიდანაც ჩანს, ქისტს, გარდა ქისტურისა, სხვა ენაზე არ დაელაპარაკება.ასე პატივს სცემს ქისტურ ენას. ურროლოგიური სნეულებებით დაავადებულნი ყველანი მასთან მიდიან სამკურნალოდ. მარტო მე რამდენს ვიცნობ დუისში მასთან ნამყოფს. გივი იმედაშვილი ქისტური ადათით ნათესავადაც კი გვეკუთნის. უფრო სწორად, ჩვენი გვარით ნათესავების ახლობელია. ჩემი ბიცოლა, ანუ მუსა ბიძის მეუღლე ევა იმედაშვილი, ომალოელი ესტატე იმედაშვილის და იყო. ესტატეს ვაჟიშვილები ნიკოლოზი, მიშა და გრიშა ჩვენი ბიძაშვილების რეშიკოს, იდრიზის, ხიზრისა და ზაიდის მამის აბდული ალდამოვის, მისი დების ნატაშას, ბესირას, არუჟასა და ანოს დედის ძმისშვილები არიან. ნიკოლოზი და გრიშა იმედაშვილები ახლა ზემო ალვანში ცხოვრობენ. ადრე ომალოში ცხოვრობდნენ.

გრიშა იმედაშვილმა დუისის საშუალო სკოლა დაამთავრა, შემდეგ ინსტიტუტი თბილისში ავტოინჟინრის სპეციალობით. ნატაშა ალდამოვი დიდ დახმარებას უწევდა თბილისში ყოფნის დროს. შემდეგ კი გრიშა იმედაშვილს რაიონში დიდი თანამდებობა ეკავა, ახმეტის ავტოსატრანსპორტო საწარმოს დირექტორი იყო.

ნიკოლოზ (კოლა) იმედაშვილი დუისის საშუალო სკოლის მე-7 კლასში ფიზიკას გვასწავლიდა. შემდგომ წლებში დუისის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ იმუშავა, აგრონომიული განათლება მიიღო, ბოლოს ახმეტის მევენახეობის სანერგე საბჭოთა მეურნეობის უბნის უფროსად მუშაობდა. ამჟამად ნიკოლოზი და გრიშა იმედაშვილები პენსიონერები არიან და ზემო ალვანში ცხოვრობენ.

სწორედ ნიკოლოზ იმედაშვილის ვაჟიშვილია ჩვენი ძვირფასი ექიმი გივი იმედაშვილი. მე ის დონის როსტოვში გავიცანი, როსტოვის უმაღლეს პარტიულ სკოლაში სწავლის დროს. მაშინ დონის როსტოვის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე სწავლობდა. ალბათ მამისგან გაეგო, რომ მათი მამიდაშვილების ბიძაშვილი მუხმად ალდამოვი როსტოვის უმაღლეს პარტიულ სკოლაში სწავლობდა, და სკოლის მსმენელთა საერთო საცხოვრებელში მომაკითხა. მეც ვიყავი მასთან ბინაში. როცა დონის როსტოვის უმაღლესი პარტიული სკოლა დავამთავრე, დიპლომი ავიღე და კავკასიაში გამოსამგზავრებლად გავემზადე, გივი ვინახულე, რესტორან „დონში“ დავპატიჟე და აღვნიშნეთ ჩემ მიერ მეორე უმაღლესი სასწავლებლის დამთავრება. უმაღლესი პარტიული სკოლის დამთავრება იმ დროისთვის (1964 წ.) პრესტიჟული საქმე იყო.

მეორედ, კარგა ხნის შემდეგ, გივის ჩემთვის და

ჩემი ჯანმრთელობის გამო მისთვისაც არასასურველ ვითარებაში შევხვდი. ეს, კი იცის ლამარამ ჩემზე უკეთესად. სიტყვა გამიგრძელდა, მალხაზ, სხვა დროისთვის გადავდოთ საუბარი, — თქვა მუხმადმა.

— არა უშავს, მამა. გვითხარი, რა არასასურველ ვითარებაზე ლაპარაკობდი და სად შეხვდით ერთმანეთს? მეც ძალიან მიყვარს ბატონი გიორგი და დიდად ვაფასებ.

— 80-იან წლებში, გახლეთ „ბასტრიონის“ რედაქციაში მუშაობის დროს, ხშირად ავად ვხვდებოდი, — განაგრძო მუხმადმა, — წნევა მაღალი მქონდა, გულის მოვლები და ნაოპერაციევი თირკმლის ყრუ ტკივილებიც მაწუხებდა. ოფლიანობა მქონდა, ტაქიკარდია, პიპერტონიული კრიზები ხშირად მემართებოდა. ზაფხულობით შვებულების თვეებში მე და ლამარა ხან კისლოვოდსკში, ხან შავი ზღვისპირზე ვისვენებდით და ვმკურნალობდით. ერთ ზაფხულს კისლოვოდსკში ანალიზები გავიკეთე. ლამარას უთხრეს, თქვენმა მეუღლემ აქ კი არა, ჟელეზნოვოდსკში მინერალურ წყლებზე უნდა იმკურნალოს, თირკმელებში მარილები აქვსო, ლეიკოციტები და სხვა ბევრი რამო. იქიდანვე წავედით ჟელეზნოვოდსკში. იქ სასმელი მინერალური წყალი კარგია. მინერალური წყლის აბაზანებიც მივიღეთ და ასე თუ ისე გვარგო.

მეორე ზაფხულს მოსკოვში წავედით. იქაც შარდის, სისხლის ანალიზები გამიკეთეს, ნაოპერაციევი თირკმელის სურათები გადამიღეს. თირკმელში მენჯის არეში მუხუდოს მარცვლის ოდენა კენჭი აღმოჩნდა. მოსკოვის დასავლეთ გარეუბნის ერთ-ერთ საავადმყოფოში დამაწვინეს. აქ იყო ხშირი ლამაზი ტყე, იყო ბაგრატიონის ქუჩა, მეტროს სადგურს ერქვა ფილი. როგორც ისტორიკოსს, გამახსენდა ნაპოლეონის არმიის შემო-

სეკის დროს, 1812 წელს ბოროდინოს ბრძოლის შემდეგ რუსთა არმიის მხედართმთავარმა კუტუზოვმა სწორედ მოსკოვის ახლოს სოფელ ფილში არმიის მეთაურებიან თათბირი გამართა. პეტრე ბაგრატიონი ბოროდინოს ბრძოლის გმირი იყო, რომელსაც ნაპოლეონი რუსეთის არმიის გენერლებში ყველაზე საუკეთესოს უწოდებდა. საავადმყოფოში ჩემთვის ვფიქრობდი, მაშასადამე, ისტორიულად ცნობილ ადგილზე ვიმყოფები-მეთქი. ორი კვირა დავყავი საავადმყოფოში.

თბილისში გადმოსაფრენად ბილეთები ავიღეთ. სასტუმრო „ალტაიში" ვცხოვრობდით. მეორე დღეს უნდა გადმოვფრენილვიყავით. მოსკოვის მაღაზიებში გასულმა ლამარამ ცოტა არ იყოს დაიგვიანა, ვინერვიულე, წნევამ ამიწია, ტაქიკარდია დამეძართა. საღამოს მაღაზიებიდან დაბრუნებულმა ლამარამ გამსინჯა. წნევისა და ტაქიკარდიის საწინააღმდეგო წამლები მიმაღებინა. ცოტა ხნის შემდეგ შედარებით დავწყნარდი, მაგრამ მეორე დღეს თბილისში გადმოსაფრენად როგორც კი თვითმფრინავში ავედით და დავსხედით, ცუდად ვიგრძენი თავი. როგორც ჩანს, მოსკოვის პაერი არ მომისდა. ლამარამ წამლები დამალევინა. საპაერო ხომალდი ცაში აიჭრა.

თვითმფრინავში კიდევ უფრო ცუდად გავხვდი. მაჯისცემა 160-ზე მეტი იყო. პაერი არა მყოფნიდა. ორ სკამზე წამომაწვინეს. სტიუარდესა თავს მადგა, წამლები მოარბენინა. თვითმფრინავის ეკიპაჟს შეატყობინა ჩემი ამბავი. ლამარა ძალზე შეშინებული იყო. მე ვუთხარი, სულიერად ნუ დაეცემი, მართალია, ცუდად ვარ, მაგრამ გავუძლებ. ყოველ შემთხვევაში, რაც უნდა მოხდეს, არ შეშინდე, შვილები გვყავს განათლების ფართო გზაზე გასაყვანი-მეთქი. გულის შეტევა კიდევ უფრო გამიძლიერდა. ვორონეჟის, კურსკის, დონის

როსტოვის თავზე ეკიპაჟის წევრები მთავაზობდნენ, თვითმფრინავს დავსვამთ, სასწრაფო დახმარებას გამოვიძახებთო. ცოცხალი თუ მკვდარი, თბილისში უნდა ჩამიყვანოთ-მეთქი, ვპასუხობდი მე.

კარგად არც მახსოვს, ცოცხალ-მკვდარი თბილისის აეროდრომზე სასწრაფო დახმარების მანქანაში მომათავსეს, აეროპორტის სამედიცინო პუნქტში საგულე საშუალებები გამიკეთეს და თბილისის პირველ საავადმყოფოში მიმიყვანეს. იქ თერაპიულ განყოფილებაში დამაწვინეს. საავადმყოფოს დერეფნებში სამედიცინო დახმარების მუშაკებს საკაცით მივყავდი.

ქ.თბილისის პირველ საავადმყოფოში თერაპიული განყოფილების გვერდით უროლოგიურ განყოფილებაში მუშაობდა უროლოგი გივი იმედაშვილი. რომ გაიგო, თერაპიულში აეროპორტიდან ავადმყოფი ქისტი მოუყვანიათო, მაშინვე შემოვიდა. მე პირველ ორ დღეს პასუხისა და ლაპარაკის თავი არა მქონდა. გივი ლამარას გამოელაპარაკა, გაიგო ჩემი მდგომარეობა. იმავე წუთში საავადმყოფოს გულისა და ჰიპერტონიის მთავარი სპეციალისტები ნახა, ზოგს ტელეფონით დაუკავშირდა და სთხოვა, ყოველმხრივ შეესწავლათ ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა და ინტენსიური მკურნალობა დაეწყოთ. მართლაც, კარგად მიმკურნალეს. გივი თითქმის ყოველდღიურად შემოდიოდა პალატაში, მეკითხებოდა, როგორ ვგრძნობდი თავს. მომდევნო დღეებშიც, როცა ფეხზე წამოდგომა და დერეფანში გავლა შევძელი, ღიმილით მხვდებოდა, სულ ქისტურად მელაპარაკებოდა. მომდევნო დღეებში იმ თერაპიულში ჩემი მკურნალობის პარალელურად ჩემი თირკმლებისა და შარდის ბუშტის მდგომარეობაც გამოიკვლია და მითხრა, არა უშავს, თირკმლებში საშიში არაფერია, მხოლოდ დიეტა უნდა დაიცვა და არ უნდა გაცივდეო.

ლამარა საავადმყოფოში ჩემი დაწვენის მესამე დღეს, როცა შედარებით უკეთესად გავხდი, ორი დღით ახმეტაში და დუისში ჩამოვიდა, ბავშვები ნახა, ჩემიანებს და თავისიანებს ჩემი ამბავი გააგებინა, ოჯახში და სამსახურში საქმეები მოაწესრიგა და ისევ თბილისში დაბრუნდა. ექიმების მეთვალყურეობით ვვარჯიშობდი, მასაჟებს მიკეთებდნენ, პრეპარატებს არ მაკლებდნენ და დღითი დღე უკეთესობა დამეტყო. ლამარას ხან რა მოპქონდა ქალაქიდან, ხან რა. მალე უნდა აღიდგინო ჯანმრთელობა, ახმეტასა და პანკისში საქმეები გველოისო.

ჩემთან პალატაში იწვა ფეხსაცმელების ფაბრიკა „ისანის“ მთავარი ბუღალტერი, გვარი არ მახსოვს, ეროვნებით სომეხი. მან, თქმა არ უნდა, ქართული, სომხური და რუსული კარგად იცოდა. მეუღლე და ქალიშვილები ხშირად აკითხავდნენ, საჭმელი და სხვა რამ, რაც სჭირდება ავადმყოფს, უხვად მოპქონდათ. ეტყობოდათ, შეძლებულები იყვნენ.

ორიოდე კვირის შემდეგ ჩვენ უკვე კარგად ვიცოდით ერთი-მეორის ოჯახური და სამსახურებრივი მდგომარეობა. აბა, პალატაში თავისუფალ დროს სხვა რა საქმე გვქონდა; ვეკითხებოდით ერთმანეთს და ვუამბობდით ერთმანეთს ამბებს. სომეხი ბუღალტერი ზოგჯერ ხუმრობით მეტყოდა ლამარას თანდასწრებით, ასეთი ცოლის პატრონი ავად რამ გაგხადაო? მეც მივუგებდი — ავად კი არა, ეს რომ არა მყოლოდა, აქამდის ჩემი ძვალიც არ იქნებოდა-მეთქი. მგონი, ლამარასაც სიამოვნებდა ჩვენი ასეთი ლაპარაკი. ასეთია, მალხაზ, ჩემი და დედაშენის მოსკოვში ყოფნის, თბილისის საავადმყოფოში გივი იმედაშვილთან შეხვედრისა და ჩემს ჯანმრთელობაზე მისი ზრუნვის ამბავი, — დაამთავრა მუხმადმა თავისი მოგონებანი გივი იმედაშვილის შესახებ.

* * *

ლამარა ბორჩაშვილს, როგორც საკუთარი ძმები და ახლობელი ნათესავები, ისე უყვარს ნებისმიერი ქისტი, ქართველი თუ ოსი, ვისაც პანკისის ხეობაზე გული შესტკივა, ვისაც ხეობის სოფლების კეთილდღეობაზე ოდნავ მაინც უზრუნია, ვისაც ცოდნისა და ენერგიის დაუზოგავად უბრძოლია ხალხის ცხოვრების დონის ასამაღლებლად.

ჯოყოლოსა და ბირკიანის საზოგადოებებში ერთ-ერთი ასეთი პიროვნება, შეიძლება ითქვას, არის უსუფ ჰასაის ძე აჭიშვილი. უსუფის მამა ჰასაი აჭიშვილი ყოველთვის თან ახლდა საქართველოს დიდებით მოსილ არწივს, ნაციონალურ გმირს ქაქუცას, როცა თანამებრძოლ ალექსანდრე სულხანიშვილთან ერთად, 1924 წელს ემიგრაციაში წასვლის წინ, რამდენჯერმე გადავიდა ჩეჩნეთში. მაშინ, როდესაც რუსთა ურდოები თავისუფლებისმოყვარე ქართველებისა და ჩეჩნების წინააღმდეგ იბრძოდნენ, ქაქუცას ყოველთვის უჭერდნენ მხარს და ეხმარებოდნენ ჩეჩნები. მისი ძმადნაფიცი იყო ითომსალის რაიონის მცხოვრები ათაბეი უმაევი, რომელიც პანკისის ხეობამდე აცილებდა ხოლმე.

უსუფს ახლაც ახსოვს მამის ნაამბობი: ერთხელ თურმე, ქაქუცას ემიგრაციაში წასვლამდე, ჩეჩნეთიდან დაბრუნებული ჯგუფი, სოფელ ომალოს პირდაპირ, მაღლა ტყით შეშოსილ მთაგრეხილზე, ე.წ. ზაბის ნაბინადარზე ისვენებდა. ჰასაი აჭიშვილმა შეამჩნია ცოტა მოშორებით მგელი ტყისკენ მიდიოდა. აიღო თოფი და სასროლად მოემზადა.

— ჰასაი, თუ ძმა ხარ, არ ესროლო, — უთხრა ქაქუცამ.

— რატომ? გაუკვირდა ჰასაის.

— იმიტომ, რომ ჩვენი თანამოძმეა. ჩვენსავით ტყეში ცხოვრობს, თანამოძმის ღალატი კი არ შეიძლება, — უთხრა ქაქუცამ.

პასაიმ გაიცინა და თოფი დადო. სიცილის ხმაზე მგელმა მათკენ გამოიხედა, დაინახა თანამოძმენი, რომლებმაც თანაგრძნობა გაუწიეს და სასიკვდილოდ არ გაიმეტეს, უცებ ადგილს მოსწყდა და თავი ტყეს შეაფარა.

— ქაქუცამ მგელს უთანაგრძნო, ცოცხალი გაუშვა, სწორ გზას აცდენილ ახლანდელ ახალგაზრდებს ავიწყდებათ ადამიანური თანაგრძნობაც და ნდობაც, — იტყვის ხოლმე უსუფი.

პასაი აჭიშვილი ქაქუცა ჩოლოყაშვილის ემიგრაციაში წასვლის შემდეგ, შემოურიგდა საბჭოთა მთავრობას და კოლექტიურ შრომაში ჩაება. მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე პატიოსანი გზით შრომა-საქმიანობას ეწეოდა და პანკისს აღუზარდა და დაუტოვა პატიოსანი, მშრომელი, სამშობლოს ერთგული შვილები.

სწორედ ერთ-ერთი მათგანია უსუფ აჭიშვილი, რომელიც ლამარას ძმასავით უყვარს. უსუფი, ლამარას ჯოყოლოს საუბნო საავადმყოფოში მუშაობის დროს, ერთხანს საავადმყოფოს სამეურნეო ნაწილის გამგედ მუშაობდა. ანგარიში გაუწია ლამარას ოჯახურ მდგომარეობასა და თხოვნას და თავისი ნებით სხვა სამუშაოზე გადავიდა, ხოლო მის ადგილზე, ლამარას სურვილისამებრ, ვისერგი მუთოშვილი აღადგინეს.

1974 — 1983 წლებში უსუფ აჭიშვილი ჯოყოლოს სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ მუშაობდა. ხეობის ისტორიას არ ახსოვს ხალხის ასეთი ერთგულნი და პატრიოტნი ყოფილიყვნენ, ადრეც და შემდეგაც, ჯოყოლოსა და დუისის სასოფლო საბჭოების თავმჯდომარენი, როგორიც აღმოჩნდა უსუფი. მის დროს საბჭოს ტერიტორიაზე მრავალი ობიექტი აშენდა: ჯოყოლოში სასოფლო საბჭოს შენობა, საბავშვო ბაღის შენობა, ომალოში ტიპიური კლუბი, შუა ხალაწანში დაწყებითი სკოლის შენობა; შეკეთდა ჯოყოლოს საექიმო ამბულატორიის შენობა, ომალო-დუმასტურის გზა;

ჯოყოლოს სასოფლო საბჭოში შემავალი ყველა სოფლის გზა; ომალოში ესქი ისახაშვილის სახლთან გამომავალ ხევში გაკეთდა ბოგირი; დაიწყო ბირკიანის საბავშვო ბაღის მშენებლობა. ბირკიანსა და ომალოს შუა აშენდა კიდული ხიდი.

ეს მშენებლობები, რომლებიც დროის ესოდენ მცირე მონაკვეთში დასრულდა, მოწმობენ, რომ უსუფ აჭიშვილისთვის უცხო იყო ანგარება, რომ იგი ერისა და ხეობის ჭეშმარიტი შვილი გახლდათ.

სხვა მხრივაც გამოირჩევა უსუფი: არ შეიძლება საწყალ კაცს რაიმე უჭირდეს და გულგრილად აუაროს გვერდი, აუცილებლად დახმარების ხელს გაუწვდის. ზოგს ტომარა სიმინდს გაუგზავნის, ზოგს ფქვილს, ზოგს კარაქსა და ხაჭოს, ზოგს ფულით დაეხმარება, რის საშუალებაც აქვს, იმით შეეწევა. მისი მანქანა ყველა გაჭირვებულისათვისაა ახმეტაში ექიმებთან ავადმყოფის წაყვანა-წამოსაყვანად თუ სხვა რამისთვის. ამიტომაც ყველა მადლიერია მისი.

* * *

ეგრეთ წოდებული „პანკისის პრობლემის“ წლებში „თავისუფლება“ მდინარე ალაზანმაც მოიპოვა. მთებში დიდთოვლიანობისა და გაზაფხულზე ხშირი წვიმების დროს იგი დიდდება, ღრიალითა და ზათქით ეხეთქება ნაპირებს, ანგრევს ყველაფერს, რაც კი გზად შეხვდება. პანკისის ლამაზი ხეობა მდინარემ რომ არ წალეკოს, ამისათვის საჭიროა ნაპირების გამაგრება,მისი „თავისუფლების“ ალაგმვა ისე, როგორც ზოგიერთი კალაპოტიდან ამოვარდნილი პანკისელი ასალგაზრდის ალაგმვაა საჭირო.

ხეობის რთული ბარიერების გადასალახავად და მოსახლეობის კეთილდღეობის ასამაღლებლად ახლან-

დელი პრეზიდენტისა და მთავრობის თანადგომაა საჭირო. გადაყენებული მთავრობის დროს მრავალნი ამბობდნენ, კორუმპირებულ ხელისუფლებას ჩვენთვის არა სცალიაო. ასეც იყო, მაგრამ თუ ალაზანმა და ზოგიერთმა ქურდბაცაცა ახალგაზრდამ ასე ითარეშეს, პანკისის ხეობას წალეკავენ და მიწასთან გაასწორებენ. მოსახლეობის დიდი ნაწილი გულისტკივილით ადევნებს თვალს პანკისში დღევანდელ ვითარებას. ქისტი ახალგაზრდები გვერდში უდგანან ქართულ საჯარისო ნაწილებს. ისინი ერთობლივი ძალისხმევით დარაჯობენ პანკისის ხეობას,მაგრამ სავალალო ისაა, რომ ზოგიერთი ვაიმეთაური ავტომატის ჯერით ცხრილავს მებრძოლ ახალგაზრდებს. ასე მოკლეს ბაწარის ხეობის შესასვლელის ახლოს განლაგებული საჯარისო ნაწილის მებრძოლი რამზან დუიშვილი, სოფელ დუისის მკვიდრი. ჩვენ გვგონია, რომ ასეთ არაადამიანურ ქმედებებს ისინი უწყობენ ხელს, ვისაც უნდა ქართველებსა და ქისტებს შორის მტრობის გაღვივება.

ამრიგად ნახევრად წყალწაღებულ ხეობას ნამდვილი მომთხოვნი პატრონი სჭირდება, აგრეთვე შემსრულებელიც.

* * *

ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ალვანში მცხოვრები ხალხური მთქმელი, მოლექსე იოსებ ლონგიშვილი ყველასათვის საყვარელი პიროვნება იყო. ბევრჯერ სწვევია პანკისს. ტბათანაში წასვლა-მოსვლისას პანკისელებთან ხშირად უსაუბრია მეგობრულად. პანკისში ბევრი მეგობარი ჰყავდა და ბევრი ლექსიც აქვს დაწერილი პანკისზე და პანკისელებზე.

ლამარა ბორჩაშვილი იოსებ ლონგიშვილის ლექსე-

ბის დიდი თაყვანისმცემელია. ძალიან აფასებს იოსების ნიჭიერებას. იოსებ ლონგიშვილმა თავის სიცოცხლეში, როგორც ახლო მეგობრებს და ერთგულ ადამიანებს, ლექსი მიუძღვნა ლამარა ბორჩაშვილსა და მუხმად ალდამოვს. იგი ქებას უძღვნის მათ მშობლიურ კუთხეს, პანკისის ხეობას:

მიყვარს პანკისის ხეობა

მიყვარს პანკისის ხეობა
კახეთის მკერდის ნაწილი,
აქ სასიმღეროდ ჩამოდის
სპეროზას მთების არწივი.
ხევს ალაზანი ამღერებს
პანკისის ველზე გაჭრილი,
კლდეებს ეხვევა ბილიკი
ქისტის ქალივით ტანწვრილი.
სოფლები მძივებად ეკვრის
ზვირთად მქუხარე ალაზანს,
მშვიდობის სიმღერას ამბობს
ალხასტაიძე აღაზა.
წიფლნარში ღამე გაწვება
გიშრისთმიანი ქალივით,
კლდეს მთვარე დაეკიდება
ჯოყოლას ბასრი ხმალივით.
ღმერთის ფუნჯი თუ ხატავდა
ამ ხუჭუჭელებს, ამ ხევებს,
ვით ბესიკს ანას თვალები,
პანკისი ისე მამღერებს.
მიყვარს პანკისის ხეობა
კახეთის მკერდის ნაწილი,
აქ სასიმღეროდ ჩამოდის
სპეროზას მთების არწივი.

იოსებ ლონგიშვილი

* * *

ლამარა, როგორც ექიმი, ხომ კარგი სპეციალისტია, მაგრამ როგორც ადამიანი — კიდევ უფრო უკეთესია. ბუნებას ყველა კეთილი თვისება მისთვის გაუმეტებია. ერთ დღეს ახმეტაში საავადმყოფოს შესასვლელთან ვიდექით ქისტის ქალები, ავტობუსს ველოდებოდით. ლამარამ გამოიარა, თავისებურად ღიმილით მოგვესალმა, გამოგვკითხა ჯანმრთელობა ჩვენი და ოჯახის წევრებისა. ჩვენც ვკითხეთ, როგორ ბრძანდებითო. დაგვემშვიდობა და საავადმყოფოსკენ წავიდა. ერთ-ერთმა ქალმა თქვა:

— ღმერთმა დიდი ხანი აცოცხლოს და ჯანმრთელობა მისცეს ლამარას თავის ქმარ-შვილთან ერთად, ჩემი ოჯახის გახარებისა და ოჯახის ფუძის გამგრძელებლის მოცემისათვის. ექვსი გოგო გავაჩინე ბიჭის ლოდინით. მეშვიდეზე რომ დავორსულდი, ქმარმა მითხრა, წადი და მოიშორე, ისევ გოგო იქნება და ამდენი შვილების შენახვას ვერ შევძლებთ. ღმერთს ჩვენთვის ბიჭი ალბათ არ ემეტებაო. მეორე დღეს აქ საავადმყოფოში წამოვედი. გინეკოლოგიურ განყოფილებაში მორიგეულ ლამარა ყოფილიყო. ჩემი გასაჭირი შეეჩივლე.

— ვნახოთ, როგორ იქნება საქმე, ჯერ გაგსინჯავ, — მითხრა ლამარამ და გამსინჯა.

— ახლავე წადი სახლში, ხმა არ ამოიღო, შენი ქმარიც დააშვიდე, ბიჭი გყავს ჩასახული, ნატვრა შეგისრულდათ, გაიხარეთ, მოცილებაზე სიტყვა არ დაგცდეს, — მითხრა ლამარამ.

ბავშვი არ მომიცილებია, მაგრამ მთლად დარწმუნებული მაინც არ ვიყავით, რომ მართლა ბიჭი იქნებოდა. ცხრა თვე შესრულდა და ვიმშობიარე, ბიჭი მეყოლა. თითქმის მთელი სოფელი ზეიმობდა, გაუხარდა ყველას. სოფლის მრავალ ოჯახში, ალიკო ცათიაშვილს ვაჟი შეეძინაო, და სამაღარიჩო სუფრა იყო გაშლილი. ლოცავდნენ ლამარას, მის სადღეგრძელოს აღფრ-

თოვანებით სვამდნენ როგორც კარგი სპეციალისტისა და კეთილი ადამიანისას, რომელმაც ალიკო ცათიაშვილის ოჯახს ეს ბედნიერება შოუტანა. ძალიან მცოდნე და გულისხმიერი ექიმია. ახლა ჩემი შვილი 16 წლისაა. ქმარი რომ მომიკვდა, 2 წლისა იყო. გვარის გამგრძელებელი რომ ეყოლა, იმ სიხარულს მაინც შეესწრო საცოდავი, — დაასრულა ქალმა და თვალები აუცრემლდა.

* * *

საქართველოში რაც ცუდი რამ ხდება, ყველაფერზე გული სტკივა ლამარას, ძლიერ განიცდის. როგორი მხარდამჭერი იყო ზვიად გამსახურდიასი. საქართველოს საამაყო შვილს უწოდებდა. ყველა ქართველი რომ ასე ზრუნავდეს სამშობლოსა და ერისათვის, ჩვენზე ბედნიერი ქვეყანა არსად იქნებოდაო, ამბობდა ყოველთვის.

ზვიად გამსახურდიას დროს, როცა ქართველები ბანაკებად გაიყვნენ, როცა გამყიდველები ქვეყნის წინააღმდეგ იბრძოდნენ, საქართველოს გულს — თბილისს ანგრევდნენ, საქართველოსთვის გულშემატკივარ შვილებს ულეტდნენ და ხოცავდნენ, ლამარა ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდა და ამბობდა: ოჰ! რატომ მეც კაცად არ დამბადა ღმერთმაო. მართლაც საამაყოა ასეთი ვაჟკაცური შემართების ადამიანი, გინდ კაცი იყოს, გინდ ქალი.

ლამარას განსაკუთრებულად უყვარს ის ადამიანები, რომელთაც საქართველოს სიყვარული სისხლში და ხორცში აქვთ გამჯდარი და სამშობლოზე ფიქრით აღამებენ და ათენებენ. თუმცა, ყველა დროში არიან ისეთი ადამიანებიც, რომელთა ფიქრი და ოცნებაა, როგორ გამდიდრდნენ, როგორ მოიხვეჭონ ფული თუნდაც ამისათვის საქართველოს და ქართველობის გაყიდვა და მონებად ჩაბარება დასჭირდეთ.

ეკატერინე ბორჩაშვილი თავის ერთ ლექსში სწორედ ქართველთა ისეთი ნაწილის გადაგვარებასა და ერთმანეთისადმი უნდობლობაზე წერს:

ეს რა ცოდვა მოგვერია

ეს რა ცოდვა მოგვერია, ხალხო!
ეს რა რისხვა დაგვატეხა ღმერთმა,
საქართველო ტრაგედიად იქცა,
ერთურთი არ შეიბრალა ერთმა!
ჩვენვე ვულეტავთ ერთურთს ქართველები,
ბანაკებად დაყოფილა ერი,
ასე რაღამ დაგვაბრმავა ნეტავ,
ვერ გვიცნია ძმა და ჩვენი მტერი!
ერთი სკამი ნუთუ ყველას გინდათ,
ყველა იბრძვით ერთი ადგილისთვის?
თუ გაწყვიტეთ ძმებმა ერთმანეთი,
ვინ იბრძოლოს მერე მამულისთვის?
აღარ გახსოვთ ერთგულება ტახტის
დავითის და თამარ მეფის დროის,
ნუთუ ყველა მოღალატე გახდა
წინამძღოლი ძმათამკვლელი ხროვის.
გონს მოვეგოთ, ახლა მაინც, ხალხო!
კმარა ძმათა დანთხეული სისხლი,
ყველას მხოლოდ ერთი სკამი გინდათ,
მამულისთვის ნუთუ არვინ იცლით?
ქართველების ამდენ ერთურთულეტვას
ნუთუ აღარ დაადგება შველა,
რაღად გინდათ ის პირველი სკამი,
ქარველობა თუ გაწყდება ყველა!

ეკ. ბორჩაშვილი

დიახ, ეკ. ბორჩაშვილი მოუწოდებს საქართველოს შვილებს — კმარა, ჩვენგანვე დანთხეული ჩვენი ძმების სისხლი, გონს მოვეგოთ, დავუფიქრდეთ, რას ვაკეთებთ, მოვინანიოთ და ჩვენს ლამაზ სამშობლოს მტრობას ნულარ გავუწევთ!

ჩვენ აქ ყოფილი ხელმძღვანელობის მმართველ სტრუქტურებში მოკალათებულ გადაგვარებულ უმრავლესობაზე ვლაპარაკობდით, მაგრამ სულ სხვაა ქართველი მშრომელი ხალხი, ინტელიგენცია მეცნიერები, პედაგოგები, ექიმები, მოსწავლე ახალგაზრდობა, საჯარისო ნაწილებში დასაქმებული მოსამსახურეები, წარმოება-დაწესებულებებში მომუშავეები, მუშებისა და გლეხების, პოლიტიკოსებისა და სხვა მუშაკთა აბსოლუტური უმრავლესობა. მათ ბევრი, ძალიან ბევრი ითმინეს, მაგრამ არ გადაგვარებულან. თურმე, ღმერთმა უშველოთ, კეთილი ადამიანებიც ბევრნი ყოფილან, ლამარა ექიმისნაირი. ან კი როგორ გადაგვარდებოდენ, ჩვენი ქართველი ხალხი ხომ ოდითგანვე ცნობილია ვაჟკაცობით, მოყვასის სიყვარულით, გაჭირვებულთა თანადგომით, სტუმართმოყვარეობით, პურმარილით. სწორ გზას გადამცდარნიც, ალბათ, ისტორიის გაკვეთილებიდან სწორ დასკვნებს გამოიტანენ, მოინანიებენ თავიანთ უმსგავსო მოქმედებას.

ძველად საქართველოში სამშობლოს გადარჩენისა და მისი სიყვარულისათვის თვითონ მეფენიც, კეთილშობილთა გვარების წარმომადგენლებიცა და უბრალო მეომარი, ფარ-ხმლით შეიარაღებული გლეხობაც, თუ გნებავთ, მთლად უიარაღონიც თვალის დაუხამხამებლად იტანდნენ სასტიკ წამებას მამულისათვის, ქრისტიანული სარწმუნოებისათვის. სულის სიდიადით გამარჯვებულნი თვალებში ჩახედავდნენ მტერს და ერთხელაც არ დაიკვნესებდნენ. ასე ამაყნი და სულით გაუტეხელნი იყვნენ. ვინ ჩამოთვლის გმირთა სახელებს: მეფენი — დემეტრე თავდადებული, ლუარსაბი, ერისთავები შალვა და ელიზბარი, ახმეტის მებატონე ბიძინა ჩოლოყაშვილი, ბახტრიონის გმირები, დედოფალი ქეთევან წამებული, კოსტასთავის შეთქმულების მონაწილენი მონღოლთა ბატონობის წინააღმდეგ, ცოტნე დადიანის

გმირული საქციელი და უშიშრობა, გმირი თევდორე მღვდლის თავგანწირვა და სხვა მრავალზე მრავალი მაგალითი, რომელთა შესახებ ისტორიამ შემოგვინახა ცნობები. ჩვენ რომ არ ვიცით, ისინი კიდევ რამდენნი იქნებიან?! — ძალიან ბევრნი! ერთიანი, მთლიანი, განუყოფელი საქართველოსთვის ფარნაყაზ მეფის, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის მოღვაწეობის მაგალითებიც კმარა სამშობლოს სიყვარულისთვის გულთა ასანთებად.

საქართველო დაქუცმაცდა, დაცემის პირას მისული უფსკრულის წინაშე აღმოჩნდა შევარდნაძისა და მისი გუნდის მმართველობის შედეგად. უფსკრულში გადაჩეხვამდე, ქართველმა ხალხმა დიდი, ძალზე დიდი მოთმინების შემდეგ ხმა აღიმაღლა, წინ გამძღოლიც მამაცი, გაბედული, უაღრესად განათლებული ახალგაზრდა კაცი გამოუჩნდა მიხეილ სააკაშვილის სახით, თვითონ ღმერთმა გამოუგზავნა იგი ღმერთის წილხვდომილ ქვეყანას. მოხდა ვარდების რევოლუცია. საქართველომ მსოფლიოს თვალში დაკარგული ღირსება აღიდგინა.

ლამარა ბორჩაშვილი, როგორი მხარდამჭერიც იყო თავის დროზე ზეიად გამსახურდიასი, ისეთივე მხარდამჭერი გახდა ნაციონალური მოძრაობისა და მისი ლიდერის მიხეილ სააკაშვილისა. 2003 წლის ნოემბერში ლამარას ტელევიზიას და რადიოს ვერ მოაშორებდი, სულგანაბული უყურებდა და უსმენდა, რას გადმოსცემდნენ, რას იტყოდნენ ნაციონალური მოძრაობისა და სააკაშვილის სასიკეთოდ. წუთიწუთს მათი ეადამწყვეტი გამარჯვების მოლოდინში იყო. მეზობლებში, სამსახურში, პაციენტებში, ყველგან სააკაშვილის სასარგებლო აგიტაციას ეწეოდა.

2003 წლის ნოემბერში განსაკუთრებულად დამუხტული იყო ლამარა. ის ხვდებოდა, რომ ნოემბრის 22-23 რიცხვები განსაკუთრებით უმნიშვნელოვანესი ნიშანს-

ვეტი გახდებოდა ქართველი ხალხის ისტორიაში. ეს შარილაც ასეა. ქართველმა ერმა ამ დღეებში გამოიჩინა დიდი პოლიტიკური სიბრძნე, ერთიანობა, სიმტკიცე და მიზანსწრაფვა, ბრძოლის კანონიერი და მშვიდობიანი ფორმებით შეძლო მოეშორებინა ქვეყნისათვის პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის რეჟიმი, რომელიც დემოკრატიული განვითარების მუხრუჭი გახდა, სახელმწიფოებრიობისთვისაც საშიში.

შევარდნაძემ და მისმა დაქაშებმა 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებში ქართველი ხალხის გამოვლენილი ნება ფეხქვეშ გათელა, ამომრჩევლებს ხმები მოპარეს. ამიტომ მთელი საქართველო აღდგა მის წინააღმდეგ და ჩამოაცილა იგი ხელისუფლების სათავეს. ქართველმა ხალხმა დაიცვა საკუთარი დემოკრატიული უფლება და მთელ მსოფლიოს დაანახა, რომ იგი ჩამოყალიბდა ისეთ სამოქალაქო საზოგადოებად, რომელიც არავის მისცემს უფლებას მასზე ძანიპულირება მოახდინოს, ვინც უნდა იყოს იგი და რა დიდ შეძლებულ დაჯგუფებასაც უნდა ეკუთვნოდეს. სავერდოვანმა რევოლუციამ ქართული პოლიტიკური სპექტრიდან მკვეთრად გამოარჩია რამდენიმე პოლიტიკური ლიდერი — მიხეილ სააკაშვილი, ნინო ბურჯანაძე, ზურაბ ჟვანია, — რომლებმაც კრიტიკულ მომენტში დიდი გამჭრიახობა გამოიჩინეს, სახალხო პროტესტს სათავეში ჩაუდგნენ და პირადი თავდადებისა და სიმამაცის წყალობით დიდად განაპირობეს ქართველი ხალხის გამარჯვება ამ დიდ ბრძოლაში. მათგან გამორჩეული და ვარდების რევოლუციის ერთპიროვნულ ხელმძღვანელად ქართველმა ხალხმა მიხეილ სააკაშვილი აღიარა.

უცხოეთის პოლიტიკურმა წრეებმაც მიხეილ სააკაშვილის როლი რევოლუციაში გადამწყვეტად მიიჩნიეს. ეს გარემოება თავისთავად მნიშვნელოვანია, მაგრამ უმნიშვნელოვანესი თვითონ ქართველი ხალხის

შეხედულებაა — ვარდების რევოლუციის რაინდი, საქართველოს პრეზიდენტობის უპირველესი კანდიდატი საქართველოს მოსახლეობამ ერთხმად აირჩია საქართველოს პრეზიდენტად 2004 წლის 4 იანვრის არჩევნებში.

ახლა, ისევ მოკლედ გადავხედოთ იმ რევოლუციურ ვნებათაღელვის დღეებს ანუ როგორ აღიდგინა მსოფლიოს თვალში საქართველომ ღირსება, როგორ მოხდა ვარდების რევოლუცია?

ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარედ არჩევის შემდეგ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ლიდერმა მიხეილ სააკაშვილმა ყველას თვალსათლივ აჩვენა, რომ იგი პრინციპულად მიჰყვებოდა მის მიერ პარლამენტში და იუსტიციის სამინისტროში არჩეულ გზას — ქვეყნის დემოკრატიზაციის, წესრიგის დამყარების, კორუფციასთან შეურიგებელი ბრძოლის, მოსახლეობის სოციალური დაცვის პროგრამის განხორციელების გზას.

ჯერ კიდევ პარლამენტში მოღვაწეობისას, სააკაშვილმა ამხილა და თანამდებობა დაატოვებინა კორუფციონერ-მინისტრებს — ფრიდონ ინჯიას და ბაკურ გულუას. მოახერხა ავტომობილების ტექდათვალიერების სისტემაში არსებული მაფიის დამარცხება, ტექდათვალიერების საფასურის 40-ჯერ გაიაფება.

სააკაშვილმა ჩაიბარა განადგურებული, მესამეხარისხოვანი იუსტიციის სამინისტრო და სულ რამდენიმე თვეში მთლიანად რეფორმირებული დატოვა. მისი მუშაობის დროს, 8 თვეში ციხიდან ვერც ერთი კრიმინალი ვერ გაიქცა.

თბილისის საკრებულოში სააკაშვილის მისვლის შემდეგ მისი ინიციატივით საკრებულოს წევრებმა ხელფასები გაინახევრეს. თბილისის ყოველ მოსახლეს საშუალება მიეცა წელიწადში სამჯერ უფასოდ გამოეძახა სასწრაფო დახმარება, ყოველი ახალშობილის მშობ-

ლები სამშობიაროშივე ერთდროული დახმარების სახით იღებენ 50 ლარს. ახალი სასწავლო წლის დასაწყისისათვის ყველა თბილისელ პირველკლასელს უფასოდ დაურიგდა სახელმძღვანელოების სრული კომპლექტი, რვეულები, ჩანოები. ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოები უფასოდ მიეცათ მეორე— და მესამეკლასელებს. თბილისის ყველა პედაგოგ-მასწავლებელსა და სასწავლო დაწესებულებების ტექნიკურ პერსონალს უფასოდ მიეწოდება ბუნებრივი აირი. თბილისელ პენსიონერებს მოემატათ პენსია 3 ლარით. დაიწყო და წარმატებით ხორციელდება სახურავებისა და ლიფტების რემონტის პროგრამა. ერთ წელიწადში თბილისში შეკეთდა 100-ზე მეტი სათამაშო მოედანი და 50 სკვერი. საკრებულომ აღკვეთა უკანონო მშენებლობანი, 30 უკანონოდ გაცემული მიწის ნაკვეთი ქალაქს დაუბრუნდა. ბათილად გამოაცხადა ყველა დადგენილება, რომელიც ეწინააღმდეგებოდა მიწათსარგებლობის კანონს. შეჩერდა ნორმების დარღვევით მიმდინარე 80 მშენებლობა. შეწყდა ხეების უმოწყალო ჩეხვა. მეტროების მიმდებარე ტერიტორიები განთავისუფლდა შეუხედავი სავაჭრო ჯიხურებისაგან. 9 აპრილის ბაღში დაიდგა სკულპტურული კომპოზიცია. გმირთა მოედანზე გაკეთდა მემორიალური კედელი, რომელზეც ოქროს ასოებითაა ამოტვიფრული სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ომებში დაცემულ გმირთა სახელები, ანთია მარადიული ცეცხლი.

ამრიგად, საკრებულოს არჩევნების წინ თბილისთან დადებული ხელშეკრულება ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ გაანაღდა, შეასრულა მოსახლეობისათვის მიცემული დაპირებები. ამიტომ ხალხის მხარდაჭერით იმედმოცემულმა ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ აქტიურად დაიწყო საქართველოს პარლამენტის წინასაარჩევნო კამპანია, რომელსაც სათავეში მიხეილ სააკაშვილი ჩაუდგა.

ნაციონალების პროგრამა გასაგები იყო ამომრჩევლებისათვის. მთავარი ლოზუნგი გახდა — დავიბრუნოთ საქართველო! „რა გვსურს ჩვენ? კითხვას უსვამდა ხალხს სააკაშვილი, — ის, რომ ჩვენი შვილები ცხოვრობდნენ ქვეყანაში, რომელშიც ხელისუფლება იქნება მამალაძეების, რჩეულიშვილების, სარიშვილების ხელში, თუ სტაბილურად ბედნიერ, წარმატებულ საქართველოში, რომელშიც თითოეულის ძომავალი დაცული იქნება? დროა დავიბრუნოთ იმედი, პერსპექტივა და იმედთან ერთად დავიბრუნოთ ჩვენი ქვეყანა“.

ნაციონალურმა მოძრაობამ საქართველოსთან ხელშეკრულება გააფორმა, რომელშიც მოსახლეობას პირდებოდა, რომ თუ საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვებდა: 1. არჩევნების შემდეგ მიღებულ პირველსავე ბიუჯეტში საქართველოში პენსია გაორმაგდებოდა, ხოლო მოქალაქეები შრომის, სტაჟისა და დამსახურების მიხედვით მიიღებდნენ დანამატებს. 2. გაუქმდებოდა 20 ჰექტარამდე სასოფლო-სამეურნეო მიწის გადასახადი და მოხდებოდა ძველი დავალიანებებისა და საურავების ჩამოწერა. 3. მცირე ბიზნესი 2 წლით განთავისუფლდებოდა ყველა გადასახადისაგან, რაც შექმნიდა ასობით ათას სამუშაო ადგილს. 4. ყველა ბავშვი სკოლის სახელმძღვანელოებს მიიღებდა უფასოდ. 5. პარლამენტი მიიღებდა კანონს „დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის შესახებ“. ხალხს დაუბრუნდებოდა უკანონოდ პრივატიზებული მსხვილი და სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტები. 6. მოხდებოდა რაიონების გამგებლებისა და ქალაქის მერის პირდაპირი არჩევნები. 7. დაიწყებოდა რეფორმები სამართალდამცავ ორგანოებში. 8. სამედიცინო მკურნალობა გახდებოდა ხელმისაწვდომი ყველა მოქალაქისათვის.

ამ ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ნაციონალური მოძრაობა იღებდა ვალდებულებას, მის

დეპუტაციას დაეტოვებინა პარლამენტი და აღარ წამოეყენებინა საპრეზიდენტო კანდიდატი 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე. ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ წარმოადგინა აგრეთვე ეკონომიკური პროგრამა — „სოციალურად სამართლიანი საქართველოსთვის“, რომლის ავტორი გახლდათ დასავლეთში ყველაზე წარმატებული ქართველი ეკონომისტი გია მაისაშვილი.

ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ ფართოდ გაშალა წინასაარჩევნო კამპანია. შევარდნაძის რეჟიმი გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდა მას. მიუხედავად ამისა, ნაციონალებმა შეაღწიეს ქვემო ქართლსა და აჭარაში. ხელისუფლების მხრიდან იყო დარბევები, ქვებისა და ტყვიის სროლაც, აქტივისტების დაპატიმრებები, მაგრამ ნაციონალურ მოძრაობას უკან არ დაუხევია. თავად მიხეილ სააკაშვილი მიუძღოდა თავის მომხრეებს და პირადად ხვდებოდა ყველაზე ცხელ წერტილებ'მიც კი ამომრჩეველს, რომელსაც იგი თავის ყველაზე დიდ მოსარჩლედ მიაჩნდა. ხელისუფლება ისე გათავხედდა, რომ ზუგდიდში სააკაშვილთან შესახვედრად შეკრებილი მიტინგი გადაცმული პოლიციელებისა და კრიმინალების ხელით დახვრიტა. დაიჭრნენ ადამიანები, საბედნიეროდ არავინ დაღუპულა. ამ ინციდენტმა ხელისუფლებას დაანახვა, რომ ქართველი საზოგადოების დაშინება შეუძლებელი გახლდათ. სულ რაღაც ხუთ-ექვს თვეში ნაციონალური მოძრაობა ჩამოყალიბდა ყველაზე ძლიერ, გამბედავ და ინტელექტუალურ ძალად. 31 ოქტომბერს სპორტის სასახლეში შეკრებაზე მიხეილ სააკაშვილი ამბობდა: „საქართველოს ბევრად უფრო გონიერი დამპყრობლები ახსოვს, ვიდრე შევარდნაძეა. საქართველომ ყველაფერს გაუძლო. ჩვენ დღესაც გავიმარჯვებთ! ოცდაათწლიანი მართველობის შემდეგ ჩვენ ერთად გავაცილებთ თანამე-

დროვე მსოფლიოს ერთ-ერთ ბოლო დიქტატორს — ედუარდ შევარდნაძეს. გაფრთხილებთ, ხელისუფლება დიდი გაყალბებისათვის ემზადება, „ნაციონალური მოძრაობა“ დიდი გამარჯვებისთვის და კიდევ — 2 ნოემბერს თუ გაიმარჯვებს, „ნაციონალური მოძრაობა“ მზად არის აიღოს პასუხისმგებლობა ქვეყნის მომავალზე“. ჩვენ დავიბრუნებთ საქართველოს! გაუმარჯოს საქართველოს შევარდნაძის გარეშე!“.

ამ ლოზუნგების გარშემო დაირაზმა საქართველოს მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილი. 2 ნოემბრის პარლამენტის არჩევნებისას მოსახლეობის თითქმის მესამედს ე.შევარდნაძის რეჟიმმა ხმის უფლება წაართვა. შოკირებული იყო მთელი საქართველო, უცხოეთის დამკვირვებლებიც. ხალხი გამწარებული ეძებდა საკუთარ თავს საარჩევნო სიებში. ტოტალური გაყალბება მოხდა ქვემო ქართლსა და ზოგიერთ რეგიონში, მათ შორის, ახმეტის რაიონის მთელ რიგ საარჩევნო უბნებშიც. პოლიცია და კრიმინალური დაჯგუფებები იჭრებოდნენ საარჩევნო უბნებში, იპარავდნენ და ამტვრევდნენ ყუთებს. მიუხედავად ყოველივე ამისა, ორგანიზაცია „საქართლიანი არჩევნების“ პარალელურმა ხმის დათვლამ აჩვენა, რომ ბლოკი „სააკაშვილი — ნაციონალური მოძრაობა“ უდიდესი უპირატესობით ლიდერობდა. ხალხი გამარჯვებას ზეიმობდა. თუმცა, ჯერ კიდევ არ იყო მოსული ხმები აჭარიდან. ტელეარხებზე გამოსული რეჟიმის წარმომადგენლები იქადნებოდნენ, ნახავთ, ხვალ რა შედეგები დაფიქსირდებაო. მართლაც, მეორე დღეს, ცესკოს მონაცემებით სახელისუფლო ბლოკი გალიდერდა. ნაციონალური მოძრაობა მეორეზე ჩაამოაქვეითეს, ხოლო „ბურჯანაძე-დემოკრატები“ სულაც 7 პროცენტიანი ბარიერის სიახლოვეს დააყენეს. სააკაშვილმა მყისვე მისცა რეაქცია მომხდარს. „მე ვალდებული ვარ დავიცვა არა მარტო ჩემი გუნდის გამარ-

ჯვება, არამედ სხვა ოპოზიციური პარტიების ინტერ-ესებიც“, — განაცხადა მან.

ხელისუფლების ცინიზმი ზღვარს გადასცდა. ქარ-თველი ხალხი დემოკრატიის დასაცავად ქუჩაში გავი-და. „თუ შევარდნაძეს უნდა რევოლუცია, იგი მიიღებს რევოლუციას“, — განაცხადა სააკაშვილმა და შევარდ-ნაძეს წინადადება მისცა — თუ 5 ნოემბერს 12 საათამდე ოპოზიციის გამარჯვებას არ აღიარებდა, გამოვიდოდა ინიციატივით, შექმნილიყო ერთიანი წინააღმდეგობის ფრონტი და დაწყებულიყო მანიფესტაციები სახელმწი-ფო კანცელარიის წინ პრეზიდენტის გადაყენების მოთხ-ოვნით. მართლაც, 4 ნოემბერს თავისუფლების მოედანზე გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, რასაც შევარდნაძემ ქალაქში რკინისფარიანი და ნიღბიანი სპეცრაზმების მობილიზებით უპასუხა. აღიძრა სისხლის სამართლის საქმეები მიხეილ სააკაშვილისა და ოპოზიციის სხვა ლიდერების წინააღმდეგ.

5 ნოემბერს ამერიკის საელჩომ საქართველოში გამოთქვა შეშფოთება ხმების დათვლის დაგვიანების გამო. აჭარიდან ხმების მიღების შემდეგ მოსალოდნე-ლი იყო დემოკრატიული აღორძინების კავშირის აღზევება. სახელისუფლებო ბლოკთან ერთად ის სა-კონსულტაციო უმრავლესობას შექმნიდა პარლამენტ-ში. მიტინგმა, რომელსაც რაიონიდან ჩამოსულებიც ესწრებოდნენ, თავისუფლების მოედნიდან „იმელთან“ გადაინაცვლა. სააკაშვილმა შევარდნაძეს ულტიმატუმი წაუყენა: „ცესკომ გააუქმოს 2 ნოემბრის საპარლამენ-ტო არჩევნების შედეგები მარნეულის, ბოლნისის, ტყიბულის, ბათუმისა და ქობულეთის საარჩევნო ოლ-ქებში, ასევე საზღვარგარეთისა და რუსეთის საარჩევნო ოლქებში, როგორც არჩევნების გამყალბებლები, თან-ამდებობიდან განთავისუფლდეს ყველა გამგებელი, გუ-ბერნატორი და პოლიციის უფროსი. დაუყოვნებლივ გან-

თავისუფლდეს „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ წევრი დამკვირვებელი გიორგი მშვენიერიძე, რომელიც აჭარაში დააკავეს. თუ ამ მოთხოვნებს არ შეასრულებს, „ჩვენ პრეზიდენტ შევარდნაძის გადადგომას მოვითხოვთ და მას გავასამართლებთ“. ეს მოთხოვნები 2 დღეში უნდა შეესრულებინა ხელისუფლებას. მეორე დღესაც გაათმაგებული ძალით უნდა შეეტიათ არჩევნების გამყალბებლებისათვის. 10 წლის წინათ ი.სარიშვილმა ხალხი დააჩოქა შევარდნაძის წინაშე. ახლა „იმელი“ ის ადგილი უნდა გახდეს, სადაც საქართველო ფეხზე წამოდგომას იწყებს. მოშიტინგეები დაიშალენ და შეკრების ვადად ცესკოს მიერ არჩევნების შედეგების გამოცხადების დღე დათქვეს.

6 ნოემბერს სააკაშვილი და მისი მხარდამჭერები გორის საოლქო კომისიასთან შეიკრიბნენ და ხელი შეუშალეს ხმების გაყალბებას.

საღამოს აჭარიდან მოსულმა ხმებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. გაბერილი ციფრებით პირველ ადგილზე გასული „აღორძინება“ მეორეზე გადმოსვეს. პრეზიდენტის პრესსამსახურმა კი ამერიკის ელჩის განცხადების შინაარსიც გააყალბა, რასაც რიჩარდ მაილსის მწვავე რეაქცია მოჰყვა. ხელისუფლებამ კავშირი გაბა აჭარის დანაშაულებრივ რეჟიმთან და პირველი-მეორე ადგილები გაიყვეს. სააკაშვილმა ხალხს მოუწოდა 8 ნოემბრისათვის შეკრებილიყო თბილისში, თავისუფლების მოედანზე და დაეცვა თავისი კონსტიტუციური უფლებები.

დამფრთხალი ხელისუფლება პირდაპირ ტერორის გზას დაადგა. 8 ნოემბერს ზუგდიდში მიტინგის მონაწილეებს, რომლებიც მიხეილ სააკაშვილის გამოჩენას ელოდნენ, ავტომატებით შეიარაღებული ნიღბიანები დაესხნენ თავს. 15 წუთის განმავლობაში ისროდნენ, რის შედეგად ორი აქტივისტი დაიჭრა. მათ სასწრაფო

ოპერაციის გაკეთება დასჭირდათ. სააკაშვილი თავდამსხმელთა წინააღმდეგობის მიუხედავად, მომიტინგეებთან მივიდა. ხალხი ლიდერის გამოჩენას ოვაციით შეხვდა.

„ზუგდიდში დაღვრილი სისხლის თითოეული წვეთი უკანვე დაუბრუნდება თავად შევარდნაძეს, ეს ყველაფერი მას ძვირად დაუჯდება!“ ამგვარი იყო სააკაშვილის განცხადება.

8 ნოემბერს თავისუფლების მოედანზე გრანდიოზული აქცია ჩატარდა. აქ შეიკრიბნენ საქართველოს ყველა ფენისა და ასაკის ადამიანები, პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტა, რომელიც უპირისპირდებოდა მოძალადე ხელისუფლებას; ხელისუფლებას კი ჯიუტად არ უნდოდა ეღიარებინა არჩევნებში საკუთარი დამარცხება. ოპოზიციურმა ძალებმა პარლამენტის წინ გადაინაცვლეს და იქ დაიწყეს უვადო საპროტესტო აქცია. რამდენიმე პარლამენტარმა შიმშილობა გამოაცხადა. კრიზისი ღრმა ფაზაში შევიდა. შევარდნაძემ სიტუაციას ალღო ვერ აუღო. ხალხთან მისვლის ძველ მეთოდს მიმართა, მაგრამ პირში ჩალაგამოვლებული დარჩა. აქციის მონაწილენი შეხვდნენ-შეძახილებით: „გადადექი, გადადექი!“. მას ქალბატონი ბურჯანაძე მიუახლოვდა და რამდენიმე სიტყვა უთხრა. შევარდნაძე მიხვდა, რომ იქ არაფერი ესაქმებოდა და მანქანაში ჩაჯდა. ამ დროს სააკაშვილი გამოჩნდა, წინ გადაუდგა და მას ხალხთან დიალოგი შესთავაზა. შევარდნაძემ ეს ვერ გაბედა და წავიდა. მთელი დღის განმავლობაში პრეზიდენტი ტელეფონით ელაპარაკებოდა რუსეთის პრეზიდენტს, რამდენჯერმე შეხვდა რუსეთის ელჩს. ეს სააკაშვილმა მიტინგზე გამოსვლისას უარყოფითად შეაფასა და ქვეყნისათვის საშიშად მიიჩნია.

9 ნოემბერს კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში მიწვეულ ოპოზიციის ხელმძღვანელ სამეულთან

შეხვედრის დროს ე.შევარდნაძემ რაღაც „სამუშაო ჯგუფის“ შექმნაზე დაიწყო ლაპარაკი. შეხვედრიდან ადრე გამოსული სააკაშვილი აცხადებს: „პრეზიდენტმა აქ დროის გასაყვანად მოგვიყვანა; მას საბოლოოდ გადაწყვეტილი აქვს, რომ ქართველი ხალხი აბუჩად აიგდოს“. მიტინგზე გამოსულმა სააკაშვილმა მოუწოდა საქართველოს თითოეულ მოქალაქეს: „გამოდით ჩვენთან, შემოგვიერთდით, დადექით ჩვენს გვერდით, რათა ისევ არ გადაგვიარონ, არ შეურაცხვგყონ, საბოლოოდ არ გაანადგურონ საქართველო. შევარდნაძე დაუკავშირდა რუსეთის პრეზიდენტს და მისგან გარანტიები მიიღო. ჩვენ არავისთან არ გვინდა ცუდი ურთიერთობა, მაგრამ მინდა მივმართო რუსეთს — ნუ გამოიყენებს ძალას საქართველოს წინააღმდეგ“.

საპროტესტო აქციის მეოთხე დღეს, მიუხედავად წვიმისა და სიცივისა, ხალხი დათმობას არ აპირებდა. აქციას ემატებოდა სხვადასხვა რაიონიდან ჩამოსული ხალხი. ისინი არღვევდნენ გზებზე აღმართულ ბარიერებს და პოლიციის პიკეტებს, მოდიოდნენ, რათა საკუთარი მოქალაქეობრივი პოზიცია დაეფიქსირებინათ. თავის მხრივ, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებმა მრავალრიცხოვანი მხარდამჭერი მიტინგები გამართეს ქუთაისსა და კახეთის ქალაქებში.

ამგვარ სიტუაციაში ე.შევარდნაძე ბათუმს ეწვია და ასლან აბაშიძესთან მოლაპარაკება გამართა. აჭარის პატარა დიქტატორმა მოუწოდა მას, სასტიკად გასწორებოდა ოპოზიციონერებს. ამ საქმეში დახმარებასაც შეპირდა.

ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე საპროტესტო აქციები მსოფლიოს წამყვანი ტელეარხებისა და გაზეთების მთავარი თემა გახდა. ისინი მხარს უჭერდნენ საქართველოს დემოკრატიზაციის კურსს და შეშფოთებით აკვირდებოდნენ შევარდნაძის ჩრდილოეთისაკენ სწრაფვას.

მომდევნო დღესაც აქცია წვიმაში გრძელდებოდა. ქართული ესტრადის წარმომადგენლებმა თავიანთი მხარდაჭერა მუსიკალურადაც გამოხატეს. მომიტინგეებმა ხალხური სიმღერები დააგუგუნეს. შემდეგ ცეკვათამაშიც გამართეს. დებოშიორებმა სცადეს, სიტუაცია აერიათ, მაგრამ ყველაფერი სწრაფად და უექსცესოდ დამთავრდა. აქცია ძალას იკრეფდა. მას მხარი დაუჭირა სამედიცინო და საგანმანათლებლო დაწესებლებების მუშაკებმა. „გადამხდელთა კავშირმაც“ ხმა ამოიღო, მხარებს დიალოგისკენ მოუწოდა. 12 ნოემბრის აქციაზე დაიწყო ხელმოწერების შეგროვება შევარდნაძის გადადგომის მოთხოვნით. პარლამენტის შენობის კედელზე გაიჭიმა დიდი ეკრანი და აქციის მონაწილეებს საშუალება მიეცათ, ეცქირათ „რუსთაველი-2“-ის გადაცემებისთვის. მოვიდა ინფორმაცია, შევარდნაძე ამერიკის ელჩთან შეხვედრის შემდეგ დათმობებს აპირებს და ოპოზიციას მოსალაპარაკებლად იწვევსო. ამაზე სააკაშვილმა განაცხადა: „შევარდნაძეს თავი არ უნდა მოვატყუებინოთ, ის ტყუილების დიდოსტატია, ჩვენ ვართ მომხრე საჯარო ბრძოლის, საჯარო დიალოგისა დასაჭირო გამარჯვების“.

13 ნოემბერს აქციას პოლიტიკური გაერთიანება „ერთობა“ შეუერთდა. ფილარმონიაში შეკრებილ მომხრეებს სიტყვით მიმართა გაერთიანების თავმჯდომარემ ჯუმბერ პატიაშვილმა და პირველად ღიად განაცხადა, რომ 1989 წლის 8 აპრილს მოსკოვიდან საიდუმლოდ ჩამოფრენილ თვითმფრინავში ედუარდ შევარდნაძე იჯდა და აქით, ფაქტიურად, დაადასტურა, რომ მისი ხელდასმით დატრიალდა 9 აპრილის ტრაგედია. შემდეგ პატიაშვილი და მისი ხალხი პარლამენტთან გამართულ აქციას შეუერთდა. ასევე შეუერთდნენ აქციას „ეროვნულები“, გურამ აბსანძის მეთაურობით. პრეზიდენტი არანაირ კომპრომისზე წასვლას არ აპირებდა.

საპროტესტო აქციამ კულმინაციას მიაღწია. მიხეილ

სააკაშვილმა საგანგებო სიტყვით მიმართა საქართველოს მოსახლეობას. მოუწოდა ყველა მოქალაქეს, მიუხედავად ეთნიკური წარმომავლობისა, რომ საქართველო ჩვენი საშობლოა. „დღეს წყდება თითოეული ჩვენგანის ბედი. მიუხედავად იმისა, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ დიდი უპირატესობით გაიმარჯვა 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებში, არ ვიბრძვით ჩვენი პირადი ხელისუფლებისათვის და არ ვუპირისპირდებით პიროვნულად არავის, მათ შორის, იმ ხალხსაც, ვინც აქტიურად გვებრძვის. ხელს ვუწვდით ყველა პოლიტიკურ პარტიას და მის რიგით წევრებს. ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობას, რომელსაც პოლიტიკასთან შეხება არა ჰქონია. დღეს გადამწყვეტი დღეა საქართველოსთვის. ყველამ ერთად მოვითხოვოთ პრეზიდენტ შევარდნაძის გადადგომა, მისი 30-წლიანი მმართველობის დასასრული. თუ გვინდა, რომ გადავრჩეთ წყვდიადს, თუ გვინდა, რომ გადავრჩეთ ყაჩაღების რეჟიმს, თუ გვინდა, რომ საკუთარ თავს და შვილებს მომავალი მივცეთ, დღეს 4 საათზე ყველა — სტუდენტები, პროფესორები, მუშები, მეცნიერები, უმუშევრები, ბიზნესმენები — ყველანი უნდა დავდგეთ რუსთაველზე და ვაჩვენოთ შევარდნაძეს ჩვენი ძალა“.

სააკაშვილმა მიმართა პოლიციელებს: თქვენ გაგამათხოვრათ და დაგამცირათ ამ ადამიანმა. ამიტომ უნდა დადგეთ ხალხის გვერდით. გამარჯვება ძალიან ახლოს არის, ძალა ერთობაშია! ყველანი ერთად თუ დავდგებით, აუცილებლად გავიმარჯვებთ!

სააკაშვილის მიმართვას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ადგილებზე დაიწყო წინააღმდეგობის კომიტეტების შექმნა, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ საპროტესტო აქციებს რეგიონებში. ხდება სახელმწიფო დაწესებულებების ბლოკირება. თელავში ნაციონალური მოძრაობის აქტივისტებმა გამგეობიდან გამოაძევეს გამგებელი მედეა მეზვრიშვილი, იგივე მოხდა ზუგდიდ-

ში, ხობში. ფოთშიც გრანდიოზული მიტინგი გაიმართა. იგივე ხდება ქუთაისში, გორში, რუსთავში. „წადი! გადადექი!“ — სკანდირებდა მთელი საქართველო. ე. შევარდნაძე დიდად აამა მორიგმა საუბარმა ვ. პუტინთან, რომელმაც სრული მხარდაჭერა და თანადგომა გამოხატა საქართველოს პრეზიდენტისადმი. საძაგიეროდ, სატელეფონო საუბარი ვერ შედგა აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივან ჯეიმს ბეიკერთან, ვითომდა ტექნიკური მიზეზებით. სინამდვილეში შევარდნაძემ კავშირზე გამოსულ ბეიკერს განგებ არ უპასუხა. ეს უკვე რეჟიმის აგონია იყო.

4 საათისთვის 50 ათასზე მეტი კაცი შეიკრიბა პარლამენტის შენობის წინ. გამოსვლათა დასრულების შემდეგ მომიტინგეთა ნაწილი სახელმწიფო კანცელარიისაკენ დაიძრა, მაგრამ იქ ყველა ვიწრო მისადგომი პოლიციის კორდონებით და ავტომანქანებით იყო ჩახერგილი. მოალყეები და სამართალდამცავები ერთმანეთს თანაუგრძნობდნენ. კანცელარიასთან მისვლა დროებით გადაიდო. დემონსტრანტებმა ცესკოს შენობაში შეაღწიეს. 50-მდე დეპუტატობის კანდიდატმა იქ მჯდომარე აქცია გამართა. მომიტინგეებმა ალყა შემოარტყეს პარლამენტსა და კანცელარიის შენობებს. სააკაშვილმა მომიტინგეებს მოუწოდა, აქტიურად ჩართულიყვნენ დაუმორჩილებლობის კამპანიაში. ამის შემდეგ რუსთაველზე ზეიმი დაიწყო.

ეს ყველაფერი რეჟიმის დამარცხებისათვის მაინც საკმარისი არ აღმოჩნდა. კანცელარიაში შემუშავდა საიდუმლო გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა, რაც შეიძლება სწრაფად გამოეცხადებინა ცესკოს საპარლამენტო არჩევნების შედეგები, მეორე დღესვე შეკრებილიყო ეს ე.წ. დანიშნული პარლამენტი და პირველსავე სხდომაზე არჩეულიყო პარლამენტის ახალი თავმჯდომარე. განიხილებოდა ნიკო ლეკიშვილის, ჯემალ გოგიტიძისა და ვაჟა ლირთქიფანიძის კანდიდატურე-

ბი. ამის შემდეგ, როცა პარლამენტი გადაწყვეტილებას მიიღებდა, გარკვეულწილად ლეგიტიმური გახდებოდა, სახალხო პროტესტები მნიშვნელოვნად დაკარგავდა აზრს და ფაქტობრივად შევარდნაძე სახოგადოებას დააყენებდა დილემის წინაშე – შევარდნაძე თუ აბაშიძე? ამით შეეცდებოდა გამოსვლების სიმწვავე შეენელებინა. ამასთან, მას რუსეთის სამხედრო მხარდაჭერის იმედიც ჰქონდა. აჭარის მმართველები აპირებდნენ თბილისში ათასობით გადაცმული, შეიარაღებული პოლიციელისა და სპეცრაზმელის გამოგზავნას. ამიტომ, 16 ნოემბერს ფილარმონიაში გამართულ შეკრებაზე ოპოზიციის ლიდერებმა განაცხადეს, რომ ფართომასშტაბიანი აქციები ვერ აშფოთებს რეჟიმს და უნდა დაადგნენ სამოქალაქო დაუმორჩილებლობის გზას. შეიქმნა სამოქალაქო დაუმორჩილებლობის მთავარი კომიტეტი, რომელმაც მიმართა საქართველოს საზოგადოებას.

საქართველოს ყველა მხარესა და რაიონში, ქალაქსა თუ სოფელში შეიქმნა დაუმორჩილებლობის კომიტეტები და შტაბები, დაუმორჩილებლობის პირველადი ორგანიზაციები. მოეწყო მშვიდობიანი პიკეტები სამხარეო და რაიონული ადმინისტრაციების შენობებთან, რათა შევარდნაძის ჩინოვნიკებს არ მისცემოდათ ჩვეულ რეჟიმში მუშაობის საშუალება. დაუმორჩილებლობის მთავარმა კომიტეტმა მოუწოდა საქართველოს ყველა მოქალაქეს,შეერთებოდნენ ხელმოწერის აქციას ხელახალი საპარლამენტო და რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნის მოთხოვნით. მეწარმეებს მოუწოდეს, გადაეხადათ მხოლოდ ის გადასახადები, რომლებიც განკუთვნილი იყო სოციალური და საპენსიო ფონდებისათვის.

მიხეილ სააკაშვილი პირადად ჩაუდგა სათავეში რეგიონების მობილიზაციას. ზუგდიდი, აბაშა, სენაკი, გურჯაანი, აი ქალაქები, სადაც საყოველთაო დაუმორჩილე-

ბლობა სრულად გაიშალა. მათ შეუერთდა ხობი, ლენტეხი, რუსთავი, ქუთაისი. სააკაშვილმა თქვა, რომ პირადად ჩაუდგებოდა სათავეში ხალხის მობილიზებას და გამოუძღვებოდა თბილისისაკენ. მიუხედავად იმისა, რომ ე.შევარდნაძემ უცხოელი ჟურნალისტებისათვის გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, მანამ არ აუდგეთ გვერდები, სანამ მე არ გადავდგეო, საკუთარ სკამს შეხრდილ პრეზიდენტს კანცელარიიდან სააკაშვილი იმ სკამიანად გამოიყვანს. დაუმორჩილებლობის პროცესში ჩაერთო თელავი, ახალციხე, ზუგდიდი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის 126-ე საშუალო სკოლა.

შეშინებულმა ხელისუფლებამ კონტრზომებს მიმართა. ოპოზიციისგან განთავისუფლებული პარლამენტის შენობის წინა მოედანი „აღორძინების", მანანა არჩვაძისა და გურამ შარაძის მომხრეებმა დაიკავეს და დაუმორჩილებლობის მომხრეთა ლანძღვა-ვინება დაიწყეს. საღამოს მათ პირველი ბათუმური დესანტი დაახმარეს.

19 ნოემბერს დაუმორჩილებლობამ მოიცვა ჩოხატაური, ოზურგეთი, ლანჩხუთი. ქარელში დაიწყო პედაგოგთა საპროტესტო გამოსვლები. თბილისში „აღორძინებამ" ჯერ სპორტის სასახლეში, შემდეგ კი პარლამენტის წინ აქციები გამართა. სააკაშვილმა ხალხი გააფრთხილა, რომ არ პქონოდა კონტაქტი აჭარიდან ჩამოსულ უკანონო ბანდფორმორებებთან, რადგან მოსალოდნელი იყო პროვოკაციები.

მთავრობის სხდომაზე შევარდნაძემ მკაცრად გააკრიტიკა სახელმწიფო ტელევიზიის პირველი არხი და მოსთხოვა მას სამთავრობო გამხდარიყო, რის პასუხად ტელევიზიის ხელმძღვანელმა ზაზა შენგელიამ სხდომა დატოვა და მალე მას გადადგომა მოთხოვეს. ზაზა შენგელიას სოლიდარობა გამოუცხადა მეუღლემ კულტურის მინისტრმა სესილი გოგიბერიძემ. პროტესტი რბილად გამოთქვეს ტელევიზიის მუშაკებმაც, ხოლო პირველი არხის „დამრტყმელი" გადაცემის წამყვანმა კოკა ყანდიაშვილმა, უარი თქვა გადაცემა „რა ხდება?"-ს ეთერში

გასვლაზე. ეს უკვე შიდა კრიზისის მანიშნებელი იყო. დგებოდა გადამწყვეტი დარტყმების ჟამი.

20 ნოემბერს ცესკომ არჩევნების შედეგები გამოაცხადა. ხელისუფლების მონურად მორჩილმა ცესკოს წევრებმა არაფრად ჩააგდეს სასამართლოებში შეტანილი ასობით საჩივარი და დამკვირვებელთა და პარალელური დათვლის შედეგები და უსირცხვილოდ გაამარჯვებინეს სახელისუფლო ბლოკსა და „აღორძინებას“. იმავე დღეს გერმანულმა „ბილდმა“ გამოაქვეყნა შევარდნაძის კუთვნილი 11 მილიონ ევროდ შეძენილი ბადენ-ბადენური ვილის სურათი და მისი აღწერა. ამით საბოლოოდ დაიმსხვრა მითი საქართველოს პრეზიდენის არაკორუმპირებულობაზე. მ. სააკაშვილმა განაცხადა, რომ არჩევნების შედეგები არის ხელისუფლების უზურპაცია, ქართველი ხალხის ნებასთან მას საერთო არაფერი აქვს, რომ ეს არის სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა დიქტატორ შევარდნაძის მხრიდან და იგი სწრაფად უნდა მოაშორონ ხელისუფლებას.

სააკაშვილი თვითონ ჩაუდგა სათავეში დასავლეთ საქართველოდან თბილისისაკენ დაძრულ მოქალაქეთა მარშს, რომელსაც გვიან ღამით ქუთაისში დიდი მიტინგი დახვდა. მარშის მონაწილენი იმ ღამეს ქუთაისში დაბანაკდნენ. საღამოს გავრცელდა ცნობა, რომ გაიმართა საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველების მხარდამჭერი აქციები ჰამბურგში, ლონდონში, ათენში, მოსკოვში, კიევსა და სხვა მრავალ ქალაქში. საპროტესტოდ ემზადებოდა აშშ-ში მცხოვრები ქართველობაც. საგაფიცვო მოძრაობამ მოიცვა თბილისის ყველა უმაღლესი სასწავლებელი.

მეორე დღეს წალენჯიხიდან დაძრული ავტომანქანების კოლონა, რომელსაც გზადაგზა უამრავი მხარდამჭერი უერთდებოდა, კიდევ მეტი ხალხი ტაშითა და ყვავილებით ეგებებოდა, თბილისის შესასვლელთან მრავალკილომეტრიანი გახდა და ისეთი შთამბეჭდავი იყო, რომ აღტაცებას ვერავინ მალავდა. ამ ხალხს აერ-

თიანებდა ერთი მიზანი, აღედგინა ხელისუფლების მიერ შელახული საკუთარი ღირსება და ამას აკეთებდა არა ძალადობით და ბოღმით, არამედ სიკეთითა და ურთიერთსიყვარულით. დასავლეთის მხრიდან თბილისში შემოსულ ხალხს დახვდა კახეთიდან და ქვემო ქართლიდან ჩამოსული პროტესტანტები. თავისუფლების მოედანზე გაიმართა დიდი მიტინგი. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ადამ ერელმა უმკაცრესი შეფასება მისცა საქართველოში საპარლამენტო არჩევნების ტოტალური გაყალბების ფაქტს. ე. შევარდნაძის წინააღმდეგ განცხადებით გამოვიდა მისი მრჩეველი აკადემიკოსი ლევან ალექსიძე, ხოლო უშიშროების საბჭოს მდივანმა თედო ჯაფარიძემ ფაქტიურად სააშკარაოზე გამოიტანა და დაგმო ე.შევარდნაძისა და მისი მმართველობის მანკიერი სტილი.

მიხეილ სააკაშვილი გამოვიდა საპროგრამო განცხადებით: „დღეს ჩვენ საქართველოში საქმე გვაქვს ევროპული ტიპის ხავერდოვან, უსისხლო, დემოკრატიულ, საერთო-სახალხო რევოლუციასთან. ამ რევოლუციის მიზანი არის პრეზიდენტ შევარდნაძის უსისხლო გადაყენება, პრეზიდენტ შევარდნაძის მთავრობის დემოკრატიული გზით ხელისუფლებიდან ჩამოშორება, ჩვენი ღირსების აღდგენა, საქართველოს მომავლის დაბრუნება“. სააკაშვილმა მიმართა საქართველოს მოსახლეობას, აჭარიდან ჩამოსულებს, პოლიციასა და შეიარაღებულ ძალებს — გადმოდით ხალხის მხარესო:

„დღეს ჩვენი ერთიანობის დღეა. ჩვენ ვიწყებთ გამოსვლებს თავისუფლების მოედანზე, მთელი თბილისი, მთელი საქართველო უნდა დადგეს აქ. 23 ნოემბერს არის გიორგობა და ეს დღე სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვების დღეა. დღეს სიკეთე არის ქართველი ხალხის მხარეზე, დღეს ღმერთი არის ჩვენთან. დღეს ბოროტების განსახიერებაა ის კორუმპირებული, თქვენი აბუჩად ამგდები რეჟიმი, რომელიც დგას მეორე მხარეს. ჩვენ

პიროვნულად არავის ჯუპირისპირდებით, მაგრამ პრეზიდენტი შევარდნაძე უნდა გადადგეს და წავიდეს ყოველგვარი სისხლისა და დაძაბულობის გარეშე. ჩვენ დღეს და ხვალ მოვიპოვებთ ჩვენს მომავალს, ჩვენს თავისუფლებას. აღვიდგენთ ჩვენს ღირსებასა და დავუმტკიცებთ მთელს მსოფლიოს, რომ ჩვენ, ქართველები და მოლიანად საქართველოში მცხოვრები თითოეული მოქალაქე, ძლიერი და თავისუფალი, წარმატებული და დიდი მომავლის მქონე ხალხი ვართ. ღმერთი ჩვენთან არის! სიმართლე ჩვენს მხარეზეა. გამარჯვება იქნება ჩვენთან!“.

ამის შემდეგ რაიონებიდან ჩამოსულთათვის ღამის სათევად გაიხსნა თბილისის მერიის შენობა.

23 ნოემბერს, გიორგობის დღეს, თბილისში მზიანი და თბილი დღე გათენდა. დილაადრიან დაიწყო შევსება თავისუფლების მოედანმა. ხალხი უწყვეტ ნაკადად მოედინებოდა. სახელმწიფო კანცელარიისაკენ მომავალი ყველა ქუჩა გადახერგილი იყო მძიმე სატვირთო მანქანებითა და ავტობუსებით. მათ შინაგანი ჯარი და პოლიცია იცავდა. პარლამენტის წინ გამაგრებულნი იდგნენ „აღორძინებისა“ და სახელისუფლო ბლოკის მომხრეები. შევარდნაძის მიერ დანიშნული პარლამენტის სხდომის გახსნა 4 საათზე იყო დანიშნული. მასში მონაწილეობას არ მიიღებდნენ „ნაციონალური მოძრაობა“, „ბურჯანაძე-დემოკრატები“ და ლეიბორისტები. ბოიკოტს „ახალი მემარჯვენეებიც“ შეუერთდნენ. ამიტომ წარმოიქმნა ქვორუმის პრობლემა. სხდომაზე არ მობრძანდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, არც საქართველოში აკრედიტირებული დიპლომატიური სამსახურების ხელმძღვანელები. 16 საათსა და 50 წუთზე დარბაზში შევიდა ახალი „მემარჯვენეების“ დეპუტაცია. ე.შევარდნაძემ მადლობა გადაუხადა დავით გამყრელიძეს და რეგისტრაციის გარეშე გამოაცხადა, ქვორუმი საკმარისზე მეტიაო, ტრიბუნაზე ავიდა და საქართველოს „წარმატებებზე“ დაიწყო საუბარი.

2 საათზე თავისუფლების მოედნიდან ხალხი კანცელარიისაკენ დაიძრა. პოლიცია ცრემლსადენი გაზის ყუმბარების ხალხში სროლა დაიწყო. ხალხი არ შედრკა და უკანვე ესროლა ყუმბარები პოლიციას. მცირეოდენი გაწევ-გამოწევის შემდეგ პოლიციამ და სპეცრაზმებმა ინგოროყვას ქუჩა გახსნეს და მანიფესტანტები მესერთან მივიდნენ. აშკარა გახდა, რომ საჭირო იყო პარლამენტთან გადასაცვლება. მაგრამ ინგოროყვასა და ჩიტაძის ქუჩების გადაკვეთა, საიდანაც პარლამენტთან მისვლა უკანა მხრიდან შეიძლებოდა, ძალიან ვაემაგრებინა ხელისუფლებას. ოპოზიციის ლიდერებმა ნაციონალური მოძრაობის შტაბში ხანმოკლე თათბირი გამართეს. მცირე ხანში ხალხის დაწოლის შიშით პოლიციამ აქაც გახსნა კორიდორი. დემონსტრანტები პარლამენტის სამოსამსახურო შესასვლელთან დადგნენ. ოპოზიციური პარტიის დეპუტაციამ დააპირა პარლამენტში შესვლა, მაგრამ მას წინააღმდეგობა გაუწიეს. არადა, შევარდნაძე უკვე ხსნიდა პარლამენტის სხდომას და, თუ შეძლებდა დანიშნული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობას და ლეგიტიმაციას, პრეზიდენტი მნიშვნელოვან იურიდიულ კოზირს იგდებდა ხელთ. ყველაფერს უკვე წუთები წყვეტდა და მოხდა კიდეც მოსალოდნელი. ოპოზიციამ პარლამენტის შენობა დაიკავა.

საქართველოს წარმატებებზე მოსაუბრე ე. შევარდნაძეს დარბაზში ვარდებით შეჭრილმა მიხეილ სააკაშვილმა მოუწოდა, ნუ თელავდა ფეხქვეშ ქართველი ხალხის ნებას და გადამდგარიყო. დაბნეულმა შევარდნაძემ რაღაცის ლუღლუღი დაიწყო ზრდილობაზე, მაგრამ, როდესაც დარბაზი ოპოზიციის მომხრეებით გაივსო, დაცვამ ხელი დაავლო შევარდნაძეს და პარლამენტიდან გააქცია, მისი ამფსონებიც თან მიჰყვნენ. სამარცხვინოდ გაქცეულმა პრეზიდენტმა პარლამენტის კიბეებთან მდგარ „აღორძინების“ ძალად მომხრეებს

ხელი დაუქნია და შემდეგ მანქანაში ჩასვეს. შეურაცხყოფილმა ჯემალ გოგიტიძემ და ირაკლი ბათიაშვილმა ასეთი გამობუნძურება იუკადრისეს და პარლამენტის სხდომათა დარბაზში შებრუნება გაბედეს, მაგრამ სწრაფადვე ამოიძუეს კუდი და მოცოცხეს.

გამოქცეულ ვაილიდერებს თან მიპყვნენ მათი მომიტინგე „მსარდამჭერებიც“, რომლებმაც შევებით ამოისუნთქეს. მათი დიდი ნაწილი ადგილზე დარჩა, პარლამენტის წინა მოედანზე შემოსულ ოპოზიციის წარმომადგენლებს შეერივნენ და საერთო ზეიმში მონაწილეობა მიიღეს. პარლამენტის შენობის აღებიდან ერთ საათში სახელმწიფო კანცელარიაც „დაეცა“.

ხალხი გამარჯვებას ზეიმობდა, მაგრამ შევარდნაძე გადადგომას არ აპირებდა. მან ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. სამართალდამცავებს „საზოგადოებრივი წესრიგის აღდგენა“ უბრძანა.

შექმნილი ვითარების გამო, პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე საღამოს 9 საათზე იწყებს კონსტიტუციით გათვალისწინებულ მოვალეობათა აღსრულებას. ამ აქტს პარლამენტის წინ შეკრებილი საზოგადოება აღტაცებით ხვდება. მთელი მსოფლიოსთვის ნათელი გახდა, რომ შევარდნაძის გავლენა მხოლოდღა კრწანისის რეზიდენციაზე თუ ვრცელდება. მაგრამ ჯერ კიდევ არსებობს საშიშროება საქართველოს შიდა საქმეებში უცხო ძალების ჩარევისა. ამიტომ, შუაღამისას, როდესაც მომიტინგეები სანთლებით ხელში ხვდებოდნენ გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულის შემობრძანებას, მიხეილ სააკაშვილმა მოსახლეობას მიმართა, საჭიროა კიდევ მეტი სიფხიზლე, თანადგომა და გამძლეობა, რათა უმოკლეს ვადაში ვაიძულოთ ე. შევარდნაძე პოსტიდან გადადგესო.

გათენდა გიორგობა, მიტინგზე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იგორ ივანოვი გამოჩნდა. მიტინგზე მან ილაპარაკა თავის ქართველ დედაზე, თავის ქარ-

თულ ეულზე, რუსეთის სურვილზე, ისილოს ერთიანი და ძლიერი საქართველო. ჩრდილოელმა მეზობელმა სცადა ყველასათვის დაემტკიცებინა, რომ რუსეთი ახლოსაა, ევროპა და ამერიკა კი შორს. ივანოვმა შუამავლის როლი იკისრა.

ამასობაში გავრცელდა ცნობა, რომ ე. შევარდნაძე პარლამენტის მოწვევას კრწანისის რეზიდენციაში აპირებდა, რაზეც მალე იძულებული გახდა, უარი ეთქვა.

14 საათზე პარლამენტში მოვიდნენ უშიშროების მინისტრი და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, რომლებმაც უკომენტაროდ დატოვეს პარლამენტი.

იგორ ივანოვი მეორედ პარლამენტში 15 საათზე მოვიდა, საათნახევრიანი შეხვედრა ჰქონდა ოპოზიციის ლიდერებთან. შეხვედრის შემდეგ მხოლოდ ზოგადი კომენტარები გააკეთა და ისევ კრწანისისაკენ გასწია. ამ პერიოდში გავრცელდა ინფორმაცია, რომ მომიტინგეთა ნაწილი აპირებდა შინაგან საქმეთა სამინისტროსაკენ წასულიყო, ნაწილი კი — სახელმწიფო ტელევიზიისაკენ. ოპოზიცია ტელევიზიის ხელძღვანელობას მოელაპარაკა და ტელევიზიაში დაპირდნენ, რომ ბუნებაზე დოკუმენტური ფილმების ნაცვლად პირდაპირ ეთერში პარლამენტის შენობის წინ მიმდინარე მიტინგს გადასცემდა. მოვიდა ცნობა, რომ ოპოზიციის მხარეს გადავიდა გულუას ბატალიონის 50-მდე ჯარისკაცი. ბატალიონის წევრები პარლამენტის ეზოში სალმით შეხვდნენ მიხეილ სააკაშვილს.

ყოველ 15 წუთში მოდიოდა ცნობები, რომ პოლიციისა და სამხედრო ნაწილები უარს აცხადებენ, დამორჩილებოდნენ შევარდნაძეს.

18 საათზე და 15 წუთზე მ. სააკაშვილი გავიდა მიტინგზე და ხალხს განუცხადა, რომ შევარდნაძეს 19 საათამდე აძლევს ვადას — 19 საათზე კი კრწანისისაკენ დავიძრებით!. ყველა მიხვდა, მუქარას საქმეც მოპყვებოდა. კრწანისიდან სატელეფონო ზარები წამოვ-

იდა, დაიწყო ვაჭრობა. 45 წუთი ძალიან ცოტა დროა გადაწყვეტილების მისაღებად და პრეზიდენტის წასასვლელად. ერთი სიტყვით, ხელისუფლება დროს აჭიანურებდა. საშიში იყო, რომ შევარდნაძე აჭარაში გადაფრენილიყო, რასაც შეიძლება ქვეყნისთვის გაუთვალისწინებელი შედეგები მოჰყოლოდა. არსებობდა მეორე ვერსიაც, თითქოს შევარდნაძეს ივანოვი რუსეთში წაიყვანდა. ეს საქართველოსთვის დამამცირებელი იქნებოდა. კრწანისიდან ისევ დროს ითხოვდნენ. სვლა დაიწყო პრეზიდენტის რეზიდენციისაკენ. 19 საათზე მიტინგზე გავიდა მიხეილ სააკაშვილი და ხალხს სთხოვა. კიდევ მიეცათ შევარდნაძისთვის მცირე დრო, რომ მას ღირსეული გადაწყვეტილება მიეღო.

19 საათზე და 35 წუთზე სააკაშვილი, ჟვანია და ივანოვი კრწანისისაკენ გაემართენ. როგორც მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, ე. შევარდნაძე ბოლო წამამდე ებღაუჭებოდა საკუთარ სკამს, მაგრამ როდესაც ამცნეს, რომ დაიხურა ყველა აეროპორტი, რომ გაუთიშეს ტელეფონები, ბოლოს, როდესაც პირადი ვერტმფრენის პილოტმაც უარი უთხრა მომსახურებაზე და ამცნეს, გააფორებული დემონსტრანტები მალე კრწანისის რეზიდენციაში შემოიჭრებიანო, მხოლოდ მაშინ მოტყდა და მიიღო გადაწყვეტილება გადადგომისა.

ოპოზიციის ლიდერები დერეფანში ჟურნალისტებთან გამოვიდნენ და მათ ეს ამბავი ამცნეს. 20 საათსა და 45 წუთზე მიტინგის თავზე ცაში ფერად-ფერადი შუშხუნები აიჭრა.

ასე დასრულდა ქართული ხავერდოვანი ანუ ვარდების რევოლუცია. თბილისი და მთელი საქართველო ამ დიად გაშარჯვებას ზეიმობდა.

აღტაცებული ქვეყნიერება სულგანაბული ადევნებ და თვალყურს მსოფლიოში ყველაზე სამაგალითო „რევოლუციას“. პირველად ერის ისტორიაში საქართველო გაიცნო მთელმა კაცობრიობამ. იშვიათია ერები, მათ

შორის, ქართველებზე უფრო მრავალრიცხოვანიც, რომლებზეც ერთბაშად ამდენი გამოხმაურება ყოფილიყო მსოფლიოს წამყვან საინფორმაციო საშუალებებში.

პრესის ფურცლებიდან მოვიყვანთ რამდენიმე გამოხმაურებას:

15 ნოემბერი. „ნიუ-იორკ თაიმსი" (აშშ)

პროტესტი იზრდება. შევარდნაძე გადადგომას არ აპირებს. 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების ტოტალური გაყალბება საქართველოს პრეზიდენტის მომხრეებს საეჭვოა, ასე იოლად შერჩეთ. თბილისის ცენტრალურ გამზირზე უკვე შეკრებილია რამდენიმე ათასი აღშფოთებული ამომრჩეველი, რომლებიც საკუთარი ხმის დასაცავად არიან ქუჩაში გამოსულნი. ხალხი მთავრობისაგან არჩევნების უკანონოდ ცნობას და ახალი გაუყალბებელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას მოითხოვს. ასეთ შემთხვევაში კი ძალაუფლება ოპოზიციისა და კერძოდ ნაციონალური მოძრაობის ხელში გადავა, რომლის ერთობ აქტიური ლიდერი, 35 წლის მიხეილ სააკაშვილი საქართველოს მომავალ პრეზიდენტთად ამთავითვე მოიაზრება.

17 ნოემბერი. „ლატერა" (ჩილე):

რუსეთისა და თურქეთის მეზობლად, შავი ზღვის სანაპიროზე არსებობს ასეთი რესპუბლიკა საქართველო, სადაც ახლა ემოციები დუღს და გადმოდუღს. საქმე ის გახლავთ, რომ 2 ნოემბრის არჩევნების ტოტალურ გაყალბებას ხალხი მთავრობას არ პატიობს და ხმების ნორმალურად დათვლას ითხოვს. ამ შემთხვევაში საპარლამენტო უმრავლესობას ერთიანი ნაციონალური მოძრაობა მოიპოვებს, რომლის ლიდერი მიხეილ სააკაშვილი, რომელიც მომავალ პრეზიდენტად მოიაზრება, რეგიონებიდან გეგმავს დედაქალაქ თბილისში მხარდამჭერთა ჩამოყვანას, თუ ქვეყნის პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ხალხის მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებს.

23 ნოემბერი. „კარიერე დელა სერა" (იტალია):

დღეს ქართველი ხალხის დიდი ხნის ნაოცნებარი ახდა. 12 წლიანი მმართველობის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე გადადგა. უფრო სწორად, გადააყენეს, რადგან ასეთი იყო ხალხის ნება. 40000 ადამიანი გასლდათ გამოსული 23 ნოემბერს თბილისის ქუჩებში და ხელისუფლების შეცვლას ზეიმობდა. ახალი, ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები ჯერ არ დანიშნულა, მაგრამ საეჭვოა, მიხეილ სააკაშვილს ვინმემ აჯობოს, თუ არჩევნებს არ გააყალბებენ, იგი საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობისათვის პრეზიდენტის პოსტზე მისაღები პიროვნებაა, მით უფრო, რომ ნაციონალური მოძრაობის ლიდერს ლომის წილი აქვს შევარდნაძისა და მისი დამქაშების გადაყენების საქმეში.

23 ნოემბერი. „ლანასიონი“ (არგენტინა):

დღეს საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე გადადგა. უფრო სწორად, გადააყენეს. ერთ მუშტად შეკრულმა ქართველმა ხალხმა და მისმა ლიდერმა მიხეილ სააკაშვილმა, შევარდნაძეს ყველა უკანდასასევი გზა მოუჭრა. 23 ნოემბერს საქართველოში განვითარებული მოვლენები ნამდვილად შევა ისტორიაში, როგორც ხავერდოვანი რევოლუციის ნიმუში. ჯერჯერობით ძალაუფლება პარლამენტის თავმჯდომარის, ნინო ბურჯანაძის ხელშია, მაგრამ 45 დღის ვადაში ახალი საპრეზიდენტო არჩევნები უნდა დაინიშნოს, სადაც ძალიან ძნელი იქნება სენიორ სააკაშვილის დამარცხება“.

23 ნოემბერი. „ლარაზონი“ (ესპანეთი):

საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე გადადგა. ძალაუფლებას ოპოზიციური ტრიუმვირატი ეუფლება. გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერი მიხეილ სააკაშვილი გამარჯვებას თავის მომხრეებთან ერთად ზეიმობს. ათეულ ათასობით ადამიანია გამოსული დედაქალაქ თბილისის ქუჩებში და ტირანიის აღსასრულს ცეკვითა და სიმღერით აღნიშნავენ, საქართვე-

ლოს მომავალი პრეზიდენტი ალბათ მიხეილ სააკაშვილი გახდება.

24 ნოემბერი. „გარდიანი“ (დიდი ბრიტანეთი):

ძნელია იმ სიხარულის გადამეტება, რაც საქართველოს დედაქალაქში ედუარდ შევარდნაძის გადადგომის შემდეგ ხდებოდა. გაუთავებელი სიმღერა, ცეკვა, ურთიერთმილოცვები. ყოველივე ეს საზეიმო ფეიერვერკებმა დააგვირგვინეს, როგორც ეტყობა, ქართველები ოპტიმისტი ხალხია. ამჟამად საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ეკონომიკურ სიდუხჭირეს განიცდის, თუმცა ახლა ხვალინდელ დღეს ბევრად უფრო იმედიანად უყურებენ. მოსახლეობას იმ ახალგაზრდა, ენერგიული პოლიტიკოსების თაობის ეიმედება, რომელმაც ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლების დამხობა შეძლეს. ნდობის განსაკუთრებით დიდ კრედიტს კი მიხეილ სააკაშვილი იმსახურებს. „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერი მოსახლეობას ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორებას ჰპირდება. ერთ დროს, საქართველო საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი რესპუბლიკა გახლდათ. ახლა კი ქვეყანა კორუფციის ჭაობში ღაფავს სულს და უბრალო პენსიონერს სულ რაღაც 7 აშშ დოლარსაც ვერ უხდის.

24 ნოემბერი. „ფრანქფურტერ ალგემაინე“ (გერმანია):

ერთ დროს იგი ედუარდ შევარდნაძის პროტეჟე გახლდათ, მოგვიანებით კი მის დაუძინებელ მოწინააღმდეგედ გადაიქცა. და აი, 23 ნოემბერს მომხდარი „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, მიხეილ სააკაშვილმა „მუდმივი მმართველის“ მბრძანებლობას ბოლო მოუღო. სააკაშვილმა მასზე 40 წლით უფროსი შევარდნაძის პრეზიდენტობას წერტილი დაუსვა, თანაც ისე, რომ ქვეყანაში სრული სიმშვიდე შეინარჩუნა.

მაინც რით შეძლო სააკაშვილმა ხალხის ასეთი ნდობის მოპოვება? პირველ რიგში მკვეთრი, სამართლიანი განცხადებების ხარჯზე. მან მოსახლეობის საშუალო

ფენებში დიდი ნდობა მოიპოვა და შედეგად, 2 ნოემბერს გამართულ საპარლამენტო არჩევნებში ხმათა მეოთხედზე მეტი მოიპოვა. თუმცა შევარდნაძემ და მისმა მარცხულმა სამთავრობო პარტიამ სააკაშვილს ეს გამარჯვება უსინდისოდ მოპარა. ამან, ისედაც გაღატაკებულ საქართველოს მოსახლეობას მოთმინების ფიალა აუვსო.

ქართველ ოპოზიციონერთა ყველაზე გამოკვეთილი ლიდერი ტიპიურ ამერიკელ ადვოკატს ჩამოპგავს. ეს არცაა გასაკვირი, რადგან 90-იან წლებში მიხეილ სააკაშვილმა ევროპისა და ნიუ-იორკის წამყვან უნივერსიტეტებში სრულყოფილი იურიდიული განათლება მიიღო. გამოსაყოფია სტრასბურგისა და კოლუმბიის (აშშ) უნივერსიტეტები. სამშობლოში დაბრუნებული ახალგაზრდა იურისტი მაშინვე პოლიტიკაში ჩაება. 2000 წელს შევარდნაძემ სააკაშვილი იუსტიციის მინისტრად დანიშნა, რითაც უამრავი პრობლემა გაიჩინა.

მინისტრის რანგში სააკაშვილი ქართული ისტებლიშმენტის ნამდვილ „რობინ ჰუდად" გადაიქცა. სწორედ სააკაშვილი იყო პირველი ჩინოვნიკი, რომელმაც ღიად გაილაშქრა უკანონო გზებით გამდიდრებული ოლიგარქების წინააღმდეგ. სააკაშვილმა მთავრობას კორუფციასთან ბრძოლის სპეციალური პროგრამა წარუდგინა, რომელიც ყოველი კორუმპირებული ჩინოვნიკის გასამართლებასა და უკანონოდ შეძენილი ქონების ჩამორთმევას ითვალისწინებდა. როგორც მოსალოდნელი იყო, შევარდნაძემ აღნიშნული კანონპროექტი დაბლოკა. იუსტიციის ენერგიულმა მინისტრმა კი პროტესტის ნიშნად დაკავებული თანამდებობა დატოვა და მთავრობას ოპოზიციაში ჩაუდგა. „შევარდნაძე საქართველოს ყველაზე დიდი პრობლემაა", — განაცხადა საჯაროდ სააკაშვილმა. ამ ფრაზამ ახალგაზრდა პოლიტიკოსი სალხში უფრო პოპულარული გახადა. გადადგომიდან რამდენიმე თვეში სააკაშვილმა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები მოიგო და ქალაქ თბი-

ლისის საკრებულოს თავმჯდომარე გახდა. ამავდროულად, მან სრულიად ახალი პარტია „ნაციონალური მოძრაობა“ ჩამოაყალიბა, რომელიც ძალას დღითი დღე იკრებდა და შევარდნაძის ეპოქის დასრულების დასაწყისში უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა.

დეკემბრის ბოლოს სააკაშვილი 35 წლის ხდება, სწორედ იმდენის, რამდენიც საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად არის საჭირო.

რა შეიძლება ჩაითვალოს სააკაშვილის დადებით მხარედ? უპირველეს ყოვლისა, ალბათ ის, რომ იგი უზომოდ განათლებული ადამიანი გახლავთ, რომელიც დასავლეთის ცივილიზებული ქვეყნებისათვის სრულიად მისაღები კანდიდატურაა. სააკაშვილის ყველაზე სუსტ წერტილად კი მხოლოდ მის ტემპერამენტს თუ მივიჩნევთ. იგი საკმაოდ ფეთქებადია და ხშირად არც მკვახე განცხადებებს ერიდება, რის გამოც სამშობლოში საკმარისზე მეტი მტერი ჰყავს.

* * *

თანმიმდევრულად და დეტალურად რომ გადმოგცეთ საქართველოში მომხდარი ვარდების რევოლუციის პერიპეტიები და უცხოეთის საინფორმაციო საშუალებების გამოხმაურებები, გამოვიყენოთ ქართული პრესის ფურცლების მასალები სათაურით „ვარდების რევოლუცია ანუ როგორ აღიდგინა მსოფლიოს თვალში საქართველომ ღირსება“, რუბრიკა „სააკაშვილი საქართველოს მომავლისათვის!“.

რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, 45 დღის შემდეგ ანუ 2004 წლის 4 იანვარს საქართველოს მოსახლეობამ თითქმის ერთხმად აირჩია საქართველოს პრეზიდენტად მიხეილ სააკაშვილი.

საქართველოში კი არა, მთელს ევროპაში ასეთი ახალგაზრდა კაცი ქვეყნის პრეზიდენტად არ აურჩევიათ. სააკაშვილს ქვეყნის მთელმა მოსახლეობამ იმედის

თვალით შეხედა. არც მოტყუებულა. რევოლუციის გამარჯვებიდან სულ ცოტა ხანში ქვეყანაში თვალში საცემი ცვლილებების განხორციელება დაიწყო. ნინო ბურჯანაძის პარლამენტმა მთელი რიგი კანონპროექტები დაამტკიცა, კანონებში შეიტანა ცვლილებები და დამატებები, შემოიღო მინისტრთა კაბინეტი. პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია გახდა. მინისტრებად ახალგაზრდა, განათლებული ადამიანები დაინიშნენ. უკომპრომისო ბრძოლა დაიწყო კორუფციონერთა და დამნაშავეთა წინააღმდეგ, მუშავდება ღონისძიებანი ხალხის ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად, სახალხო მეურნეობის, კულტურის, მეცნიერების, განათლებისა და მედიცინის სფეროებში ჯეროვანი წესრიგისა და პასუხისმგებლობის ასამაღლებლად.

ამას ყველაფერს ლამარა ბორჩაშვილი, როგორც საკუთარ პრობლემას, როგორც თავისი ოჯახის პრობლემას ისე უყურებს და დიდი შემართებით დგას სწორად და კეთილად მოაზროვნე ხალხის გვერდით, იმედით შეშხარის საქართველოს მომავალს. მისი სურვილია აღსდგეს საქართველოს ერთიანობა და მთლიანობა.

ჩვენი შრომის დასასრულს, ერთხელ კიდევ დაბეჯითებით აღვნიშნავთ, რომ ლამარა ბორჩაშვილი დიდი ავტორიტეტით სარგებლობს არა მარტო პანკისსა და ახმეტის რაიონში, არამედ მთელს კახეთში. მასთან მოდიან თელავიდან, ყვარლიდან, ლაგოდეხიდან, კონსულტაციებსა და რჩევა-დარიგებებს იღებენ და კმაყოფილნი მიდიან. ახმეტაში და დუისში ლამარას მეზობლები სულ მის ქებაში არიან.

— ჩვენ ვამაყობთ, რომ იგი ჩვენი მეზობელია. მართლაც, რა სულით მდიდარი, კაცთმოყვარე და გულკეთილი უნდა იყო, რომ თითქმის ყველა ადამიანმა კარგი თქვას შენზე. აი, ასეთი გახლავთ პანკისში გაზრდილი პირველი ქალი-ექიმი, ქისტი ლამარა, რომელმაც თავის მეუღლესთან ერთად ასევე კარგი შვილები აღუზარდა საშობლოს.

დაე, საქართველოს არ მოჰკლებოდეს ისეთი გულშემატკივარი, ცოდნით, ენერგიით, შემართებით აღჭურვილი ადამიანები, როგორიც ლამარაა. როგორ მშვენიერ ბუნებაშიც აღიზარდა, ისეთივე ლამაზი სულის პატრონია ლამარა. სათნო, კეთილი, იგი თავის სახელს აშშვენებს, ხოლო სახელი — მას.

ვუსურვებთ მრავალ წელს სიცოცხლეს და ჯანმრთელობას თავის ბედნიერ ქმარ-შვილთან და შვილიშვილებთან ერთად. ღმერთმა გვიმრავლოს ლამარასნაირი კარგი ადამიანები!

ბოლოს გთავაზობთ დავით თურქოშვილის ლექსს, მიძღვნილს ლამარა ბორჩაშვილისადმი.

ლამარა ბორჩაშვილს

მთვარეა ქვეყნის დარაჯი,
მზე სიხარულის მფენია,
ღმერთს ხალხისათვის ნაქარგი
მიწაზე გაუფენია.
რაც ნათელსა ჰფენს სამყაროს,
ეს ზეციური ძღვენია,
უფლის უბეში ვარსკვლავებს
არასდროს მოუწყენია.
ხეს არ ეცვლება სახელი,
ნედლია ის თუ ხმელია,
კაცს რაც მიეცა, ის ტვირთი
სიკვდიმდე მოუხსნელია.
მოქიშპე მოძმის ძირმთხრელი
თავის სიმეცრის მხელია,
მას, ვინც სიყვარულს აზვირთებს,
მარადის მოულხენია.
სიბრძნე საჭეა სწორი გზის,
ცოდნა სიკეთის მთესია,
ერთგულებაა სხივი მზის
და უკვდავების ფესვია.

ვინც ჯანმრთელობას გვაკურთხებს,
ერის ურყევი სვეტია,
ვინც მოსიკეთეს ვერ ხედავს,
თავისი გულის მხვრეტია.
ჩვენი ცხოვრების სცენიდან
ვის რა არ მოუსმენია,
იქ აი'შენებს ცათამბჯენს,
ვისაც სად მოუთმენია.
ვისაც გულს ულღობს ღვთის მრწამსი,
არ უცივდება კერია,
ხალხ'ში სიკეთის მთესველი,
ღმერთს გულ'ში ჩაუწერია.
ვინ კეთილი გზით მოსულა,
ვინ ბოროტების მქმედია,
ქისტი ლამარა ექიმი
სიკეთის 'შემოქმედია.
შენით არს აღტაცებული
ვრცელი პანკისის ხეობა,
არ დაეთმობა არავის
შენი კუთვნილი მეობა.
დღე და ღამ დაუსვენარო,
ღმერთმა გიბოძა მხნეობა,
დაე მოიმკოს თაობამ
შენებრ მზრუნველის ზნეობა.
სულს გიმაღლებს და გილაღებს
მ'შობიარესთან თეობა,
რაიონში და მის გარეთ
მრავალს მოუწყე მეობა.
ალაზნის ტალღის ნარწევო,
სიომ გიმღერა ნანინა,
ჩანჩქერმა გული აგივსო,
მზემ პირი დაგაბანინა.
მაისის განთიადივით
მსურს, ვარდებს სითბო ანამო,
იმიტომ, რომ ხარ გულწრფელი

და ტანჯულების მალამო.
სიკვდილთან მძაფრი შეტევით
ბრძოლები გადაგიდია,
სიცოცხლისაკენ მოკვდავის
სასწორი გადაგიხრია.
შენი რწმენა და სიტყვა
წამალზე უფრო მრგებელი,
ექიმის ფიცის ჩირაღდნის
გულით ხარ მატარებელი.
შენებრ გულწრფელი მკურნალი
საშობლოს ნაღდი მწყემსია,
ამ გზას პირნათლად ციპყვები
რაც უფალს დაუწესია.
ის, რაც შენგან სხვას ებოძა,
ნაყოფიერია თესლია,
საშობლოს საზრდოს მოუტანს,
ის, რაც შენ დაგითესია.
შენ ხარ პანკისის მედროშე,
ექიმი ქალი პირველი,
მწვერვალი როგორ დაიპყრე,
არ არის გასაკვირველი.
მრავალ სტიქიას შესჭიდებიხარ,
უკან დახევა არა გჩვევია,
გაჭირვებულებს რომ აცისკროვნებ,
თვის უძლურება არ გიმჩნევია.
თვითონ დედა ხარ, მზრუნველობ დედებს,
მიტომ გსურს გულის კარის გაღება,
შენი პირადი მკურნალი არის
დედის და ჩვილის გაჯანსაღება.
კეთილი გზებით ხალხის მსახურო,
ჩვილის მზის ხილვა შენი ლელოა,
არ გავიწყდება, ქისტის ასულო,
შენი საშობლო საქართველოა!

დავით პანკელი

2003 წელი

ფილიპე ბორჩაშვილი

მარცხნიდან: ფილიპე ბორჩაშვილი, კვარნეი მუზიკაშვილი, უსუფ მარგოშვილი

მარცნიდან:
ლეგა ბორჩაშვილი,
წინთუა ბორჩაშვილი,
იასე ბორჩაშვილი,
ძანეი ბორჩაშვილი (წინ)

მარცხნიდან:
ფილიპე ბორჩაშვილი,
გოი ბაღაკაშვილი

მარცხნიდან:
ჰაასა ალხანიშვილი,
შაქრო ალხანიშვილი,
მიხო ალხანაშვილი

მარცხნიდან:
როსტომ ფარეულიძე,
ქავთარ ქავთარაძე

აბდულ ბორჩაშვილი

მარცხნიდან: ძააძეი ბორჩაშვილი, ძააძეი ალხანაშვილი.

მარცხნიდან: შუპეი ციხესაშვილი, ნაბისათ ალხანაშვილი

ალბერტ და ავთანდილ ბორჩაშვილები

მამაზე მგლოვიარე ლამარა (მარ

ჯოყოლო. ლამარა IX კლასშია

ლამარა
(მარცხნივ)
სტუდენტობისას

ლამარა (მარჯვნივ)
სტუდენტობისას.
1957წ.

იუნუზ და ისრაილ ალდამოვები

V კურსის სტუდენტები: ლილი მაგომედოვა, ბერტა აფხაზავა, ლამარა

ლამარა ლექციაზე (მარცხნიდან მეოთხე)

ლამარა სტუდენტობისას

მუხმად ალდამოვი
1951 წ.

შავლახ ბაღაკაშვილი (ლამარას დედამთილი. შუაში) შვილებთან ერთად. მარცხნიდან პირველი დგას მუხმად ალდამოვი, ლამარას მომავალი მეუღლე

მახმად მარგოშვილი, ნატაშა ალდამოვა

მუხმად ალდამოვი, ლამარა ბორჩაშვილი

ლამარა (მარჯვნივ) პირმშოსთან და დასთან
ეთერ ბორჩაშვილთან ერთად

ლამარა მეუღლესთან და ძმასთან ელდარ ბორჩაშვილთან ერთად

ქენია დაქიშვილი

დავით დუიშვილი

უსუბ აპიშვილი

ლამარა
შვილებთან ერთად.
1967 წ.

ლამარას ძმები, (მარჯვნიდან): ალბერტი, [illegible],
ამირანი და ელდარი

თამარ ჩანგაშვილი, ლამარა ბორჩაშვილი და
ბისოლთ ბორჩაშვილი

ლამარა და შალვა მუთოშვილი. ჯოყოლო 1964 წ.

ლამარა ჯოყოლოს საუბნო საავადმყოფოს
თანამშრომლებთან ერთად

ქაქუცა ჩოლოყაშვილი

ხადიშათ მარგოშვილი (მარცხნიდან) დათიკო დუიშვილის მეუღლე

ლამარას შვილები: ნონა, მალხაზი და მარინა